# „ჰიბრიდული ომები“ და „რუხი არეალის“ კონფლიქტები, როგორც რევიზიონისტ აქტორთა „წარმატების თეორიის“ საფუძველი: რუსეთისა და ირანის სტრატეგიული მიდგომების ანალიზი

გრიგოლ მგალობლიშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია*

*თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის*

*სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადისერტაციო საბჭოზე*

*სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის*

*მოსაპოვებლად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. თინათინ ქაროსანიძე

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

თბილისი, 2025 წლის 2 ოქტომბერი

## სარჩევი

*აბსტრაქტი* ........ *iv*

*წინასიტყვაობა* ........ *viii*

*1. შესავალი* ........ *1*

1.1 კვლევის მეთოდოლოგია ........ 6

1.2 კვლევის მიზნები და ნაშრომის სტრუქტურა ........ 9

*2. სტრატეგიის თეორიის ევოლუცია და „ჰიბრიდული ომისა" და „რუხი არეალის" ცნებები „წარმატების თეორიის" კონტექსტში* ........ *13*

2.1 სტრატეგიის თეორიის ევოლუცია ........ 13

2.2 „ჰიბრიდული ომისა" და „რუხი არეალის" ცნებების განხილვა სტრატეგიის თეორიის ირგვლივ მიმდინარე დისკუსიის კონტექსტში ........ 27

*3. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა* ........ *50*

3.1 სტრატეგიის თეორიის ევოლუცია და სტრატეგიის ფორმირების ალტერნატიული მიდგომები ........ 51

3.2 „ჰიბრიდული ომებისა" და „რუხი არეალის" კონფლიქტების ცნების აქტუალიზაცია ........ 54

3.3 ირანის სუბვერსიული ქმედებები სპარსეთის ყურეში (2019-2020 წლებში) ........ 62

3.4 რუსეთის მიერ სირიაში ჩატარებული კამპანია (2015-16 წ.წ.) ........ 65

*4. ირანის სუბვერსიული ქმედებების ანალიზი სპარსეთის ყურეში (2019 წელი) თეირანის „რუხი არეალის" სტრატეგიის ფარგლებში* ........ *71*

4.1 ირანის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მდგენელი ფაქტორები (Policy Drivers) ........ 74

4.2 თეირანის „რუხი არეალის" სტრატეგია ........ 83

4.3 თეირანის სუბვერსიული ქმედებები სპარსეთის ყურეში - 2019 წელი ........ 92

4.4 თეირანის პოლიტიკური დისკურსის ანალიზი ........ 107

4.5 თეირანის „წარმატების თეორია" ........ 111

*5. რუსეთის სამხედრო კამპანიის ანალიზი სირიაში (2015-16 წ.წ.) მოსკოვის „ჰიბრიდული ომის" სტრატეგიის ფარგლებში* ........ *115*

5.1 რუსეთის სირიის კონფლიქტში ჩართვის პოლიტიკური და სამხედრო ფაქტორები ........ 117

5.2 რუსეთის „ჰიბრიდული ომის" სტრატეგია ........ 125

5.3 რუსეთის ქმედებები სირიაში: 2015-16 წ.წ. ........ 134

5.4 მოსკოვის პოლიტიკური დისკურსის ანალიზი ........ 149

5.5 რუსეთის წარმატების თეორია ........ 157

*6. რუსეთისა და ირანის სტრატეგიული მიდგომების შედარებითი ანალიზი* ........ *161*

6.1 რევიზიონისტული განწყობების გავლენა „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ სტრატეგიების ფორმირებაზე....................162
6.2 რუსეთის „ჰიბრიდული ომისა“ და ირანის „რუხი არეალის“ სტრატეგიების შედარებითი ანალიზი....................168
6.3 „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ სტრატეგიების ლიმიტაციები..........174
*7. დასკვნა....................182*
*ბიბლიოგრაფია:....................189*

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ასიმეტრიულ სტრატეგიებს „წარმატების თეორიის“ კონტექსტში იკვლევს. სახელდობრ, მიმდინარე კვლევა წარადგენს ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც „რუხი არეალისა“ და „ჰიბრიდული ომის“ მეთოდების გამოყენება რევიზიონისტი აქტორების „წარმატების თეორიის“ საფუძველს ქმნის, რაც მათ შედარებითი უპირატესობებისა და მოწინააღმდეგეების სუსტი მხარეების ეფექტური ექსპლუატაციის საშუალებას აძლევს. ამ კონტექსტში კვლევა განიხილავს ორი რევიზიონისტი აქტორის - რუსეთისა და ირანის - სტრატეგიულ მიდგომებს. კერძოდ, რუსეთის მიერ სირიაში ჩატარებულ კამპანიას (2015-16 წ.წ.) და ირანის მიერ სპარსეთის ყურეში წარმოებულ სუბვერსიულ ოპერაციებს (2019 წ.).

კვლევის ფარგლებში, წინამდებარე ნაშრომი ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს: როგორ შეძლეს რუსეთმა და ირანმა ასიმეტრიული სტრატეგიების საშუალებით შუა აღმოსავლეთში გავლენების სფეროს გაფართოება? რა გავლენას ახდენს რევიზიონისტული განწყობები ასიმეტრიული მიდგომების ფორმირებაში? რაში მდგომარეობს ირანისა და რუსეთის „წარმატების თეორიის“ საფუძვლები, რაც მათ მოწინააღმდეგეებზე შედარებითი უპირატესობის მოპოვების საშუალებას აძლევს? და საბოლოოდ, რა ლიმიტაციები თუ სუსტი მხარეები გააჩნია ირანისა და რუსეთის სტრატეგიულ მიდგომებს?

შედარებითი ანალიზის წარმართვისას მიმდინარე კვლევა პროცესის მიკვლევის (process tracing-ის) მეთოდს იყენებს. სოციალური მეცნიერებების კვლევებისთვის დამახასიათებელი ეს ფართო მიდგომა საშუალებას იძლევა დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი რევიზიონისტულ განწყობებსა და ასიმეტრიული ინსტრუმენტების გამოყენებას შორის. თუმცა წინამდებარე კვლევას ამ კაზუალური კავშირის განზოგადების ამბიცია არ გააჩნია და მხოლოდ კვლევაში მოცემული კონკრეტული შემთხვევების ანალიზსა და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმის დადგენას ისახავს მიზნად. ამასთანავე პროცესის მიკვლევა პარალელურად სხვა მეთოდების გამოყენების საშუალებასაც იძლევა, რაც ამ შემთხვევაში დამატებითი მონაცემების სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით მოპოვებაში გამოიხატა.

წინამდებარე კვლევამ რუსეთისა და ირანის მიერ სირიასა და სპარსეთის ყურეში წარმოებული „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ კამპანიების შესწავლისას რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოავლინა. პირველი, კვლევის შედეგად რუსეთისა და ირანის რევიზიონისტულ მისწრაფებებსა და ასიმეტრიული სტრატეგიების ფორმირებას შორის კავშირი ნათლად გამოიკვეთა. მეორე, კვლევის შედეგად ასევე ნათლად გამოიკვეთა კავშირი შუა აღმოსავლეთში რუსეთისა და ირანის გეოპოლიტიკური გავლენების ზრდასა და მათ მიერ განხორციელებულ ასიმეტრიულ სტრატეგიებს შორის. სახელდობრ, თუ რა როლს თამაშობდა „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ სტრატეგიები რუსეთისა და ირანის გავლენების გაფართოების პროცესში. მესამე, წინამდებარე კვლევამ ასევე

რუსეთისა და ირანის სტრატეგიულ მიდგომებს შორის არსებული მსგავსებებისა თუ განსხვავებების ნათლად წარმოჩენის საშუალება მომცა, რაც „ჰიბრიდული ომისა" და „რუხი არეალის" ცნებების გამიჯვნის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა. და ბოლოს, კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა ასიმეტრიულ სტრატეგიებთან  დაკავშირებული შეზღუდვები და ლიმიტაციები. კერძოდ, თუ რატომ ვერ შეძლეს რუსეთმა და ირანმა შუა აღმოსავლეთში გავლენების შენარჩუნება და რა მიზეზებმა განაპირობა მათი გეოპოლიტიკური პოზიციების შესუსტება.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკვეთილ ამ ტენდენციებს ასიმეტრიული სტრატეგიების შესწავლისა და ალტერნატიული მოდელების ფორმირების აუცილებლობის შესახებ მიმდინარე აკადემიურ თუ პოლიტიკურ დისკუსიაში,  რამდენიმე საგულისხმო სიახლე შემოაქვს. პირველი, წინამდებარე კვლევა „ჰიბრიდული ომისა" და „რუხი არეალის" ცნებების ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯვნას უწყობს ხელს. საგულისხმოა, რომ როგორც აკადემიურ, ასევე პოლიტიკურ დისკურსში ამ ცნებების ირგვლივ მრავალი ბუნდოვანება არსებობს, რაც ხშირ შემთხვევაში მათი იდენტური მნიშვნელობით გამოყენებაში გამოიხატება. ეს დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც ყველა სახის ასიმეტრიულ კამპანიას „ომად" ნათლავს, ცნებების აღრევასა და მათ ირგვლივ ბუნდოვანების შექმნას იწვევს. შესაბამისად, „ჰიბრიდული ომისა" და „რუხი არეალის" კამპანიების ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯვნა ამ ბუნდოვანების შემცირებას უწყობს ხელს. მეორე, წინამდებარე კვლევა სტრატეგიული მოდელების ფორმირების თაობაზე მიმდინარე დისკუსიაში არსებული ლაკუნის შევსებას შეეცადა. კერძოდ,  ალტერნატიულ მოდელებზე საუბრისას, უსაფრთხოების სფეროს მკვლევარები რევიზიონისტული განწყობების როლს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ამ თვალსაზრისით, რუსეთისა და ირანის მაგალითების შერჩევა და მათი რევიზიონისტული მისწრაფებების სტრატეგიის ალტერნატიული მოდელების ფორმირების კონტექსტში განხილვა, სწორედ ამ ვაკუუმის შევსებას ისახავდა მიზნად. მესამე, წინამდებარე კვლევა შეეცადა ქართულ აკადემიურ სივრცეში აესახა უსაფრთხოების სფეროში სტრატეგიული მოდელების ფორმირების თაობაზე მიმდინარე დისკუსია. რამეთუ ამ კონტექსტში ასიმეტრიული სტრატეგიების განხილვა ნაკლებად მოიძებნება.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთისა და ირანის სტრატეგიული მიდგომების კვლევას, როგორც აკადემიური, ასევე პრაქტიკული დატვირთვა გააჩნია. აკადემიური თვალსაზრისით, წინამდებარე კვლევა რუსეთისა და ირანის სტრატეგიულ მიდგომებს „წარმატების თეორიის" კონტექსტში განიხილავს, რაც უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვან დისკუსიას ეხმიანება. პრაქტიკული თვალსაზრით კი, წინამდებარე კვლევა, პოლიტიკის შემქნელებისა თუ პრაქტიკოსებისთვის,  რუსეთისა და ირანის ქმედებების უკეთ განჭვრეტასა და მათ წინააღმდეგ შეკავების მექანიზმების ხელახალ გააზრებას უწყობს ხელს.

## Abstract

This dissertation examines asymmetrical strategies—specifically *hybrid warfare* and *gray zone* conflicts—through the lens of the *theory of success*. It advances the hypothesis that these strategies form the foundation of the *theory of success* for revisionist powers, enabling them to play a "weaker hand" effectively against stronger rivals, thereby generating asymmetric advantages and cultivating a competitive edge. In this context, the study examines Russia's *hybrid warfare* campaign in Syria (2015–2016) and Iran's *gray zone* activities in the Gulf region (2019), analyzing how these cases demonstrate the operationalization of asymmetrical strategies in pursuit of strategic gains.

In this context, the dissertation addresses four central questions: How have Russia and Iran advanced their geopolitical positions in the Middle East through the application of asymmetrical strategies? In what ways does revisionist intent serve as a driving force in the formulation of such strategies? What constitutes the essence of Russia's and Iran's "theory of success," enabling them to play a "weaker hand" effectively against stronger adversaries? And finally, what limitations are inherent in the strategic approaches pursued by Russia and Iran?

This dissertation employs the *process tracing* method to explore the causal relationship between revisionist intent and the adoption of asymmetrical strategies. The study does not seek to generalize this causal connection; rather, it is confined to the analysis of selected individual cases and the identification of the causal mechanisms within them. In line with the logic of the *explaining-outcome variant of process tracing*, the aim is not to build or confirm theory, but to account for causal mechanisms in a single case. Consequently, explanations generated through *outcome-oriented process tracing* should be interpreted strictly within the contextual boundaries of the specific cases under examination.

Within this context, a comparison of Russia's *hybrid war* campaign in Syria with Iran's *gray zone* activities in the Gulf region has revealed several important findings. First, the causal link between revisionist intent and the formation of asymmetrical strategies has been established, as evidenced both in the analysis of political discourse and in the *modus operandi* adopted by both actors. Second, the study revealed a connection between the application of asymmetrical strategies and the growing influence of Russia and Iran in the Middle East, particularly the role that *hybrid war* and *gray zone* strategies have played in strengthening their geopolitical positions in the region. Third, the study identifies a clear distinction between the Russian and Iranian strategic approaches, reflected in their reliance on different types of asymmetrical strategies. Finally, the dissertation highlights the limitations of hybrid warfare and gray zone strategies, particularly in light of recent geopolitical developments in the Middle East that have led to a considerable decline in the geopolitical influence of both Russia and Iran.

These findings offered a valuable contribution to the academic and political discourse surrounding two key issues: the relevance of asymmetrical strategies in today's geopolitical context and the necessity of revising traditional models of strategy formulation. To begin with, this study contributes to drawing clear distinctions between *hybrid war* and *gray zone* strategies—two concepts that are frequently conflated, leading to confusion and misguided application. This tendency is particularly evident in Georgian academic and political discourse, where all forms of asymmetrical strategies are often labeled as *hybrid wars*. By establishing this distinction, the study helps reduce such confusion and clarifies the proper usage of these concepts. Moreover, the study seeks to bridge a gap in the academic discourse on revising existing models of strategy formulation and exploring alternative approaches. In particular, existing scholarship often overlooks the role of revisionist intent in shaping asymmetrical strategies. In this context, the selection of Russian and Iranian case studies and the examination of their strategic approaches as revisionist powers were designed to address this gap. Finally, the study seeks to reflect the ongoing debate within the field of security studies on alternative strategy models, a discussion that has not been adequately represented in either Georgian academic discourse.

In closing, the examination of Russian and Iranian strategic approaches combines academic significance with practical policy relevance, contributing at both scholarly and policy levels. From a scholarly perspective, it analyzes Russian and Iranian strategies within the framework of the "theory of success," thereby advancing the academic discussion on the importance of exploring alternative models of strategy. From a policy perspective, it facilitates a deeper understanding of Russian and Iranian approaches, which is essential for rethinking deterrence mechanisms against the asymmetrical strategies employed by these revisionist actors.

## წინასიტყვაობა

სადისერტაციო თემის შერჩევაზე დიდი გავლენა იქონია ისტორიამ, რომელსაც რიჩარდ რუმელტი თავის წიგნში - „კარგი სტრატეგია, ცუდი სტრატეგია" - აღწერს. ეს არის ისტორია თუ როგორ შეძლო ენდი მარშალმა, მარტივი მაგრამ ეფექტური იდეის მეშვეობით ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დაგეგმვის სისტემის ძირეული გარდაქმნა, რასაც საბჭოთა კავშირის დასუსტება და შემდგომი დაშლა მოყვა.

ენდი მარშალი 1973 წლიდან ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ სტრატეგიული კვლევების ოფისს პენტაგონში. რიჩარდ რუმელტთან შეხვედრისას, 1990 წელს, მარშალმა მას გაუზიარა ის გამოწვევები, რომელსაც მე-20 საუკუნის 70-იანი წლების აშშ-ის თავდაცვის დაგეგმის სისტემა აწყდებოდა. კერძოდ, ათწლეულების მანძილზე პენტაგონში რეაქტიული თავდაცვის დაგეგმვის სისტემა მოქმედებდა. ბიუჯეტის განხილვისას, შეიარაღებული ძალების სარდლობების ხელმძღვანელები, როგორც წესი, საბჭოთა კავშირის მიერ განვითარებული სამხედრო შესაძლებლობების სიას წარადგენდნენ და მათი განეიტრალებისთვის აუცილებელი შესაძლებლობების განვითარებისთვის ითხოვდნენ დაფინანსებას. ეს რეაქტიული მიდგომა, აშშ-ს აიძულებდა, ფოკუსირებულიყო საბჭოთა კავშირის ძლიერ მხარეებზე, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი შედარებითი უპირატესობები გამოყენებინა.

მარშალმა ეს მიდგომა ძირეულად შეცვალა 1976 წელს შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტით, რომელიც არ იყო დატვირთული რთული ცხრილებით, ფორმულებით თუ უსაფრთხოების თემატიკისათვის დამახასიათებელი აბრევიატურებით. მარშალის სტრატეგია ეფუძნებოდა მარტივ იდეას - როგორ უნდა მიემართა აშშ-ის თავისი სიძლიერე საბჭოთა კავშირის სისუსტეებიის წინააღმდეგ. ამ მიდგომის ფარგლებში, სტრატეგიული დოკუმენტი უარს ამბობდა ფოკუსირება მოეხდინა საბჭოთა სამხედრო შესაძლებლობების ზრდით გამოწვეულ საფრთხეებზე. ამის ნაცვლად, იგი ავითარებდა თავდაცვის დაგეგმვის პროაქტიულ მიდგომას, რომელიც აქცენტს აშშ-ის ძლიერ მხარეებზე აკეთებდა. კერძოდ, აშშ-ის ტექნოლოგიური

უპირატესობის გათვალისწინებით, ინვესტირება უნდა განხორციელებულიყო მაღალტექნოლოგიურ პროექტებში (*მაგალითად, წყალქვეშა გემებისათვის ხმის დამხშობი სისტემები და ა.შ.*). ეს პროექტები საბჭოთა კავშირის სამხედრო დანახარჯებს მნიშვნელოვნად გაზრდიდა, თანაც ძირითადად ისეთ პროექტებში, რომლებიც აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებას მინიმალურ საფრთხეს უქმნიდა. შესაბამისად, მარშალის მიერ შემუშავებულმა სტრატეგიამ საბჭოთა კავშირის იმგვარ შეიარაღების რბოლაში ჩართვა განაპირობა, სადაც მას აშშ-სთან შედარებით სუსტი პოზიციები ჰქონდა და მის ფინანსურ გამოფიტვას იწვევდა. ამ ერთი შეხედვით მარტივმა იდეამ, ძირეულად შეცვალა აშშ-ის თავდაცვის დაგეგმის პროცესი და მას საბჭოთა კავშირის სისუსტეების ექსპლუატაციის გზით მასზე შედარებითი უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა მისცა.

ეს ისტორია ნათლად ასახავს უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე დისკუსიის არს, რომელიც სტრატეგიის ფორმირების ტრადიციული მოდელების გადახედვის აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას. უსაფრთხოების მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სტრატეგიის ფორმირების სწორხაზოვანი მოდელები, რომლებსაც წამყვანი დასავლური ინსტიტუციები იყენებენ, უგულვებელყოფს სტრატეგიის მთავარ არსს. სახელდობრ, სტრატეგიის ფორმირებას სტრატეგიული ლოგიკის შემაკავშირებელი 'დიდი იდეის', ანდა ჰიპოთეზის ირგვლივ, რომელიც მოწინააღმდეგეზე შედარებითი უპირატესობის მოპოვებისა და მათი სისუსტეების ექსპლოატაციისკენ იქნება მიმართული. ენდი მარშალის წარმატების საწინდარს, სტრატეგიის სწორედ ამ 'დიდი იდეის' ირგვლივ ფორმირება წარმოადგენდა. მიდგომა, რომლიდანაც თანამედროვე სტრატეგიის ფორმირების პროცესები უმეტესწილად დაცლილია.

სწორედ ამ ფართო დისკუსიის ნაწილად მოვიაზრებ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც სტრატეგიის ფორმირების ტრადიციული მოდელების გადახედვის აუცილებლობაზე მიმდინარე დისკუსიას ეხმაურება. ის იკვლევს საქართველოსთვის ორი მნიშვნელოვანი აქტორის - რუსეთისა და ირანის - სტრატეგიულ მიდგომებს, რომლებმაც მათ ძლიერ მოწინააღმდეგეებზე შედარებითი უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას მისცა. კერძოდ,

მოსკოვისა და თეირანის მიერ შემუშავებული „ჰიბრიდული ომებისა“ თუ „რუხი არეალის კონფლიქტების“ სტრატეგია, ამ რევიზიონისტ აქტორებს მათზე ეკონომიკურად თუ სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირების შესაძლებლობას აძლევდა. ამის ნათელი გამოხატულება გახდა რუსეთისა და ირანის გავლენების გაფართოება შუა (ახლო) აღმოსავლეთში, რომელიც წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე რევიზიონისტი აქტორის გეოპოლიტიკური პოზიციები უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შეირყა, რაც 2023 წლის 7 ოქტომბრის საპასუხოდ ისრაელის მიერ ჰამასისა და ჰეზბოლას წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიასა და სიირის რეჟიმის მოულოდნელ ჩამოშლას უკავშირდება, ეს არ გამორიცხავს მოსკოვისა და თეირანის პირველად წარმატებებს რეგიონში. ანალიტიკური თვალსაზრისით, რუსეთისა და ირანის გავლენების გაფართოება და შემდგომ რეგიონში მათი პოზიციების მნიშვნელოვანი შესუსტება, მათ მიერ შემუშავებული სტრატეგიული მიდგომების სუსტი მხარეების შესწავლის შესაძლებლობასაც იძლევა. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევა, იმ პერიოდის შესწავლაზე აკეთებს აქცენტს, რომლის დროსაც რუსეთმა და ირანმა „ჰიბრიდული ომისა“ თუ „რუხი არეალის“ სტრატეგიების გამოყენებით შუა აღმოსავლეთში მათი გავლენების სფეროს გაფართოება შეძლეს. თუმცა კვლევის დასასრულს, რეგიონში მათ მიერ განცდილი სტრატეგიული მარცხის მიზეზებსაც გავაანალიზებ, რაც მოსკოვისა და თეირანის სტრატეგიული მიდგომების შეზღუდვებისა თუ სუსტი მხარეების წარმოჩენას შეუწყობს ხელს.

1. შესავალი

უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა რევიზიონისტ აქტორთა გავლენების გაფართოების ტენდენცია, რაც წესრიგზე დამყარებულ საერთაშორისო სისტემას მნიშვნელოვანად ასუსტებს. ხშირ შემთხვევაში რევიზიონისტი აქტორები საკუთარი გავლენის სფეროების გასაფართოებლად ასიმეტრიულ ინსტრუმენტებს იყენებენ. ამ ინსტრუმენტების კოორდინირებული გამოყენება უსაფრთხოებისა და აკადემიურ დისკურსში „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის კონფლიქტის“ სახელითაა ცნობილი. შესაბამისად, ხსენებული ტენდენცია ორი მნიშვნელოვანი თემის - რევიზიონისტი აქტორების სტრატეგიის ფორმირებისა და მათ მიერ გამოყენებული ასიმეტრიული მიდგომების მიმართ - ინტერესს განსაკუთრებულად ზრდის.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა რუსეთისა და ირანის სტრატეგიული მიდგომები, რომელთა რევიზიონისტული მიზნებისა და ქმედებების ერთობლიობაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს დღევანდელი გლობალური უსაფრთხოების დღის წესრიგს. მოსკოვისა და თეირანის სტრატეგია მიმართულია არა მხოლოდ მათი გავლენის სფეროების გაფართოების, ანდა რეგიონული ძალთა ბალანსის შეცვლისაკენ, არამედ წესებზე დამყარებული საერთაშორისო სისტემის ჩამოშლისაკენაც. შესაბამისად, ამ აქტორთა მიერ შემუშავებული „ჰიბრიდული ომებისა“ თუ „რუხ არეალში“ მოქმედების სტრატეგიები სცდება რეგიონულ განზომილებას და გლობალურ დატვირთვას იძენს.

ამ კონტექსტში, მიმდინარე კვლევა წარადგენს ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც “რუხი არეალისა“ და „ჰიბრიდული ომის“ მეთოდების გამოყენება რევიზიონისტი აქტორების „წარმატების თეორიის“ საფუძველს წარმოადგენს, რაც მათ შედარებითი უპირატესობებისა და მოწინააღმდეგეების სუსტი მხარეების ეფექტური ექსპლუატაციის საშუალებას აძლევს. კერძოდ, რევიზიონისტი აქტორები მათთვის სასურველი შედეგის მისაღწევად სწორედ „ჰიბრიდული ომისა“ თუ „რუხი არეალის“ მეთოდებს იყენებენ. ეს სტრატეგიული მიდგომები კი

რევიზიონისტ აქტორებს მათზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვებაში ეხმარება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოცემული ჰიპოთეზა ორ ნაწილად დაიყოს. უპირველეს ყოვლისა, რევიზიონისტული მისწრაფება ამ ტიპის ქვეყნებს „რუხი არეალისა" თუ „ჰიბრიდული ომის" მეთოდების გამოყენებისკენ უბიძგებს. რევიზიონიზმი თავისთავად „სტატუს-ქვო" (status quo) სახელმწიფოებთან დაპირისპირებას გულისხმობს, რომლებსაც, როგორც წესი, საერთაშორისო სისტემაში დომინანტი პოზიცია უკავიათ. შესაბამისად, რევიზიონისტი აქტორები ამ დომინანტ სახელმწიფოებთან პირდაპირი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად სწორედ „რუხი არეალისა" თუ „ჰიბრიდული ომის" მეთოდებს ანიჭებენ უპირატესობას. ამასთანავე, არსებული საერთაშორისო წესრიგის ან რეგიონული ძალთა ბალანსის შეცვლის მსურველ რევიზიონისტ აქტორებს, სახელდობრ რუსეთსა და ირანს, აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული „წარმატების თეორია", რომელიც მოწინააღმდეგეების მიმართ ასიმეტრიული უპირატესობის „რუხი არეალისა" თუ „ჰიბრიდული ომის" საშუალებით მოპოვების იდეას ეფუძნება.

ამ კონტექსტის გათვალისწინებით, მიმდინარე კვლევა შეეცდება, პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: როგორ შეძლო ირანმა „რუხ არეალში" მოქმედების საშუალებით რეგიონში თავისი გავლენების სფეროს გაფართოება? როგორ შეძლო რუსეთმა „ჰიბრიდული ომის" მეთოდების გამოყენებით შუა აღმოსავლეთში თავისი პოზიციების გამყარება? ამასთანავე, რა გავლენას ახდენს რევიზიონისტული განწყობები ასიმეტრიული სამხედრო მეთოდებისთვის უპირატესობის მინიჭების საქმეში? რაში მდგომარეობს ირანისა და რუსეთის „წარმატების თეორიის" საფუძვლები, რაც მათ მოწინააღმდეგეებზე შედარებითი უპირატესობის მოპოვების საშუალებას აძლევს? და საბოლოოდ, რა შეზღუდვები თუ სუსტი მხარეები გააჩნია ირანისა და რუსეთის სტრატეგიულ მიდგომებს?

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს რევიზიონისტ აქტორთა მიერ წარმოებული „ჰიბრიდული ომებისა", თუ „რუხი არეალის" კონფლიქტების „წარმატების თეორიის" ფარგლებში განხილვა. სახელდობრ, თუ როგორ

განაპირობებს რევიზიონისტული განწყობები ასიმეტრიული ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებას. ამასთანავე, თუ რა გავლენას ახდენს ამ მეთოდებისათვის უპირატესობის მინიჭება რევიზიონისტი აქტორების სტრატეგიული მიდგომების ფორმირებაზე. ამ კონტექსტში კვლევა განიხილავს ორი რევიზიონისტი აქტორის - რუსეთისა და ირანის სტრატეგიულ მიდგომებს. კერძოდ, რუსეთის მიერ სირიაში ჩატარებულ კამპანიას (2015-16 წ.წ.) და ირანის მიერ სპარსეთის ყურეში წარმოებულ სუბვერსიულ ოპერაციებს (2019-2020 წ.წ.). ამ მხრივ შერჩეული პერიოდების ანალიზი განსაკუთრებით საყურადღებოა, რამეთუ დროის ამ მონაკვეთებში რუსეთი და ირანი განსაკუთრებული ინტენსივობით იყენებს ასიმეტრიულ ინსტრუმენტებს, რაც თეირანისა და მოსკოვის სტრატეგიული მიდგომების ნათლად წარმოჩენის საშუალებას გვაძლევს. შესაბამისად, ნაშრომი აერთიანებს უსაფრთხოების თემატიკის ორ მნიშვნელოვან საკითხს - სტრატეგიის თეორიასა და თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციას. ნაშრომში ასევე მოცემულია ორი მნიშვნელოვანი აქტორის - რუსეთისა და ირანის სტრატეგიული მიდგომების შედარებითი ანალიზი.

მეტი სიცხადისთვის ასევე მნიშვნელოვანია კვლევაში მოცემული ძირითადი ცნებების საწყის ეტაპზევე განმარტება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დეტალურად ნაშრომის მომდევნო თავებში განიხილება. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა „ჰიბრიდული ომის“, „რუხი არეალის“ კონფლიქტის, ასიმეტრიულობის პრინციპისა და „წარმატების თეორიის“ ცნებების განმარტება.

**„ჰიბრიდული ომების“** არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია, მისი ვიწრო სამხედრო ჭრილში, თუ უფრო ფართო კონტექსტში განხილვა ისევე, როგორც განსხვავებული განმარტებები დასავლურ და რუსულ კონტექსტში, ხშირად ამ ცნების ირგვლივ ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის წარმოქმნის მიზეზი ხდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განვმარტოთ, თუ „ჰიბრიდული ომის“ რა დეფინიციას ეყრდნობა წინამდებარე ნაშრომი. სახელდობრ, ეს კვლევა „ჰიბრიდული ომის“ უფრო ფართო კონტექსტში განმარტებას ანიჭებს უპირატესობას, რომელმაც დასავლურ დისკურსში რუსეთის მიერ ყირიმის

ანექსიის შემდგომ მოიკიდა ფეხი. ამის კარგ მაგალითს კი სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტის (IISS) პუბლიკაციაში მოცემული განმარტება წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, „ჰიბრიდული ომი“ არის: „სამხედრო და არასამხედრო საშუალებების გამოყენება ინტეგრირებულ კამპანიაში, რომლის მიზანიც მოულოდნელობის გაჩენა, ინიციატივის ხელში ჩაგდება და ფსიქოლოგიური და ფიზიკური უპირატესობის მოპოვებაა. ამის მისაღწევად კი ხდება როგორც დიპლომატიური საშუალებების, სწრაფი და დახვეწილი საინფორმაციო, ელექტრონული და კიბეროპერაციების, ფარული და ხანდახან ღია სამხედრო და დაზვერვითი ქმედებების, ასევე ეკონომიკური ზეწოლის ბერკეტების ერთობლივი გამოყენება.“[1]

**„რუხი არეალის“** კონფლიქტები ხშირად „ჰიბრიდული ომის“ ცნების სინონიმად გამოიყენება, რაც მათ შორის არსებულ განსხვავებებს უგულვებელყოფს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ ორი, ერთმანეთთან ძალზედ ახლოს მყოფი ცნების ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯვნა, რაც ხსენებული ბუნდოვანების შემცირებას საგრძნობლად შეუწყობს ხელს. „რუხი არეალის“ ცნება ითვალისწინებს კონვენციური სამხედრო კონფლიქტის ზღვარს მიღმა არეალში მიზანმიმართულ მოქმედებას. სახელდობრ, „რუხი არეალი“ „არის ომსა და მშვიდობას შორის არსებული კონცეპტუალური სივრცე, რომელიც სტრატეგიულ-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სხვადასხვა ინსტრუმენტის მიზანმიმართული გამოყენებით იქმნება, რომლებიც ბუნდოვანების შექმნისკენაა მიმართული და რომლებიც ვითარდება კონვენციური კონფლიქტის ზღვარს ქვემოთ, მაგრამ სცდება ჩვეულებრივი დაპირისპირების ფარგლებს.“[2] შესაბამისად, ჰიბრიდული ომებისგან განსხვავებით, რუხი არეალის კონფლიქტები კონვენციური სამხედრო ძალის გამოყენებას გამორიცხავს და აქცენტს მხოლოდ იმ

---

[1] International Institute for Strategic Studies, *Military Balance 2015*, editor's introduction, https://www.iiss.org/en/publications/military%20balance/issues/the-military-balance-2015-5ea6/mb2015-00b-foreword-eff4, accessed August 20, 2023.

[2] Popp, G., Ganna, S.: The Characterization and Conditions of the Gray Zone. Office of the Secretary of Defense (OSD) Strategic Multilayer Assessment (SMA) Report (2016). Quoted in Mark Hoffman's "Challenges and Opportunities in Gray Zone Combat", 2017.

ინსტრუმენტების გამოყენებაზე აკეთებს, რომელთა კონფლიქტში ჩართული რომელიმე მხარისთვის მიკუთვნება შეუძლებელია.

**ასიმეტრიულობის პრინციპს** „ჰიბრიდულ ომებსა" და „რუხი არეალის" კონფლიქტებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რამეთუ ამ ტიპის კონფლიქტები მოწინააღმდეგეზე, ხშირად ეკონომიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერ ოპონენტებზე, ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების პრინციპს ეფუძნება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ნათლად წარმოვაჩინოთ ამ პრინციპის შინაარსი და მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა პროფესორების სტივენ მეტცისა და დაგლას ჯონსონის განმარტება, რომლებიც სამხედრო ასიმეტრიულობის პრინციპს შემდეგნაირად განსაზღვრავენ: „ასიმეტრიულობა გულისხმობს მოწინააღმდეგისგან განსხვავებულ მოქმედებას, ორგანიზებასა და აზროვნებას, რათა საკუთარი უპირატესობის მაქსიმალიზაცია, ოპონენტის სუსტი მხარეების ექსპლუატაცია და ინიციატივის ხელში ჩაგდება გახდეს შესაძლებელი."[3] შესაბამისად, ასიმეტრიულობის პრინციპის არსი მოწინააღმდეგეზე დისპროპორციული უპირატესობის მოპოვებაში მდგომარეობს, რაც კონფლიქტის მსვლელობისას მოწინააღმდეგის ძლიერი მხარეების განეიტრალებას უწყობს ხელს[4].

**„წარმატების თეორია"** სტრატეგიის ფორმირების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული ლოგიკის შემაკავშირებელი „დიდი იდეის" ანუ ჰიპოთეზის ნათლად განსაზღვრას გულისხმობს. მაიკლ აიზენშტატი წარმატების თეორიას განმარტავს, როგორც დასახული მიზნებისა და ეროვნული რესურსების დამაკავშირებელ მიზეზ-შედეგობრივ კავშირსა და სტრატეგიულ ლოგიკას, ერთგვარ „სტრატეგიულ ხიდს", რაც სტრატეგიის ფორმირების უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს[5]. წარმატების თეორიის მკაფიოდ განსაზღვრა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტრატეგიის

---

[3] Steven Metz and Douglas V. Johnson II, *Asymmetry and U.S. Military Strategy: Definition, Background, and Strategic Concepts* (Carlisle, PA: Strategic Studies Institute, U.S. Army War College, 2001), 5–6.
[4] Michael Eisenstadt, "Operating in the 'Grey Zone': Countering Iran's Asymmetric 'Way of War,'" *The Washington Institute for Near East Policy*, January 2020, 5.
[5] Eisenstadt, "Operating in the 'Grey Zone,'" 7.

უმთავრესი არსის - შედარებითი უპირატესობის მოპოვების, რესურსების ახალი წყაროების მოძიებისა და ოპონენტების სისუსტეების ექსპლუატაციის - ნათლად გააზრებას[6]. შესაბამისად, სტრატეგიის ფორმირების პროცესის წარმატების თეორიის ფარგლებში განხილვა განსაკუთრებულ დატვირთვას თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციის, კერძოდ კი, „ჰიბრიდული ომების“ და „რუხი არეალის“ კონფლიქტების ფონზე იძენს.

## *1.1 კვლევის მეთოდოლოგია*

ნაშრომი მოიცავს ორი მსგავსი აქტორის - ირანისა და რუსეთის სტრატეგიული მიდგომების შედარებით ანალიზს. შერჩეულ ქვეყნებს გააჩნიათ ერთმანეთთან მიახლოებული მახასიათებელი - ორივე რევიზიონისტ აქტორს წარმოადგენს - რაც, ნაწილობრივ, მათი მოქმედებების მოცემულ კონტექსტში განზოგადების შესაძლებლობასა და ამით საბოლოო დასკვნის გამყარების საშუალებას იძლევა.

შედარებითი ანალიზის წარმართვისას მიმდინარე კვლევა პროცესის მიკვლევის (process tracing-ის) მეთოდს იყენებს. სოციალური მეცნიერებების კვლევებისთვის დამახასიათებელი ეს ფართო მიდგომა საშუალებას გვაძლევს მკაფიოდ დავინახოთ, თუ რა გავლენას ახდენს რევიზიონისტული განწყობები „რუხი არეალისა“ თუ „ჰიბრიდული ომების“ სტრატეგიის ფორმირებაზე. შესაბამისად, ირანის მიერ 2019 წელს სპარსეთის ყურეში და რუსეთის მიერ 2015-16 წლებში სირიაში წარმოებული სუბვერსიული ქმედებების სიღმისეული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ რევიზიონისტი აქტორების სტრატეგიის ფორმირებისა და „რუხ არეალში“ მოქმედების ძირითად ტენდენციებს.

ზოგადად, პროცესის მიკვლევის ეს ფართო მიდგომა საშუალებას იძლევა დავადგინოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი რევიზიონისტულ განწყობებსა და

---

[6] Jeffrey W. Meiser, “Are Our Strategic Models Flawed? Ends + Ways + Means = (Bad) Strategy,” *Parameters* 46, no. 4 (Winter 2016–17), 81.

ასიმეტრიული ინსტრუმენტების გამოყენებას შორის. თუმცა წინამდებარე კვლევას ამ კაზუალური კავშირის განზოგადების ამბიცია არ გააჩნია და მხოლოდ კვლევაში მოცემული კონკრეტული შემთხვევების ანალიზსა და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმის დადგენას გეგმავს. როგორც ბიჩი და პედერსენი აღნიშნავენ, დამდგარი ისტორიული შედეგის გასაანალიზებლად (explaining-outcome process tracing) გამოყენებულ პროცესის მიკვლევის მეთოდს თეორიის შექმნის ან დადასტურების ამბიცია არ გააჩნია და მხოლოდ ინდივიდუალური შემთხვევის მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმის ანალიზით შემოიფარგლება[7]. შესაბამისად, შედეგის დამდგენი პროცესის მიკვლევის მეთოდით მიღწეული მოვლენის ახსნა მხოლოდ ამ კონკრეტული შემთხვევის კონტექსტში უნდა იქნეს განხილული[8].

შესაბამისად, წინამდებარე კვლევა საწყის ეტაპზევე აყალიბებს ჩარჩოს, რომლის თანახმადაც რევიზიონისტი აქტორები - რუსეთი და ირანი - მათი გეოპოლიტიკური გავლენების გაფართოვებას „რუხი არეალისა“ და „ჰიბრიდული მეთოდების“ გამოყენების მეშვეობით ცდილობენ. ამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას კი კვლევა დედუქციური საშუალებით, ამ აქტორთა მიერ დროის კონკრეტულ მონაკვეთში წარმოებული ქმედებების სიღრმისეული ანალიზით ცდილობს. ამასთანავე, როგორც უკვე აღვნიშნე, დამდგარი კაზუალური კავშირის განხილვა მხოლოდ ამ კონკრეტული შემთხვევების კონტექსტში იქნება შესაძლებელი.

ამასთანავე მნიშვნელოვანია აღვნიშნო, რომ პროცესის მიკვლევა საშუალებას მაძლევს, პარალელურად სხვა მეთოდებიც გამოვიყენო, რათა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მივაკვლიო მიზეზ-შედეგობრივ კავშირს რევიზიონისტულ განწყობებსა და ასიმეტრიული ინსტრუმენტების გამოყენებას შორის. გამომდინარე იქიდან, რომ საკვლევი თემა მიმდინარე უსაფრთხოების

[7] Derek Beach and Rasmus Brun Pedersen, *Process-Tracing Methods: Foundations and Guidelines* (Ann Arbor: University of Michigan Press, 2013), 11.
[8] Beach and Pedersen, *Process-Tracing Methods*, 11.

თემატიკას ეხება, ასევე მნიშვნელოვანი იყო მონაცემების მოპოვება სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით. ინტერვიუები ჩატარდა ამჟამინდელ თუ ყოფილ პოლიტიკის შემქმნელებთან და დარგის ექსპერტებთან. ინტერვიუების შედეგად მოპოვებული მასალა ინტერპრეტაციული ანალიზის მეთოდის გამოყენებით დამუშავდა.  ეს მეთოდი დარგის ექსპერტებისა თუ პოლიტიკის შემქნელების გამოცდილებების ნათლად ასახვის საშუალებას მაძლევს, რაც მოპოვებული ინფორმაციის შევსებასა და ვალიდაციაში მეხმარება.

მიუხედავად იმისა, რომ დარგის ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუები კვლევის მხოლოდ დამხმარე მეთოდს წარმოადგენს, მათი მოვლენებში მონაწილეობის პირადი გამოცდილება და პროცესების სიღრმისეული ცოდნა მნიშვნელოვნად დაეხმარა წინამდებარე კვლევის  ხარისხის გაუმჯობესებაში. შესაბამისად ქვემოთ ხსენებულ პოლიტიკის შემქმნელებთან თუ დარგის ექსპერტებთან ჩატარებულ ინტერვიუბს მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია. საკვლევი პერიოდის მანძილზე ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ პირებთან: **დაგლას სილიმანი** (Douglas Silliman), ვაშინგტონში არაბული ყურის ქვეყნების ინსტიტუტის პრეზიდენტი; აშშ-ის ყოფილი ელჩი ერაყსა და ქუვეითში; **დენ ფრიდი** (Dan Fried), აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში; **კურტ ვოლკერი** (Kurt Volker), აშშ-ის ყოფილი ელჩი ნატოში და აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილი წარმომადგენელი უკრაინაში; **იან კელლი** (Ian Kelly), აშშ-ის ყოფილი ელჩი ეუთოსა და საქართველოში; **ბრაიან ვითმორი** (Brian Whitmore), Power Vertical Blog-ის დამფუძნებელი და ბოსტონ გლობის ყოფილი კორესპონდენტი მოსკოვში; **სკოტ კარპენტერი** (Scott Carpenter), აშშ-ის სახელმმწიფო მდივნის თანაშემწის ყოფილი მოადგილე შუა აღმოსავლეთის საკითხებში; **ალექს ვატანკა** (Alex Vatanka), ვაშინგტონში შუა აღმოსავლეთის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი; **გიორგი დერლუგიანი,** ნიუიორკის უნივერსიტეტის პროფესორი;  **ალექსანდრე ლომაია**, ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი და საქართველოს ყოფილი მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; **თემურ იაკობაშვილი**, საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში  და

საქართველოს ყოფილი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში; **გიორგი ჯანჯღავა,** საქართველოს ყოფილი ელჩი ირანში, თურქეთსა და საუდის არაბეთში.

## *1.2 კვლევის მიზნები და ნაშრომის სტრუქტურა*

კვლევა მიზნად ისახავს კაზუალური კავშირის დადგენას რევიზიონისტულ განწყობებსა და რევიზიონისტი აქტორების მიერ „ჰიბრიდული ომისა“ თუ „რუხი არეალის“ მეთოდების გამოყენებას შორის. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ კავშირის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ განხილული, კონკრეტული შემთხვევების პირობებში და ნაშრომს ამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის განზოგადების მიზანი არ გააჩნია.

კვლევა აანალიზებს თეირანისა და მოსკოვის „წარმატების თეორიის“ საფუძვლებს, რაც ამ რევიზიონისტ აქტორებს მათ მოწინააღმდეგეებზე შედარებითი უპირატესობის მოპოვების საშუალებას აძლევს; განსაკუთრებით კი მათზე სამხედრო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებზე.

ამასთანავე, კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს, თუ როგორ შეძლეს რუსეთმა და ირანმა რეგიონში მათი გავლენების გაფართოება და რა გავლენა იქონია ამ პროცესზე ასიმეტრიული ინსტრუმენტების გამოყენებამ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება თეირანისა და მოსკოვის სტრატეგიულ მიდგომებს შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებზე. ამ დისკუსიის შედეგად, ასევე მნიშვნელოვანია, დადგინდეს თუ რაში მდგომარეობს რუსეთის მიერ წარმოებულ „ჰიბრიდულ ომსა“ და ირანის მიერ წარმართულ „რუხი არეალის“ კონფლიქტებს შორის განსხვავება.

მიმდინარე კვლევა ასევე ეხმაურება სტრატეგიის ფორმირების ტრადიციული მოდელების გადახედვის აუცილებლობაზე მიმდინარე დისკუსიას, რომლის ფარგლებშიც ალტერნატიული მიდგომების შესწავლას, კერძოდ კი, „წარმატების თეორიის“ მოდელების გაანალიზებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ თვალსაზრისით, რევიზიონისტი აქტორების სტრატეგიული

მიდგომების შესაწავლა და მათ მიერ „ჰიბრიდული ომისა“ თუ „რუხი არეალის“ მეთოდების გამოყენება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. კერძოდ, რუსეთისა და ირანის მიერ „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ სტრატეგიების „წარმატების თეორიის“ ფარგლებში განხილვა ამ დისკუსიის განსხვავებულ ჭრილში გააზრების შესაძლებლობას იძლევა.

ამასთანავე, რუსეთისა და ირანის გავლენის სფეროების გაფართოების მიზეზების შესწავლა და მათი სტრატეგიული მიდგომების ანალიზი თანამედროვე პოლიტიკის შემქმნელთათვის განსაკუთრებით აქტუალურია. ამ კონტექსტში წინამდებარე კვლევის მიერ რუსეთის "„ჰიბრიდული ომისა“ და ირანის „რუხი არეალის“ კონფლიქტებს შორის არსებული მსგავსებებისა თუ განსხვავებების დადგენა მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს; განსაკუთრებით კი იმ უსაფრთხოების ექსპერტებისა თუ პოლიტიკის შემქმნელებისთვის, რომლებიც ამ რევიზიონისტი აქტორების სტრატეგიული მიდგომების საპასუხო ქმედებებზე მუშაობენ.

წინამდებარე ნაშრომის მეორე თავი სტრატეგიის თეორიის შესახებ დისკუსიასა და „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ ცნებების ანალიზს ეთმობა. კვლევის ამ ნაწილში თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციის საკითხის სტრატეგიის ფორმირების ალტერნატიულ მოდელებთან დაკავშირება ხდება. სახელდობრ, თუ რა გავლენას ახდენს თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესი სტრატეგიის ფორმირების ტრადიციული მოდელების გადახედვასა და მათი ალტერნატიული მიდგომებით ჩანაცვლებაზე. უფრო კონკრეტულად, თუ რა როლს თამაშობენ „ჰიბრიდული ომებისა“ და „რუხი არეალის“ კონფლიქტები რევიზიონისტ აქტორთა მიერ ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების საქმეში, რაც მათი „წარმატების თეორიის“ საფუძველს ქმნის. ამასთანავე, ნაშრომის ეს ნაწილი აყალიბებს იმ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შემდგომ ხდება ორი რევიზიონისტი აქტორის - ირანისა და რუსეთის - სტრატეგიული მიდგომების სიღრმისეული ანალიზი.

ნაშრომის მესამე თავი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას ეძღვნება. კვლევის ამ ნაწილში უსაფრთხოების სფეროს ორ მნიშვნელოვან საკითხს განვიხილავ: სტრატეგიის თეორიის ევოლუციასა და თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციას. კერძოდ, ამ თავში იმ ძირითად ნაშრომებსა თუ პუბლიკაციებს მიმოვიხილავ, რომლებიც მიმდინარე კვლევის საფუძველს ქმნის. ამ თემებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების სტრუქტურიზებულად განხილვის მიზნით ერთმანეთისგან მკაფიოდ ვმიჯნავ სტრატეგიის თეორიის საკითხსა და თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციის თემას, რომელიც „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ ცნებებს მოიცავს.

მეოთხე თავი ირანის მიერ 2019 წლის მაის-ნოემბერში სპარსეთის ყურეში წარმოებულ სუბვერსიულ ქმედებებს დეტალურად განიხილავს. ეს პერიოდი თეირანის მიერ „რუხ არეალში“ მოქმედებების განსაკუთრებული გააქტიურებით ხასიათდება. რამეთუ დროის ამ მონაკვეთში თეირანი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოებული „მაქსიმალური ზეწოლის“ კამპანიის წინააღმდეგ საპასუხო ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. ირანის ამ საპასუხო ქმედებების ანალიზი კი, მისი ინტენსივობიდან გამომდინარე, თეირანის ასიმეტრიული ინსტრუმენტების „რუხ არეალში“ გამოყენების ნათლად წარმოჩენის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ამ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული ქმედებების ანალიზი ნათელს ხდის, თუ რა როლს თამაშობს ირანის რევიზიონისტული განწყობები მის მიერ „რუხ არეალში“ მოქმედების სტრატეგიის ფორმირებაზე.

მეხუთე თავი  რუსეთის მიერ სირიაში 2015-16 წლებში წარმართულ კამპანიას აანალიზებს, რომელმაც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური გავლენა იქონია როგორც რეგიონულ ასევე გლობალურ უსაფრთხოებაზე.  მოსკოვის გადაწყვეტილებამ ჩართულიყო სირიის კონფლიქტში, ფუნდამენტურად შეცვალა რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურა და გლობალურ აქტორთა დაპირისპირების დინამიკას ახალი განზომილება შემატა. კერძოდ, სირიის კონფლიქტი რუსეთის შუა აღმოსავლეთში ანგარიშგასაწევ აქტორად დაბრუნების

საწინდარი გახდა. საყურადღებოა ისიც, რომ უკანასკნელ პერიოდში სირიაში განვითარებულმა მოვლენებმა და ბაშარ ალ ასადის რეჟიმის მოულოდნელმა ჩამოშლამ ნათლად დაგვანახა მოსკოვის სტრატეგიული მიდგომების ლიმიტებიც, რომელმაც თავისი ტრადიციული მოკავშირის გადარჩენა ამ ეტაპზე ვეღარ შეძლო. ამ გეოპოლიტიკური განზომილების პარალელურად, სირიის ოპერაცია ნათლად წარმოაჩენს რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ ძირითად მახასიათებლებსაც, რომლებიც ამ სამხედრო კამპანიის წარმატების თეორიის საფუძველს ქმნის. კერძოდ, თუ როგორ იყენებს რუსეთი „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიას მის მოწინააღმდეგეებზე შედარებითი უპირატესობის მოპოვებისა და მათი სუსტი მხარეების ეფექტური ექსპლოატაციის მიზნით.

მეექვსე თავი რუსეთისა და ირანის ასიმეტრიულ სტრატეგიებს შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს განიხილავს. ამ ორი რევიზიონისტი აქტორის სტრატეგიული მიდგომების შედარებითი ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება სამ ასპექტზე მახვილდება: პირველი, თუ რა გავლენას ახდენენ რევიზიონისტული განწყობები რუსეთისა და ირანის ასიმეტრიული მიდგომების ფორმირებაზე. მეორე, თეირანისა და ირანის „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ სტრატეგიებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების ანალიზი. კერძოდ, თუ რამდენად განსხვავდება რუსეთისა და ირანის მოქმედებების მოდალობები და ასიმეტრიული ინსტრუმენტები ერთმანეთისგან, მათი „წარმატების თეორიებს“ შორის არსებული მსგავსების მიუხედავად. და მესამე, 2024-25 წლებში განვითარებული მოვლენების - ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის ჩამოშლისა და ირან-ისრაელის კონფლიქტების - ფონზე, ასიმეტრიულ სტრატეგიებში გამოკვეთილი სისუსტეებისა თუ შეზღუდვების ანალიზი.

## 2. სტრატეგიის თეორიის ევოლუცია და „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ ცნებები „წარმატების თეორიის“ კონტექსტში

ეს თავი კვლევის ორ მნიშვნელოვან ასპექტს აერთიანებს. სახელდობრ, სტრატეგიის თეორიის ევოლუციის შესახებ დისკუსიასა და „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ ცნებების ანალიზს. სტრატეგიის ფორმირების ტრადიციული მოდელების ალტერნატიული მიდგომებით ჩანაცვლების შესახებ დისკუსია თანამედროვე კონფლიქტების განსხვავებული რაკურსით ანალიზის საშუალებას იძლევა. კერძოდ, „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ ცნებების რევიზიონისტ აქტორთა „წარმატების თეორიის“ ფარგლებში განხილვა, მიმდინარე დისკუსიის ახალი კუთხით წარმოჩენას უზრუნველყოფს და ამ აქტორთა სტრატეგიული მიდგომების განსხვავებული პრიზმიდან გაანალიზების საფუძველს ქმნის.

### *2.1 სტრატეგიის თეორიის ევოლუცია*

უკანასკნელ წლებში უსაფრთხოების თემებზე მომუშავე აკადემიურ და პროფესიულ წრეებში მნიშვნელოვნად გააქტიურდა დისკუსია სტრატეგიის ფორმირების ტრადიციული მოდელების ეფექტურობასა და ანალიტიკურ მდგრადობაზე. ეს განხილვები გამოიწვია ფართოდ გავრცელებულმა მოსაზრებამ, რომ არსებული სტრატეგიული მოდელები თანამედროვე გამოწვევებსა და პრობლემებს სათანადოდ ვერ პასუხობს. კერძოდ, სტრატეგიის ფორმირების ტრადიცია, რომელიც ლიკკეს მოდელის სახელით ცნობილ მიზნები-გზები-საშუალებების (ends-ways-means) მიდგომას ეფუძნება, 21-ე საუკუნის კონფლიქტებთან მიმართებით ეფექტურობას კარგავს.[9] სახელდობრ, სტრატეგიის სწორხაზოვანი ფორმირების მეთოდები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს მიზნებსა და მათი მიღწევის გზებს, ნაკლებად შედეგიანია თანამედროვე კონფლიქტების პირობებში[10]. 21-ე საუკუნის კონფლიქტების, მათ შორის

[9] Ellery, David., Saunders, Liane. "Strategy in the National Security Context: Time for the Adaptive Approach?" in *Military Strategy in 21st Century, The Challenge for NATO* ed. Janne Haaland Matlary and Robert Johnson (London: Hurst & Company, 2021), 85.

[10] Ellery and Saunders, "Strategy in the National Security Context," 86.

„ჰიბრიდული ომებისა“ და „რუხი არეალის“ კონფლიქტების, ერთ-ერთ თავისებურებას მათი განგრძობითი ხასიათი წარმოადგენს, სადაც ზღვარი მშვიდობასა და ომს შორის პრაქტიკულად წაშლილია. შესაბამისად, სტრატეგიის ფორმირების მოდელები, რომლებიც საფუძველშივე მიზნებისა და მათი მიღწევის გზების სტატიკურ ფორმულას გვთავაზობს, ამგვარ ცვალებად და კომპლექსურ გარემოში ნაკლებად წარმატებულია[11]. სტრატეგიის ფორმირების ირგვლივ მიმდინარე დისკუსიის ანალიზი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ მოდელების ანალიტიკური მდგრადობის შესაფასებლად, არამედ თანამედროვე კონფლიქტების კომპლექსურობისა და ტრანსფორმაცის გასააზრებლადაც, რადგანაც ეს დისკუსია, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე კონფლიქტების ცვლილებების დინამიკის სიღრმისეულ დაკვირვებებს ეფუძნება.

სტრატეგიის ფორმირების ტრადიციულ ფორმებსა და თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციას შორის არსებული კავშირების უკეთ გასააზრებლად მნიშვნელოვანია რამდენიმე საყურადღებო ფაქტორის მოკლედ განხილვა. კერძოდ, სტრატეგიის ცნების ფორმირება ისტორიულ ჭრილში, თანამედროვე სტრატეგიული მოდელების ჩამოყალიბების პროცესი და მათი ალტერნატიული ფორმებისა და მიდგომების ანალიზი. ხსენებული საკითხების განხილვა დიდწილად დაგვეხმარება თანამედროვე კონფლიქტების, მათ შორის „ჰიბრიდული ომებისა“ და „რუხი არეალის“ კონფლიქტების, არსისა და თავისებურებების უკეთ გააზრებაში.

### 2.1.1 სტრატეგიის ცნების ფორმირება ისტორიულ ჭრილში

სტრატეგიის ცნებამ საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი ნაშრომის მიზანს სტრატეგიის ისტორიული ევოლუციის განხილვა არ წარმოადგენს, ამ პროცესის მოკლედ მიმოხილვა მაინც საყურადღებოა, რადგან სტრატეგიის ცნების ისტორიული სახეცვლილების პროცესი კარგად ასახავს, თუ როგორ

---

[11] Ellery and Saunders, “Strategy in the National Security Context,” 86.

ყალიბდებოდა კავშირი ომის სამხედრო და პოლიტიკურ ასპექტებს შორის. სტრატეგიის ცნების ისტორიულ რაკურსში განხილვა, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ომის პოლიტიკურ მიზნებსა და სამხედრო ძალის გამოყენებას შორის კავშირის დადგენას, რაც სტრატეგიის თეორიის ჩამოყალიბების საფუძველს ქმნის.

ანტიკური ხანიდან მოყოლებული სტრატეგიის ცნება მხოლოდ ვიწრო სამხედრო კონტექსტში განიხილებოდა, როგორც სამხედრო მეთაურების მიერ ომის ხელოვნების პრაქტიკული გამოყენება ბრძოლის ველზე. სტრატეგიის სიტყვის ბერძნული წარმომავლობა, რომელიც „გენერლის ხელოვნებად" ითარგმნება, ამ ცნების სწორედ ამგვარ ვიწრო კონტექსტში განხილვის ერთ-ერთი მანიშნებელია[12]. ვრცელ ისტორიულ რაკურსში მხოლოდ მე-18 საუკუნის მიწურულს ვაწყდებით ამ ცნების პოლიტიკურ განზომილებასთან დაკავშირების პირველ მცდელობებს, თუმცა ესეც არა პირდაპირ, არამედ ირიბად.

მე-18 საუკუნის მიწურულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში ომის ორი ფუძემდებელი თეორეტიკოსი ანტუან ჰენრი ჟომინი და კარლ ფონ კლაუზევიცი ომის პოლიტიკურ ბუნებაზე იწყებენ ლაპარაკს. ჟომინი, იმ ეპოქის ალბათ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წიგნში '"ომის ხელოვნება'" განსაკუთრებულ ყურადღებას ომის პოლიტიკურ მოტივებზე ამახვილებს. კლაუზევიცი კი, რომელიც უდავოდ ომის ყველაზე გავლენიან თეორეტიკოსად რჩება დღემდე, ომს, როგორც პოლიტიკურ აქტს, ისე განმარტავს. მისივე ყველაზე უფრო ხშირად ციტირებულ გამონათქვამს რომ დავესესხოთ, ომი პოლიტიკის სხვა გზებით გაგრძელების საშუალებაა[13]. პარადოქსულია, რომ ომის პოლიტიკურ ინსტრუმენტად განმარტების მიუხედავად, კლაუზევიცი, მისი წინამორბედების მსგავსად, სტრატეგიის ვიწრო სამხედრო ჭრილში განხილვას განაგრძობს. კერძოდ, კლაუზევიცი სტრატეგიას განმარტავს, „როგორც სამხედრო

---

[12] Beatrice, Heuser. *The Evolution of Strategy* (Cambridge: Cambridge University Press, 2010), 4.
[13]Carl von Clausewitz, "Chapter 1: What is War?" in *On War*, eds. Michael Howard et. al (London: Everyman's library, 1993), 280.

მოქმედებების გამოყენებას ომის მიზნებისთვის."[14] შესაბამისად, რაც სტრატეგიის თეორიის ფორმირების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა კლაუზევიცისეული სტრატეგიის განმარტება, არამედ მის მიერ ომის პოლიტიკური ბუნების დადგენაა. სწორედ კლაუზევიცის მიერ ომის მიზნების პოლიტიკურ ჭრილში განმარტება, როგორც მოწინააღმდეგეზე საკუთარი ნების იძულება და ამ მიზნების მისაღწევ საშუალებად წარმოჩენა, სტრატეგიის ცნების უფრო ფართო ასპექტით განხილვის ადრეულ საფუძველს ქმნის.

ომსა და პოლიტიკურ მიზნებს შორის კავშირის მკაფიო გამოკვეთამ და, შესაბამისად, სტრატეგიის ცნების უფრო ფართო კონტექსტში განხილვამ განსაკუთრებული დატვირთვა მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შეიძინა. ამ მხრივ, განსაკუთრებით ყურადსაღებია სტრატეგიის გავლენიანი ბრიტანელი თეორეტიკოსის ლიდელ ჰართის ნაშრომები. ლიდელ ჰართი ერთ-ერთი პირველია, რომელიც არა მხოლოდ ომის პოლიტიკური ბუნების, არამედ სტრატეგიის ცნების ფართო კონტექსტით განხილვას იწყებს. ის ასევე ამკვიდრებს ახალ ტერმინს - დიდი სტრატეგია (Grand Strategy), რაც სტრატეგიის ცნების სამხედრო განზომილებიდან ეტაპობრივად ჩამოშორების მანიშნებელია. მისი განმარტებით, სტრატეგია არის „სამხედრო საშუალებების პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოყენებისა და მიმართვის ხელოვნება"[15]. მიუხედავად იმისა, რომ ლიდელ ჰართის განმარტება სტრატეგიის პოლიტიკურ განზომილებაზე მკაფიო აქცენტს სვამს, ის მაინც სტრატეგიის ცნებას ვიწრო მნიშვნელობით წარმოაჩენს, რადგან პოლიტიკური მიზნების მხოლოდ სამხედრო საშუალებებით მიღწევაზე ამახვილებს ყურადღებას.

ლიდელ ჰართისგან განსხვავებით, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ყველა ეროვნული საშუალების გამოყენების მნიშვნელობაზე საუბრობს მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ბრიტანელი სამხედრო ისტორიკოსი მაიკლ ჰოვარდი. მისი განმარტებით, „დიდი სტრატეგია არის ეროვნული

---

[14] Clausewitz, *On War*, 400.
[15] Basil Henry Liddell Hart. *Strategy*. (New York: Frederick A. Praeger, 1954), 321.

რესურსების, როგორიცაა ეკონომიკური, სამხედრო და ინდუსტრიული შესაძლებლობების მობილიზება მოკავშირეების რესურსებთან ერთად, ეროვნული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ომის დროს.“[16] მიუხედავად იმისა, რომ მაიკლ ჰოვარდის განმარტება სტრატეგიის პოლიტიკურ მიზნებთან ერთად რესურსების მობილიზების ფართო დიაპაზონსაც მოიცავს, ის მაინც სტრატეგიის ცნებას გარკვეულწილად ვიწრო შინაარსით წარმოაჩენს; რადგან ჰოვარდისეული სტრატეგიის განმარტება პოლიტიკური მიზნების მხოლოდ ომის პერიოდში დასახვით შემოიფარგლება.

ცივი ომის პერიოდში მკაფიო საზღვარი ომსა და მშვიდობას შორის ფერმკრთალდება და იკვეთება ამ ორი ცნების ერთმანეთში აღრევის ტენდენცია. შესაბამისად, სტრატეგიის ფორმირების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არასამხედრო ასპექტების განხილვა, როგორებიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, თუ ტექნოლოგიური ფაქტორები[17]. ეს ტენდენცია კი სტრატეგიის მხოლოდ ომის პერიოდის ინსტრუმენტად აღქმის ეპოქას ასრულებს და მის უფრო ფართო ჭრილში განხილვის საფუძვლებს ქმნის. შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, აკადემიურ და პოლიტიკურ დისკურსში სტრატეგიის ცნება წარმოჩინდება, როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება ომისა და მშვიდობიანობის პერიოდშიც. ამ ტენდენციას ასახავს სტრატეგიულ სწავლებათა გამორჩეული მკვლევრის მაიკელ ჰენდელის მარტივი, მაგრამ ყოვლისმომცველი განმარტებაც. ჰენდელის მიხედვით, „სტრატეგია არის საშუალებათა (ან რესურსების) ფართო სპექტრის განვითარება და გამოყენება როგორც ომის, ასევე მშვიდობის პერიოდში ეროვნული პოლიტიკის მხარდასაჭერად და გამარჯვების უზრუნველსაყოფად“[18].

---

[16] Michael Howard, “Grand Strategy in the Twentieth Century”, *Defence Studies* 1, no.1 (2001): 1. DOI: 10.1080/714000007

[17] Beatrice, Heuser. *The Evolution of Strategy* (Cambridge: Cambridge University Press, 2010), 25.

[18] Michael I. Handel. *Clausewitz and Modern Strategy* (London: Frank Cass and Company Limited, 1986), 36.

სტრატეგიის თეორიის განვითარებას, შესაბამისად, ახასიათებს ორი მნიშვნელოვანი ტენდენცია. პირველი, ეს არის სტრატეგიის ცნების ვიწრო სამხედრო ჭრილიდან ფართო პოლიტიკურ განზომილებაში ტრანსფორმაცია, რომლის მოქმედების არეალიც მოიცავს როგორც ომის, ასევე მშვიდობის პერიოდებსაც. და მეორე, სტრატეგიის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ეროვნული რესურსების ფართო სპექტრის გამოყენება, რაც სამხედრო საშუალებებთან ერთად გულისხმობს დიპლომატიური, ეკონომიკური, ინფორმაციული თუ სხვა ინსტრუმენტების გამოყენების აუცილებლობას. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ გავლენიანი ბრიტანელი ისტორიკოსი ჰიუ სტრაჩანიც სტრატეგიის თეორიის განვითარებას ამ ორ ფაქტორს უკავშირებს, კერძოდ, სამხედრო მოქმედებების პოლიტიკურ მიზნებთან დაკავშირებას და ამ ამოცანების მისაღწევად ეროვნული ინსტრუმენტების ფართო სპექტრის გამოყენების აუცილებლობას[19].

### 2.1.2 სტრატეგიის ფორმირების ლიკკეს მოდელი

სტრატეგიის ცნების ფართო პოლიტიკურ ჭრილში გარდაქმნის პარალელურად, რამაც მისი, როგორც ომის, ასევე მშვიდობის პერიოდის ინსტრუმენტად ფორმირება განაპირობა, იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია. სახელდობრ, სტრატეგიის ფორმირების პროცესის მკაფიო კონცეპტუალიზაცია, რომელიც პოლიტიკური მიზნებისა და ეროვნული საშუალებების ერთმანეთთან დაკავშირების მოდელის შემუშავებას ითვალისწინებს. ამ მხრივ საყურადღებოა პოლკოვნიკ არტურ ფ. ლიკკე უმცროსის მიერ შემუშავებული მოდელი, რომელიც თანამედროვე სტრატეგიის თეორიის საფუძველს წარმოადგენს და სამხედრო-პოლიტიკურ დისკურსში „ლიკკეს მოდელის’“ სახელითაა ცნობილი.

---

[19] Beatrice, Heuser. *The Evolution of Strategy* (Cambridge: Cambridge University Press, 2010), 25.

ათწლეულების განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის წამყვანი სამხედრო პროფესიული განათლების (PME) ცენტრების სასწავლო პროგრამები სტრატეგიის ფორმირების ხსენებულ ლიკკესეულ მოდელს ეფუძნებოდა. პოლკოვნიკმა არტურ ფ. ლიკკემ 1989 წელს გამოცემულ პუბლიკაციაში „სამხედრო სტრატეგიის განსაზღვრა“ წარმოადგინა სტრატეგიის ფორმირების მარტივი ფორმულა: „სტრატეგია შეადგენს მიზნების (ამოცანები, რომლის მისაღწევადაც ისწრაფვიან), გზების (მოქმედების კურსი) და საშუალებების (ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც მიზნების მიღწევაა შესაძლებელი) ერთობლიობას.”[20] ლიკკეს მიერ წარდგენილი მოდელი ოთხი ძირითადი მდგენელისგან შედგება: **მიზნები** გვთავაზობს ამოცანების დასახვას, რომლის მიღწევაც გვსურს და რომელიც სრულ თანხვედრაშია ეროვნულ ინტერესებთან; **გზები** წარმოადგენს განსაზღვრული მიზნების მიღწევის სამოქმედო გეგმას; **საშუალებები** ითვალისწინებს დასახული ამოცანების მისაღწევად აუცილებებლი რესურსების განსზაღვრას; **რისკები** კი გვთავაზობს დასახულ მიზნებსა და არსებულ რესურსებს შორის შექმნილი დისბალანსის ანალიზს. ლიკკეს მიერ წარმოდგენილი ეს მარტივი მოდელი სტრატეგიის ფორმირების პროცესში სამ მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხს ითვალისწინებს - რა მიზნის მიღწევა გვსურს? როგორ უნდა მივაღწიოთ დასახულ მიზანს? რა რესურსებია საჭირო მიზნის შესაბამისი გზით მისაღწევად?[21]

დამატებითი სიცხადისთვის ლიკკემ სტრატეგიის ფორმირების მოდელის ვიზუალურ კონცეპტუალიზაციაც შეიმუშავა. მისი განმარტებით, სტრატეგიის შემუშავებისას მნიშვნელოვანია წარმოვიდგინოთ სამფეხა სკამი, რომლის თითოეული საყრდენი ფეხი წარმოადგენს მიზნებს-გზებს-საშუალებებს. იმ შემთხვევაში, თუ საყრდენი ფეხების ზომები სხვადასხვაა, მაშინ ბალანსის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება. ლიკკეს ეს მარტივი, თუმცა ძალზედ თვალსაჩინო მოდელის ამგვარი ვიზუალიზაცია, უპირველეს ყოვლისა,

[20] Arthur F. Lykke Jr., “Defining Military Strategy”, *Military Review* 69, no.5 (May 1989), 3.
[21] Harry R. Yarger, “Toward A Theory of Strategy: Art Lykke and the Army War College Strategy Model”, *Strategic Studies Institute, US Army War College* (2012), 45-50.

სტრატეგიულ ამოცანებსა და არსებულ რესურსებს შორის ბალანსის დაცვას ისახავს მიზნად. მიზნებსა და რესურსებს შორის ბალანსის შენარჩუნება კი სამხედრო სტრატეგთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რადგან მისი მოშლა სტრატეგიული მარცხის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზთაგანია[22]. ხსენებული მოდელი კი, სწორედ ამ ბალანსის შენარჩუნების მნიშვნელობას გამოჰყოფს.

ლიკკეს მოდელს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სტრატეგიის პოლიტიკურ მიზნებსა და მათი განხორციელებისთვის აუცილებელ ეროვნულ რესურსებს შორის კონცეპტუალური კავშირის შექმნის პროცესში. იგი ქმნის ჩარჩოს, რომლის წლების განმავლობაში ფართო გამოყენებაც სტრატეგიის თეორიის ჩამოყალიბების საფუძველი ხდება. შესაბამისად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ლიკკეს მიდგომა დღესდღეობით სტრატეგიის ფორმირებისა და მისი შესაძლო რისკებისგან დაზღვევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული და მნიშვნელოვანი მოდელია.

### 2.1.3 სტრატეგიის ფორმირების ალტერნატიული მიდგომები

სტრატეგიის ფორმირების ამ მარტივ და, ამასთანავე, ყველაზე ფართოდ გავრცელებულ კონცეპტუალურ ჩარჩოს მრავალი ოპონენტი ჰყავს. ლიკკეს - მიზნები-გზები-საშუალებების - მოდელის ირგვლივ მიმდინარე დისკუსიამ განსაკუთრებული დატვირთვა „ჰიბრიდული ომებისა“ და „რუხი არეალის“ კონფლიქტების თემების აქტუალიზაციის პარალელურად შეიძინა. უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სტრატეგიის ფორმირების ტრადიციული მოდელები თანამედროვე გამოწვევებსა და პრობლემებს ვერ პასუხობს. კერძოდ, ამ მოდელების სწორხაზოვანი და

---

[22] Jeffrey W. Meiser, “Are our Strategic Models Flawed? Ends + Ways + Means= (bad) Strategy”, *Parameters* 46, no. 4, (Winter 2016-17), 83.

სტატიკური ბუნება კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი კონფლიქტების პირობებში ნაკლებად ეფექტურია.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ყურადსაღებია დევიდ ელერისა და ლიან სონდერსის პუბლიკაცია - „სტრატეგია ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში: ადაპტირებული მიდგომის დრო?“ უსაფრთხოების სფეროს ეს წამყვანი ბრიტანელი მკვლევარები ხსენებულ პუბლიკაციაში განსაკუთრებულ აქცენტს სწორედ სტრატეგიის ტრადიციული მოდელების ხელახალი გააზრების აუცილებლობაზე აკეთებენ. მათი შეფასებით, მიზნები-გზები-საშუალებების ფორმულით სტრატეგიის ფორმირების წარუმატებლობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბალკანური ომების და ავღანეთის, ერაყისა და „არაბული გაზაფხულის“ სახელით ცნობილი მოვლენების კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი კონფლიქტების ფონზე.[23] ელერი და სონდერსი, სტრატეგიის ტრადიციული მოდელების თანამედროვე კონფლიქტებთან შეუსაბამობაზე საუბრისას აქცენტს ორ მნიშვნელოვან ფაქტორზე აკეთებენ. პირველი - თანამედროვე კონფლიქტებში ზღვარი ომსა და მშვიდობას შორის წაშლილია და ისინი, ტრადიციული სამხედრო დაპირისპირებისგან განსხვავებით, უფრო კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი ხასიათისაა. ამასთანავე, საერთაშორისო ასპარეზი მნიშვნელოვნად გადატვირთული და გამრავალფეროვნებულია, რაც, უპირველეს ყოვლისა, ახალი, დღემდე ნაკლებად გავლენიანი აქტორების როლის ზრდითაა განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული გამოწვევები თავისი არსით არანაკლები სიმწვავით გამოირჩეოდა, თანამედროვე კონფლიქტები თავისი ბუნებით უფრო მრავალგანზომილებიანია, რაც სტრატეგიული მოდელების გადახედვის აუცილებლობას ქმნის. მეორე, სტრატეგიის ფორმირების ტრადიციული მოდელები მიზნებისა და სამოქმედო გეგმების საფუძველშივე მკაფიო განსაზღვრას ითვალისწინებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სამხედრო წარმატების მიღწევას გულისხმობს. „ჰიბრიდულ კონფლიქტებში“ კი სამხედრო მიზნების მიღწევა სტრატეგიული წარმატების წინაპირობა შესაძლოა არ იყოს.

[23] Ellery and Saunders, “Strategy in the National Security Context,” 86.

შესაბამისად, ამგვარი სტატიკური მიდგომის ნაცვლად სტრატეგიის ფორმირების პროცესი, უპირველეს ყოვლისა, ხელს უნდა უწყობდეს ცვალებად გარემოსთან ადაპტაციას და არა წინასწარ ვიწრო კონტექსტში განსაზღვრული მიზნების მიღწევას[24].

სტრატეგიული მოდელების ირგვლივ მიმდინარე დისკუსიას ეხმიანება „ჰიბრიდული ომების“ თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ფრენკ ჰოფმანის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაცია - „ეროვნული სტრატეგიის ფორმირების ხარვეზი: წარმატების თეორია“. მისი განმარტებით, მიზნები-გზები-საშუალებების მოდელზე დაფუძნებული სტრატეგიის ფორმირების პროცესი სწორხაზოვანია და მას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გააჩნია. კერძოდ, ხსენებული მოდელების ძირითად ხარვეზს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის კომპონენტის სისუსტე წარმოადგენს, რაც „წარმატების თეორიის“ ნათლად ფორმულირებაში უნდა გამოიხატოს. რადგანაც სწორედ „წარმატების თეორია“ ქმნის სტრატეგიული დაგეგმვის საფუძველს და მის ცენტრალურ კომპონენტს წარმოადგენს[25]. ჰოფმანი, „წარმატების თეორიას“ განმარტავს, როგორც სტრატეგიული ლოგიკის შემაკავშირებელ „დიდ იდეას“ ანუ ჰიპოთეზას, რომელიც მიზნების, რესურსებისა და მათი გამოყენების გზების მიზეზ-შედეგობრივ არსს აყალიბებს. ამ კუთხით ცენტრალური კითხვა, რასაც სტრატეგია უნდა პასუხობდეს, არის არა მიზნის რაობის გარკვევა, არამედ იმის, თუ როგორ და რატომ მუშაობს დასახული მიდგომა[26]. ჰოფმანის დაკვირვებით, სწორედ ამ შემაკავშირებელი იდეის ანუ მიზეზ-შედეგობრივი არსის განმსაზღვრელი ჰიპოთეზის უგულებელყოფა ხდება სტრატეგიის ფორმირების თანამედროვე მოდელებში. ჰოფმანის მსგავსად, თანამედროვე ირანის მკვლევარი მაიკლ აიზენშტატიც, წარმატების თეორიას განმარტავს როგორც დასახული მიზნებისა და ეროვნული რესურსების დამაკავშირებელ მიზეზ-შედეგობრივ კავშირსა და სტრატეგიულ ლოგიკას,

---

[24] Ellery and Saunders, “Strategy in the National Security Context,” 86.
[25] Frank G. Hoffman, “The Missing Element in Crafting National Strategy: A Theory of Success”, *Joint Force Quarterly* (2$^{nd}$ Quarter, 2020), 58.
[26] Hoffman, “The Missing Element in Crafting National Strategy,” 58.

როგორც ერთგვარ „სტრატეგიულ ხიდს“, რასაც ის სტრატეგიის ფორმირების უმთავრეს კომპონენტად მიიჩნევს[27].

ამ მნიშვნელოვანი დისკუსიის ერთ-ერთი ინიციატორი, უსაფრთხოების სფეროს მკვლევარი ჯეფრი მაიზერია. მის მიერ 2017 წელს გამოქვეყნებულ პუბლიკაციას - „არის თუ არა ჩვენი სტრატეგიული მოდელები მცდარი? მიზნები+გზები+საშუალებები=(ცუდი) სტრატეგია“ - უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა და პრაქტიკოსთა დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მაიზერის განმარტებით, მიზნები-გზები-საშუალებების ფართოდ გავრცელებული მოდელი სტრატეგიის ფორმირებას რესურსებზე დაფუძნებული დაგეგმვის პროცესად აქცევს, რომელიც კრიტიკულ, კრეატიულ და ადაპტაციურ აზროვნებას მნიშვნელოვნად ზღუდავს[28]. მისი თქმით, აშშ-ის აკადემიურ და პროფესიულ წრეებში სტრატეგიის ფორმირების ფართოდ გავრცელებულ მოდელებს ორი ფუნდამენტური პრობლემა გააჩნია: სტრატეგიის ფორმალისტური აღქმა და რესურსების მარტივი გაგება[29]. მაიზერი, სტრატეგიის ფორმალისტურ აღქმაზე ლაპარაკისას გზები-მიზნები-საშუალებების მოდელის ხარვეზებზე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, მისი განმარტებით, ხსენებული ფორმულა უგულებელყოფს სტრატეგიის შემუშავების ცენტრალურ კომპონენტს - გზებს, ანუ მოქმედების კურსს - და მას რესურსების მიზნებთან დაკავშირების ფორმალურ ინსტრუმენტად აქცევს. მაიზერის გადმოსახედიდან კიდევ უფრო პრობლემურია სტრატეგიის განხორციელების ყოვლისმომცველი, ეგრეთ წოდებული „მთლიანი სამთავრობო მიდგომა“ (whole-of-government). ეს ფართოდ გავრცელებული მოდელი კრეატიულ და კრიტიკულ აზროვნებას მნიშვნელოვნად ზღუდავს. კერძოდ, სტრატეგიის შემმუშავებელს აღარ უწევს იმაზე ფიქრი, თუ რა უნდა გაკეთდეს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემის მოსაგვარებლად, რადგან პასუხი წინასწარ ცნობილია - "„მთლიანი სამთავრობო მიდგომა“.[30] ანუ პრობლემის

[27] Michael, Eisenstadt. "Operating in the 'Grey Zone': Countering Iran's Asymmetric 'Way of War'", The Washington Institute for Near East Policy, January 2020: 7.
[28] Meiser, "Are Our Strategic Models Flawed?" 81
[29] Meiser, "Are Our Strategic Models Flawed?" 81-82.
[30] Meiser, "Are Our Strategic Models Flawed?" 84.

არსისა თუ თავისებურებების მიუხედავად, არსებული მოდელები მათი გადაჭრის წინასწარ განზრახულ, სტანდარტულ და არაკრეატიულ მიდგომებს გვთავაზობენ.

ხსენებული პრობლემის გააზრება, მაიზერის განმარტებით, სტრატეგიის ცნების ნათლად განმარტებასა და ფართოდ გავრცელებული მოდელების გადახედვას მოითხოვს. კერძოდ, სტრატეგიული აზროვნება და სტრატეგიის ფორმირების პროცესი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, თუ ის მიმართული იქნება შედარებითი უპირატესობის მოპოვების, რესურსების ახალი წყაროების მოძიებისა და ოპონენტების სისუსტეების ექსპლუატაციისაკენ[31]. შედარებითი უპირატესობის გამოყენება ან სხვაგვარად, საკუთარი სიძლიერის მოწინააღმდეგის სუსტი წერტილებისკენ მიმართვა, ამ ალტერნატიული მიდგომის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამასთანავე, სტრატეგიის უმთავრეს არსს უნდა წარმოადგენდეს მიზეზ-შედეგობრივი ახსნა იმისა, თუ როგორ შეიძლება ქვეყანამ მიაღწიოს წარმატებას. სტრატეგიის ფორმირების ამ მიდგომას ჯეფრი მაიზერი „წარმატების თეორიას" უწოდებს. მაიზერის ფორმულა უსაფრთხოების სფეროს ორი მნიშვნელოვანი მკვლევრის - ბარი პოზენისა და ელიოტ კოენის მიერ შემოთავაზებულ სტრატეგიის დეფინიციას ეფუძნება. პოზენი სტრატეგიას განმარტავს, როგორც „თეორიას, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს ქვეყანამ უსაფრთხოება საკუთარი თავისთვის"[32], ხოლო კოენი კი მას „გამარჯვების თეორიად"[33] მოიხსენიებს. საყურადღებოა, რომ კოენისაგან განსხვავებით, მაიზერი უპირატესობას ტერმინს - „წარმატების თეორიას" - ანიჭებს.

### 2.1.4 გამარჯვების თუ „წარმატების თეორია"

სტრატეგიის ტრადიციული მოდელების გადახედვის მიზანშეწონილობის ირგვლივ მიმდინარე დისკუსიის პროცესში იკვეთება კიდევ ერთი საყურადღებო

---

[31] Meiser, "Are Our Strategic Models Flawed?" 81.
[32] Barry Posen, *The Sources of Military Doctrine: France, Britain, and Germany between the World Wars* (Ithaca, NY: Cornell University Press, 1986), 13.
[33]Elliot A. Cohen, Supreme Command: Soldiers, Statesman, and Leadership in Wartime (New York: Free Press, 2002), 33.

ტენდენცია. კერძოდ, მკვლევართა განსხვავებული მიდგომები გამარჯვების თუ წარმატების თეორიის თანამედროვე კონფლიქტებთან მისადაგების საკითხში. სახელდობრ, უსაფრთხოების ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ „ჰიბრიდული ომების“ განხილვისას „გამარჯვების თეორიის“ ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნას ტერმინი „წარმატების თეორია“ (Theory of Success), რადგან ამ უკანასკნელს უფრო ფართო კონოტაცია გააჩნია და ის მხოლოდ სამხედრო კონტექსტით არ არის შემოფარგლული. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, მოკლედ მიმოვიხილოთ ამ ორ მიდგომას შორის გამოკვეთილი განსხვავებები.

„გამარჯვების თეორიის“ (Theory of Victory) ერთ-ერთი ფუძემდებელი პოლიტიკურ მეცნიერებათა გამოჩენილი მკვლევარი ვილიამ მარტელია. ის თავის წიგნში „გამარჯვება ომში“ განმარტავს, რომ სტრატეგიის ფორმირების პროცესი აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული „გამარჯვების თეორიასთან“, რაც ამ პროცესის პოზიტიურ შედეგამდე ანუ გამარჯვებამდე მიყვანის წინაპირობაა. მარტელის დაკვირვებით, სტრატეგიის ან საპასუხო სტრატეგიული ნაბიჯების შემუშავების პროცესში ერთ-ერთ თვალსაჩინო პრობლემას სწორედ გამარჯვების არსის ვერგანსაზღვრა წარმოადგენს[34]. მსგავს შეხედულებას გამოთქვამს ისტორიკოსი ანდრიუ ბასევიჩიც, რომელიც აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ ლიდერებს ხშირად „არა აქვთ მცირედი წარმოდგენაც კი, თუ რა სახე ექნება გამარჯვებას, თუ როგორ შეიძლება მისი მოპოვება და რა ფასად“[35]. შესაბამისად, გამარჯვების არსის მკაფიო განსაზღვრება სტრატეგიის ფორმირების პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ამ თვალსაზრისით მკაფიოდ განსაზღვრა თუ რა არის გამარჯვება, არის პირველი ნაბიჯი იმის დასადგენად, თუ რისი მიღწევაა შესაძლებელი მოცემულ გარემოში, კერძოდ კი, იმ მიზნების მიზეზ-შედეგობრივ კონტექსტში ფორმულირება, რომელთაც სტრატეგიული უპირატესობის მოპოვება და სასურველი პოლიტიკური შედეგის ანუ გამარჯვების მიღწევა შეუძლიათ.

---

[34] William C. Martel, *Victory in War: Foundations of Modern Strategy,* 2nd ed. (Cambridge UK: Cambridge University Press, 2011), 20-21.

[35] Andrew J. Bacevich, *Washington Rules: America's Path to Permanent War.* (New York: Metropolitan Books/Henry Holt, (2010), 10.

უსაფრთხოების სფეროს მკვლევარები ფრანკ ჰოფმანი და ჯეფრი მაიზერი ნაწილობრივ იზიარებენ გამარჯვების თეორიის ფუძემდებელთა მიდგომას იმასთან დაკავშირებით, რომ სტრატეგიის ფორმირების ცენტრალურ კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს მიზეზ-შედეგობრივ ლოგიკაზე დაფუძნებული ჰიპოთეზის შემუშავება თუ როგორაა შესაძლებელი გამარჯვების მოპოვება. თუმცა მათი მოსაზრებით, თანამედროვე კონფლიქტების კონტექსტში სტრატეგიის ფორმირება უნდა ხდებოდეს არა გამარჯვების, არამედ „წარმატების თეორიის" საფუძველზე. ჰოფმანის განმარტებით, „გამარჯვების თეორია" მოწინააღმდეგის სამხედრო დამარცხებას გულისხმობს[36]. თანამედროვე კონფლიქტებში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ინსტიტუციური მედეგობის შექმნას ენიჭება, რაც თავისი არსით არა მხოლოდ გამარჯვების ან დამარცხების, არამედ წარმატების გზების მკაფიო ფორმულირებას გულისხმობს. შესაბამისად, თანამედროვე გამოწვევების, განსაკუთრებით კი „ჰიბრიდული ომების" ფონზე, სტრატეგიის ფორმირების პროცესი წარმატების ფორმულის შემუშავებას უნდა დაეფუძნოს.

ჯეფრი მაიზერი სტრატეგიის ფორმირების პროცესის „წარმატების თეორიის" საფუძველზე განსაზღვრის ორ უპირატესობაზე ამახვილებს ყურადღებას. პირველი - „წარმატების თეორიაზე" აქცენტირება ქმნის შესაძლებლობას, რომ ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ რესურსების დასახული მიზნებისკენ მიმართვაზე, არამედ სასურველი შედეგის დადგომის ალტერნატიულ გზებზეც. ეს კი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სტრატეგიის ფორმირების პროცესს, რადგან დისკუსია სცდება რესურსების მოძიების საკითხს და ყურადღება გადააქვს იმაზე. თუ რა ქმედების განხორციელებას მივყავართ სასურველ შედეგამდე[37]. მეორე - სტრატეგიის ფორმირების პროცესის „წარმატების თეორიის" ფარგლებში განხილვა, ლიკკეს მოდელისაგან განსხვავებით, არ არის ფოკუსირებული მხოლოდ არსებული რესურსების გამოყენებაზე, არამედ ხელს უწყობს ახალი შესაძლებლობების შექმნასა და მოძიებას, რაც სტრატეგიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. მხოლოდ არსებულ რესურსებზე ფოკუსირება კი,

---

[36] Hoffman, "The Missing Element in Crafting National Strategy," 58.
[37] Meiser, "Are Our Strategic Models Flawed?" 86.

მაიზერის განმარტებით, მნიშვნელოვნად ზღუდავს ახალი შესაძლებლობების წარმოქმნის პროცესს[38]. აღნიშნულიდან გამომდინარე, „წარმატების თეორია“, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტრატეგიის უმთავრესი არსის - შედარებითი უპირატესობის მოპოვების, რესურსების ახალი წყაროების მოძიებისა და ოპონენტების სისუსტეების ექსპლუატაციის - ნათლად გააზრებას[39].

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიის ფორმირების პროცესის „წარმატების თეორიის“ ფარგლებში განხილვა განსაკუთრებულ დატვირთვას თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციის, კერძოდ კი „ჰიბრიდული ომების“ ფონზე იძენს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ სახის კონფლიქტების ქვაკუთხედს სამხედრო და არასამხედრო საშუალებების სინქრონიზებით მეტოქეზე შედარებითი უპირატესობის მოპოვება და მათი სისუსტეების ექსპლუატაცია წარმოადგენს, ცხადი ხდება სტრატეგიის ფორმირების ხსენებული მოდელის აქტუალობა. სახელდობრ, „წარმატების თეორია“ ქმნის იმ კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც გვეხმარება ჯეროვნად გავაანალიზოთ იმ რევიზიონისტ აქტორთა ქმედებები, რომლებიც „ჰიბრიდული ომის“ მეთოდებს მიმართავენ მათთან დაპირისპირებული მხარის წინააღმდეგ ასიმეტრიული უპირატესობების შესაქმნელად. ამასთანავე, „წარმატების თეორიის“ მოდელი საშუალებას გვაძლევს, თავი ავარიდოთ სტრატეგიის ფორმირების სწორხაზოვან და სტატიკურ ფორმულებს, რომლებიც თანამედროვე კონფლიქტებისთვის დამახასიათებელ ბუნდოვან და ცვალებად გარემოში ნაკლებად ეფექტურია.

### *2.2 „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ ცნებების განხილვა სტრატეგიის თეორიის ირგვლივ მიმდინარე დისკუსიის კონტექსტში*

რევიზიონისტი აქტორების, სახელდობრ, რუსეთისა და ირანის მიერ წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წერიგის წინააღმდეგ მიმართული

---

38 Meiser, "Are Our Strategic Models Flawed?": 87.

39 Meiser, "Are Our Strategic Models Flawed?" 81.

ქმედებების შესწავლა უსაფრთხოების ექსპერტთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. კერძოდ, თუ რა სახის სტრატეგიული მიდგომები აძლევს საშუალებას ამ აქტორებს, დაუპირისპირდნენ მათზე ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებს. რუსეთისა და ირანის მიერ წლების მანძილზე მოქმედი სტრატეგიული მიდგომა ემყარება ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას: მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ „მოწინააღმდეგეებზე სამხედრო ძალით უპირატესობის მიღწევა შეუძლებელია და წარმატების მოპოვება მხოლოდ ასიმეტრიული უპირატესობების შექმნის გზითაა შესაძლებელი“[40]. სწორედ ამ ტიპის ასიმეტრიული უპირატესობების მოპოვებისა და მოწინააღმდეგის სისუსტეების ექსპლუატაციისკენ არის მიმართული რუსეთისა და ირანის მიერ წარმოებული „ჰიბრიდული ომისა“ თუ „რუხი არეალის“ სამხედრო ოპერაციები, რაც მათი წარმატების თეორიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. კერძოდ,  მოსკოვსა და თეირანს აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული წარმატების თეორია, რომელიც მოწინააღმდეგეების მიმართ „ჰიბრიდული ომის“ საშუალებით შედარებითი უპირატესობის  მოპოვების იდეას ეფუძნება.

უკანასკნელ წლებში „ჰიბრიდული ომის“ თემის აქტუალიზაციამ და პოლიტიკურ თუ აკადემიურ დისკურსში მისმა არაერთგვაროვანმა ინტერპრეტაციამ ამ ცნების ირგვლივ მნიშვნელოვანი ბუნდოვანება წარმოქმნა. სახელდობრ, “„ჰიბრიდული ომის“ განსხვავებული განმარტება რუსულ და დასავლურ დისკურსში, ისევე როგორც მისი ხშირი აღრევა სხვა სამხედრო კონცეფციებთან ამ ცნების ხშირად განსხვავებული განმარტების მიზეზი ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ჰიბრიდულ ომზე“ და მისი, როგორც რევიზიონისტული აქტორების „წარმატების თეორიის“ საფუძველზე, დისკუსიის დასაწყებად მნიშვნელოვანია ამ ცნების მკაფიო განმარტება და მისი მონათესავე ან მსგავსი კონცეფციებისაგან მკვეთრი გამიჯვნა. შესაბამისად, „ჰიბრიდული ომის“ ირგვლივ არსებული ბუნდოვანების გასაფანტად  მნიშვნელოვანია რამდენიმე საყურადღებო ფაქტორის მოკლედ განხილვა. კერძოდ: სხვადასხვა სამხედრო კონცეფციის მიმოხილვა, რომლებიც „ჰიბრიდული ომის“ ცნებასთან ახლოს დგას

[40] Hal Brands, “The Lost Art of Long-Term Competition,” *The Washington Quarterly* 42, no. 4 (2019): 31.

და ხშირად მასთან აღრევის მიზეზი ხდება; ასევე, „ჰიბრიდული ომის“ განსხვავებული ინტერპრეტაციები დასავლურ და რუსულ დისკურსში, რაც კვლავ ამ ცნების განსხვავებულ აღქმას უდებს საფუძველს; და ბოლოს, “„ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის" ცნებების განმარტება და მათი რევიზიონისტი აქტორების წარმატების თეორიის კონტექსტში განხილვა.

### 2.2.1 თანამედროვე კონფლიქტების განსხვავებული ცნებები

„ჰიბრიდულ ომთან“ კონცეპტუალურად ახლოს მდგომი სამხედრო ცნებების განხილვა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა, მათი შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს მკაფიოდ გავმიჯნოთ ეს ცნებები „ჰიბრიდული ომისგან“, რაც ამ კონცეფციის ირგვლივ არსებული ბუნდოვანების შემცირებას შეუწყობს ხელს. ამასთანავე, განსხვავებული სამხედრო ცნებების განხილვა შესაძლებლობას გვაძლევს დავაკვირდეთ თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციის ტენდენციებს, რაც უდაოდ „ჰიბრიდული ომის“ უკეთ აღქმასა და გააზრებაში გვეხმარება. კერძოდ, თუ რა ფაქტორები განაპირობებს 21-ე საუკუნის კონფლიქტების ცვალებადობას. და ბოლოს, ამ ცნებების განხილვა მნიშვნელოვანია იმ კონტექსტის უკეთ აღსაქმელად, რომელშიც „ჰიბრიდული ომის“ თეორია წარმოიქმნა. როგორც თანამედროვე კონფლიქტების მკვლევარი ოფერ ფრიდმანი აღნიშნავს, დასავლურ აკადემიურ წრეებში „ჰიბრიდული ომის“ კონცეპტუალიზაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უკანასკნელ ათწლეულებში ფართოდ გავრცელებულმა ცნებებმა, როგორებიცაა - „შეუზღუდავი ომის“, „მეოთხე თაობის ომისა“ და „კომბინირებული ომის“ კონცეფციები[41]. მნიშვნელოვანია ამ ჩამონათვალს ასევე დაემატოს უფრო ადრეული „პოლიტიკური ომის“ კონცეფცია, რომლის ფუძემდებელიც ჯორჯ ქენანი შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა საფრთხის შეკავების სტრატეგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად მოიაზრება. შესაბამისად, ამ

[41] Fridman Ofer, *Russian 'Hybrid Warfare': Resurgence and Politicization* (Oxford: Oxford University Press, 2008), 12.

ცნებების განხილვაც „ჰიბრიდული ომის“ შესწავლის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციასთან მიმართებაში დასავლეთის აკადემიური და პოლიტიკური დისკურსის ფორმირებაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია 1999 წლის თებერვალში ჩინეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა - ჩიაო ლანგისა და ვანგ შიანსუეის ავტორობით გამოცემულმა წიგნმა - „შეუზღუდავი ომი“[42]. ამ ძალზედ რეზონანსულმა პუბლიკაციამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სტრატეგიული კვლევების სამ მნიშვნელოვან მიმართულებაში. კერძოდ, ომის ფენომენის სიღრმისეული შესწავლა, თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციის მრავალმხრივი ანალიზი და მომავლის კონფლიქტების ინტელექტუალური კონცეპტუალიზაცია[43]. თანამედროვე კონფლიქტების კონცეპტუალიზაციისა და ტრანსფორმაციის ირგვლივ „შეუზღუდავი ომის“ ავტორთა მიერ წამოწყებულმა ამ დისკუსიამ „ჰიბრიდული ომის“ ცნების ფორმირებაზე უდავოდ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

ამ კონტექსტში, „შეუზღუდავი ომის“ ავტორთა მიერ თანამედროვე სამხედრო ოპერაციების სინქრონიზაციისა და ეფექტური კომბინირების პრინციპების ხაზგასმა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ჩიაო ლანგისა და ვანგ შიანსუეის განმარტებით, „არა აქვს მნიშვნელობა, ვსაუბრობთ 3000 წლის წინ თუ მე-20 საუკუნის მიწურულს მომხდარ ომებზე, მათში გამარჯვება ერთ საერთო ფენომენს ეფუძნება: გამარჯვებული არის ის, ვინც სხვადასხვა ოპერაციების ეფექტურ კომბინირებას ახერხებს“[44]. ჰიბრიდული ომების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელიც სწორედ სამხედრო და არასამხედრო საშუალებების ეფექტურ კომბინირებასა და სინქრონიზაციაში მდგომარეობს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც „ჰიბრიდული ომის“ ცნების ფორმირებაზე იქონია გავლენა - თანამედროვე კონფლიქტებში ასიმეტრიულობის

---

[42] Qiao Liang and Xiangsui Wang, *Unrestricted Warfare: China's Master Plan to Destroy America* (Panama City Panama: Pan American Pub, 2002), 15.
[43] Fridman, *Russian "Hybrid Warfare"*, 41.
[44] Liang and Wang, *Unrestricted Warfare*, 117.

პრინციპზე აქცენტირებაა. კერძოდ, ჩიაო ლანგი და ვანგ შიანსუეი მათი ნაშრომის ბოლოს ყურადღებას ამახვილებენ რვა პრინციპზე, რომლებიც მომავლის კონფლიქტების ფორმირებაზე ახდენენ გავლენას. ამ პრინციპებიდან მეხუთე სწორედ ასიმეტრიულობისა და მოწინააღმდეგის სუსტი მხარეების ექსპლუატაციის ფაქტორებს ეყრდნობა. სახელდობრ, საომარი მოქმედებების სიმძიმის ცენტრის ტრადიციული სამხედრო არეალიდან არასამხედრო განზომილებებზე გადატანა (მაგალითად, ინფორმაციული, პოლიტიკური, ეკონომიკური არეალები) ასიმეტრიულობის პრინციპს განსაკუთრებულ დატვირთვას მენს, რაც თანამედროვე კონფლიქტებში შედარებით სუსტ აქტორს მასზე ძლიერი მოწინააღმდეგეების სისუსტეების უკეთ ექსპლუატაციის საშუალებას აძლევს.[45] „ჰიბრიდული ომების“ ქვაკუთხედიც სწორედ მოწინააღმდეგის სისუსტეების ექსპლუატირებითა და არა-სამხედრო საშუალებების გამოყენებით ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების პრინციპში მდგომარეობს.

თანამედროვე კონფლიქტების ცვალებადი ხასიათის შესახებ აკადემიური და პოლიტიკური დისკურსის ფორმირებაზე ასევე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია „მეოთხე თაობის“ ომის თეორიამ. განსაკუთრებით კი უილიამ ლინდისა და თომას ჰამსის ნაშრომებმა - „ომის ცვალებადი სახე: მეოთხე თაობისკენ“ და „შურდული და ქვა: ომი 21-ე საუკუნეში“. მეოთხე თაობის ომის თეორეტიკოსები ომის ევოლუციის ოთხ მკვეთრად გამოხატულ ეტაპს გამოყოფენ და ცვლილებების პროცესს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ ფაქტორებს უკავშირებენ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ხსენებული თეორიის სამი მახასიათებლის ხაზგასმა, რამაც „ჰიბრიდული ომის“ ცნების ფორმირებაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია. პირველი - „მეოთხე თაობის ომის“ თეორეტიკოსთა აზრით, თანამედროვე კონფლიქტებისთვის დამახასიათებელი „ბუნდოვანების ხარისხი მშვიდობასა და ომს შორის

[45] Robert J. Bunker, “Unrestricted Warfare: Review Essay I,” *Small Wars & Insurgencies* 11, no. 1 (November 2007): 114–21, https://doi.org/10.1080/09592310008423265; John Van Messel, “Unrestricted Warfare: A Chinese Doctrine for Future Warfare?” (master’s thesis, Marine Corps University, 2002), 182.

განსხვავებას პრაქტიკულად შლის“[46]. საყურადღებოა, რომ „ჰიბრიდული ომის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლადაც სწორედ მშვიდობასა და ომს შორის ზღვარის გაქრობა სახელდება. მეორე - თანამედროვე კონფლიქტებში ტაქტიკური და სტრატეგიული დონეების აღრევა ხდება. რამეთუ ამ ტიპის კონფლიქტებში „მთავარ სამიზნეს მეტოქის პოლიტიკური ინფრასტრუქტურა და სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს“[47]. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ჰიბრიდული ომის“ მიზანს, როგორც წესი, არა ტერიტორიების დაპყრობა, არამედ მოწინააღმდეგის მმართველ ელიტებსა და საზოგადოებაზე კონტროლის დამყარება წარმოადგენს. მესამე - მეოთხე თაობის ომის მთავარ მახასიათებელს მოწინააღმდეგის პოლიტიკური ნების გატეხვა წარმოადგენს. კერძოდ, თანამედროვე კონფლიქტების დროს „ხდება ყველა სახის - პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ სამხედრო ქსელების გამოყენება, რათა მოხდეს მოწინააღმდეგის გადაწყვეტილების მიმღებთა დარწმუნება, რომ მათი სტრატეგიული მიზანი - წინააღმდეგობის გაწევა - ფუჭი და არარაციონალურია“[48]. კერძოდ, „ჰიბრიდული ომების“ მსგავსად, მიზანს არა სამხედრო უპირატესობის მოპოვება, არამედ მეტოქის წინააღმდეგობის უბრძოლველად გატეხვა წარმოადგენს. „მეოთხე თაობის ომის“ თეორიის ეს სამი მახასიათებელი ნათელს ხდის თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციის ვექტორს. სახელდობრ, 21-ე საუკუნის კონფლიქტებში არასამხედრო საშუალებების მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება, რაც შედარებით სუსტ აქტორებს მათზე ეკონომიკურად თუ სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას აძლევს.

ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია „კომბინირებული ომის“ თეორიის განხილვაც, რომლის ავტორიც სამხედრო ისტორიის მკვლევარი თომას ჰუბერია. „შეუზღუდავი ომისა“ და „მეოთხე თაობის ომების“ თეორიებისგან განსხვავებით,

---

[46] William S. Lind and Colonel Keith Nightengale, "The changing face of war: into the fourth generation," in *Global Insurgency and the Future of Armed Conflict*, eds. Terry Terriff, Aaron Karp, and Regina Karp. (London: Routledge, 2007), 23.

[47] Lind and Nightengale, "The Changing Face of War," 24.

[48]Thomas X. Hammes, "War evolves into the fourth generation," *Contemporary Security Policy* 26, no. 2 (August 2005): 189, DOI: 10.1080/13523260500190500

„კომბინირებული ომის“ კონცეფცია კონფლიქტებს ისტორიულ რაკურსში განიხილავს და აქცენტს კონვენციური და არარეგულარული მეთოდების სინქრონიზაციაზე აკეთებს. შესაბამისად, ეს თეორია არა ახალ ფენომენს, არამედ ომის ისტორიულ კანონზომიერებას აღწერს[49]. კერძოდ, ჰუბერი ყურადღებას სინქრონიზაციის მნიშვნელობაზე ამახვილებს და ხაზს უსვამს მოწინააღმდეგის წინააღმდეგ კონვენციური და არარეგულარული საშუალებების კომბინირების ეფექტურობაზე[50]. შესაბამისად, „ჰიბრიდული ომისგან“ განსხვავებით, „კომბინირებული ომის“ თეორია ვიწრო სამხედრო განზომილებაზეა ფოკუსირებული, რომლის განხილვაც ისტორიულ პრიზმაში ხდება. მიუხედავად ამისა, „კომბინირებული ომის“ თეორიის აქცენტირება ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების მნიშვნელობაზე თანამედროვე კონფლიქტების შესწავლის, კერძოდ კი „ჰიბრიდული ომის“ კონცეფციის ფორმირებაზე უდავო გავლენას ახდენს. სახელდობრ, „კომბინირებული ომის“ თეორია დასავლური აკადემიური დისკურსის განუყოფელია ნაწილია, რომლის საფუძველზეც „ჰიბრიდული ომის“ ცნება წარმოიქმნა.

ომის განსხვავებულ ცნებებზე ლაპარაკისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ამერიკელი დიპლომატისა და მკვლევარის ჯორჯ ქენანის „პოლიტიკური ომის“ კონცეფციას, რომელმაც თანამედროვე დასავლური დისკურსის ფორმირებაზე უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია. ჯორჯ ქენანი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ შექმნილი და ათწლეულების მანძილზე განხორციელებული შეკავების სტრატეგიის ერთ-ერთ ავტორად მოიაზრება. მის მიერ „გრძელ ტელეგრამაში“ აღწერილი და გაანალიზებული საბჭოთა საფრთხე დღემდე აქტუალობას არ კარგავს და თანამედროვე სტრატეგიული დისკურსის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ის განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვე რუსეთისა და საბჭოთა კავშირის სტრატეგიულ მიდგომებს შორის არსებული განგრძობადობის გასაანალიზებლად.

---

[49] Fridman, *Russian 'Hybrid Warfare'*, 75.

[50] Thomas Huber, "Compound Warfare: A Conceptual Framework," in *Compound Warfare: That Fatal Knot*, ed.Thomas Huber (Fort Leavenworth: U.S. Army Command and General Staff College Press, 2002), 1.

ჯორჯ ქენანის განმარტებით, „ფართო კონტექსტში, პოლიტიკური ომი გულისხმობს ეროვნული მიზნების მისაღწევად ომის გარდა, სახელმწიფოს არსენალში არსებული ყველა რესურსის გამოყენებას, მათ შორის ღია თუ საიდუმლო ოპერაციების ჩატარებას“[51]. ჯორჯ ქენანის მიერ „პოლიტიკური ომის“ ფარგლებში ჩამოთვლილ ქმედებს შორისაა - პროპაგანდა, ეკონომიკური ზეწოლა, პოლიტიკური ალიანსები, ფსიქოლოგიური ოპერაციები, მოწინააღმდეგე სახელმწიფოებში საიდუმლო ჯგუფების ჩანერგვა და წინააღმდეგობის მოძრაობების ინიცირება. შესაბამისად, „პოლიტიკური ომის“ კონცეფცია მეტწილად „რუხი არეალის“ ოპერაციებს ითვალისწინებს, რაც ასევე „ჰიბრიდული ომის“ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. თუმცა „ჰიბრიდული ომისგან“ განსხვავებით, „პოლიტიკური ომის“ ცნება სამხედრო მეთოდების გამოყენებას გამორიცხავს. ჯორჯ ქენანის მიერ შექმნილი „პოლიტიკური ომის“ ცნება განსაკუთრებით ყურადსაღებია იმის გასააზრებლად, რომ „ჰიბრიდული ომის“ თეორია ახალ ფენომენს არ წარმოადგენს და მას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს.

ზოგადად, ზემოხსენებული სამხედრო ცნებების განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ კონცეპტუალური კონტექსტის კარგად აღსაქმელად, რომელშიც თანამედროვე „ჰიბრიდული ომის“ თეორია წარმოიქმნა. სახელდობრ, „ჰიბრიდული ომის“ ყველა საყურადღებო მახასიათებელი - იქნება ეს არასამხედრო საშუალებების, სინქრონიზაციის, კომბინირებისა თუ ასიმეტრიულობის პრინციპების მნიშვნელობის ხაზგასმა, ამა თუ იმ ფორმით ქმნიდა თანამედროვე კონფლიქტების ზემოხსენებული ცნებების საფუძველს. შესაბამისად, „მეოთხე თაობის“, „შეუზღუდავი“, „კომბინირებული“ თუ „პოლიტიკური ომების“ კონცეფციების განხილვა საშუალებას გვაძლევს, ნათლად დავინახოთ თუ რა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა „ჰიბრიდული ომის“ თეორიის ფორმირებაზე. ამასთანავე ამ ცნებების განხილვა საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციის ტენდენციებს,

---

[51] George F. Kennan, *“The Inauguration of Organized Political Warfare,”* April 30, 1948, Wilson Center Digital Archive, National Archives and Records Administration (NARA), Record Group 59, Entry A1 558-B, Policy Planning Staff/Council, Subject Files, 1947–1962, Box 28, https://digitalarchive.wilsoncenter.org/document/inauguration-organized-political-warfare

რომელთა შორისაც განსაკუთრებით საყურადღებო არასამხედრო საშუალებების ეფექტურობის მკვეთრი ზრდაა. ხსენებული ტენდენცია კი თანამედროვე კონფლიქტებში შედარებით უფრო სუსტ აქტორებს ასიმეტრიული უპირატესობის გამოყენების საშუალებას აძლევს. და ბოლოს, ხსენებული სამხედრო კონცეფციების მიმოხილვა მნიშვნელოვანია ასევე მათ შორის არსებული განსხვავებების გამოსაკვეთადაც, რაც „ჰიბრიდული ომის" ირგვლივ შექმნილი ბუნდოვანების შემცირებაში გვეხმარება.

### 2.2.2 „ჰიბრიდული ომი" დასავლურ დისკურსში

თანამედროვე დასავლურ დისკურსში „ჰიბრიდული ომის" ორ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ინტერპრეტაციას ვაწყდებით. პირველი, „ჰიბრიდულ ომს" შედარებით უფრო ვიწრო ჭრილში განიხილავს და მას მოწინააღმდეგის წინააღმდეგ სხვადასხვა სახის სამხედრო საშუალებების ერთობლივ გამოყენებად განმარტავს. მეორე კი, „ჰიბრიდული ომის" უფრო ფართო განსაზღვრებას გვთავაზობს, რომელიც რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდგომ იკიდებს ფეხს და არასამხედრო საშუალებების იარაღად ქცევის პრინციპს ეყრდნობა. „ჰიბრიდული ომის" ამ ორ ინტერპრეტაციას, მკვლევართა ნაწილის განმარტებით, მხოლოდ სახელი აქვს საერთო[52], რაც ამ ცნების მრავალმხრივი ინტერპრეტაციისა და მისი ბუნდოვანი განმარტების მიზეზი ხდება.

„ჰიბრიდული ომის" ვიწრო სამხედრო ჭრილში განხილვა და ზოგადად მისი დასავლურ დისკურსში დამკვიდრება სამხედრო თეორეტიკოსის ფრენკ ჰოფმანის სახელს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ ტერმინს ადრეულ ეტაპზე ჩეჩნეთის ომის კონტექსტში უილიამ ნიმიცის ნაშრომში ვაწყდებით[53], დასავლურ სამხედრო და აკადემიურ წრეებში ამ ცნების აქტუალიზაცია ჰოფმანის პუბლიკაციებიდან იღებს დასაბამს. სახელდობრ,

---

[52] Fridman, *Russian 'Hybrid Warfare'*, 285

[53] William J. Nemeth, "Future war and Chechnya: a case for hybrid warfare," master's thesis. (Naval Postgraduate School, 2002).

„ჰიბრიდული ომის“ ადრეული ინტერპრეტაციები ისრაელ-ჰეზბოლას კონფლიქტის შესწავლას ეფუძნება, რომელშიც ჰოფმანი ამ ცნებას პირველად ჰეზბოლას სამხედრო მოქმედებების გაანალიზების კონტექსტში იყენებს. კერძოდ, ჰოფმანის ინტერესის უმთავრეს ობიექტს შედარებით სუსტი აქტორის მიერ მასზე ძლიერ მოწინააღმდეგეზე სამხედრო უპირატესობის მოპოვების მიზეზების შესწავლა წარმოადგენს. ამ წარმატების უმთავრეს ფაქტორად კი ჰოფმანი ჰეზბოლას დაჯგუფების მიერ ჰიბრიდული სამხედრო მოქმედებების წარმართვას ასახელებს. სწორედ ამ კონტექსტში ჩნდება „ჰიბრიდული ომის“ პირველი განმარტება. „ჰიბრიდული ომი“ სხვადასხვა ტიპის სამხედრო მოქმედებებს აერთიანებს, მათ შორის კონვენციურ შესაძლებლობებს, არარეგულარული მოქმედების ტაქტიკებსა და ფორმაციებს, ისევე როგორც ტერორისტულ აქტებსა და კრიმინალურ ქაოსს[54]. შესაბამისად, ფრანკ ჰოფმანის ადრეული ნაშრომები „ჰიბრიდულ ომს“ შედარებით უფრო ვიწრო ჭრილში განიხილავს და მას მოწინააღმდეგის წინააღმდეგ სხვადასხვა სახის სამხედრო საშუალებების ერთობლივ გამოყენებად განმარტავს. საყურადღებოა ისიც, რომ ეს ადრეული განმარტება თანამედროვე სამხედრო მოქმედებების წარმართვის ოპერაციულ ანალიზს ეყრდნობა და მის სტრატეგიულ ჭრილში განხილვას არ ითვალისწინებს.

„ჰიბრიდული ომის“ უფრო ფართო სტრატეგიულ კონტექსტში განხილვას პირველად ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის განცხადებებსა და კვლევებში ვხვდებით. კერძოდ, „ჰიბრიდული ომის“ ჰოფმანისეული ინტერპრეტაციის რეკონცეპტუალიზაცია და ამ ცნების სტრატეგიულ ჭრილში გააზრება პირველად ნატოს 2010 წლის დოკუმენტებში გვხვდება. ალიანსის ხედვით, „ჰიბრიდული საფრთხეები“ სხვადასხვა სისტემასა და ქვესისტემებში (ეკონომიკური/ფინანსური, სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალური და სამხედრო) მოწინააღმდეგის სინქრონულ მოქმედებას ითვალისწინებს[55]. „ჰიბრიდული ომის“ ცნების ეს რეკონცეპტუალიზაცია ზოგადად თანამედროვე კონფლიქტების ცვლილებების

---

[54] Frank Hoffman, *Conflict in the Twenty-First Century: The Rise of Hybrid Warfare* (Arlington: Potomac Institute for Policy Studies, 2007), 27.

[55] North Atlantic Treaty Organisation, *BI-SC Input to a New Capstone Concept for the Military Contribution to Countering Hybrid Threats* (Brussels: NATO, 2010), 2–3.

ტენდენციას ასახავს, რომლებშიც აქცენტი სამხედრო კომპონენტზე მეტად არასამხედრო ფაქტორებზე კეთდება. შესაბამისად, „ჰიბრიდული კონფლიქტები“ სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან ოპერატიულ-ტაქტიკურ განზომილებას ცდება და ზოგად-ეროვნულ სტრატეგიულ დატვირთვას იძენს.

„ჰიბრიდული ომის“ ეს ფართო განსაზღვრება განსაკუთრებულ დატვირთვას რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდგომ პერიოდში იძენს. მოსკოვის მიერ სამხედრო და არასამხედრო საშუალებების სინქრონული გამოყენებით სტრატეგიული მიზნების ეფექტურად მიღწევამ დასავლეთის სამხედრო და პოლიტიკურ წრეებში რუსეთის საფრთხის ხელახალი გააზრება გამოიწვია. უსაფრთხოების საკითხთა მკვლევარის მარკ გალეოტის დაკვირვებით, გასაოცარია, თუ როგორ შეიცვალა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ხედვა რუსეთის საფრთხის მიმართ 2014 წლის შემდეგ: სახელდობრ, რუსეთი უკიდურესად დასუსტებული პოსტიმპერიული იმპულსების მქონე ქვეყნიდან საერთაშორისო წესრიგის ეგზისტენციალურ საფრთხის შექმნელ აქტორად ტრანსფორმირდა[56]. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, არა რუსეთის სამხედრო სიძლიერის გაზრდის, არამედ მის მიერ „ახალი სახის ომის“ წარმოების გამო მოხდა. ომის, რომელიც დასავლეთის უპირატესობას ანეიტრალებს და რუსეთს მასზე ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერ აქტორთან დაპირისპირების საშუალებას აძლევს.

2015 წელს სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტის (IISS) მიერ გამოქვეყნებული კვლევა „ჰიბრიდული ომის“ ფართო განსაზღვრების კარგ მაგალითს წარმოადგენს. კერძოდ, ხსენებული კვლევის თანახმად, „ჰიბრიდული ომი“ არის:

> „სამხედრო და არასამხედრო საშუალებების გამოყენება ინტეგრირებულ კამპანიაში, რომლის მიზანიც მოულოდნელობის გაჩენა, ინიციატივის ხელში ჩაგდება, და ფსიქოლოგიური და ფიზიკური უპირატესობის მოპოვებაა. ამის მისაღწევად კი ხდება როგორც დიპლომატიური საშუალებების, სწრაფი და დახვეწილი საინფორმაციო, ელექტრონული და კიბეროპერაციების,

[56] Mark Galeotti, *Russian Political War: Moving Beyond the Hybrid* (Abingdon: Routledge, 2019), 8.

> ფარული და ხანდახან ღია სამხედრო და დაზვერვითი ქმედებების, ასევე ეკონომიკური ზეწოლის ბერკეტების ერთობლივი გამოყენება.“[57]

სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტის ხსენებული განმარტება, რომელიც „ჰიბრიდულ ომს“, ჰოფმანისეული დეფინიციისგან განსხვავებით, ფართო ჭრილში განიხილავს, რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს ემყარება. სახელდობრ, „ჰიბრიდულ ომში“ უპირატესობა არასამხედრო საშუალებების გამოყენებას ენიჭება, რამეთუ ისინი სტრატეგიული მიზნების მიღწევას სრულმასშტაბიანი კონვენციური ძალის გამოყენების გარეშე იძლევა. კონვენციური ომის თავის არიდებით უპირატესობის მოპოვება კი შედარებით სუსტ აქტორებს მათზე ძლიერი მოწინააღმდეგეების წინაშე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების საშუალებას აძლევს. „ჰიბრიდულ ომში“, ასევე მნიშვნელოვანია სტრატეგიული ბუნდოვანებისა და მოულოდნელობის ეფექტის შექმნა. ეს კი აგრესიის ინიციატორ აქტორებს „შესაძლო უარყოფის“ საშუალებასა და მათი კონფლიქტში ჩართულობის ფორმალური უარყოფის შესაძლებლობას აძლევს. და ბოლოს, „ჰიბრიდულ ომში“ განსაკუთრებული დატვირთვა სამხედრო და არასამხედრო ინსტრუმენტების სინქრონიზაციასა და ინტეგრირებულ გამოყენებას ენიჭება. მსგავსი სახის ინტეგრირებული კამპანიები კი მოწინააღმდეგის სუსტი მხარეების ექსპლოატაციის საშუალებას იძლევა. რამეთუ ინსტრუმენტების შერჩევა სწორედ მოწინააღმდეგის სისუსტეების ანალიზის საფუძველზე ხდება.

„ჰიბრიდული ომისთვის“ დამახასიათებელი არც ერთი ეს პრინციპი ან ინსტრუმენტი ახალი არ არის. ისინი ისეთივე ძველია, როგორც სამხედრო ხელოვნება. თუმცა სიახლეს წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში ამ ინსტრუმენტების ეფექტურობის მნიშვნელოვანი ზრდა. საინფორმაციო და

---

[57] Institute for Strategic Studies, *Military Balance 2015*, editor’s introduction, www.iiss.org/en/publications/military%20balance/issues/the-military-balance-2015-5ea6/mb2015-00b-foreword-eff4 (accessed August 24, 2023).

ციფრული ტექნოლოგიების რევოლუციური ტრანსფორმაციის ხანაში არასამხედრო მეთოდები თავისი ეფექტურობით სამხედრო ინსტრუმენტებს უტოლდება, ან ზოგ შემთხვევაში ასწრებს კიდეც. შესაბამისად, მარკ გალეოტის დაკვირვებით, „ეს არ არის ახალი ომი, არამედ ეს არის ომი ახალ მსოფლიოში: რაც შეიცვალა, არის მსოფლიო და არა ომისთვის დამახასიათებელი იდეები თუ ტაქტიკები."[58]

„ჰიბრიდული ომის" ცნების მიმართ გამოთქმული სკეფსისის მიუხედავად, ის დასავლურ დისკურსში აქტუალობას არ კარგავს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, გავმიჯნოთ აკადემიურ და სამხედრო-პოლიტიკურ წრეებში მიმდინარე დისკუსია, რომელიც ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. სახელდობრ, აკადემიური დისკურსი ამ ცნების ორიგინალურობასა და ანალიტიკურ მდგრადობაზეა ფოკუსირებული. შესაბამისად, „ჰიბრიდული ომის" ცნების ირგვლივ არსებული ბუნდოვანება და არაორიგინალურობა, მკვლევართა საფუძვლიანი კრიტიკის საგანი ხდება. თუმცა აკადემიურ წრეებში გამოთქმული სკეფსისი სამხედრო-პოლიტიკურ დისკურსზე გავლენას ნაკლებად ახდენს. რამეთუ ეს უკანასკნელი „ჰიბრიდული საფრთხეების" მნიშვნელობაზე და არა მის ორიგინალურობაზეა ფოკუსირებული. კერძოდ, დასავლურ სამხედრო დისკურსში აქცენტი რევიზიონისტი აქტორების მიერ ჰიბრიდული მეთოდების გამოყენების ეფექტურობაზე კეთდება. კერძოდ, „ჰიბრიდული ომი" წარმოადგენს დასავლური ინსტიტუციებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას, რადგან ის რევიზიონისტ აქტორებს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს ასიმეტრიული უპირატესობა მათზე ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებთან მიმართებაში. ეს კი თანამედროვე კონფლიქტებში რევიზიონისტი აქტორების მიერ დასავლეთის ეკონომიკურ და სამხედრო უპირატესობის სავარაუდო განეიტრალების მიზეზი ხდება.

### 2.2.3 „ჰიბრიდული ომი" რუსულ დისკურსში

[58] Mark Galeotti, "The 'Gerasimov Doctrine' and Russian Non-Linear War," *In Moscow's Shadows* (blog), July 6, 2014, https://inmoscowsshadows.wordpress.com/2014/07/06/the-gerasimov-doctrine-and-russian-non-linear-war/ (accessed November 2023).

რუსეთის აკადემიურ და სამხედრო-პოლიტიკურ დისკურსში „ჰიბრიდული ომის“ ცნების დამკვიდრების ორი განსხვავებული ინტერპრეტაცია არსებობს. პირველი, რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ისტორიულ ტრადიციებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელშიც ასიმეტრიულობისა და პოლიტიკური ომის პრინციპებს ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნიათ. მეორე კი „ჰიბრიდული ომის“ თანამედროვე ინტერპრეტაციას დასავლეთიდან შემოღებულ „კალკად“ მიიჩნევს, რომლის შემდგომი განვითარებაც რუსეთის რეალობებთან ადაპტაციის გზით მოხდა. საყურადღებოა, რომ ეს ორი განსხვავებული ინტერპრეტაცია ურთიერთგამომრიცხავი არ არის. შესაბამისად, თანამედროვე რუსულ დისკურსში დამკვიდრებული ამ ცნების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია ორივეს მოკლედ მიმოხილვა.

რუსეთის სამხედრო ტრადიციებში ასიმეტრიულობის პრინციპსა და არარეგულარული სამხედრო კომპონენტის გამოყენებას ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია. კერძოდ, რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ომის წარმოების ხელოვნება, დასავლური ტრადიციისგან განსხვავებით, მკვეთრად არ მიჯნავს ღია და ფარულ, სამხედრო და პოლიტიკურ სამხედრო მოქმედებებს[59]. მტრის ზურგში მოქმედების მნიშვნელობასა და მოწინააღმდეგის ბრძოლისუნარიანობისა თუ პოლიტიკური ნების გატეხვას რუსეთის სამხედრო დისკურსში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსი მკვლევარის მიხაილ ტუხაჩევსკის „სიღრმეში ბრძოლის“ ცნებაც ამის ერთ-ერთი მაგალითია. თუმცა რუსეთის თანამედროვე დისკურსზე განსაკუთრებულ გავლენას ევგენი მესნერის[60] კვლევები, კერძოდ კი, მისი „ამბოხის ომის“ თეორია, ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ მესნერის შრომები აკრძალული იყო საბჭოთა კავშირში, არსებობს მოსაზრება, რომ საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური ისტაბლიშმენტი ამ ნარკვევებს კარგად იცნობდა. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან კი მისი ნაშრომების ფართო

---

[59] Mark Galeotti, *Russian Political War: Moving Beyond the Hybrid* (London; New York: Routledge, 2019), 32.

[60] ევგენი მესნერი: 20-საუკუნის დასაწყისში მოღვაწე რუსი სამხედრო თეორეტიკოსი, „ამბოხის ომის“ თეორიის ავტორი, რომელმაც ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოთა რეჟიმთან დაპირისპირებაში ემიგრაციაში გაატარა.

პოპულარიზაცია ხდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა მესნერის ხედვა მომავალ კონფლიქტებზე, რომელიც რუსული „ჰიბრიდული ომის“ ფორმირებაზე უდაო გავლენას ახდენს. კერძოდ, მესნერის განმარტებით:

> „მომავალ ომებში დაპირისპირება ფრონტის ხაზზე არ მოხდება, არამედ ბრძოლები ორივე მოწინააღმდეგის მთელ ტერიტორიას მოიცავს, რადგან ფრონტის ხაზის უკან მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური დაპირისპირების ხაზები გაჩნდება; ომები აღარ იქნება ორ ან თუნდაც სამგანზომილებიანი, როგორც ეს ავიაციის გამოგონებას მოყვა, არამედ თანამედროვე ომები ოთხგანზომილებიანი იქნება; მეოთხე განზომილება კი მოწინააღმდეგისეროვნული ცნობიერება გახდება.“[61]

მოწინააღმდეგის მოსახლეობის ცნობიერებაზე ზემოქმედება და პოლიტიკური ნების გატეხვა საბჭოთა კავშირის სამხედრო და უსაფრთხოების სამსახურების მოქმედების მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენდა. შესაბამისად, „რეფლექსიური კონტროლისა“[62] და „აქტიური მოქმედებების“[63] ცნებები, რომლებიც ფარული, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური სუბვერსიული ქმედებებით მოწინააღმდეგის მოსახლეობის ცნობიერების კონტროლს ითვალისწინებდა, „ჰიბრიდული ომის“ რუსულ წიაღში განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორებად იქცა. ამასთანავე, ბუნებრივია. რომ სუბვერსიული ოპერაციების ისტორიული ტრადიციების მქონე რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ისტაბილიშმენტში მესნერის ნაშრომებმა ფართო რეზონანსი ჰპოვა და „ჰიბრიდული ომის“ თანამედროვე დისკურსს საფუძველი ჩაუყარა.

„ჰიბრიდული ომის“ რუსულ დისკურსში დამკვიდრების ალტერნატიული მიდგომა ომის ხელოვნების ისტორიულ ტრადიციებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს, და აქცენტს დასავლეთის აკადემიური კვლევებისა და სამხედრო-პოლიტიკური

---

[61] Evgenii Messner, *Myatezh: imya tret'yey vsemirnoy* (Golovin Institute, 1960), 43, quoted in Mark Galeotti, *Russian Political War: Moving Beyond the Hybrid* (London; New York: Routledge, 2019), 33.

[62]"'რეფლექსიური კონტროლი" გულისხმობს მოწინააღმდეგის ცნობიერებაზე ზეგავლენას, რაც მას „ნებაყოფლობით" უბიძგებს ამ ქმედებების ინიციატორის ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს.

[63] „აქტიური მოქმედებები" არის პოლიტიკური სუბვერსიის ფორმა, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირში და ითვალისწინებდა ფარული, ფსიქოლოგიური, საინფორმაციო და დაზვერვითი ოპერაციების ერთობლივი გამოყენებით მოწინააღმდეგის ბრძოლისუნარიანობისა და მედეგობის დასუსტებას.

ცნებების გავლენებზე აკეთებს. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ როგორც სხვა მრავალი სამხედრო კონცეფციის მიმართ, რუსეთის სამხედრო და აკადემიური წრეების ინტერესი „ჰიბრიდული ომის“ მიმართ დასავლური დისკურსის დაკვირვებითა და გავლენით დაიწყო[64]. თავად ტერმინი, „ჰიბრიდული ომიც“, რუსულ ენაში დასავლურის პირდაპირი კალკია. მიუხედავად ამისა, რუსულ დისკურსში „ჰიბრიდული ომის“ ცნება დასავლური თეორიის ბრმა ინტერპრეტაციას არ წარმოადგენს. არამედ ის არის რუსი მკვლევარების მცდელობა, დასავლური ცნება მიუსადაგონ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ გამოცდილებას და მოახდინონ მისი რეკონცეპტუალიზაცია[65].

რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეების მიერ „ჰიბრიდული ომის“ ინტერპრეტაციის დასავლელ მკვლევართა მიერ ყველაზე ხშირად ციტირებული განსაზღვრება გენერალ გერასიმოვის სახელს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამხედრო ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი, გენერალი გერასიმოვი ომის ცვალებად ხასიათზე საუბრისას ამ ტენდენციებს დასავლეთის ქმედებების უკავშირებს, მის მიერ „ჰიბრიდული ომის“[66] პირველადი განმარტება ამ ცნების რუსულ დისკურსში დანერგვის საფუძველს ქმნის. გენერალი გერასიმოვი 2013 წელს სამხედრო-ინდუსტრიულ კურიერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ომის ცვალებად ხასიათს შემდეგნაირად განმარტავს:

> „ომის წარმოების წესები მნიშვნელოვნად შეიცვალა. კერძოდ, არასამხედრო ინსტრუმენტების მნიშვნელობა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად საგრძნობლად გაიზარდა და ზოგ შემთხვევაში, თავისი ეფექტურობით სამხედრო ინსტრუმენტებსაც გადაასწრო... კონფლიქტების წარმოების მეთოდიკა იცვლება პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო, ჰუმანიტარული და სხვა არასამხედრო საშუალებების ფართოდ გამოყენებისკენ, რომლების განხორციელებაც სამიზნე მოსახლეობის პროტესტის პოტენციალის გამოყენებით ხდება. ამათ ემატებათ ფარული ხასიათის სამხედრო საშუალებები, რომლებიც ასევე საინფორმაციო ომისა და სპეციალური დანიშნულების ძალების გამოყენებასაც გულისხმობს.

[64] Fridman, *Russian 'Hybrid Warfare'*, 244.

[65] Fridman, *Russian 'Hybrid Warfare'*, 245.

[66] გენერალი გერასიმოვი მის მიერ ომის ცვალებადი ხასიათის განმარტებისას არ იყენებს ტერმინს „ჰიბრიდული ომი“, არამედ ამ ფენომენს „არასწორხაზოვან“ კონფლიქტად მოიხსენიებს.

> ღია სამხედრო მოქმედებების დაწყება კი - ხშირად მშვიდობისმყოფელთა საფარქვეშ - მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე ხდება, რათა კონფლიქტში საბოლოო წარმატების მიღწევა გახდეს შესაძლებელი.“[67]

გენერალ გერასიმოვის მსგავსად, „ჰიბრიდული ომის“ რუსულ დისკურსში დამკვიდრება რუსეთის ორი სამხედრო მკვლევრის - პოლკოვნიკ სერგეი ჩეკინოვისა[68] და გენერალ სერგეი ბოგდანოვის[69] - სახელებს უკავშირდება. 2013 წელს მათ მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაცია - „ახალი თაობის ომების ბუნება და შინაარსი“ - ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული და ხშირად ციტირებული ნაშრომია. ჩეკინოვისა და ბოგდანოვის განმარტებით, ახალი თაობის ომების მთავარ მახასიათებელს არასამხედრო საშუალებების, განსაკუთრებით კი საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების მნიშვნელობის ზრდა წარმოადგენს. კერძოდ კი, ციფრული რევოლუციის პირობებში საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციები არა მხოლოდ ახალი თაობის ომების წარმოების წამყვან ინსტრუმენტს, არამედ თანამედროვე კონფლიქტებში წარმატების მიღწევის უმთავრეს წინაპირობას ქმნის. გენერალ გერასიმოვის პუბლიკაციასთან ერთად, სამხედრო ექსპერტების - ჩეკინოვისა და ბოგდანოვის ნაშრომები, „ჰიბრიდული ომის“ რუსულ დისკურსში გავრცელებული რამდენიმე მახასიათებლის უკეთ აღქმის საშუალებას გვაძლევს:

პირველი - რუსეთის მიერ წარმოებულ ჰიბრიდულ ოპერაციებში წამყვანი როლი ინფორმაციული ინსტრუმენტების გამოყენებას ენიჭება. კერძოდ, ჩეკინოვისა და ბოგდანოვის განმარტებით, „რუსეთის შეიარაღებული ძალების განსაზღვრებით „ჰიბრიდულ ომში“ ყველა ინსტრუმენტი, სამხედროს ჩათვლით,

---

[67] Валерий Васильевич Герасимов, «Ценность науки в предвидении,» *Военно-промышленный курьер*, № 8 (476), 27 февраля – 5 марта 2013, https://www.vpk-news.ru/articles/14632 (дата обращения: 15 ноября 2023).

[68] სერგეი ჩეკინოვი - რუსეთის შეირაღებული ძალების გადამდგარი პოლკოვნიკი, გავლენიანი სამხედრო და სტრატეგიულ სწავლებათა ცენტრის დირექტორი.

[69] სერგეი ბოგდანოვი - შეირაღებული ძალების გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, გავლენიანი სამხედრო და სტრატეგიულ სწავლებათა ცენტრის წამყვანი მკვლევარი.

ინფორმაციულ ინსტრუმენტს ექვემდებარება."[70] „ჰიბრიდული ომის" ეს კომპონენტი რუსეთის თანამედროვე კონფლიქტების წარმოების მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომელიც ომის წარმოების ისტორიულ პარადიგმას საგრძნობლად ცვლის. კერძოდ, ისტორიულ რაკურსში არასამხედრო საშუალებები სამხედრო ინსტრუმენტის დამხმარე როლს ასრულებდნენ; თანამედროვე „ჰიბრიდულ ომებში" კი სამხედრო ინსტრუმენტი ფართო ინფორმაციული კამპანიის ხელისშემწყობ კომპონენტებად გვევლინება.[71] შესაბამისად, თანამედროვე კონფლიქტებში ინფორმაციული ინსტრუმენტისთვის ცენტრალური როლის მინიჭება, რუსეთის „ჰიბრიდული ომის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

მეორე - რუსეთის სამხედრო მკვლევართა ხედვით, „ჰიბრიდული ომის" უმთავრეს მიზანს სამიზნე ქვეყნის ფრაგმენტაცია, ხელისუფლების დასუსტება ან გეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა წარმოადგენს.[72] შესაბამისად, „ჰიბრიდულ ომებად" მხოლოდ იმ კონფლიქტთა კატეგორიზაცია უნდა მოხდეს, რომლებიც სამიზნე ქვეყნების გეოპოლიტიკური ორიენტაცის შეცვლისკენ არიან მიმართული. კერძოდ, რუსულ აკადემიურ თუ სამხედრო-პოლიტიკურ დისკურსში დამკვიდრებული პარადიგმის თანახმად, „ჰიბრიდული ომის" მთავარ მიზანს მოწინააღმდეგე ქვეყნის დეზინტეგრაცია, შიდა და საგარეო პოლიტიკის რეორიენტაცია, ერთგული რეჟიმების ხელისუფლებაში მოყვანა და იდეოლოგიური თუ ფინანსური კონტროლის დამყარება წარმოადგენს[73]. რუსულ დისკურსში დამკვიდრებული „ჰიბრიდული ომის" ეს ორი პრინციპი, საბჭოთა კავშირის ისტორიული გამოცდილებიდან იღებს სათავეს, რომელშიც სამიზნე ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერებაზე ზემოქმედება და პოლიტიკური ნების

---

[70] С.Г. Чекинов and С.А. Богданов, «О характере и содержании войны нового поколения,» *Военная мысль*, № 10 (2013): 13-24, https://bik.sfu-kras.ru/elib/view?id=PRSV-%2F%D0%A7-37-522328 (accessed November 12, 2023).

[71] Валерий Герасимов, «По опыту Сирии»; Сергей Г. Чекинов and Сергей А. Богданов, «Эволюция сущности и содержания понятия „война" в XXI столетии.»

[72] V. Kiselev, "Hybrid War as a New Type of War of the Future," *Army Collection*, December 2015, quoted in Mason Clark, *Russian Hybrid Warfare* (Washington, DC: Institute for the Study of War, 2020), 16.

[73] Fridman, *Russian 'Hybrid Warfare'*, 245.

გატეხვა, სამხედრო და უსაფრთხოების სამსახურების მოქმედების მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენდა.

მესამე - რუსული „ჰიბრიდული ომის“ კონცეფცია კონვენციური სამხედრო ძალის ღიად გამოყენებას არ გამორიცხავს. სახელდობრ, რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ სქემა კონვენციურ სამხედრო ოპერაციების წარმოებასაც მოიცავს და არ მიიჯნავს „შესაძლო უარყოფის“ ფარულ ოპერაციებსა და ღია სამხედრო მოქმედებას ერთმანეთისგან; არამედ მათ კომბინირებულ გამოყენებას ითვალისწინებს[74]. „ჰიბრიდული ომის“ რუსული მოდელის თანახმად, კონვენციური სამხედრო ძალის გამოყენება კონფლიქტის გვიანდელ, დამასრულებელ ეტაპზე ხდება. ეს მიდგომა რუსეთის ხედვას მკვეთრად განასხვავებს დასავლურ დისკურსში დამკვიდრებული „ჰიბრიდული ომის“ ფართო ინტერპრეტაციისაგან, რომელიც ძირითადად „რუხ არეალში“ მოქმედებას ითვალისწინებს. სახელდობრ, რუსეთის მიდგომა „რუხ არეალში“ მოქმედებასა და კონვენციური სამხედრო ინსტრუმენტების გამოყენებას შორის მკვეთრ გამყოფ ხაზს არ ავლებს და მათ სინქრონიზაციას ითვალისწინებს.

### 2.2.4 განსხვავებული ინტერპრეტაციები: განსხვავება „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ ცნებებს შორის

რუსეთისა და დასავლეთის აკადემიური თუ სამხედრო-პოლიტიკური დისკურსის ანალიზი „ჰიბრიდული ომის“ ცნების შესახებ ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

პირველი - „ჰიბრიდული ომის“ ადრეული განსაზღვრება, რომელიც ამ ცნებას შედარებით უფრო ვიწრო, სამხედრო ჭრილში განიხილავდა, 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდგომ, აქტუალობას კარგავს. კერძოდ, ფრანკ ჰოფმანის პირველადი განსაზღვრება, რომელიც „ჰიბრიდულ ომს“ მხოლოდ სამხედრო

[74] Mason Clark, *Russian Hybrid Warfare*, *Military Learning and the Future of War Series* (Institute for the Study of War, September 2020), 11, https://understandingwar.org/sites/default/files/Russian%20Hybrid%20Warfare%20ISW%20Report202020.pdf (accessed November 12, 2023).

ოპერაციების ჭრილში განიხილავს და მას მოწინააღმდეგის წინააღმდეგ სხვადასხვა სახის სამხედრო საშუალებების ერთობლივ გამოყენებად განმარტავს, თანამედროვე აკადემიური თუ სამხედრო-პოლიტიკური დისკურსიდან ეტაპობრივად ქრება. ამ ცვლილების ერთ-ერთი მიზეზი თანამედროვე კონფლიქტებში არასამხედრო მეთოდების, როგორიცაა საინფორმაციო თუ კიბერ ოპერაციები, პოლიტიკური თუ ეკონომიკური სუბვერსიები, ეფექტურობის მნიშვნელოვანი ზრდაა. მეთოდების, რომლის გამოყენებაც „ჰიბრიდული ომის“ კამპანიის ინიციატორ აქტორს სტრატეგიულ-პოლიტიკური მიზნების ნაკლებ ფასად და დაბალ რისკად მიღწევის საშუალებას აძლევს. საყურადღებოა, რომ თავად ფრანკ ჰოფმანიც „ჰიბრიდული ომის“ პირველად განსაზღვრებას სწორედ მისი ვიწრო სამხედრო ფოკუსის გამო აკრიტიკებს და შემდგომ ნაშრომებში არასამხედრო საშუალებების მზარდ მნიშვნელობაზე სვამს აქცენტს.

მეორე - „ჰიბრიდული ომის“ უფრო ფართო ჭრილში განსაზღვრების მკვეთრად გამოხატულმა ტენდენციამ, რომელმაც რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდგომ მოიკიდა ფეხი, დასავლურ დისკურსში ამ ცნების ირგვლივ არსებული ბუნდოვანება გააღრმავა. სახელდობრ, აკადემიურ თუ სამხედრო-პოლიტიკურ დისკურსში ხშირად ვაწყდებით „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ ცნებების სინონიმურ გამოყენებას, რაც მათი ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნის საჭიროებას ქმნის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ ორი, ერთმანეთთან ძალზედ ახლოს მყოფი ცნების ერთმანეთთან შედარება და მათ შორის არსებული განსხვავებების ხაზგასმა, რაც ხსენებული ბუნდოვანების შემცირებას საგრძნობლად შეუწყობს ხელს. „რუხი არეალის“ ცნება ითვალისწინებს ღია, სამხედრო კონფლიქტის ზღვარს ქვემოთ არეალში მიზანმიმართულ მოქმედებას, რაც აგრესიის ინიციატორ აქტორს ბუნდოვანების შექმნისა და „შესაძლო უარყოფის“ საშუალებას აძლევს. ეს ქმედებები კი, უპირველეს ყოვლისა, ესკალაციის კონტროლის, რისკების შემცირებისა და მოწინააღმდეგის სამხედრო პასუხის თავის არიდებისკენაა მიმართული. დასავლურ აკადემიურ წრეებში ფართოდ გავრცელებული განსაზღვრების თანახმად, „რუხი არეალი“ „არის ომსა და მშვიდობას შორის არსებული

კონცეპტუალური სივრცე, რომელიც იქმნება სტრატეგიულ-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სხვადასხვა ინსტრუმენტის მიზანმიმართული გამოყენებით, რომლებიც ბუნდოვანების შექმნისკენაა მიმართული და რომლებიც ვითარდება კონვენციური კონფლიქტის ზღვარს ქვემოთ, მაგრამ სცდება ჩვეულებრივი დაპირისპირების ფარგლებს.“[75]

საყურადღებოა, რომ „ჰიბრიდული ომის“ ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ „რუხ არეალში“ ვითარდება. თუმცა, „რუხი არეალის“ ცნებისგან განსხვავებით „ჰიბრიდული ომი“ არ გამორიცხავს კონვენციური სამხედრო ძალის დასკვნით ეტაპზე გამოყენების შესაძლებლობას, განსაკუთრებით ამ ტიპის ოპერაციების რუსული მოდელი. როგორც ადრე აღვნიშნეთ, რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ სქემა კონვენციურ სამხედრო ოპერაციების წარმოებასაც მოიცავს და არ მიჯნავს „შესაძლო უარყოფის“ ფარულ ოპერაციებსა და ღია სამხედრო მოქმედებას ერთმანეთისგან; არამედ მათ კომბინირებულ გამოყენებას ითვალისწინებს[76]. შესაბამისად, „ჰიბრიდული ომი“ არის საომარი ტიპის ქმედება, რომელიც მოიცავს როგორც კონვენციური, ასევე არაკონვენიური მეთოდების გამოყენებას, რათა გაანეიტრალოს უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის სამხედრო უპირატესობა[77]. ხსენებულიდან გამომდინარე, მრავალი თანმხვედრი კომპონენტის მიუხედავად, „რუხი არეალის“ კონფლიქტები მკვეთრად განსხვავდებიან „ჰიბრიდული ომებისაგან“.

წინამდებარე ნაშრომში ეს განსხვავება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, რადგან რუსეთისა და ირანის მაგალითების განხილვისას ამ აქტორთა მიმართ ორივე ცნების გამოყენებაა საჭირო. სახელდობრ, რუსეთის „წარმატების თეორია“ მნიშვნელოვანწილად სამხედრო და არასამხედრო საშუალებების ეფექტურ სინქრონიზაციას ითვალისწინებს, რის გამოც მოსკოვის ქმედებები „ჰიბრიდული ომების“ ცნებას მიესადაგება, რამეთუ ის კონვენციური სამხედრო ძალის

---

[75] Popp, G., Ganna, S.: The Characterization and Conditions of the Gray Zone. Office of the Secretary of Defense (OSD) Strategic Multilayer Assessment (SMA) Report (2016). Quoted in Mark Hoffman's "Challenges and Opportunities in Gray Zone Combat", 2017.
[76] Clark, *Russian Hybrid Warfare*, 11.
[77] Williamson Murray and Peter R. Mansoor eds., *Hybrid Warfare Fighting Complex Opponents from the Ancient World to the Present*. (Cambridge, UK: Cambridge University Press, 2012).

გამოყენებას არ გამორიცხავს. ირანის „წარმატების თეორია“ კი რისკებისა და ესკალაციის ეფექტურ მინიმიზაციაშია გამოხატული, რაც თეირანს კონვენციური კონფლიქტის ზღვარს ქვემოთ, „რუხ არეალში“ მოქმედებისკენ უბიძგებს. შესაბამისად, დასავლურ დისკურსში რუსეთის მოქმედებები - „ჰიბრიდულ ომებად“, ხოლო ირანის კი „რუხი არეალის“ კონფლიქტებად არის მოხსენიებული.

### 2.2.5 „ჰიბრიდული ომები“ და „რუხი არეალის“ კონფლიქტები „წარმატების თეორიის“ კონტექსტში

რუსეთისა და ირანის სტრატეგიული მიდგომები, რომლებიც ამ რევიზიონისტ აქტორებს გავლენების გაფართოებისა და მათზე ეკონომიკურად თუ სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირების შესაძლებლობას აძლევს, პოლიტიკური და აკადემიური წრეების განსაკუთრებული ყურადღების არეში მოექცა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დისკუსია მნიშვნელოვანწილად ორ თემაზეა ფოკუსირებული: დასავლეთის სამხედრო წრეებში დამკვიდრებული სტრატეგიული მოდელების მდგრადობა და თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაცია, განსაკუთრებით კი რევიზიონისტი აქტორების მიერ ჩამოყალიბებული „ოპერირების მოდელები“, რომლებიც „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ კონფლიქტების სახელითაა ცნობილი.

თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციამ დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებში დამკვიდრებული სტრატეგიის ფორმირების ტრადიდიციული მოდელების გადახედვის აუცილებლობა გააჩინა. სახელდობრ, „ჰიბრიდული ომებისა“ თუ „რუხი არეალის“ კონფლიქტების აქტუალიზაციამ სტრატეგიის ალტერნატიული მოდელების ფორმირების დისკუსიას განსაკუთრებული დატვირთვა შესძინა. ამ კონტექსტში, დევიდ ელერის, ლიან სონდერსის, ფრანკ ჰოფმანისა თუ ჯეფრი მაიზერის პუბლიკაციები სწორედ სტრატეგიის ფორმირების იმ ალტერნატიულ მოდელებს გვთავაზობს, რომლებიც „ჰიბრიდული ომებისა“ და „რუხი არეალის“ კონფლიქტების უკეთ გაანალიზების საშუალებას გვაძლევს. კერძოდ, ჯეფრი მაიზერის მიერ შემოთავაზებული

„წარმატების თეორიის“ კონცეფცია ქმნის იმ კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც გვეხმარება ჯეროვნად გავაანალიზოთ რევიზიონისტ აქტორთა მიერ „ჰიბრიდული ომების“ მეშვეობით მათ მოწინააღმდეგეებზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების სტრატეგიული მიდგომები.

შესაბამისად, როგორც ამ ნაშრომის დასაწყისში აღვნიშნე, წინამდებარე კვლევა წარადგენს ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც „ჰიბრიდული ომის“ მეთოდების გამოყენება რევიზიონისტი აქტორობის „წარმატების თეორიის“ საფუძველს წარმოადგენს, რაც მათ შედარებითი უპირატესობებისა და მოწინააღმდეგეების სუსტი მხარეების ეფექტური ექსპლუატაციის საშუალებას აძლევს. კერძოდ, არსებული საერთაშორისო წესრიგის ანდა რეგიონული ძალთა ბალანსის შეცვლის მსურველ რევიზიონისტ აქტორებს, სახელდობრ, რუსეთსა და ირანს აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული „წარმატების თეორია“, რომელიც მოწინააღმდეგეების მიმართ ასიმეტრიული უპირატესობის „ჰიბრიდული ომისა“ თუ „რუხი არეალის კონფლიქტების“ საშუალებით მოპოვების იდეას ეფუძნება.

ამ კონტექსტში რუსეთისა და ირანის სტრატეგიული მიდგომების ჯეროვნად გასაანალიზებლად ნაშრომის მომდევნო თავებში დეტალურად განვიხილავთ რუსეთის მიერ სირიაში ჩატარებულ კამპანიას (2015-16 წ.წ.), ისევე როგორც ირანის მიერ სპარსეთის ყურეში წარმოებულ სუბვერსიულ ოპერაციებს (2019-20 წ.წ.). ეს მაგალითები შესაძლებლობას მოგვცემს გავაანალიზოთ, თუ როგორ შეძლეს მოსკოვმა და თეირანმა მათი გავლენების გაფართოება „ჰიბრიდული ომის“ მეთოდების გამოყენებით. ასევე ამ ორი მაგალითის შედარებითი ანალიზი დამეხმარება, უკეთ გავაანალიზო რუსეთისა და თეირანის სტრატეგიულ მიდგომებს შორის არსებული მსგავსებები თუ განსხვავებები, რაც რევიზიონისტ აქტორთა ქმედებების უკეთ შესწავლის საფუძველს შექმნის. თუმცა ამ მაგალითების გაანალიზებამდე, მნიშვნელოვანია დეტალურად განვიხილოთ ის სამეცნიერო ლიტერატურა, რომელსაც წინამდებარე კვლევა ეყრდნობა.

## 3. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომი აერთიანებს უსაფრთხოების თემატიკის ორ მნიშვნელოვან საკითხს - სტრატეგიის თეორიასა და თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციას. ნაშრომში ასევე მოცემულია ორი მნიშვნელოვანი აქტორის - რუსეთისა და ირანის სტრატეგიული მიდგომების შედარებითი ანალიზი. საყურადღებოა რომ ეს თემატიკა მისი აქტუალობიდან გამომდინარე უკანასკნელ წლებში არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პოლიტიკური თუ უსაფრთხოების სფეროს წარმომადგენელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა.

უსაფრთხოებისა თუ პოლიტიკურ სფეროში ზემოხსენებული დისკურსის აქტუალობიდან გამომდინარე, სტრატეგიის თეორიის ევოლუციის, „ჰიბრიდული ომებისა“ და „რუხი არეალის“ კონფლიქტებთან დაკავშირებით მრავალი პუბლიკაციაა გამოცემული. დასავლურ აკადემიურ წრეებში სტრატეგიის თეორიის განვითარება მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იღებს დასაბამს. „ჰიბრიდულ ომებზე“ და „რუხი არეალის“ კონფლიქტებზე აკადემიურმა დისკუსიამ განსაკუთრებული აქტუალობა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე შეიძინა. ზემოხსენებულ თემებზე არსებული ლიტერატურის სტრუქტურირებულად მიმოხილვის მიზნით, წინამდებარე თავი დაყოფილია ოთხ ქვეთავად: პირველი - სტრატეგიის თეორიის ევოლუცია და სტრატეგიის ფორმირების ალტერნატიული მიდგომების განხილვა; მეორე - „ჰიბრიდული ომებისა“ და „რუხი არეალის“ კონფლიქტების ცნებების აკადემიურ თუ სამხედრო-პოლიტიკურ დისკურსში აქტუალიზაცია; მესამე - რუსეთის კამპანიის მიმოხილვა სირიაში (2015-16 წ.წ.); და მეოთხე - ირანის სუბვერსიული ქმედებების ანალიზი სპარსეთის ყურეში (2019-2020 წ.წ.). ლიტერატურის მომოხილვის დასკვნითი ნაწილი ასევე ირანისა და რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების მიმოხილვას შეეხება.

### *3.1 სტრატეგიის თეორიის ევოლუცია და სტრატეგიის ფორმირების ალტერნატიული მიდგომები*

სტრატეგიის ცნების შესახებ აკადემიური დისკურსის წარმართვა შეუძლებელია ომის თეორიის ფუძემდებლის კარლ ფონ კლაუზევიცის ნაშრომის - „ომის შესახებ“[78] - მიმოხილვის გარეშე. მიმდინარე კვლევა კლაუზევიცის ნაშრომში ასახული ომის პოლიტიკური ბუნების დადგენასა და მის პოლიტიკურ ჭრილში წარმოჩენაზე ამახვილებს ყურადღებას. ამ ეპოქის აკადემიური დისკუსიის უკეთ წარმოსაჩენად კვლევა ასევე ეყრდნობა კლაუზევიცის თანამედროვის, ომის თეორეტიკოსის, ანტუან ჰენრი ჟომინის ნაშრომს - „ომის ხელოვნება“[79]. ჟომინის მიერ ომის პოლიტიკურ მოტივებზე დისკუსია ამ თვალსაზრისით კლაუზევიცის მიერ ომის პოლიტიკურ ბუნებაზე ჩამოყალიბებული თეორიული საფუძვლების უკეთ აღქმაში გვეხმარება. შესაბამისად, კლაუზევიცისა და ჟომინის ნაშრომების მიმოხილვა სტრატეგიის თეორიის შექმნაზე დისკუსიის დაწყების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სტრატეგიის თანამედროვე განსაზღვრებისა და „დიდი სტრატეგიის“ (grand strategy) ცნების ავტორის, გავლენიანი ბრიტანელი თეორეტიკოსის ლიდელ ჰართის ნაშრომი „სტრატეგია“[80] აკადემიურ დისკურსში სტრატეგიის თეორიის საფუძველს ქმნის. შესაბამისად, წინამდებარე კვლევა სტრატეგიის თანამედროვე განსაზღვრებაზე დისკუსიისას აქცენტს სწორედ ლიდელ ჰართის ნაშრომზე სვამს. რადგან სწორედ ლიდელ ჰართის პუბლიკაციას ეყრდნობა სტრატეგიის თანამედროვე დეფინიცია.

სტრატეგიის ცნების ვიწრო სამხედრო განზომილებიდან ფართო პოლიტიკურ ჭრილში ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან პროცესზე მსჯელობისას კვლევა ყურადღებას ამახვილებს ორი გავლენიანი მკვლევრის, მაიკლ ჰენდელისა და სამხედრო ისტორიკოს მაიკლ ჰოვარდის ნაშრომებზე. სახელდობრ, ჰენდელის

---

[78] Carl von Clausewitz, *On War*, eds. Michael Howard et. al (London: Everyman's library, 1993).
[79] Jomini, Antoine-Henri, Baron de. 1862. *The Art of War*. Translated by G. H. Mendell and W. P. Craighill. Philadelphia: J. B. Lippincott.
[80] Basil Henri Liddle Hart. *Strategy*. (New York: Frederick A. Prager, 1954).

წიგნზე - „კლაუზევიცი და თანამედროვე სტრატეგია“[81] და ასევე ჰოვარდის პუბლიკაციაზე - „დიდი სტრატეგია მეოცე საუკუნეში“[82], რაც სტრატეგიის ცნების ევოლუციის ნათლად გააზრების საშუალებას გვაძლევს.

სტრატეგიის ცნების ტრანსფორმაციის პარალელურად წინამდებარე კვლევა ასევე მოკლედ მიმოიხილავს მისი ისტორიული ევოლუციის პროცესსაც. სტრატეგიის ცნების ისტორიულ რაკურსში განხილვისას ჩემი კვლევა ეყრდნობა ორი თანამედროვე მკვლევრის ბეატრის ჰოიზერისა და ჰოლ ბრენდის ნაშრომებს. კერძოდ ჰოიზერის წიგნს - „სტრატეგიის ევოლუცია“[83], ისევე როგორც ბრენდის ერთ-ერთ უკანასკნელ პუბლიკაციას - „თანამედროვე სტრატეგიის ახალი შემქმნელები: ანტიკურობიდან ციფრულ ხანამდე“[84], რაც კვლავ სტრატეგიის ცნების ისტორიულ ჭრილში განხილვის შესაძლებლობას გვაძლევს.

სტრატეგიის თეორიის თანამედროვე გამოწვევებთან მიმართების წარმოსაჩენად წინამდებარე კვლევა ასევე ეყრდნობა სტრატეგიის სამი გავლენიანი თეორეტიკოსის - ქოლინ გრეის, ლორენს ფრიდმანისა და ჯონ ლუის გადისის - ნაშრომებს, სახელდობრ, ფრიდმანის „სტრატეგიის ისტორიას“[85], გრეის „სტრატეგია და პოლიტიკას“[86] და გადისის „დიდი სტრატეგიის შესახებ“[87] , რაც თანამედროვე აკადემიურ დისკურსში სტრატეგიის თეორიის ევოლუციისა და ამ ცნების ფართო კონტექსტში განსაზღვრების შესაძლებლობას გვაძლევს.

როგორც უკვე აღვნიშნე, კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს სტრატეგიის ფორმირების ტრადიციული მოდელების შესწავლა წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, წინამდებარე ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დასავლეთის სამხედრო წრეებში გავრცელებული სტრატეგიის ფორმირების მოდელის შემქმნელის, არტურ ფ. ლიკკე უმცროსის ბუბლიკაციას „სამხედრო

[81] Michael I. Handel. Clausewitz and Modern Strategy (London: Frank Cass and Company Limited, 1986).
[82] Michael Howard, “Grand Strategy in the Twentieth Century”, Defense Studies 1, no.1 (2001): DOI: 10.1080/71400007
[83] Beatrice, Heuser. *The Evolution of Strategy* (Cambridge: Cambridge University Press, 2010).
[84] Hal Brands et.al., (2023), *The New Makers of Modern Strategy: from the Ancient World to the Digital Age.*
[85] Lawrence Freedman. *Strategy: A history* (Oxford: Oxford University Press, 2016).
[86] Colin S. Gray. *Strategy and Politics* (New York: Routledge, 2016).
[87] John Lewis Gaddis, *On Grand Strategy* (New York: Penguin, 2018).

სტრატეგიის განსაზღვრა“.[88] „ლიკკეს მოდელით“ ცნობილი სტრატეგიის ფორმირების ეს ტრადიცია უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე დასავლეთის სამხედრო-პროფესიული წრეების ძირითად მიდგომას ასახავს. სტრატეგიის ფორმირების პროცესის კონცეპტუალიზაციის უკეთ გასაანალიზებლად წინამდებარე კვლევა ასევე ეყრდნობა უსაფრთხოების ორი გავლენიანი მკვლევრის ჰარი იარგერისა და ტერი დაიბელის შრომებს[89], რომლებიც წლების მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პროფესიული განათლების მთავარ სახელმძღვანელო ნაშრომებს წარმაოდგენდა. შესაბამისად, ლიკკეს, დაიბელისა და იარგერის ნაშრომების შესწავლა დასავლეთში ჩამოყალიბებული სტრატეგიის ფორმირების ტრადიციული მოდელების განხილვის უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს.

კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას სტრატეგიის ფორმირების ალტერნატიულ მიდგომებს უთმობს, რომლებიც, უსაფრთხოების მკვლევართა ნაწილის მოსაზრებით, თანამედროვე კონფლიქტების უკეთ გააზრების შესაძლებლობას გვაძლევს. ამ თვალსაზრისით, მიმდინარე ნაშრომი ეყრდნობა უსაფრთხოების სფეროს გავლენიანი მკვლევრების - ვილიამ მარტელის, რიჩარდ რუმელტის, დევიდ ელერის, ფრენკ ჰოფმანისა და ჯეფრი მაიზერის - ნაშრომებს. ვილიამ მარტელის წიგნი „გამარჯვება ომში“[90] დასავლეთის აკადემიურ დისკურსში გამარჯვების თეორიის განხილვების ინიცირებას ახდენს, რაც მიმდინარე კვლევაში სტრატეგიის ფორმირების ალტერნატიულ მიდგომებზე დისკუსიის დაწყების მყარ საფუძველს ქმნის. რიჩარდ რუმელტის წიგნში „კარგი სტრატეგია, ცუდი სტრატეგია: განსხვავებები და რატომ არის ეს მნიშვნელოვანი“[91], ყურადღება გამახვილებულია შედარებითი უპირატესობების მოპოვების და მოწინააღმდეგის სუსტი მხარეების ექსპლუატაციის მნიშვნელობაზე, რაც სტრატეგიის ტრადიციულ მოდელებში ნაკლებად არის

---

[88] Arthur F. Lykke Jr., “Defining Military Strategy”, Military Review 69, no.5 (May 1989).

[89] Harry R Yarger., *Strategic Theory for the 21st Century: The Little Book on Big Strategy* (US Army War College Press, 2006).

[90] William C. Martel, *Victory in War: Foundations of Modern Strategy,* 2nd ed. (Cambridge UK: Cambridge University Press, 2011).

[91] Richard Rumelt, *Good Strategy, Bad Strategy: The Differences and Why it Matters* (London: Profile Books, 2012).

აქცენტირებული. დევიდ ელერისა და ლიან სონდერსის პუბლიკაცია - „სტრატეგია ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში: ადაპტირებული მიდგომის დრო?“[92] განსაკუთრებულ აქცენტს სწორედ სტრატეგიის ტრადიციული მოდელების ხელახალი გააზრების აუცილებლობაზე აკეთებს, ვინაიდან თანამედროვე კონფლიქტების კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი ბუნება, სტრატეგიის ტრადიციული მოდელების გადახედვის აუცილებლობას ქმნის.

წინამდებარე კვლევაში სტრატეგიის ალტერნატიული მიდგომების ანალიზის საფუძველზე შექმნილი ჩარჩო კი ფრანკ ჰოფმანის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციას „ეროვნული სტრატეგიის ფორმირების ხარვეზი: წარმატების თეორია“[93] და ჯეფრი მაიზერის ნაშრომს - „არის თუ არა ჩვენი სტრატეგიული მოდელები მცდარი? მიზნები+გზები+საშუალებები = (ცუდი) სტრატეგია“[94] - ემყარება. ჰოფმანისა და მაიზერის ნაშრომებში ნათლად იკვეთება ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც წარმატების თეორიის საფუძველს ქმნიან. კერძოდ, საკუთარი სიძლიერის მოწინააღმდეგის სუსტი წერტილებისკენ მიმართვით, მათზე შედარებითი უპირატესობის მოპოვება, რაც თანამედროვე „ჰიბრიდული ომებისა“ თუ „რუხი არეალის“ კონფლიქტების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

## *3.2 „ჰიბრიდული ომებისა“ და „რუხი არეალის“ კონფლიქტების ცნების აქტუალიზაცია*

ტრადიციულად კონფლიქტების ტრანსფორმაციის საკითხი, უსაფრთხოების სფეროს ექსპერტთა განხილვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული აქტუალობა „ჰიბრიდული ომებისა“ თუ „რუხი არეალის“ კონფლიქტების ცნებებმა შეიძინა.

---

[92] Ellery, David., Saunders, Liane. “Strategy in the National Security Context: Time for the Adaptive Approach?” in *Military Strategy in 21st Century, The Challenge for NATO* ed. Janne Haaland Matlary and Robert Johnson (London: Hurst & Company, 2021).

[93] Frank G. Hoffman, “The Missing Element in Crafting National Strategy: A Theory of Success”, *Joint Force Quarterly* (2nd Quarter, 2020).

[94] Jeffrey W. Meiser, “Are our Strategic Models Flawed? Ends + Ways + Means= (bad) Strategy”, *Parameters* 46, no. 4, (Winter 2016-17).

ჩემი კვლევა „ჰიბრიდულ ომზე“ მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებს დასავლურ და რუსულ დისკურსში ჩამოყალიბებულ სტრატეგიულ თუ სამხედრო-პოლიტიკურ კონტექსტზე, რომელიც ამ საკითხის აქტულიზაციას უძღვოდა წინ. კერძოდ, დასავლური აკადემიური დისკურსის უკეთ გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია „ჰიბრიდულ ომთან“ კონცეპტუალურად ახლოს მდგომი სამხედრო ცნებების განხილვა, რაც ამ საკითხის ფართო კონტექსტში გააზრების შესაძლებლობას გვაძლევს. შესაბამისად, მიმდინარე კვლევა მოკლედ მიმოიხილავს იმ ცნებებს, რომლებმაც დასავლურ აკადემიურ დისკურსში საფუძველი ჩაუყარა „ჰიბრიდული ომის“ თეორიას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემდეგი ავტორების ნაშრომებს: ჯორჯ ქენანის „პოლიტიკური ომის“ ცნებას; ჩიაო ლანგისა და ვანგ შიანსუეის ავტორობით გამოცემულ წიგნს - „შეუზღუდავი ომი“;[95] უილიამ ლინდისა და თომას ჰამსის ნაშრომებს - „ომის ცვალებადი სახე: მეოთხე თაობისკენ“[96] და „შურდული და ქვა: ომი 21-ე საუკუნეში“;[97] თომას ჰუბერის პუბლიკაციას - „კომბინირებული ომი: კონცეპტუალური ჩარჩო“.[98] „ჰიბრიდულ ომთან“ კონცეპტუალურად ახლოს მდგომი ამ სამხედრო ცნებების მოკლე მიმოხილვას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: „ჰიბრიდული ომის“ დასავლურ დისკურსში დამკვიდრების წინაპირობებისა თუ ზოგადი კონტექსტის ანალიზი.

რუსეთის აკადემიურ თუ სამხედრო-პოლიტიკურ დისკურსში „ჰიბრიდული ომის“ ცნების დამკვიდრების გასაანალიზებლად, წინამდებარე კვლევა ყურადღებას ამახვილებს რუსეთისა თუ საბჭოთა კავშირის წიაღში შექმნილ სამხედრო ტრადიციებზე, რომლებიც მოწინააღმდეგე ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერებაზე კონტროლის დამყარებას ისახავს მიზნად. სახელდობრ, განხილულია „რეფლექსიური კონტროლისა“ და „აქტიური

[95] Qiao Liang and Xiangsui Wang, *Unrestricted Warfare: China's Master Plan to Destroy America* (Panama City Panama: Pan American Pub, 2002).
[96] William S. Lind and Colonel Keith Nightengale, "The changing face of war: into the fourth generation," in *Global Insurgency and the Future of Armed Conflict*, eds. Terry Terriff, Aaron Karp, and Regina Karp. (London: Routledge, 2007).
[97] Thomas X. Hammes, "War evolves into the fourth generation," *Contemporary Security Policy* 26, no. 2 (August 2005): DOI: 10.1080/13523260500190500.
[98] Thomas Huber, "Compound Warfare: A Conceptual Framework," in *Compound Warfare: That Fatal Knot*, ed. Thomas Huber (Fort Leavenworth: U.S. Army Command and General Staff College Press, 2002).

მოქმედებების“ ცნებები, ისევე როგორც მესნერის „ამბოხის ომის“ თეორია,[99] რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რუსული „ჰიბრიდული ომის“ ცნების ფორმირებაზე. შესაბამისად, ხსენებული ცნებების მოკლე მიმოხილვა რუსულ აკადემიურ თუ სამხედრო-პოლიტიკურ დისკურსში „ჰიბრიდული ომის“ წარმოქმნის გაანალიზების შესაძლებლობას გვაძლევს.

დასავლური დისკურსის ფორმირებაზე განსაკუთრებულ გავლენას სამხედრო თეორეტიკოსის ფრენკ ჰოფმანის ნაშრომები ახდენს. სწორედ მის სახელს უკავშირდება აკადემიურ თუ სამხედრო-პოლიტიკურ წრეებში „ჰიბრიდული ომის“ ცნების აქტუალიზაცია. ფრენკ ჰოფმანმა საფუძველი დაუდო „ჰიბრიდული ომის“ ადრეულ, შედარებით უფრო ვიწრო სამხედრო ჭრილში განხილვასა და დამკვიდრებას. შესაბამისად, წინამდებარე კვლევა „ჰიბრიდული ომის“ დასავლურ დისკურში დამკვიდრებაზე დისკუსიის გასაანალიზებლად განსაკუთრებულ აქცენტს სწორედ ფრენკ ჰოფმანის ადრეულ ნაშრომებზე აკეთებს. სახელდობრ, მისი პუბლიკაცია, „კონფლიქტი 21-ე საუკუნეში: ჰიბრიდული ომის აღზევება,“[100] ხსენებული ცნების ადრეული დისკურსის საწინდარია და მისი აქტუალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ასევე საყურადღებოა, რომ ფრენკ ჰოფმანის  უფრო გვიანდელი ნაშრომები საშუალებას გვაძლევს „ჰიბრიდული ომი“ განვიხილოთ სტრატეგიულ კონტექსტში, კერძოდ კი წარმატების თეორიის ფარგლებში. ამ მხრივ განსაკუთრებულად საყურადღებოა მისი პუბლიკაცია „ეროვნული სტრატეგიის ფორმირების ნაკლოვანება: წარმატების თეორია“[101], რომელიც თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესს  სტრატეგიის თეორიის კონტექსტში განიხილავს.

დასავლურ დისკურსში  „ჰიბრიდული ომის“ უფრო ფართო სტრატეგიულ კონტექსტში განხილვას ვხვდებით საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრების ნაშრომებში, რაც მნიშვნელოვანწილად რუსეთის

---

[99] Евгений Месснер, *Мятеж: имя третьей всемирной* (Институт им. Гололина, 1960).

[100] Frank Hoffman, *Conflict in the Twenty-First Century: The Rise of Hybrid Warfare* (Arlington: Potomac Institute for Policy Studies, 2007).

[101] Frank G. Hoffman, “The Missing Element in Crafting National Strategy: A Theory of Success”, *Joint Force Quarterly* (2nd Quarter, 2020).

აგრესიული ქმედებების გამოძახილს წარმოადგენს. სახელდობრ, ეს კვლევა განსაკუთრებულ აქცენტს ახდენს ნატოს დოკუმენტებისა[102] და სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტის (IISS) ნაშრომებზე[103], რაც „ჰიბრიდული ომის“ ცნების ფართო სტრატეგიულ ჭრილში რეკონცეპტუალიზაციის საფუძველს ქმნის. ამასთანავე ხსენებული ნაშრომები დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ თუ აკადემიურ წრეებში რუსეთის საფრთხის ხელახალი გააზრების საშუალებას გვაძლევს, რაც მნიშვნელოვანწილად მოსკოვის მიერ ყირიმისა თუ სირიის ოპერაციებში მიღწეული წარმატების შედეგად გამოიკვეთა.

ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა დისკუსიას, რომელიც რუსეთის პოლიტიკური პროცესების ჯეროვნად ვერ აღქმას უკავშირდება. მოსკოვის მიერ ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში წარმოებულმა სამხედრო ოპერაციებმა დასავლეთის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში გამოიწვია მოულოდნელობის ეფექტი და შექმნა გარკვეული ეიფორია რუსეთის ახალი სამხედრო სტრატეგიის - „ჰიბრიდული ომის“ - განსაკუთრებულობასთან დაკავშირებით. ამ მოულოდნელობის ეფექტმა კი ნათლად გამოავლინა დასავლეთის უსაფრთხოების წრეებში რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების სათანადოდ ვერ აღქმისა თუ გაგების პრობლემა. ამ მნიშვნელოვან დისკუსიაში, რომელიც დასავლეთის მოსკოვთან მიმართებაში გამოვლენილი სისუსტეების საჯარო განხილვას ეძღვნება, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მეისონ კლარკის, ოფერ ფრიდმანისა და მარკ გალეოტის პუბლიკაციებს. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ამ ჯგუფს აერთიანებს არა მხოლოდ დასავლური აკადემიური „მეინსტრიმის“ მიმართ სკეფსისი, არამედ რუსეთის შიდაპოლიტიკური პროცესების ღრმა ცოდნაც.

ოფერ ფრიდმანისა და მეისონ კლარკის ნაშრომებს - “გერასიმოვის დოქტრინის შესახებ: რატომ ვერ ახერხებს დასავლეთი რუსეთისათვის სათანადო

---

[102] North Atlantic Treaty Organisation, *BI-SC Input to a NEW Capstone Concept for the Military Contribution to Countering Hybrid Threats* (Brussels, 2010).

[103] International Institute for Strategic Studies, *The Military Balance 2015*, editor's introduction, https://www.iiss.org/en/publications/military%20balance/issues/the-military-balance-2015-5ea6/mb2015-oob-forward-eff4.

პასუხის გაცემას”[104], “რუსეთის ჰიბრიდული ომი: აღზევება და პოლიტიზაცია” და „რუსეთის ჰიბრიდული ომი“[105] - განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ რუსეთის პერსპექტივის შინაარსობრივ ანალიზსა და დასავლეთის სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში. კერძოდ, ხსენებულ ნაშრომებში წარმოდგენილი რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტებისა თუ იდეოლოგების ხედვების დეტალური განხილვა ქმნის რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ თეორიის ნათლად აღქმისა და სიღრმისეულად გაანალიზების საფუძველს. ხსენებული დისკუსია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დასავლეთის აკადემიურ და სამხედრო-პოლიტიკურ წრეებში რუსეთის პერსპექტივის ირგვლივ შექმნილი ბუნდოვანების გაფანტვასა და მოსკოვის ჰიბრიდული ოპერაციების უკეთ აღქმას.

მარკ გალეოტის სტატია „გერასიმოვის მითიური დოქტრინა და მუქარის ენა“[106] კი განსაკუთრებით საყურადღებოა ეგრეთწოდებული „გერასიმოვის დოქტრინის“ კრიტიკული შეფასების თვალსაზრისით. კერძოდ, გალეოტი აფასებს, თუ რამდენად გაზვიადებული და არასწორია ტერმინი „გერასიმოვის დოქტრინა“. ხსენებულ სტატიასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ გალეოტმა თავად შეიმუშავა ეს ტერმინი და, შესაბამისად, მისი უკონტროლო გამოყენების საფუძველზე გადაწყვიტა, დაეკავშირებინა „გერასიმოვის დოქტრინის“ არასწორი ინტერპრეტაცია დასავლეთში რუსეთის სტრატეგიის ვერ აღქმის პრობლემატიკასთან.

„ჰიბრიდულ ომთან“ მიმართებაში დასავლური დისკურსის ფორმირებაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უსაფრთხოების სფეროს გამორჩეული მკვლევარის ქეირ ჯაილსის პუბლიკაციები. სახელდობრ, მისი უკანასკნელი ნაშრომი, „რუსეთის ომი ყველას წინააღმდეგ და რას ნიშნავს ის თქვენთვის“[107], რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოსკოვის მიერ წლების მანძილზე

---

[104] Fridman, Ofer. 2019. “On the ‘Gerasimov Doctrine’: Why the West Fails to Beat Russia to the Punch”. *Prism 8, No. 2.*
[105] Clark, Mason. 2020. “Russian Hybrid Warfare”. *The Institute of the Study of War (ISW), Washington DC 20036.*
[106] Galeotti, Mark. 2018. “The Mythical ‘Gerasimov Doctrine’ and the Language of Threat”. *Critical Studies on Security.*
[107] Keir Giles, Russia’s War on Everybody and What it Means for You (London: Bloomsbury 2023).

დასავლური ინსტიტუციების წინააღმდეგ წარმოებულ მრავალგანზომილებიან კამპანიაზე. საყურადღებოა, რომ ჯაილსის ეს წიგნი რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ფართომასშტაბიანი აგრესიის შემდგომ გამოიცა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსკოვის მიერ წარმოებულმა, ფართომასშტაბიანმა, კონვენციურმა სამხედრო კამპანიამ რუსეთის „ჰიბრიდული ომის" აქტუალობაზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა. რამეთუ რუსეთის სამხედრო ტრადიცია „ჰიბრიდული ოპერაციების" ფარგლებში კონვენციური სამხედრო კომპონენტის ჩართვას არ გამორიცხავს. ზოგადად, ქეირ ჯაილსის, მეისონ კლარკის, ოფერ ფრიდმანისა და მარკ გალეოტის ნაშრომებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ როგორც დასავლური დისკურსის ფორმირებაზე, ასევე რუსეთის პერსპექტივის მკაფიოდ გააზრებაზე. შესაბამისად, წინამდებარე კვლევა „ჰიბრიდული ომის" დასავლური დისკურსისა და რუსეთის პერსპექტივის ანალიზისას სწორედ ამ მკვლევართა ნაშრომებს ეყრდნობა.

რუსულ დისკურსში „ჰიბრიდული ომის" ცნების აქტუალიზაცია რუსეთის სამხედრო ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელის, გენერალ ვალერი გერასიმოვის სახელს უკავშირდება. სახელდობრ, მის მიერ 2013 წელს სამხედრო-ინდუსტრიულ კურიერში[108] გამოქვეყნებული პუბლიკაცია დასავლელ მკვლევართა მიერ ყველაზე ხშირად ციტირებულ ნაშრომად იქცა. შესაბამისად, რუსლული დისკურსის ანალიზისას წინამდებარე კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ გენერალი გერასიმოვის პუბლიკაციებსა და საჯარო გამოსვლებს უთმობს. თუმცა რუსული 'ჰიბრიდული ომის' მახასიათებლების სისტემური ანალიზის კუთხით, განსაკუთრებული მნიშვნელობა სამხედრო ექსპერტების - პოლკოვნიკ სერგეი ჩეკინოვისა და გენერალ სერგეი ბოგდანოვის პუბლიკაციას ენიჭება. კერძოდ, მათ მიერ 2013 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაცია - „ახალი თაობის ომების ბუნება და შინაარსი"[109] რუსეთის

---

[108] Валерий Васильевич Герасимов, «Ценность науки в предвидении,» *Военно-промышленный курьер*, № 8 (476), 27 февраля – 5 марта 2013, https://www.vpk-news.ru/articles/14632 (дата обращения: 13 ноября 2023).

[109] С.Г. Чекинов and С.А. Богданов, «О характере и содержании войны нового поколения,» *Военная мысль*, № 10 (2013): 13-24, https://bik.sfu-kras.ru/elib/view?id=PRSV-%2F%D0%A7-37-522328 (дата обращения: 13 ноября 2023).

„ჰიბრიდული ომის“ თავისებურებების სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა. გენერალ გერასიმოვის სტატიის მსგავსად, ჩეკინოვისა და ბოგდანოვის ეს პუბლიკაცია დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული და ხშირად ციტირებული ნაშრომია. ხსენებულ სამხედრო ექსპერტებთან ერთად, რუსეთის უსაფრთხოების სფეროს ორი მკვლევრის კისილევისა[110] და ბარტოშის[111] ნაშრომები თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაციის რუსული ხედვის გაანალიზების შესაძლებლობას გვაძლევს. შესაბამისად, მათი პუბლიკაციები, ისევე როგორც სამხედრო ექსპერტების ჩეკინოვის, ბოგდანოვისა თუ გერასიმოვის ხედვების დეტალური განხილვა რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ თეორიის მკაფიოდ აღქმისა და სიღრმისეულად გაანალიზების საფუძველს ქმნის. ამასთანავე, ხსენებული პუბლიკაციები გვეხმარება ნათლად წარმოვაჩინოთ დასავლურ და რუსულ სამხედრო სტრატეგიულ აზროვნებაში „ჰიბრიდულ ომთან“ დაკავშირებით არსებული განსხვავებები.

მიუხედავად იმისა, რომ შესწავლის საგანს უშუალოდ საქართველო არ წარმოადგენს, კვლევა ასევე ეყრდნობა საქართველოს სამოქალაქო თუ სამხედრო ექსპერტთა მიერ გამოცემულ ნაშრომებს. ამ მხრივ, საინტერესოა თინათინ ხიდაშელის რედაქტორობით 2023 წელს გამოცემული წიგნი ‘ჰიბრიდული ომების ანატომია’[112], რომელიც ქართველ სამხედრო თუ სამოქალაქო მკვლევართა ნაშრომებს აერთიანებს. ხსენებული კრებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ჰიბრიდული ომის“ ცნების ქართული პერსპექტივიდან განხილვის კუთხით. განსაკუთრებით კი რევიზიონისტი აქტორების სამიზნე პატარა სახელმწიფოების გადმოსახედიდან „ჰიბრიდული ომის“ საფრთხეების შეფასების თვალსაზრისით. ამასთანავე ხსენებული პუბლიკაცია თავს უყრის „ჰიბრიდული ომის“

---

[110] V. Kiselev, “Hybrid War as a New Type of War of the Future” (in Russian), Army Collection, December 2015, https://dlib.eastview.com/browse/doc/45952340.

[111] Alexander Bartosh, “Strategy and Counter Strategy in Hybrid Warfare”, Military Thought, October 2018, http://dlib.estview.com/browse/doc/53754116.

[112] ხიდაშვილი, თინათინი (რედ.). *ჰიბრიდული ომების ანატომია.* თბილისი: პალიტრა L, 2023. 536 გვ. ISBN 978-9941-32-528-1.

განსხვავებული კომპონენტების სტრატეგიული კუთხით განხილვას, რაც წინამდებარე კვლევის შესწავლის საგანს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, „ჰიბრიდული ომის“ პარალელურად, წინამდებარე კვლევა ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს „რუხი არეალის“ ცნებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში „ჰიბრიდული ომის“ სინონიმადაც გამოიყენება. თუმცა „ჰიბრიდული ომისაგან“ განსხვავებით, „რუხი არეალის“ კონფლიქტები კონვენციური სამხედრო ოპერაციების ჩატარებას გამორიცხავს და ღია სამხედრო ქმედებების ზღვარს მიღმა მიმდინარე ქმედებებს აერთიანებს. სახელდობრ, „რუხი არეალი“ წარმოადგენს სივრცეს, რომელშიც აგრესორი მიზანმიმართულად ახდენს ომისა და მშვიდობის ცნებების აღრევას. კერძოდ, ამ მოქმედებების არეალში აქცენტი კეთდება იმ სახის ინსტრუმენტების გამოყენებაზე, რომელთა კონფლიქტში ჩართული რომელიმე მხარისთვის მიკუთვნება შეუძლებელია; რაც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის შექმნას. წინამდებარე კვლევაში ამ ორ ცნებას შორის არსებული მსგავსებებისა თუ განსხვავებების გამოკვეთა კიდევ უფრო აქტუალურია, რამეთუ რუსეთისა და ირანის მაგალითების განხილვისას ამ აქტორთა მიმართ ორივე ცნების გამოყენება ხდება საჭირო.

„რუხი არეალის“ ცნების გასაანალიზებლად ნაშრომი მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა რენდისა და აშშ-ის ომის კოლეჯის მიერ უკანასკნელ წლებში გამოცემულ მონოგრაფიებსა და პუბლიკაციებს. კერძოდ, მაიკელ მაზარის[113], ჯონ ჩემბერსის[114], სტასიელ ფეთიჯონის, ბექქა ვასერისა[115] და რენდის ექსპერტთა პუბლიკაციებს[116]. ხსენებული ნაშრომები გვთავაზობენ არა მხოლოდ „რუხი არეალის“ ცნების განმარტებას, არამედ ამ ტიპის კონფლიქტებისთვის

[113] Michael J. Mazarr. “Mastering the Gray Zone: Understanding a Changing Era of Conflict”, US Army War College (USAWC Press), December 1, 2015.
[114] John Chambers. “Countering Gray-Zone Hybrid Threats”, Modern War Institute at West Point, October 18, 2016.
[115] Staciel L. Pettyjohn, Becca Wasser. “Competing in the Gray Zone: Russian Tactics and Western Responses”, RAND, 2019.
[116] Lyle J. Morris, Michael J. Mazarr, Jeffrey W. Hornung, Stephanie Pezard, Anika Binnendijk, Marta Kepe, “Gaining competitive advantage in the gray zone”, RAND, 2019.

დამახასიათებელი გამოწვევებისა და მათი შეკავების ჩარჩოს აღწერილობას, რომლებსაც პოლიტიკური რეკომენდაციების სახე გააჩნია. თუმცა „რუხი არეალის“ ფენომენის შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ელიზაბეთ ბროს წიგნი „დამცველთა დილემა: რუხი არეალის აგრესიის განსაზღვრა და შეკავება,“[117] რომელიც ხსენებული ფენომენის მრავალი ქვეყნის მაგალითზე დაფუძნებულ დეტალურ კვლევას გვთავაზობს.

### *3.3 ირანის სუბვერსიული ქმედებები სპარსეთის ყურეში (2019-2020 წლებში)*

ირანის ისლამური რესპუბლიკის მიერ სპარსეთის ყურეში წარმოებული სუბვერსიული ქმედებები თეირანის „რუხი არეალის“ სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტია; სტრატეგიის, რომლის ქვაკუთხედსაც მოწინააღმდეგის სუსტი მხარეების ექსპლუატაცია და მათზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვება წარმოადგენს. თეირანის ეს სტრატეგიული მიდგომა ირანს საშუალებას აძლევს, დაუპირისპირდეს მასზე სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებს, მათთან ღია, კონვენციურ კონფლიქტში ჩართვის რისკების მნიშვნელოვანი შემცირებით. ირანის მიერ წლების მანძილზე წარმოებული „რუხი არეალის“ ოპერაციები დასავლეთისა და მათი რეგიონული მოკავშირეებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რამეთუ თეირანის ეს სტრატეგიული მიდგომა ირანს მისი რევიზიონისტული მიზნების მიღწევასა და საერთაშორისო თუ რეგიონული წესრიგის შესუსტებაში ეხმარება. შესაბამისად, თეირანის „რუხ არეალში“ მოქმედების სტრატეგია არა მარტო ირანის მკვლევართა, არამედ უსაფრთხოების ექსპერტთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რაზეც ამ თემატიკაზე გამოქვეყნებული აკადემიური თუ სამხედრო-პოლიტიკური პუბლიკაციების სიმრავლეც მეტყველებს.

გამოქვეყნებული მასალების სიმრავლის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ირანის იმ მკვლევართა ნაშრომებს,

[117] Elizabeth Braw. Defenders Dilemma: Identifying and Deterring Gray Zone Aggression, (American Enterprise Institute 2022).

რომლებიც იმავდროულად უსაფრთხოების სფეროს ექსპერტებიც არიან. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია მაიკელ აიზენშტადის ორი მონოგრაფია - „რუხ არეალში ოპერირება: ირანის ასემეტრიული ომის წინაღობა“[118] და „ირანის რუხ არეალში შეკავება: ოთხ ათწლეულიანი კონფლიქტის აღქმა“[119]. აიზენშტადის ხსენებული პუბლიკაციები ირანის სამხედრო სტრატეგიის, განსაკუთრებით კი თეირანის მიერ უკანასკნელ წლებში წარმოებული ასიმეტრიული ოპერაციების ერთ-ერთი ყველაზე უფრო საფუძვლიანი კვლევაა. რუხი არეალის ოპერაციების მახასიათებლებთან ერთად, ზემოხსენებული მონოგრაფიები ირანის ასიმეტრიული ინსტრუმენტებისა და თეირანის სტრატეგიის მთავარი კომპონენტების დეტალურ ანალიზს გვთავაზობს. ამ პუბლიკაციებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ირანის მიერ 2019-21 წლებში წარმოებულ სუბვერსიულ ოპერაციებზე; ანუ იმ პერიოდზე, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების გაზრდილი ზეწოლის საპასუხოდ, თეირანის მიერ სპარსეთის ყურეში განხორციელებული სუბვერსიული ქმედებები განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა.

ირანის „რუხი არეალის“ ქმედებების ანალიზი ასევე მოექცა წამყვანი საერთაშორისო კვლევითი ცენტრების ყურადღების ცენტრში. შესაბამისად, წინამდებარე კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტრატეგიული და საერთაშორისო სწავლებების ცენტრის (CSIS), საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის (ICG), სტრატეგიულ სწავლებათა საერთაშორისო ინსტიტუტისა (IISS) და კონგრესის კვლევითი ცენტრის (CRS) ნაშრომებს. სტრატეგიული და საერთაშორისო სწავლებების ცენტრის კვლევა - „ბირთვული შეთანხმების შემდეგ ირანის შეკავება“[120] - თავს უყრის უსაფრთხოების ექსპერტთა პუბლიკაციებს თეირანის მიერ შექმნილი ასიმეტრიული ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც ირანის რუხი არეალის სტრატეგიის ცენტრალურ კომპონენტს შეადგენს.

---

[118] Michael Eisenstadt, *Operating in the "Gray Zone": Countering Iran's Asymmetric "Way of War"* (Washington, DC: The Washington Institute for Near East Policy, 2020).

[119] Michael Eisenstadt, "Deterring Iran in the Gray Zone: Insights from Four Decades of Conflict," *The Washington Institute for Near East Policy*, April 14, 2021.

[120] Kathleen H. Hicks and Melissa G. Dalton, "Deterring Iran after the Nuclear Deal," *Center for Strategic and International Studies (CSIS)*, March 2017.

საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის მიერ 2018 წელს გამოცემული ნაშრომი - „ირანის პრიორიტეტები ტურბულენტულ შუა აღმოსავლეთში“[121] თეირანის უსაფრთხოების პოლიტიკის, გადაწყვეტილების მიმღები სისტემებისა და სტრატეგიული მიდგომების დეტალურ ანალიზს გვთავაზობს. განსაკუთრებით საყურადღებო კი ისაა, რომ ხსენებული კვლევა ირანის ასობით სამხედრო და სამოქალაქო  მოქმედი თუ ყოფილი თანამდებობის პირის ინტერვიუებს ეყრდნობა, რაც თეირანის პერსპექტივის ნათლად წარმოჩენას უწყობს ხელს. სტრატეგიულ სწავლებათა საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ 2019 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული მოცულობითი კვლევა - „ირანის გავლენის ქსელები მახლობელ აღმოსავლეთში“[122] - თეირანის რუხი არეალის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტის, მისი გავლენის ქსელების ან ეგრეთ წოდებული „პროქსი“ ჯგუფების საფუძვლიან ანალიზს გვთავაზობს. კონგრესის კვლევების ცენტრის 2020 წელს გამოქვეყნებული  ნაშრომი - „ირანის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა “[123] - თეირანის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიისა თუ საგარეო პოლიტიკის მაფორმირებელი ფაქტორების მიმოხილვას ეძღვნება. ზემოხსენებული კვლევები, განსაკუთრებით საყურადღებოა ირანის საფრთხის აღქმის, ეროვნული ინტერესების, სტრატეგიული მიდგომებისა თუ ასიმეტრიული ოპერაციებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტების შესწავლის თვალსაზრისით.

ირანის უსაფრთხოების სტრატეგიის შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია რენდის მკვლევრის, არიეან ტაბატაბაის  წიგნი - „არც დაპყრობა, არც დამარცხება: ირანის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია“[124]. ტაბატაბაის წიგნი, უკანასკნელ წლებში ირანის უსაფრთხოების პოლიტიკაზე გამოცემული ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნაშრომია, რომელიც თეირანის სტრატეგიულ მიდგომებს ისტორიულ ჭრილში განიხილავს.

---

[121] “Iran’s Priorities in a Turbulent Middle East”, International Crisis Group (ICG), Middle East Report N°184, 13 April 2018

[122] “Iran’s Network of Influence in the Middle East”, The International Institute for Strategic Studies (IISS), November 2019.

[123] Henneth Hathman, “Iran’s Foreign and Defense Policies”, Congressional Research Service, January 30, 2020.

[124] Ariane M. Tabatabai, *No Conquest, No Defeat: Iran’s National Security Strategy*, (Oxford: Oxford University Press 2020).

შესაბამისად, ირანის უსაფრთხოების პოლიტიკის თუ სტრატეგიის მაფორმირებელი ფაქტორების განხილვისის, წინამდებარე კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ხსენებულ ნაშრომს უთმობს. ამ თვალსაზრისით, ასევე საყურადღებოა არიენ ტაბატაბაის ადრინდელი პუბლიკაციებიც და მათ შორის „ირანის ეროვნულ უსაფრთხოებაზე მიმდინარე დებატები“[125], რომელიც მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს თეირანის გადაწყვეტილებების მიღების სისტემისა და კონვენციური თუ არაკონვენციური სამხედრო ინსტრუმენტების თემატიკას.

თანამედროვე ირანის სტრატეგიის სიღრმისეულ ანალიზს გვთავაზობს ვალი ნასერის მიერ 2025 წელს გამოქვეყნებული წიგნი „ირანის დიდი სტრატეგია“[126]. ეს ნაშრომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თეირანის თანამედროვე სტრატეგიული მიდგომების ისტორიული პრიზმიდან გასაანალიზებლად. ნასერი დეტალურად განიხილავს, თუ რა გავლენა იქონია ირან-ერაყის ომმა „რუხი არეალის“ სტრატეგიის ფორმირებაზე. გარდა ამისა, ნასერის ნაშრომი მნიშვნელოვანია ირანის უსაფრთხოების სტრატეგიის ძირითადი ასპექტების შესასწავლად, როგორიცაა „მოწინავე თავდაცვისა“ (Forward Defense) და „წინააღმდეგობის ღერძის“ (Axis of Resistance) ცნებები.

ზემოხსენებულ პუბლიკაციებთან ერთად, რომლებიც წინამდებარე კვლევისას გამოყენებული აკადემიური წყაროების არასრული ჩამონათვალია, ჩემი ნაშრომი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ირანის სტრატეგიული დოკუმენტებისა თუ მოქმედი და გადამდგარი თანამდებობის პირების მიერ, განსაკუთრებით 2019-21 წლებში, გაკეთებულ განცხადებებს.

### *3.4 რუსეთის მიერ სირიაში ჩატარებული კამპანია (2015-16 წ.წ.)*

რუსეთის მიერ სირიაში ჩატარებული სამხედრო კამპანია (2015-16 წწ.), უსაფრთხოების ექსპერტთა ფართო წრის შეფასებით, შუა აღმოსავლეთში მოსკოვის გავლენების ზრდის გარდამტეხი ფაქტორი აღმოჩნდა. მოსკოვის მიერ

---

[125] Ariane M. Tabatabai, *Iran's National Security Debate* (Santa Monica, CA: RAND Corporation, 2019).
[126] Vali Nasr, *Iran's Grand Strategy: A Political History* (Princeton, NJ: Princeton University Press, 2025).

რეგიონში არსებულ ანტიდასავლურ განწყობებზე კაპიტალიზაცია, ისევე როგორც კონვენციური და არაკონვენციური ინსტრუმენტების შეთანხმებული გამოყენება რუსეთის გავლენების ზრდის მთავარ მიზეზებად სახელდება. ამ პერიოდს დასავლურ აკადემიურ თუ სამხედრო-პოლიტიკურ დისკურსში ხშირად მოიხსენიებენ როგორც რუსეთის შუა აღმოსავლეთში დაბრუნებად, რომლის გავლენებიც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მნიშვნელოვნად შემცირებული იყო. შესაბამისად, რუსეთის შუა აღმოსავლეთში გააქტიურება ამერიკის შეერთებული შტატების მნიშვნელოვან გამოწვევად ჩამოყალიბდა, რაც გლობალურ აქტორთა შორის მიმდინარე სტრატეგიული დაპირისპირების ერთ-ერთ გარდამტეხ ასპექტად იქცა. შესაბამისად, წინამდებარე კვლევა მოსკოვის მიერ სირიაში ჩატარებულ კამპანიაზე მსჯელობისას ყურადღებას უფრო ფართო კონტექსტზე, კერძოდ კი რუსეთის შუა აღმოსავლეთში გააქტიურებულ საგარეო პოლიტიკაზე ამახვილებს. ხსენებული თემატიკა კი არა მხოლოდ რუსეთის მკვლევრების, არამედ უსაფრთხოების ექსპერტთა განსაკუთრებულ ინტერესსაც იწვევს, რაზეც ამ საკითხზე უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული აკადემიური თუ სამხედრო-პოლიტიკური პუბლიკაციების სიმრავლეც მეტყველებს.

შუა აღმოსავლეთში რუსეთის მზარდი გავლენები წამყვანი საერთაშორისო კვლევითი ცენტრების ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რენდის (RAND), სტრატეგიული და საერთაშორისო სწავლებების ცენტრის (CSIS), ჯეიმსთაუნის ფონდის (Jamestown Foundation), საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის (Foreign Policy Research Institute) და კარნეგის ფონდის (Carnegie Endowment) მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები. რენდის მიერ 2023 წელს გამოცემული პუბლიკაცია - „გლობალურ ძალთა დაპირისპირება და კონფლიქტი შუა აღმოსავლეთში“[127] - თავს უყრის უსაფრთხოების ექსპერტთა ნაშრომებს, რომელთაგანაც ჩემი კვლევისთვის განსაკუთრებულად აქტუალურია, შუა აღმოსავლეთში რუსეთის ცვალებადი ინტერესების ანალიზი. რენდის მიერ

[127] Ashley L. Rhoades, Elina Treyger, Nathan Vest, Christian Curriden, Brad A. Bermish, Irina A. Chindea, and Raphael S. Cohen, *Great Power Competition and Conflict in the Middle East* (Santa Monica, CA: RAND Corporation, 2023).

2021 წელს გამოცემული კვლევა - „რუსეთის სამხედრო ინტერვენციები“[128] - რომელშიც ასევე წამყვანი სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტების ნაშრომებია თავმოყრილი, განსაკუთრებით საყურადღებოა რუსეთის სირიაში ჩატარებული კამპანიის მიზეზებისა და მამოძრავებელი ფაქტორების განხილვის თვალსაზრისით. ამასთანავე ხსენებულ ნაშრომში დეტალურადაა მიმოხილული ის ფაქტორები, რომლებიც რუსეთის სამხედრო ინტერვენციებს ახლავს თან. რენდის მკვლევართა მიერ 2019 წელს გამოცემული ნაშრომი - „სირიაში რუსეთის ინტერვენციის გააზრება“[129] – გვთავაზობს იმ გეოპოლიტიკური ფაქტორების ანალიზს, რომლებიც სირიის ოპერაციას უძღვოდა წინ და როგორც რუსეთის ასევე რეგიონული მოთამაშეების გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვან გავლენა მოახდინა. ხსენებული პუბლიკაციის ანალიზი ასევე საყურადღებოა მოსკოვის მოტავიციისა და ინტერესების გააზრების კუთხითაც.

საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი - „რუსეთის ომი სირიაში: რუსეთის სამხედრო შესაძლებლობების შეფასება და გაკვეთილები“[130] - სირიაში რუსეთის მიერ წარმოებული სამხედრო კამპანიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოცულობითი კვლევაა. რობერტ ჰამილტონის, კრის მილერისა და აარონ შტეინის რედაქტორობით გამოცემული ეს ნაშრომი განსაკუთრებულ ყურადღებას სირიის ოპერაციის სამხედრო კომპონენტის ანალიზს უთმობს. ჩემი კვლევისთვის, ხსენებული კრებულიდან განსაკუთრებით საყურადღებოა უსაფრთხოების სფეროს ექსპერტის მაიკლ ქოფმანის მიერ მოსკოვის სამხედრო სტრატეგიის სიღრმისეული შეფასება. სტრატეგიული და საერთაშორისო სწავლებების ცენტრი 2020 წელს აქვეყნებს რუსეთის მიერ სირიაში წარმოებული კამპანიის შედარებით უფრო

[128] Samuel Charap, Edward Geist, Bryan Frederick, John J. Drennan, Nathan Chandler, and Jennifer Kavanagh, *Russia's Military Interventions: Patterns, Drivers, and Signposts* (Santa Monica, CA: RAND Corporation, 2021).

[129] Samuel Charap, Elina Treyger, and Edward Geist, *Understanding Russia's Intervention in Syria* (Santa Monica, CA: RAND Corporation, 2019).

[130] Robert E. Hamilton, Chris Miller, and Aaron Stein, *Russia's War in Syria: Assessing Russia's Military Capabilities and Lessons Learned* (Philadelphia: Foreign Policy Research Institute, 2020).

მრავალგანზომილებიან კვლევას - „მოსკოვის ომი სირიაში“[131]. სეტ ჯონის რედაქტორობით გამოქვეყნებული ხსენებული ნაშრომი, სირიის კამპანიის სამხედრო კომპონენტთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას მოსკოვის დიპლომატიურ ქმედებებზე აკეთებს. რუსეთის შუა აღმოსავლეთის პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტში ანალიზს, 2018 წელს ჯეიმსთაუნის ფონდი აქვეყნებს. შტეფან ბლანკისა და თეოდორ კარასიკის რედაქტორობით გამოცემული ნაშრომი - „რუსეთი შუა აღმოსავლეთში“[132] - ამ თემატიკაზე გამოცემული ერთ-ერთი ყველაზე მოცულობით კვლევაა, რომელშიც როგორც რუსეთის, ასევე რეგიონული აქტორების პერსპექტივა და ხედვები დეტალურად არის გაანალიზებული. თუმცა ჩემი კვლევისთვის ხსენებული ნაშრომის განსაკუთრებით საყურადღებო მონაკვეთს, მოსკოვის მიერ ასიმეტრიული ინსტრუმენტების, სახელდობრ, საინფორმაციო ოპერაციებისა და ვაგნერის დაჯგუფბის ქმედებების დეტალური ანალიზი წარმოადგენს.

შუა აღმოსავლეთში მოსკოვის გავლენების ზრდის რუსეთის პერსპექტივის გასაანალიზებლად საყურადღებოა კარნეგის ფონდის მოსკოვის ოფისის დირექტორის დიმიტრი ტრენინის სტატიის - „რუსეთი შუა აღმოსავლეთში: მოსკოვის მიზნები, პრიორიტეტები და პოლიტიკის მამოძრავებელი ფაქტორები“[133] - დეტალური განხილვა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული სტატია არ წარმოადგენს მოცულობით კვლევას, ის განსაკუთრებით საყურადღებოა შუა აღმოსავლეთში რუსეთის ქმედებების მნიშვნელოვნად გააქტიურების მიზეზებისა და მოტივების გაანალიზების კუთხით. კერძოდ, თუ რა გეოპოლიტიკური ფაქტორები ახდენდა გავლენას მოსკოვის გადაწყვეტილების მიმღებ ცენტრებზე და რა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ უსაფრთხოების ინტერესები განაპირობებდა რუსეთის სამხედრო ქმედებებს რეგიონში.

---

[131] Seth G. Jones, *Moscow's War in Syria* (New York: Rowman & Littlefield; Washington, DC: Center for Strategic and International Studies, 2020).
[132] Theodore Karasik, Stephen Blank, *Russia in the Middle East*, The Jamestown Foundation (Washington, DC: 2018).
[133] Dmitri Trenin, "Russia in the Middle East: Moscow's Objectives, Priorities and Policy Drivers," *Carnegie Endowment for International Peace*, April 5, 2016.

რუსეთის შუა აღმოსავლეთის მიმართ პოლიტიკისა და სირიის კამპანიის შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ანნა ბარშევსკაიას წიგნი - „პუტინის ომი სირიაში: რუსეთის საგარეო პოლიტიკა და ამერიკის არყოფნის ფასი“[134]. ბარშევსკაიას ეს წიგნი უკანასკნელ წლებში რუსეთის შუა აღმოსავლეთის პოლიტიკაზე გამოცემული ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნაშრომია, რომელიც მოსკოვის სტრატეგიულ მიდგომებს ისტორიულ ჭრილში განიხილავს. რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ინტერესების განხილვა, განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე მოსკოვის სტრატეგიული მიდგომების ნათლად აღსაქმელად. თუმცა ჩემი კვლევისთვის განსაკუთრებით აქტუალურია რუსეთის მიერ სირიაში წარმოებული კამპანიის განსხვავებული კომპონენტების - საინფორმაციო, დიპლომატიური თუ სამხედრო სტრატეგიების - დეტალური განხილვა, რომელსაც ხსენებული პუბლიკაცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს. შესაბამისად, რუსეთის მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკაზე თუ სირიის მრავალგანზომილებიან კამპანიაზე მსჯელობისას, ჩემი კვლევისთვის ხსენებულ ნაშრომი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ზემოხსენებულ პუბლიკაციებთან ერთად, რომლებიც წინამდებარე კვლევისას გამოყენებული აკადემიური წყაროების არასრული ჩამონათვალია, ჩემი ნაშრომი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტებისა თუ მოქმედი და გადამდგარი თანამდებობის პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების ანალიზი. ხსენებული დოკუმენტები, რომლებიც საჯაროდაა ხელმისაწვდომი, ნათლად ასახავს მოსკოვის ცვალებად დამოკიდებულებას როგორც გლაბალური, ასევე რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევების მიმართ. რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების შედარებითი ანალიზი კი მნიშვნელოვანწილად გვეხმარება

[134] Anna Borshchevskaya, Putin’s War in Syria: Russia’s Foreign Policy and the Price of America’s Absence, (New York: I.B.Taurus 2022).

ნათლად გავიაზროთ ის ფაქტორები, რომლებმაც მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის გავლენების ზრდა განაპირობა.

## 4. ირანის სუბვერსიული ქმედებების ანალიზი სპარსეთის ყურეში (2019 წელი) თეირანის „რუხი არეალის“ სტრატეგიის ფარგლებში

დღევანდელ შუა აღმოსავლეთში შეუძლებელია რომელიმე პოლიტიკური მოვლენის ანალიზი ირანის როლის გათვალისწინების ან შესწავლის გარეშე. ირანი საუკუნეების მანძილზე რეგიონის ერთ-ერთ უმთავრეს გავლენის ცენტრს წარმოადგენდა, მისი იმპერიული წარსულისა თუ ცივილიზაციური გავლენების გამო. თუმცა თანამედროვე ეპოქაში, 1979 წლის ისლამური რევოლუცია ის გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა, რომელმაც ირანს ახალი იდენტობა შეუქმნა. იდენტობა, რომლის სტრატეგიული მიდგომების, სამხედრო შესაძლებლობებისა თუ იდეოლოგიური საწყისების შესწავლა უსაფრთხოების ექსპერტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საერთაშორისო იზოლაციისა და დასავლური სანქციების მიუხედავად, რეგიონში გავლენების მნიშვნელოვნად გაფართოება შეძლო, რასაც უსაფრთხოების ექსპერტთა დიდი ნაწილი თეირანის „რუხ არეალში“ მოქმედების ხელოვნებას მიაწერს. სახელდობრ, თეირანის სტრატეგიული მიდგომა ეფუძნება მასზე სამხედრო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი მოწინააღმდეგეების საფრთხის განეიტრალებას ასიმეტრიული სამხედრო შესაძლებლობების შექმნითა და რეგიონში სტრატეგიული სიღრმის გაფართოებით[135]. სტრატეგიული სწავლებების საერთაშორისო ინსტიტუტის (IISS) მკვლევართა შეფასებით, უკანასკნელ წლებში ირანის გავლენამ ერაყზე, სირიაზე, იემენსა და ლიბანზე უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია და რეგიონში შექმნა ახალი გეოპოლიტიკური რეალობა, რომელიც ისლამური რესპუბლიკის ლიდერებისთვისაც კი წარმოუდგენელი იქნებოდა 21-ე საუკუნის დასაწყისში[136]. როგორც თანამედროვე ირანის გავლენიანი მკვლევარი არიენ ტაბატაბაი აღნიშნავს, თეირანმა შეძლო

---

[135] *Iran's Priorities in a Turbulent Middle East* (International Crisis Group, 2018), i, accessed September 5, 2023, https://www.crisisgroup.org/middle-east-north-africa/gulf-and-arabian-peninsula/iran/184-irans-priorities-turbulent-middle-east.

[136] *Iran's Network of Influence in the Middle East* (The International Institute for Strategic Studies [IISS], November 2019), 12.

კონტროლის დამყარება ოთხ არაბულ დედაქალაქზე - დამასკოზე, ბაღდადზე, ბეირუთზე, სანაზე - და თუ მისი გავლენების გაფართოება კვლავაც გაგრძელდება, არ არის გამორიცხული, რომ ირანის გავლენა მეხუთე არაბულ დედაქალაქზე - მანამაზეც გავრცელდეს[137].

თუმცა 2023 წლის 7 ოქტომბრის შემდგომ რეგიონში განვითარებულმა პროცესებმა, რასაც ირანის „წინააღმდეგობის ღერძის" მნიშვნელოვანი შესუსტება მოყვა, თეირანის გავლენების გაფართოების პროცესი შეაფერხა. ისრაელის სამხედრო კამპანიის შედეგად ჰამასისა და ჰეზბოლას მნიშვნელოვანმა დასუსტებამ და სირიაში თეირანის მოკავშირე ბაშარ ალ ასადის რეჟიმის მოულოდნელმა ჩამოშლამ, რეგიონში ძალთა ბალანსის ირანის საწინააღმდეგოდ ცვლილება გამოიწვია. ისრაელის მიერ ირანის წინააღმდეგ 2025 წლის ივნისში წარმოებულმა სამხედრო კამპანიამ კი, რამაც თეირანის ბირთვულ პროგრამასა და სამხედრო შესაძლებლობების მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა, მისი გეოპოლიტიკური იმიჯი შეარყია. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მიზანს თანამედროვე მოვლენების განხილვა არ წარმოადგენს, უკანასკნელი პერიოდში ირანის გეოპოლიტიკური პოზიციების მნიშვნელოვანი შერყევა თეირანის სტრატეგიული მიდგომების შეზღუდვებსა და სისუსტეებზე საუბრის შესაძლებლობას გვაძლევს. თუმცა კვლევის ამ ნაწილში განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებ ირანის მიერ გამოყენებულ „რუხი არეალის" სტრატეგიაზე, რომელმაც თეირანს ათწლეულების მანძილზე მასზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეზე სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებისა და გავლენების სფეროს გაფართოების შესაძლებლობა მისცა.

ამასთანავე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თეირანის გავლენების გაფართოება ცდება რეგიონულ განზომილებას და გლობალურ დატვირთვას იძენს. რამეთუ რუსეთისა და ჩინეთის მსგავსად, ირანი იმ რევიზიონისტ აქტორთა რიგს მიეკუთვნება, რომელთაც საერთაშორისო წესრიგისა, თუ რეგიონული

---

[137] Ariane M. Tabatabai, *No Conquest, No Defeat: Iran's National Security Strategy* (Oxford: Oxford University Press, 2020), 291.

ძალთა ბალანსის შეცვლა სურთ[138]. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვისა თუ პეკინისაგან განსხვავებით, თეირანი გლობალურ მოთამაშედ არ განიხილება, მის მიერ რეგიონში წარმოებული სუბვერსიული ქმედებები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების ინტერესებს. ამასთანავე, ირანის ქმედებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს რევიზიონისტი აქტორების ერთობლივ მცდელობაზე, შეასუსტონ წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგი. შესაბამისად, ირანის სტრატეგიული მიდგომების შესწავლა, კერძოდ კი, თეირანის „წარმატების თეორიის" ანალიზი, რომელიც ასიმეტრიული უპირატესობების შექმნის იდეას ეფუძნება, უსაფრთხოების სფეროს ექსპერტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ირანის მიერ 2019 წლის მაის-ნოემბერში სპარსეთის ყურეში წარმოებული სუბვერსიული ქმედებების ანალიზი, რამეთუ ამ პერიოდში თეირანი „რუხ არეალში" მოქმედ ინსტრუმენტებს განსაკუთრებული ინტენსიობით იყენებს. კერძოდ, აშშ-ის პრეზიდენტ დონალ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ირანის წინააღმდეგ წარმოებული „მაქსიმალური ზეწოლის" კამპანიის საპასუხოდ, თეირანმა მნიშვნელოვნად გააქტიურა რეგიონში ვაშინგტონისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ სუბვერსიული ქმედებები[139]. ირანის ამ საპასუხო ქმედებების ანალიზი, მისი ინტენსივობიდან გამომდინარე, თეირანის ასიმეტრიული ინსტრუმენტების „რუხ არეალში" გამოყენების ნათლად წარმოჩენის საშუალებას იძლევა. ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს ირანის ორი გავლენიანი ლიდერი - ირანის რევოლუციურ გუშაგთა კორპუსის ყუდსის ძალების მეთაური გენერალი ყასემ სოლეიმანი[140] და

---

[138] Vali Nasr, "Iran Among the Ruins: Tehran's Advantage in a Turbulent Middle East," *Foreign Affairs* 97, no. 2 (2018): 109

[139] Michael Eisenstadt, *Operating in the "Grey Zone": Countering Iran's Asymmetric "Way of War"* (Washington, DC: The Washington Institute for Near East Policy, 2020), vii, accessed September 5, 2023, https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/operating-gray-zone-countering-irans-asymmetric-way-war.

[140] გენერალი ყასემ სოლეიმანი (1957-2020 წწ.) - ირანის ისლამური რესპუბლიკის რევოლუციურ გუშაგთა კორპუსის ყუდსის ძალების მეთაური 1998-2020 წლებში. აშშ-ის სპეცოპერაციის შედეგად მოკლეს 2020 წლის 3 იანვარს.

საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ ჯავად ზარიფი[141] - თამაშობდნენ. შესაბამისად, წინამდებარე თავი განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ მათი განცხადებისა და ქმედებების, ისევე როგორც ირანის უზენაესი ლიდერის, აიათოლა ალი ხამენეის[142] საჯარო გამოსვლების ანალიზს უთმობს.

თუმცა ირანის სტრატეგიული მიდგომების უფრო ფართო კონტექსტში გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია რამდენიმე საყურადღებო ფაქტორის მოკლედ განხილვა. სახელდობრ, რა ფაქტორები ახდენენ გავლენას ირანის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე, ისევე როგორც რა „მოქმედების ხერხებსა" (modus operandi) თუ ინსტრუმენტებს ემყარება თეირანის „რუხი არეალის" სტრატეგია. შესაბამისად, წინამდებარე თავში დისკუსიას სწორედ ხსენებული თემების განხილვით დავიწყებ და ამ ფართო კონტექსტში განვაგრძობ ირანის მიერ 2019 წელს წარმოებული სუბვერსიული ქმედებების გაანალიზებას.

### *4.1 ირანის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მდგენელი ფაქტორები (Policy Drivers)*

ირანის ისლამური რესპუბლიკის სტრატეგიული მიდგომების ფართო კონტექსტში გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია, დეტალურად განვიხილოთ, თუ რა ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას თეირანის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. ამავე კონტექსტში ასევე საყურადღებოა იმ საფრთხეებისა თუ გარემოებების განხილვა, რომლებიც თეირანის „რუხ არეალში" მოქმედების საფუძველს ქმნის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ნათლად გავიაზროთ, თუ როგორ ხედავს ირანი საკუთარ როლს რეგიონში? არის თუ არა ის პოსტ-იმპერიული რეფლექსების მქონე ექსპანსიონისტი აქტორი თუ მისი ქმედებები რევოლუციური იდეოლოგიის რეგიონზე გავრცელების სურვილითაა ნაკარნახები? ასევე, რა როლს თამაშობს ირანის პოლიტიკური ელიტის

---

[141] მუჰამედ ჯავად ზარიფ ხანსარი (1960 - ) - ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი 2013-2021 წლებში.

[142] საიდ ალი ჰოსეინი ხამენეი (1939 - ) - ირანის ისლამური რესპუბლიკის მეორე უზენაესი ლიდერი 1989 წლიდან.

იდენტობისა და სტრატეგიული ცნობიერების ფორმირებაზე კონვენციურ კონფლიქტებში (მაგალითად, ირან-ერაყის კონფლიქტი) გაღებული საფასური? და რა გავლენას ახდენს მოწინააღმდეგის უპირატესი სამხედრო, თუ ეკონომიკური შესაძლებლობები თეირანის სტრატეგიული მიდგომების ჩამოყალიბებაზე?

ირანის უსაფრთხოების პოლიტიკაზე მიმდინარე აკადემიურ თუ პოლიტიკურ დისკურსში იკვეთება რამდენიმე ფაქტორი, რომელიც თეირანის სტრატეგიული მიდგომების ფორმირებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ამ ფაქტორთა ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, თუმცა თანამედროვე ირანის უსაფრთხოების პოლიტიკაზე გავლენის ხარისხის თვალსაზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა: ა) პოსტ-იმპერიული სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი ამბიციები; ბ) რეგიონში სტრატეგიული მარტოობისა თუ იზოლაციის სინდრომი; გ) მოწინააღმდეგეების გარემოცვით გამოწვეული დაუცველობის განცდა; დ) საერთაშორისო წესრიგისა თუ გლობალურ აქტორთა მიმართ არსებული უნდობლობა; ე) საშინაო ქაოსისა თუ ფრაგმენტაციის შიში; ვ) ირან-ერაყის ომის (1980-88 წ.წ.) მემკვიდრეობა და ზ) მოწინააღმდეგეებთან მიმართებაში არსებული შედარებითი სისუსტეების აღმოფხვრის სურვილი. ამ ფაქტორთა ერთობლიობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ უსაფრთხოების პოლიტიკისა თუ სტრატეგიული მიდგომების ფორმირების პროცესზე, არამედ თანამედროვე ირანის პოლიტიკური ელიტის იდენტობის ჩამოყალიბებაზეც. ეს ფაქტორები აყალიბებენ პოლიტიკურ კულტურას, რომელიც თეირანის რევიზიონისტულ ბუნებასა და „რუხ არეალში“ მოქმედების საფუძველს ქმნის. შესაბამისად, ხსენებულ ფაქტორთა განხილვა, თეირანის სტრატეგიული მიდგომების გასაანალიზებლად, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.

ამ თვალსაზრისით, ირანის მკვლევართა და უსაფრთხოების ექსპერტთა შორის მიმდინარეობს მნიშვნელოვანი დისკუსია ირანის იმპერიული წარსულისა თუ იდეოლოგიური იმპერატივების როლთან დაკავშირებით ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების საკითხში. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი საგარეო მდივნის, ჰენრი კისინჯერის ხშირად ციტირებულმა

გამონათქვამმა, რომ „ირანმა უნდა გადაწყვიტოს, ის ქვეყანაა თუ იდეოლოგია“,[143] დასავლურ წრეებში შექმნა პარადიგმა, რომ თეირანის საგარეო პოლიტიკური მიზნების ფორმირება ისლამური რევოლუციის იდეოლოგიურ საწყისებზე ხდება. ამ პარადიგმის გამყარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თავად ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციამ[144] ისევე, როგორც პოლიტიკური ლიდერების მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა[145]. თუმცა მკვლევართა გარკვეული ნაწილი ისლამური იდეოლოგიის გავლენას ირანის საგარეო პოლიტიკაზე გადაჭარბებულად მიიჩნევს. მათ არგუმენტს ამყარებს ირანის ისლამური რესპუბლიკის ლიდერთა გადაწყვეტილების ვრცელი ნუსხა, რომლებიც პრაგმატულ ეროვნულ ინტერესებსა და არა იდეოლოგიურ, თუ რელიგიურ ფაქტორებს ეფუძნება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის (ICG) კვლევას მაგალითად მოჰყავს ყარაბაღის კონფლიქტში სომხეთის მხარდაჭერა, ისევე როგორც თეირანის სუნიტურ რეჟიმებთან თანამშრომლობა[146], რაც თეირანის უფრო პრაგმატული, ვიდრე იდეოლოგიური საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მაჩვენებელია. ამ თვალსაზრისით საინტერესო არგუმენტს ავითარებს რენდის მკვლევარი არიენ ტაბატაბაი. მისი მტკიცებით, ისლამურმა რევოლუციამ ვერ შექმნა უსაფრთხოების პოლიტიკის რევოლუციამდელი ირანისაგან განსხვავებული საფუძვლები[147] და თეირანის სტრატეგიული მიდგომის გააზრება მხოლოდ ისტორიული განგრძობითობის ჭრილშია შესაძლებელი. შესაბამისად, ირანის საგარეო და უსაფრთხოების

---

[143] ჰენრი კისინჯერის ამ გამონათქვამის ორიგინალური ვერსია შემდეგნაირად იკითხება: “Iran must decide whether it’s a nation or cause.” Henry Kissinger, “The Next Steps with Iran,” *The Washington Post*, July 31, 2006, https://www.henryakissinger.com/articles/the-next-steps-with-iran/

[144] ირანის ისლამური რესპულიკის კონსტიტუციის პრეამბულის ინგლისური ვერსია: “The constitution provides a basis for the continuation of this revolution both inside and outside the country to build one single nation in the world” (კონსტიტუცია საფუძველს უყრის რევოლუციის განგრძობითობის იდეას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომელიც მსოფლიოში ერთი ერის შექმნის მიზანს ემსახურება).

[145] მაგალითისთვის იხილეთ ირანის უზენაესი ლიდერის აიათოლა ხომეინის 1980 წლის 21 მარის გამოსვლის ინგლისური ვერსია, რომლის დროსაც მან აღნიშნა, რომ: “We have to do our best to export revolution to the other parts of the world and relinquish the idea of keeping it within our borders” (ჩვენ ენერგია არ უნდა დავიშუროთ რათა მოვახდინოთ რევოლუციის ექპორტი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და მისი მხოლოდ ჩვენ საზღვრებში დატოვების შესახებ მოსაზრება უნდა დავივიწყოთ).

[146] *Iran’s Priorities in a Turbulent Middle East*, 3.

[147] Tabatabai, *No Conquest, No Defeat*, 291.

პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს იდეოლოგიურ საწყისებზე მეტად მისი ისტორიული მემკვიდრეობა და პოსტიმპერიული სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი ამბიციები განსაზღვრას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი დაკვირვება გამიზიარა რესპონდენტმა, რომელსაც ირანში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. ინტერვიუს დროს მან აღნიშნა, რომ „მთავარი, რაც ისლამურ რევოლუციას არ შეუცვლია, არის ირანის იმპერიული აღქმები. რევოლუციას მათ ეგოზე გავლენა არ მოუხდენია. როგორც რევოლუციამდე, ისე მის შემდგომაც ირანი თავს იმპერიად თვლიდა და თვლის“[148]. როგორც ირანის ისლამური რესპუბლიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ აღნიშნა, „ჩვენი ისტორიული წარსულის, ომებისა თუ მშვიდობის პერიოდის, ხედვა დიდწილად განაპირობებს, თუ როგორ ვუდგებით სამხედრო ძალის გამოყენებას დღეს და მომავალში.“[149]

ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებულ როლს რეგიონში თეირანის სტრატეგიულ მოკავშირეთა ნაკლებობა ახდენს, რომელიც იზოლაციისა და სიმარტოვის განცდას მნიშვნელოვნად აძლიერებს. თეირანის რეგიონში იზოლაცია დასაბამს პოსტ-რევოლუციური პერიოდიდან, განსაკუთრებით კი ირან-ერაყის ომიდან იღებს. ირანის უახლოეს ისტორიაში ეს ყველაზე ტრავმატული მოვლენაა, რომელმაც ამჟამინდელი მმართველი ძალის პოლიტიკური კულტურის განსაზღვრაში დიდი წვლილი შეიტანა. სახელდობრ, ამ ხანგრძლივი კონფლიქტის განმავლობაში თეირანი დასავლეთისა და პრაქტიკულად მთელი შუა აღმოსავლეთის ქვეყნების პირისპირ (სირიისა და ომანის გამოკლებით[150]) მარტო აღმოჩნდა, რასაც ასევე ერაყის მმართველის სადამ ჰუსეინის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებაზე

---

[148] 2023 წლის 10 დეკემბერს ჩაწერილი ინტერვიუს ტრანსკრიპტი.

[149] Tabatabai, *No Conquest, No Defeat*, 291

[150] ომანს, სხვა ყურის ქვეყნებისგან განსხვავებით, ირანთან ისტორიულად დაბალანსებული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. თეირანმა, შაჰის მმართველობის პერიოდში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ომანის იმჟამინდელი მმართველის სულთან კაბუსის რეჟიმის გადასარჩენად, რომელსაც 1960-70 წლებში მიმდინარე სამოქალაქო კონფლიქტში მნიშვნელოვანი სამხედრო მხარდაჭერა აღმოუჩინა. ომანმა პოსტ-რევოლუციურ ირანთანაც შეძლო დაბალანსებული ურთიერთობების შენარჩუნება. ეს მდგომარეობა კი ომანს ხშირად საშუალებას აძლევს, შეასრულოს შუამავლის როლი დასავლეთსა და ირანს შორის, რაც თეირანთან ურთიერთობების შემდგომ დაბალანსებას უწყობს ხელს.

საერთაშორისო თანამეგობრობის უკიდურესად სუსტი რეაგირება დაემატა[151]. ყოველივე ზემოხსენებულმა ირანის ისლამური რესპუბლიკის მმართველ ელიტაში გააძლიერა განცდა რეგიონში თეირანის სიმარტოვისა და იზოლაციის შესახებ. აშშ-ის მიერ 2001 წლის ავღანეთისა და განსაკუთრებით კი 2003 წლის ერაყის კამპანიების შემდეგ, რეგიონში იზოლაციის განცდას ასევე დაემატა ძლიერი მოწინააღმდეგის მიერ ირანის ალყაში მოქცევით გამოწვეული დაუცველობის ფაქტორიც. სწორედ ამ იზოლაციის კომპენსირებისა თუ მტრული გარემოცვის თავიდან დაღწევის სურვილითაა ნაკარნახევი თეირანის სტრატეგიული მიდგომები, რომელიც „მოწინავე თავდაცვისა'"(Forward Defense)[152] და „წინააღმდეგობის ღერძის" (Axis of Resistance)[153] სახელითაა ცნობილი.

თეირანის უნდობლობა საერთაშორისო წესრიგისა თუ გლობალური აქტორების მიმართ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ირანის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ირანის ისტორიული მეხსიერება გლობალურ აქტორთა შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევისა თუ სამხედრო გადატრიალებების ორგანიზებაში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თეირანის სკეფსისს ამ აქტორთა და ზოგადად საერთაშორისო სისტემის მიმართ[154]. აქვე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ირანის მმართველ ელიტას ეს უნდობლობის განცდა არა მხოლოდ დასავლურ ინსტიტუციათა თუ სახელმწიფოთა მიმართ, არამედ მისი სტრატეგიული პარტნიორებისადმიც ახასიათებს (მაგალითად, რუსეთი). მოსკოვსა და თეირანს შორის სტრატეგიული ინტერესების ამჟამინდელი დამთხვევის მიუხედავად, ისტორიულ ჭრილში რუსეთი ირანის მოწინააღმდეგეს უფრო წარმოადგენს, ვიდრე მის ბუნებრივ მოკავშირეს[155]. შესაბამისად,

---

151 *Iran's Priorities in a Turbulent Middle East*, 2.

152 „მოწინავე თავდაცვის" სტრატეგია ითვალისწინებს თეირანის მიერ სტრატეგიული სიღრმის რეგიონული სახელმწიფოების ხარჯზე გაფართოებას, რაც ირანს მის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებებში ჩართვას არიდებს თავიდან.

153 „წინააღმდეგობის ღერძს" თეირანი უწოდებს მის ალიანსს სირიასთან, ჰეზბოლასა და ჰამასთან, რომელიც აშშ-ისა და ისრაელის საფრთხის განეიტრალებას ისახავს მიზნად.

154 Tabatabai, *No Conquest, No Defeat*, 8.

155 John Raine, "Iran and Russia: An Unsteady Axis," *International Institute for Strategic Studies (IISS)*, February 23, 2023, https://www.iiss.org/en/online-analysis/online-analysis/2023/02/iran-russia-an-unsteady-axis/ (accessed September 12, 2023).

ამჟამინდელ სტრატეგიულ მოკავშირეებთანაც კი უნდობლობა თეირანის მმართველ ელიტაში იზოლაციის განცდას ამლიერებს. თუმცა საერთაშორისო სისტემის მიმართ უნდობლობის ხარისხი განსაკუთრებით გაიზარდა პოსტრევოლუციურ პერიოდში. ისე, როგორც ირანის პოლიტიკური ელიტა თანამედროვე გლობალურ თუ რეგიონულ წესრიგს განიხილავს როგორც დასავლეთის მცდელობას, იზოლაციაში მოაქციოს თეირანი[156]. სწორედ ამ ისტორიული უსამართლობისა თუ თანამედროვე იზოლაციის შიშითაა ნაკარნახევი ირანის რევიზიონისტული ქმედებები, რომლებიც საერთაშორისო წესრიგისა თუ რეგიონულ ძალთა ბალანსის შეცვლისკენაა მიმართული.

ირანის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვან ფაქტორს ასევე წარმოადგენს მმართველი ელიტის შიში საშინაო ქაოსისა თუ ფრაგმენტაციის მიმართ. საგარეო ძალების მიერ ირანის საშინაო საქმეებში ჩარევის შიშს, რომელმაც არა მხოლოდ რეჟიმის ცვლილება, არამედ ქვეყნის ფრაგმენტაციაც შეიძლება გამოიწვიოს, ორი განზომილება გააჩნია. პირველი ემყარება ისტორიულ ჭრილში ირანში არსებული სეპარატიზმის პრობლემას, რაც მულტიეთნიკურ სახელმწიფოთათვის დამახასიათებელი ფაქტორია. სეპარატისტული განწყობები ისტორიულად მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნიდა ირანის სახელმწიფოსთვის. სახელდობრ, ირანის ჩრდილო-დასავლეთში დასახლებული აზერბაიჯანელები, დასავლეთ რეგიონებში მცხოვრები ქურთები, სამხრეთ-დასავლეთში მკვიდრი არაბები და სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში მცხოვრები ბალუჩები ირანის მმართველი ელიტისთვის სეპარატისტულ ანკლავებად აღიქმება[157], რომლებიც შეიძლება გარე ძალებმა გამოიყენონ. თუმცა, სეპარატიზმის ამ ისტორიულ პრობლემას ემატება მეორე განზომილებაც, რომელმაც თეირანის მმართველ ელიტას შესაძლოა ეგზისტენციალური საფრთხე შეუქმნას. კერძოდ, 1979 წლის რევოლუციის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსული ხელისუფლების ლეგიტიმაციის თანმიმდევრული შესუსტება. უკანასკნელ პერიოდში - 2009, 2019 და 2022 წლებში - ირანში წარმოქნილი მასობრივი საპროტესტო ტალღები სწორედ თეირანის ამჟამინდელი მმართველი ელიტის

---

[156] Nasr, "Iran Among the Ruins," 109.
[157] *Iran's Priorities in a Turbulent Middle East*, 2.

სოციალური და პოლიტიკური ლეგიტიმაციის მნიშვნელოვანი შესუსტების მაჩვენებელია[158]. სწორედ მმართველი ელიტის პოზიციების შესუსტებას შეიძლება დავუკავშიროთ ირანში ხისტი ზომების გატარების მომხრე პოლიტიკური ჯგუფების გაძლიერება, რასაც ებრაჰიმ რაისის პრეზიდენტად არჩევის ფაქტიც მიუთითებს. შიდა არეულობისა და ქაოსის თავიდან აცილების ერთადერთ გზად ირანის ხელისუფლება მმართველი ელიტის ერთიანობის შენარჩუნებასა და ძალოვანი, დამსჯელი ძალის გაძლიერებაში ხედავს[159]. ეს ვითარება კი ირანის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. საყურადღებოა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა, ირანის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების უმთავრეს ფაქტორად სწორედ შიშს, კერძოდ კი, ხელისუფლების დაკარგვისა და რეჟიმის ჩამოშლის შიშს ასახელებს[160].

ირანის უსაფრთხოების პოლიტიკის კიდევ ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ირან-ერაყის ომის მემკვიდრეობა და ამ კონფლიქტით გამოწვეული ტრამვაა, რაც ქვეყნის პოლიტიკური ელიტის იდენტობის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. საკუთრივ ამ ხანგრძლივმა კონფლიქტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ირანის მმართველი წრის სტრატეგიული მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც კონვენციური ომის თავიდან აცილებასა და სანაცვლოდ ასიმეტრიული შესაძლებლობების განვითარებას ითვალისწინებს[161]. ამგვარი მოცემულობის მიზეზი კი ირანის მიერ კონფლიქტის შედეგად გაღებული საფასურია. კერძოდ, ომის მიმდინარეობისას ირანის მილიონზე მეტი მოქალაქე დაშავდა, 300 000 - დაიღუპა, ხოლო თავად კონფლიქტის შედეგად გამოწვეულმა ხარჯებმა 645 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, რამაც ირანის ეკონომიკა კატასტროფის პირას მიიყვანა[162]. ომის შედეგად გაღებული მაღალი საფასურის გარდა, ირან-ერაყის კონფლიქტმა რევოლუციით მოსულ მმართველ ელიტას ნათლად დაანახა

---

[158] Hamidreza Azizi and Erwin van Veen, "Protests in Iran in Comparative Perspective: A Revolutionary State in Trouble," *Netherlands Institute of International Relations 'Clingendael'*, March 2023, 1, https://www.clingendael.org/sites/default/files/2023-03/Protests_in_Iran.pdf (accessed September 12, 2023).
[159] Azizi and van Veen, "Protests in Iran in Comparative Perspective," 1.
[160] 2023 წლის 10 დეკემბერს ჩაწერილი ინტერვიუს ტრანსკრიპტი.
[161] Eisenstadt, *Operating in the "Grey Zone"*, vii.
[162] *Iran's Network of Influence in the Middle East*, 15.

ასიმეტრიულ ძალთა უპირატესობა[163]. სახელდობრ, ირანის ხელისუფლების აღქმით, სტრატეგიული მიზნების მიღწევის საქმეში ასიმეტრიულ ძალთა როლი კონვენციურ ქვედანაყოფთა[164] ეფექტურობას მნიშვნელოვნად აღემატებოდა. შესაბამისად, ირანის თანამედროვე სამხედრო პარადიგმის ფორმირებაში, რომელიც ომის წარმოების არაპირდაპირ მეთოდებსა და ასიმეტრიულ მიდგომებს ანიჭებს უპირატესობას, ირან-ერაყის ომის გავლენა უკიდურესად დიდია.

ირანის უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც თეირანს ასიმეტრიული მიდგომებისა და შესაძლებლობების განვითარებისკენ უბიძგებს, მისი მოწინააღმდეგეებთან მიმართებით არსებული სამხედრო თუ ეკონომიკური სისუსტეების დაძლევის სურვილია. თეირანის სამხედრო დანახარჯებს თუ შევადარებთ რეგიონში ირანის უმთავრესი მოწინააღმდეგეების, საუდის არაბეთისა და ისრაელის, სამხედრო დანახარჯებს, ნათლად დავინახავთ მათ შორის არსებულ დისპროპორციას. სახელდობრ, მაღალი რეპუტაციის მქონე სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ცენტრის (SIPRI) მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წელს ირანის სამხედრო დანახარჯი 6.8 მილიარდი აშშ დოლარი იყო, ისრაელის - 23.4 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო საუდის არაბეთის კი - 75 მილიარდი აშშ დოლარი[165]. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სიძლიერის გამორიცხვის შემთხვევაშიც, თეირანის თავდაცვის სფეროში გაწეული დანახარჯი რეგიონულ ჭრილშიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება მისი მოწინააღმდეგეების სამხედრო ხარჯს; კერძოდ, ოთხჯერ ნაკლებია ისრაელთან მიმართებაში და თითქმის თერთმეტჯერ ნაკლები საუდის არაბეთთან შედარებით. ამას ასევე ემატება საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიების არქონა, ათწლეულების მანძილზე თეირანის წინააღმდეგ მოქმედი ეკონომიკური თუ სამხედრო სანქციები და რეგიონში მოკავშირეთა სიმცირე. სწორედ ამ სისუსტეების

---

[163] Eisenstadt, *Operating in the "Grey Zone"*, 7.

[164] ირანის შეიარაღებული ძალები ორი მნიშვნელოვანი კომპონენტისგან შედგება: პირველი, Artesh-ის სახელით ცნობილი კონვენციური ქვედანაყოფები; და მეორე, ირანის რევოლუციური გუშაგთა კორპუსი (IRGC), რომელიც ქვეყნის ასიმეტრიულ ძალებს აერთიანებს.

[165] *Military Expenditure Database*, Stockholm International Peace Research Institute (SIPRI), https://milex.sipri.org/sipri (accessed September 15, 2023).

კომპენსირებას ცდილობს ირანი რეგიონში სტრატეგიული სიღრმის გაზრდისა და ასიმეტრიული შესაძლებლობების განვითარების მეშვეობით[166]. სახელდობრ, რეგიონში სტრატეგიული სიღრმის გაზრდის თვალსაჩინო მაგალითი ირანის „მოწინავე თავდაცვის" (forward defense) კონცეფციაა, რომელიც თეირანის მიერ სტრატეგიული სიღრმის რეგიონული სახელმწიფოების ხარჯზე გაფართოებას ითვალისწინებს, რათა შეამციროს საკუთარ ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებებში ჩართვის რისკები. „მოწინავე თავდაცვის" კონცეფციის შემადგენელი ნაწილია თეირანის მიერ შექმნილი „წინააღმდეგობის ღერძი" (axis of resistance), რომელიც სხვა მარიონეტულ გასამხედროებულ ჯგუფებთან (proxy groups) ერთად ირანის სირიასთან, ჰეზბოლასთან და ჰამასთან ალიანსს გულისხმობს[167]. „მოწინავე თავდაცვის" ეს კონცეფცია, თეირანს შესაძლებლობას აძლევს, მასზე ძლიერ მოწინააღმდეგეებს არაპირდაპირი გზით დაუპირისპირდეს, ისევე როგორც მნიშვნელოვნად შეამციროს კონფლიქტების ირანის ტერიტორიაზე გავრცელების რისკები.

სწორედ ზემოხსენებული ფაქტორების ერთობლიობა ქმნის ირანის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საფუძვლებს, რომლებიც თეირანის სტრატეგიული მიდგომების ფორმირების წინაპირობას წარმოადგენს. მიდგომების, რომლებიც ირანს მასზე უფრო ძლიერი მოწინააღმდეგეების საფრთხის განეიტრალების საშუალებას აძლევს ასიმეტრიული სამხედრო შესაძლებლობების განვითარებისა და რეგიონში სტრატეგიული სიღრმის გაფართოების მეშვეობით. თეირანის ეს სტრატეგიული მიდგომა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „რუხი არეალის" სახელითაა ცნობილი, რომლის მახასიათებლებისა და ძირითადი კომპონენტების დეტალურ განხილვას კვლევის მომდევნო ნაწილში შევეცდები.

---

166 *Iran's Priorities in a Turbulent Middle East*, 4.
167 *Iran's Priorities in a Turbulent Middle East*, 4.

### *4.2 თეირანის „რუხი არეალის“ სტრატეგია*

თეირანის „რუხ არეალში“ მოქმედების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია განვიხილოთ ირანის სტრატეგიის ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი - მისი „ოპერირების ხერხები“ (modus operandi) და ასიმეტრიული ინსტრუმენტები. ამ კომპონენტთა ერთობლიობა ირანს შედარებით უპირატესობებზე კაპიტალიზაციისა და მოწინააღმდეგეთა სუსტი მხარეების ეფექტური ექსპლუატაციის საშუალებას აძლევს, რაც, თავის მხრივ, თეირანის რეგიონული გავლენის ზრდასა თუ რევიზიონისტული მიზნების მიღწევის საქმეში განსაკუთრებულ როლს თამაშობს.

ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ წლების მანძილზე განავითარა „რუხ არეალში“ მოქმედების ხერხები, რომლებიც თეირანს სტრატეგიული ამოცანების მიღწევის საშუალებას აძლევს - რისკების მართვის, ესკალაციის ლიმიტირებისა და სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილების გზით[168]. „რუხ არეალში“ მოქმედებით ირანის ხელისუფლება ახერხებს, მნიშვნელოვნად გააძლიეროს თავისი პოზიციები რეგიონში მასზე ძლიერ მოწინააღმდეგეებთან პირდაპირი კონფლიქტების თავის არიდებისა თუ რისკებისა და ესკალაციის ეფექტური მართვის საშუალებით. თუ როგორ ახერხებს თეირანი ამ მიზნების მიღწევას და რა კომპონენტებისაგან შედგება მისი „ოპერირების ხერხები“, ირანის „რუხი არეალის“ სტრატეგიის გააზრების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

თეირანის „რუხ არეალში“ მოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი კონფლიქტის გახანგრძლივება და დაბალი ინტენსივობით წარმართვა უფროა, ვიდრე მისი ესკალაცია[169]. მოქმედების ეს პრინციპი თანამედროვე კონფლიქტების შესახებ გამოქვეყნებულ ლიტერატურაში „სტრატეგიული გრადუალიზმის“ (strategic gradualism) ანდა „სალიამის ნაჭრებად დაჭრის ტაქტიკის“ (salami slicing tactics) სახელებითაა ცნობილი. ამ მიდგომის თანახმად, მცირედი ცვლილებების ნელი ტემპით აკუმულირება, რომელთა შორის არცერთი მათგანი იზოლირებულად ომის დაწყების მიზეზს არ იძლევა, რევიზიონისტ აქტორებს

---

[168] Eisenstadt, *Operating in the "Grey Zone"*, 8.

[169] Eisenstadt, *Operating in the "Grey Zone"*, 14.

სტრატეგიული გარემოს კონვენციურ ომში ჩართვის გარეშე შეცვლის შესაძლებლობას აძლევს. ეს არის სტატუს ქვოს შეცვლისკენ მიმართული თანმიმდევრული სტრატეგია, რომელიც მცირე, განმეორებითი და რთულად შესაკავებელი ქმედებებისგან შედგება[170]. ირანის მიერ სპარსეთის ყურეში წარმოებული სუბვერსიული ოპერაციები, რომლებიც მომდევნო თავში დეტალურადაა გაანალიზებული, სწორედ ამ ლოგიკას ეფუძნება. კერძოდ, ირანის ქმედებები მიმართულია რეგიონში ძალთა ბალანსის ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად შეცვლისკენ, რათა თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტების ესკალაციის ან კონვენციურ ომში ჩართვის რისკები.

თეირანის „რუხ არეალში“ მოქმედების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი კონფლიქტის არაპირდაპირი მეთოდით წარმოებასა და სტრატეგიული ბუნდოვანების  შექმნას უკავშირდება. სახელდობრ, ირანი ხშირად მიმართავს კონფლიქტის არაპირდაპირი წარმოების მეთოდს, რაც მის კონვენციურ კონფლიქტში ჩართვის რისკებს ამცირებს და ქმნის ბუნდოვანებას თეირანის როლთან მიმართებაში. კონფლიქტის არაპირდაპირი მეთოდით წარმოების თვალსაჩინო მაგალითს ირანის ოპერაციების მარიონეტულ გასამხედროებულ დაჯგუფებებზე, ე.წ. „პროქსი ჯგუფებზე“, დამოკიდებულება წარმოადგენს. სამხედრო ოპერაციების არაპირდაპირი მეთოდით წარმართვას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს. ოპერირების ეს მოდელი მიმდინარე კონფლიქტებში თეირანის დანაკარგების მნიშვნელოვან შემცირებას უწყობს ხელს. მაგალითისთვის, სირიის კონფლიქტში, რომელსაც თეირანისთვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული დატვირთვა ჰქონდა, ირანის შეიარაღებული ძალების მხოლოდ მცირე კონტიგენტი მონაწილეობდა. მაიკელ აიზენშტადის ცნობით, ირანის სამხედრო კონტიგენტის რაოდენობა 2011-19 წლებში მისი შეირაღებული ძალების ერთ პროცენტს არ აღემატებოდა, რაც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ამ კონფლიქტში მონაწილე  ჰეზბოლას მებრძოლთა რიცხვი.

---

[170] Mitchell A. Wess and Jakub Grygiel, “Salami Slicing and Deterrence,” *The American Interest*, November 18, 2014, https://www.the-american-interest.com/2014/11/18/salami-slicing-and-deterrence/ (accessed October 3, 2023).

თეირანისა და მისი „პროქსი ჯგუფების“ კონფლიქტში ჩართულობის დისპროპორციაზე კარგად მეტყველებს დანაკარგების რაოდენობაც; იმავე პერიოდში ირანმა ჰეზბოლასთან შედარებით ოთხჯერ ნაკლები მებრძოლი დაკარგა (ჰეზბოლას 2000 მებრძოლი და 550 ირანელი სამხედრო)[171]. შესაბამისად, კონფლიქტის წარმოების არაპირდაპირი მეთოდი ირანის სტრატეგიული მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც თეირანს დანაკარგების შემცირების, სტრატეგიული ბუნდოვანების შექმნისა და კონვენციური კონფლიქტის თავიდან აცილების შესაძლებლობას აძლევს.

ირანის „რუხ არეალში“ მოქმედების დამატებით პრინციპებს - პროპორციულობა, ტაქტიკური მოქნილობა და კონფლიქტის წარმოების ტემპის განსაზღვრა - წარმოადგენს. პროპორციულობის პრინციპი თეირანის შეკავების პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია. თეირანი, რისკების მართვისა და ესკალაციის კონტროლის მიზნით, მოწინააღმდეგეებისთვის პროპორციული პასუხის გაცემის პრინციპს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სირიის კონფლიქტის საწყის ეტაპზე ირანის უზენაესმა ლიდერმა, ხამენეიმ, ისრაელის მიმართ თეირანის საპასუხო ქმედებების ლოგიკა სწორედ პროპორციულობის პრინციპს დაუკავშირა. მისი განმარტებით, „ჩვენ სწორედ ისეთ პასუხს გავცემთ (ისრაელს), რაც მათი შეტევების ინტენსივობას შეეფერება“[172]. პროპორციულობასთან ერთად, თეირანის ქმედებებს ასევე „ტაქტიკური მოქნილობაც“ ახასიათებს. თეირანი ყოველთვის ცდილობს, დააკვირდეს და კარგად გაზომოს მისი მოქმედების არეალის ლიმიტები. თუ ის მნიშვნელოვან წინააღმდეგობას აწყდება, მაშინ დროებით უკან იხევს. ამგვარი წინააღმდეგობის არარსებობა კი ირანის ქმედებების ინტენსივობის ხარისხს საგრძნობლად ზრდის[173]. მაგალითისთვის, ირანმა დროებით უკან დაიხია, როდესაც 2012 წელს დასავლური სანქციების პასუხად ჰორმუზის სრუტის ჩაკეტვის მუქარაზე მიიღო აშშ-ის მკაცრი პასუხი,

---

[171] Eisenstadt, *Operating in the "Grey Zone"*, 14.
[172] "Khamenei: Iran Will Strike Back if Attacked," *CBS News*, March 20, 2012, http://www.cbsnews.com/news/khamenei-iran-will-strike-back-if-attacked/ (accessed October 5, 2023).
[173] Eisenstadt, *Operating in the "Grey Zone"*, 14.

რომ ეს წითელი ხაზის აშკარა გადაკვეთა იქნებოდა[174]. თუმცა ეს ტაქტიკური უკან დახევები ირანის „რუხ არეალში“ მოქმედების კიდევ ერთ პრინციპს - ოპერაციების ტემპის განსაზღვრას - ეხმიანება. თეირანის მიერ აშშ-ის მაქსიმალური ზეწოლის კამპანიის საპასუხოდ, 2019-20 წლებში გადადგმული ნაბიჯები ნათლად ასახავს, თუ რამდენად ფრთხილად ეკიდება ირანი სხვადასხვა მიმართულებებით ჩატარებული ოპერაციების დინამიკასა და ტემპს, რათა მაქსიმალური კონტროლი განახორციელოს პროცესის ესკალაციასა და მართვაზე.

კონფლიქტის დაბალი ინტენსივობით წარმართვა, მოწინააღმდეგის არაპირდაპირი მიდგომით დასუსტება, ისევე როგორც პროპორციულობის, „ტაქტიკური მოქნილობისა“ თუ მოქმედების ტემპის ფრთხილად განსაზღვრა, ირანის „რუხ არეალში“ მოქმედების მთავარი მახასიათებლებია[175]. სწორედ ამ პრინციპების თანმიმდევრული დაცვა აძლევს თეირანს საშუალებას, მოიპოვოს ასიმეტრიული უპირატესობა მასზე სამხედრო თუ ეკონომიკური თვასაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებზე. ამასთანავე, „რუხ არეალში“ ოპერირების ეს ხერხები ირანს ეხმარება მნიშვნელოვნად გააფართოვოს მისი გავლენის სფეროები რეგიონში, რისკების მართვის, ესკალაციის ლიმიტირებისა და კონვენციური კონფლიქტების თავიდან აცილების გზით.

ირანის „რუხ არეალში“ მოქმედების სტრატეგიის მეორე და ძალზე მნიშვნელოვან ღერძს თეირანის მიერ წლების განმავლობაში შექმნილი ასიმეტრიული ინსტრუმენტები წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, მთავარი ინსტრუმენტი, რომელიც ირანის „რუხი არეალის“ სტრატეგიის წარმმართველ ძალად მოიაზრება, ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსია (IRGC)[176]. გუშაგთა კორპუსს ორი უმთავრესი მისია აკისრია - რევოლუციური რეჟიმის დაცვა ქვეყნის შიგნით და რევოლუციური იდეების ექსპორტი მის საზღვრებს

---

[174] “US Sends Top Iranian Leader a Warning on Strait Threats,” *New York Times*, January 12, 2012, http://www.nytimes.com/2012/01/13/world/middleeast/us-warns-top-iran-leader-not-to-shut-strait-of-hormuz.html (accessed October 5, 2023).
[175] Eisenstadt, *Operating in the “Grey Zone”*, 13-15.
[176] 2023 წლის 10 დეკემბერს ჩაწერილი ინტერვიუს ტრანსკრიპტი.

მიღმა[177]. თუმცა თუ ირანის ასიმეტრიულ ინსტრუმენტებს უფრო დეტალურად განვიხილავთ, მაშინ მის რამდენიმე განშტოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ირანის ასიმეტრიული ძალების ბირთვი სამი კომპონენტისგან შედგება. ესენია - ა) არაკონვენციური საზღვაო ძალები (guerilla navy), რომლებსაც სპარსეთის ყურეში ენერგორესურსების ტრანსპორტირების შეფერხება შეუძლია; ბ) სარაკეტო სისტემებისა და დრონების არსენალი, რომლებსაც მოწინააღმდეგეების საჰაერო დაცვის სისტემების გარღვევა შეუძლია და გ) ეგრეთ წოდებული „შიიტური ლეგიონი“, ანუ გასამხედროებული „პროქსი“ ჯგუფები, რომლებიც რეგიონში არაკონვენციური ოპერაციების პლაცდარმს ქმნიან[178]. მაიქალ აიზენშტადი ამ ასიმეტრიულ ინსტრუმენტებს ირანის საბრძოლო ტრიადად მოიხსენიებს, რომელსაც უკანასკნელ პერიოდში მეოთხე მნიშვნელოვანი კომპონენტიც დაემატა - თავდასხმითი კიბერ შესაძლებლობები. ასევე საყურადღებოა, რომ ირანის ეს ასიმეტრიული ინსტრუმენტები ისლამური რესპუბლიკის გუშაგთა კორპუსის მართვის ქვეშ იმყოფება. კერძოდ, გუშაგთა კორპუსის სხვადასხვა დანაყოფები - როგორებიცაა საზღვაო ძალები (IRGCN), საჰაერო ძალები (IRGC Aerospace Force) და ყუდსის შენაერთი (IRGC-QF) - ამ ასიმეტრიული ინსტრუმენტების არაკონვენციური ოპერაციებისთვის გამოყენებას უზრუნველყოფს.

ირანის მიერ არაკონვენციური ოპერაციებისთვის შექმნილი ეს საბრძოლო ტრიადა თეირანის „რუხი არეალის“ სტრატეგიაში ცენტრალურ როლს თამაშობს. მაგალითისთვის, გუშაგთა კორპუსის საზღვაო ძალები მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო კვანძს - ჰორმუზის სრუტეს მუდმივი საფრთხის ქვეშ ამყოფებს. მიუხედავად იმისა, რომ ირანის საზღვაო ძალებს ჰორმუზის სრუტის დროებითი ჩაკეტვა და შესაბამისად მსოფლიოს ფინანსური ბაზრის დესტაბილიზაცია შეუძლიათ, თეირანი ამ ინსტრუმენტს შედარებით ფრთხილად იყენებს. რამეთუ ამგვარ რადიკალურ ქმედებას სპარსეთის ყურის სატრანზიტო

---

[177] Michael Doran and Can Kasapoglu, "Overmatch," *Hudson Institute*, November 2, 2022, https://www.hudson.org/foreign-policy/overmatch-michael-doran-can-kasapoglu (accessed October 8, 2023).
[178] Eisenstadt, *Operating in the "Grey Zone"*, 9.

პოტენციალზე დამოკიდებული ირანის სტრატეგიული პარტნიორების, მათ შორის ჩინეთის, მძაფრად უარყოფითი რეაქცია მოყვება[179]. შესაბამისად, გუშაგთა კორპუსის საზღვაო ძალების მთავარ ოპერატიულ მოდალობას დასავლეთის ან სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა სატრანზიტო პოტენციალის მუდმივი წნეხის ქვეშ მოქცევა წარმოადგენს. ამ მიზანს კი თეირანი ჰორმუზის სრუტეში მოძრავ ტანკერებზე თავდასხმებით ან მათი პერიოდული გატაცებებით აღწევს. თუმცა ირანი მსგავსი ქმედებების ესკალაციას გარკვეული სიფრთხილით ეკიდება, რათა ამ ტიპის თავდასხმებმა პირდაპირი კონვენციური კონფლიქტის რისკები არ წარმოქმნას. მაშასადამე, ჰორმუზის სრუტეში ჩატარებულ ოპერაციებს თეირანი მის მოწინააღმდეგეებზე წნეხის გასაზრდელად იყენებს, რაშიც მის მთავარ ინსტრუმენტს სწორედ გუშაგთა კორპუსის საზღვაო ძალები წარმოადგენს. ირანის მიერ შექმნილი სარაკეტო სისტემებისა და თავდასხმითი უპილოტო საფრენი აპარატების - დრონების არსენალი თეირანის შეკავების პოლიტიკის უმთავრეს ღერძს წარმოადგენს. აშშ-ის ცენტრალური სარდლობის ყოფილი მეთაურის, გენერალ მაკენზის შეფასებით, უკანასკნელი ხუთი-შვიდი წლის განმავლობაში ირანის შესაძლებლობები ამ სფეროში იმდენად გაძლიერდა, რომ ის სხვა რეგიონული სახელმწიფოების სამხედრო პოტენციალს აღემატება. თეირანის უპირატესობებზე საუბარისას გენერალი მაკენზი, ყურადღებას რეგიონულ სახელმწიფოთა მიერ ირანის შესაძლო საჰაერო თავდასხმების მოგერიების არაქმედითუნარიანობაზე ამახვილებს[180]. გუშაგთა კორპუსის საჰაერო ძალები, როგორც აღვნიშნე, ორი მნიშვნელოვანი კომპონენტისგან შედგება - სარაკეტო დანადგარებისა და თავდასხმითი უპილოტო საფრენი აპარატების, დრონების არსენალისგან. აშშ-ის თავდაცვის სადაზვერვო სამსახურის შეფასებით (US Defense Intelligence Agency), ირანი შუა აღმოსავლეთში ბალისტიკური რაკეტების ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან არსენალს ფლობს, რომელთაც ორი ათასი კილომეტრის რადიუსში მოწინააღმდეგეებზე შეტევის განხორციელების პოტენციალი

---

[179] Eisenstadt, *Operating in the "Grey Zone"*, 9.
[180] Doran and Kasapoglu, "Overmatch."

გააჩნიათ[181]. თუმცა თეირანის განკარგულებაში მყოფი უპილოტო საფრენი აპარატების არსენალი, ირანის არაკონვენციური ოპერაციების მნიშვნელოვან ღერძს წარმოადგენს. რამეთუ ამ ტიპის შეიარაღების გამოყენება ირანის სტრატეგიულ კულტურას კარგად ერწყმის. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ თეირანის „რუხ არეალში“ ოპერირების მოდალობა სტრატეგიული ბუნდოვანების შექმნის პრინციპს ეფუძნება. ამ თვალსაზრისით კი დრონების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციები თეირანს მისი შესაძლო მონაწილეობის უარყოფისა და, შესაბამისად, სტრატეგიული ბუნდოვანების შექმნის საშუალებას აძლევს. დრონების შედარებით უფრო ხელმისაწვდომი ღირებულება და წარმოების ტექნოლოგია კი თეირანს რეგიონის ქვეყნების ძვირადღირებულ საჰაერო თავდაცვით სისტემებზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების შესაძლობლობას აძლევს. ეს ორი ფაქტორი - სტრატეგიული ბუნდოვანების ხელშეწყობა და ტექნოლოგიური თუ ფინანსური ხელმისაწვდომობა - თავდასხმითი უპილოტო საფრენი აპარატების არსენალს ირანის ასიმეტრიული ოპერაციების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად აქცევს.

თუმცა ირანი მასზე სამხედრო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებთან შედარებითი უპირატესობის მოპოვებას, უპირველეს ყოვლისა, კარგად განვითარებული გასამხედროებული „პროქსი“ ჯგუფების მეშვეობით ახერხებს. ირანის უზენაესი ლიდერის, ალი ხამენეის 2014 წელს გაკეთებული განცხადება თეირანის ამ უპირატესობას კარგად აღწერს. კერძოდ, ხამენეის განცხადებით:

> „ირანს აქვს მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ქვეყნის გარეთ. ჩვენ გვყავს მხარდამჭერები, ჩვენ გვაქვს სტრატეგიული სიღრმე როგორც მთელს რეგიონში, ისევე ქვეყნის შიგნით. ზოგი ჩვენ მხარს ისლამის, ზოგი ენის, ზოგიც კი შიიტური სარწმუნოების გამო გვიჭერს.

[181] Drohan, Kasapoglu, “Overmatch”.

ყველა ეს ჯგუფი კი ქვეყნის სტრატეგიულ სიღრმეს ქმნის“[182].

ხამენეის ეს განცხადება ნათლად აღწერს გასამხედროებული „პროქსი“ ჯგუფების მთავარ მისიას, რაც ირანის სტრატეგიული სიღრმის გაფართოებას გულისხმობს. ეს მიდგომა, უპირველეს ყოვლისა, ირანის ტერიტორიაზე კონფლიქტების თავიდან აცილების სურვილითაა ნაკარნახევი და საფუძველს უქმნის თეირანის ორ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას - „მოწინავე თავდაცვასა“ (Forward Defense) და „წინააღმდეგობის ღერძს“ (Axis of Resistance) - რომლებიც სწორედ გასამხედროებული „პროქსი“ ჯგუფების მეშვეობით ირანის სტრატეგიული სიღრმის გაზრდას გულისხმობს.

თეირანმა გასამხედროებული „პროქსი“ ჯგუფების ფორმირება ისლამური რევოლუციიდან მალევე, 1979 წლიდან დაიწყო[183]. თუმცა ამ ჯგუფების მასშტაბი და რაოდენობა განსაკუთრებით აშშ-ის 2003 წლის ერაყის სამხედრო კამპანიისა და „არაბული გაზაფხულის“ შემდგომ პერიოდში გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებში - ერაყი, სირია, იემენი, ლიბანი - მმართველობის სისტემების ჩამოშლამ შექმნა ვაკუუმი, რომელმაც თეირანს მათ ტერიტორიებზე ირანისადმი ლოიალურად განწყობილი გასამხედროებული ჯგუფების შექმნისა და უკვე არსებული დანაყოფების მნიშვნელოვნად გაძლიერების შესაძლებლობა მისცა. დღევანდელი მონაცემებით, ამ ჯგუფების საერთო რაოდენობა 200 000 მებრძოლს სცდება[184]. თუმცა საყურადღებოა, რომ თეირანს ამ ჯგუფებზე განსხვავებული ხარისხის კონტროლი გააჩნია და მათ ერთ კონტექსტში გააზრება ირანის გავლენებთან მიმართებაში ხშირად არასწორ აღქმებს აჩენს. მაგალითისთვის, გარკვეულ შემთხვევაში თეირანისა და ამ „პროქსი“ ჯგუფების ინტერესები ერთმანეთთან თანხვედრაში მოდის ( მაგალითად, იემენელი ჰუსიტები და ჰეზბოლა); ზოგიერთ სამხედრო ჯგუფებზე  კი თეირანს პირდაპირი კონტროლი აქვს (მაგალითად, *შიიტური სამხედრო დანაყოფები ერაყსა და სირიაში*); სუნიტური დაჯგუფებების

---

[182] “The Mobilization of Islamic Iran’s Strategic Depth and National Capabilities,” *Rasa News*, November 21, 2015, http://rasanews.ir/fa/news/303858/ (accessed October 10, 2023).
[183] *Iran’s Network of Influence in the Middle East*, 17.
[184] *Iran’s Network of Influence in the Middle East*, 32.

ქმედებებზე კი თეირანი უფრო გავლენის მოხდენას, ვიდრე მათ პირდაპირ კონტროლს ცდილობს (მაგალითად, ჰამასი, პალესტინის ისლამური ჯიჰადი და თალიბანის გარკვეული ელემენტები)[185]. ამ ჯგუფებზე თეირანის გავლენის განსხვავებული ხარისხის მიუხედავად, ისინი ერთობლიობაში ირანის მთავარ ასიმეტრიულ ინსტრუმენტს წარმოადგენენ.  ინსტრუმენტს, რომელიც ირანს რეგიონში გავლენების გაფართოების შესაძლებლობას აძლევს  პირდაპირ კონვენციურ კონფლიქტებში ჩართვის გარეშე.

ირანის შედარებით ახალი და მზარდი პოტენციალის მქონე ასიმეტრიულ ინსტრუმენტს  თავდასხმითი კიბერ შესაძლებლობები წარმოადგენს. თეირანმა ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი რესურსების ინვესტირება მოახდინა. თეირანის მიერ ამ მიმართულებით რესურსების მობილიზებას ორმა მოვლენამ მისცა ბიძგი - ონლაინ კომუნიკაციების როლმა 2009 წლის „მწვანე მოძრაობის" პროტესტის დროს და 2010 წელს ირანზე განხორციელებულმა „სტაქსნეტის" კიბერშეტევამ[186]. ამ ორმა სტრატეგიულმა შოკმა, რომელმაც საფრთხე შეუქმნა მოქმედი რეჟიმის არსებობასა და ბირთვულ პროგრამას, თეირანს ნათლად დაანახა, თუ რამდენად მოწყვლადი იყო ის კიბერშეტევებისა თუ ახალი ტექნოლოგიების წინაშე. შესაბამისად, 2010 წლიდან ირანის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმები განახორციელა. კერძოდ, შექმნა ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის კიბერ თავდაცვის დანაყოფი (IRGC Cyber Defense Command) და გაერთიანებული შტაბების კიბერ სარდლობა (Joint Chiefs of Staff Cyber Command). ამ სტრუქტურულ რეფორმებთან ერთად ირანის ხელისუფლებამ, ბრიტანული ტექნოლოგიური კომპანიის მონაცემების თანახმად, 2015 წელს კიბერუსაფრთხოების სფეროში ჩადებული ინვესტიციების რაოდენობა 1200 პროცენტით გაზარდა[187]. თეირანის მიერ გატარებული რეფორმებისა და ფინანსური რესურსების მობილიზების შედეგად, ირანი უკანასკნელ წლებში კიბერუსაფრთხოების სფეროში რეგიონის ერთ-ერთ

---

[185] *Iran's Network of Influence in the Middle East*, 32.
[186] *Iran's Network of Influence in the Middle East*, 27.
[187] *Iran's Network of Influence in the Middle East*, 27.

წამყვან მოთამაშედ და ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. სწრაფად მზარდმა თავდასხმითმა კიბერშესაძლებლობებმა კი ირანის „რუხი არეალის“ სტრატეგიაში მნიშვნელოვანი როლის თამაში დაიწყო. შესაბამისად, ეგრეთ წოდებულ ირანის საბრძოლო ტრიადას, რომელიც არაკონვენციურ საზღვაო ძალებს, უპილოტო საფრენი აპარატების არსენალსა და გასამხედროებულ „პროქსი“ ჯგუფებს მოიცავს, უკანასკნელ პერიოდში თავდასხმითი კიბერ შესაძლებლობებიც დაემატა. ირანის „ოპერირების ხერხებისა“ და ასიმეტრიული ინსტრუმენტების ერთობლიობა კი, როგორც აღვნიშნეთ, თეირანის „რუხი არეალის“ სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს. სტრატეგიის, რომელიც ირანს  მის შედარებით უპირატესობებზე კაპიტალიზაციისა და მოწინააღმდეგეთა სუსტი მხარეების ეფექტური ექსპლუატაციის საშუალებას აძლევს, რაც თავის მხრივ, მისი რეგიონული გავლენის ზრდასა თუ რევიზიონისტული მიზნების მიღწევის საქმეში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. თუ როგორ მოქმედებს თეირანი „რუხი არეალის“ სტრატეგიის ფარგლებში, ამას მომდევნო თავში ირანის სუბვერსიული ქმედებების გაანალიზებისას განვიხილავ.

### *4.3 თეირანის სუბვერსიული ქმედებები სპარსეთის ყურეში - 2019 წელი*

2019 წლის მაის-ნოემბრის თვეებში თეირანი იწყებს ასიმეტრიული ინსტრუმენტების განსაკუთრებული ინტენსივობით გამოყენებას სპარსეთის ყურეში. კერძოდ, პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ირანის წინააღმდეგ წარმოებული „მაქსიმალური ზეწოლის“ კამპანიის საპასუხოდ, თეირანმა მნიშვნელოვნად გაააქტიურა რეგიონში ვაშინგტონისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ სუბვერსიული ქმედებები. ამ პერიოდში ირანის მიერ გადადგმული ნაბიჯების ანალიზი განსაკუთრებით ყურადსაღებია ორი მიზეზის გამო: პირველი, თეირანის ქმედებები საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ თუ როგორ მოქმედებს ის მასზე სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებზე წნეხის შესაქმნელად და თან ისე, რომ მინიმალურად შეამციროს პირდაპირ კონვენციურ კონფლიქტში ჩართვის რისკები. და მეორე, ამ

პერიოდში ხდება თეირანის მიერ ასიმეტრიული ინსტრუმენტების განსაკუთრებული ინტენსიობით გამოყენება, რაც ირანის „რუხი არეალის“ სტრატეგიის ნათლად წარმოჩენის საშუალებას გვაძლევს. ირანის მიერ ამ პერიოდში წარმოებული სუბვერსიული კამპანიის გასაანალიზებლად, რომელიც აშშ-სა და მის რეგიონულ მოკავშირეებზე წნეხის გაზრდას ისახავდა მიზნად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თეირანის მიერ ოთხი მიმართულებით წარმართულ ქმედებებს. სახელდობრ - ირანის მცდელობებს მოახდინოს ენერგომატარებლების ტრანზიტის საბოტირება; მუდმივი საფრთხის ქვეშ ამყოფოს აშშ-ის სამხედრო კონტიგენტი თუ დიპლომატიური კორპუსი; ბირთვული თემის მანიპულირებით გაზარდოს წნეხი დასავლეთსა და რეგიონის ქვეყნებზე და მოაწყოს კიბერ შეტევები მოწინააღმდეგეების კრიტკულ ინფრასტრუქტურაზე.

**2019 წლის მაის-ნოემბერში** ირანის მიერ ენერგორესურსების ტრანზიტის საბოტირების მიზნით შემდგომი ქმედებები განხორციელდა:

- **2019 წლის 12 მაისს** არაბთა გაერთიანებული საამიროების სანაპიროსთან საზღვაო ნაღმების გამოყენებით დაზიანდა ოთხი ნავთობის ტანკერი. აშშ-ის ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, სადაზვერვო სამსახურებმა ინციდენტის პერიოდში დაზიანებული ტანკერების მახლობლად ირანის საზღვაო ძალების ხომალდები შენიშნეს. ამასთანავე, ინციდენტიდან ამოღებული საზღვაო ნაღმების ნარჩენები ამ სუბვერსიულ ქმედებაში ირანის მონაწილეობაზე ნათლად მიუთითებს[188]. საყურადღებოა, რომ ირანმა მისი ამ ინციდენტში მონაწილეობა უარყო.

- **2019 წლის 14 მაისს** საუდის არაბეთის სამეფოს ნავთობსადენზე განხორციელდა დრონებით თავდასხმა. საუდის არაბეთის ენერგეტიკის

---

[188] Aziz El Yaakoubi, “U.S. Navy Says Mine Fragments Suggest Iran behind Gulf Tanker Attack,” *Reuters*, June 29, 2019, https://www.reuters.com/articles/us-iran-nuclear-idUSKCN1TK1DX/ (accessed November 6, 2023).

მინისტრის განცხადებით, „ეს ტერორიზმისა და საბოტაჟის აქტი, არაბეთის ყურეში განხორციელებულ სხვა სუბვერსიულ აქტებთან ერთად, მხოლოდ საუდის არაბეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული. არამედ ის მიზნად ისახავს, შეარყიოს მსოფლიო ნავთობმომარაგების სისტემები და გლობალური ეკონომიკა“[189]. საყურადღებოა, რომ ამ შეტევის შემდეგ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი მყისიერად გაიზარდა. პირველადი მონაცემების თანახმად, ერ-რიადის მახლობლად არსებულ ნავთობსადენზე დრონებით შეტევა იემენელი ჰუსიტების მხრიდან განხორციელდა.

- **2019 წლის 13 ივნისს** ჰორმუზის ყურეში საზღვაო ნაღმების გამოყენებით დაზიანდა იაპონიის კუთვნილი ნავთობქიმიური ნივთიერებებით დატვირთული ორი ტანკერი. აშშ-ის საზღვაო ძალების წარმომადგენლის განცხადებით, „შემთხვევის ადგილიდან ამოღებული საზღვაო ნაღმები ძალზედ ჰგავს ირანის შეიარაღებაში არსებულ იმ ნაღმებს, რომლებიც თეირანმა სამხედრო აღლუმისას გამოფინა საჯაროდ“[190]. ასევე, აშშ-ის სადაზვერვო ინფორმაციაზე დაყრდნობით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინციდენტის დროს ირანის საზღვაო ძალების კატარღები დაზიანებულ ტანკერებთან ახლოს პატრულირებდნენ, რაც მათი მონაწილეობის ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის. საყურადღებოა, რომ ირანის ხელისუფლებამ ამჯერადაც უარყო ინციდენტში მონაწილეობა.

- **2019 წლის 10 ივლისს** ირანის საზღვაო ძალების სამი კატარღა ბრიტანული სატვირთო ტანკერის გატაცებას შეეცადა. თუმცა ბრიტანეთის სამეფო საზღვაო ძალების კუთვნილი ხომალდის ჩარევის შედეგად, ირანის კატარღებმა უკან დაიხიეს. ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ

---

[189] “Oil Prices Jump as Saudi Energy Minister Reports Drone ‘Terrorism’ Against Pipeline Infrastructure,” *CNBC*, May 14, 2019, https://www.cnbc.com/2019/05/14/oil-jumps-as-saudi-energy-minister-reports-drone-terrorism-against-pipeline.html (accessed November 9, 2023).
[190] “US Navy: Mine Fragments from Tanker Attack Bear Iran Hallmarks,” *Al Jazeera*, June 19, 2019, https://www.aljazeera.com/news/2019/6/19/us-navy-mine-fragments-from-tanker-attack-bear-iran-hallmarks (accessed November 9, 2023).

გავრცელებული განცხადების თანახმად, „საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, ირანის სამი კატარღა შეეცადა ბრიტანული კომერციული ხომალდის „ჰერითიჯის“ შეფერხებას, როდესაც ის ჰორმუზის სრუტეში გადაადგილდებოდა ... ჩვენ შეშფოთებულები ვართ ამ ქმედებით და მოვუწოდებთ ირანის მხარეს, მოახდინოს რეგიონში ვითარების დეესკალაცია“[191]. საყურადღებოა, რომ წინა შემთხვევების მსგავსად, თეირანმა უარყო მისი საზღვაო ძალების ამ ინციდენტში მონაწილეობა.

- **2019 წლის 13 ივლისს** ირანის საზღვაო ძალებმა ჰორმუზის სრუტეში ნავთობით დატვირთული ტანკერი გაიტაცეს. სხვა მსგავსი შემთხვევებისგან განსხვავებით, ირანის ხელისუფლებამ ნავთობით დატვირთული ტანკერის დაკავების ფაქტი არ უარყო. ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის განცხადებით, დაკავებული ტანკერი ნავთობის კონტრაბანდას ეწეოდა, რის გამოც ირანის სასამართლომ მისი კონფისკაციის გადაწყვეტილება მიიღო[192].

- **2019 წლის 19 ივლისს** ირანის საზღვაო ძალებმა ჰორმუზის სრუტეში დააკავეს ბრიტანეთის დროშის ქვეშ მცურავი ნავთობის ტანკერი. ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის წარმომადგენელთა განმარტებით, დაკავების მიზეზი ბრიტანეთის დროშით მცურავი ტანკერის მიერ საერთაშორისო სანავიგაციო წესების დარღვევა გახდა[193]. იმავე დღეს ირანის საზღვაო ძალებმა დროებით დააკავეს ნავთობის ტანკერი, რომლის ოპერირებასაც ასევე ბრიტანული კომპანია ახორციელებდა. ამ ინციდენტს

---

191 "Iranian Boats 'Attempted to Impede' British Oil Tanker in Strait of Hormuz," *The Guardian*, July 11, 2019, https://www.theguardian.com/world/2019/jul/11/iranian-boats-harass-british-oil-tanker-in-strait-of-hormuz (accessed November 9, 2023).
192 "Iran Says It Has Seized Foreign Oil Tanker in Gulf," *The Guardian*, July 18, 2019, https://www.theguardian.com/world/2019/jul/18/iran-says-it-has-seized-foreign-oil-tanker-in-gulf (accessed November 9, 2023).
193 "Iran Stokes Gulf Tensions by Seizing Two British-Linked Oil Tankers," *The Guardian*, July 19, 2019, https://www.theguardian.com/world/2019/jul/19/british-tanker-iran-capture-fears-stena-impero-uk-ship-latest (accessed November 9, 2023).

გამოეხმაურა ბრიტანეთის საგარეო მდივანი ჯერემი ჰანთი, რომელმაც აღნიშნა, „რომ თუ ეს ვითარება არ გამოსწორდა, მაშინ მას ძალზე მძიმე შედეგები მოჰყვება“[194].

- **2019 წლის 4 აგვისტოს** ირანის საზღვაო ძალებმა დააკავეს ერაყის დროშის ქვეშ მცურავი ნავთობის ტანკერი. ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის განცხადებით, დაკავებული ტანკერი ეწეოდა კონტრაბანდულ საქმიანობას. კერძოდ, მას არალეგალურად გადაქონდა ნავთობი ზოგიერთი არაბული ქვეყნის დავალებით[195].

- **2019 წლის 14 სექტემბერს** საუდის არაბეთში არამკოს ორ უმსხვილეს ნავთობმომპოვებელ პლატფორმაზე - აბქაიქსა და ხურაისზე - განხორციელდა ფართომასშტაბიანი შეტევა დრონებისა და ფრთოსანი სარაკეტო დანადგარების გამოყენებით. ამ ინციდენტის შედეგად, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი 20%-ით გაიზარდა, რაც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ნავთობის მიწოდების ყველაზე მასშტაბური შეფერხებით (5.7 მილიონი ბარელი დღეში) იქნა განპირობებული[196]. საუდის არაბეთის თავდაცვის სამინისტროს პრესმდივნის განცხადებით, არამკოს ნავთობმომპოვებელ პლატფორმებზე შეტევა 25 დრონმა და ფრთოსანმა რაკეტამ მიიტანა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დრონებისა და ფრთოსანი რაკეტების ნარჩენები, ისევე როგორც მათი მოძრაობის ტრაექტორია, ნათელს ხდის, რომ შეტევა ირანის მიერ იყო

[194] “Iran Stokes Gulf Tensions by Seizing Two British-Linked Oil Tankers,” *The Guardian*, July 19, 2019, https://www.theguardian.com/world/2019/jul/19/british-tanker-iran-capture-fears-stena-impero-uk-ship-latest (accessed November 10, 2023).
[195] Iran Seizes Iraqi Oil Tanker Smuggling Fuel in Gulf,” *Reuters*, August 4, 2019, https://www.reuters.com/article/us-mideast-iran-tanker-idUSKCN1UU08Y/ (accessed November 10, 2023).
[196] “A Strike on Saudi Arabia Moves a Shadowy Conflict Closer to Open War,” *The Economist*, September 19, 2019, https://www.economist.com/middle-east-and-africa/2019/09/19/a-strike-on-saudi-arabia-moves-a-shadowy-conflict-closer-to-open-war (accessed November 11, 2023).

ორგანიზებული[197]. ირანის პრეზიდენტმა საუდის არაბეთის ბრალდებები უარყო, ხოლო თავად შეტევაზე პასუხისმგებლობა თავის თავზე იემენის ჰუსიტების მოძრაობამ აიღო.

**2019 წლის მაის-ნოემბერში** ირანის ხელისუფლებამ, ენერგომატარებლების ტრანზიტის საბოტირების პარალელურად, გააქტიურა ქმედებები, რომლებიც აშშ-ის სამხედრო კონტიგენტისა თუ დიპლომატიური კორპუსის წნეხის ქვეშ მოქცევას ისახავდა მიზნად. ამ პერიოდში ირანის ხელისუფლების პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობით შემდეგი ქმედებები განხორციელდა:

- **2019 წლის 19 მაისს** ბაღდადის საგანგებოდ დაცულ მწვანე ზონაში, აშშ-ის საელჩოს მახლობლად სარაკეტო შეტევა განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არცერთ მხარეს არ აუღია თავის თავზე, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის ირანის მხარდაჭერილი შიიტური დაჯგუფების მიერ განხორციელდა. ამ თავდასხმის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა მისი თვითერის ანგარიშზე გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „თუ ირანს სურს ომი, ეს მისი დასასრული იქნება“[198]. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ ტრამპის განცხადება პირდაპირ ამ ინციდენტს არ ეხმაურება, ის კარგად ასახავს ორ ქვეყანას შორის შექმნილი დაძაბულობის ხარისხს. ამ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე აშშ-მა ბაღდადში მისი საელჩოსა და ერბილში გენერალური საკონსულოს „არა ძირითადი შემადგენლობის“ (non-essential personnel) ევაკუაცია მოახდინა.

---

[197] Saudi Offers 'Proof' of Iran's Role in Oil Attack and Urges US Response," *The Guardian*, September 18, 2019, https://www.theguardian.com/world/2019/sep/18/saudi-oil-attack-rouhani-dismisses-us-claims-of-iran-role-as-slander (accessed November 11, 2023).

[198] "Rocket Lands near U.S. Embassy inside Baghdad's Green Zone," *The Washington Post*, May 19, 2019, https://www.washingtonpost.com/world/rocket-lands-near-us-embassy-inside-baghdads-green-zone/2019/05/19/c09c42ee-7a66-11e9-a66c-d36e482aa873_story.html (accessed November 11, 2023).

- **2019 წლის 13 ივნისს** იემენის ჰუსიტურმა დაჯგუფებამ იერიში მიიტანა აშშ-ის უპილოტო საფრენ აპარატზე MQ-9-ზე. აშშ-ის ცენტრალური სარდლობის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, MQ-9-ის ჩამოსაგდებად ჰუსიტებმა გამოიყენეს მაღალტექნოლოგიური შეიარაღება, რაც ამ ინციდენტში ირანის პირდაპირ ან ირიბ მონაწილეობას ცხადყოფს[199].

- **2019 წლის 17 ივნისს** ერაყში განლაგებულ ექსონმობილის საცხოვრებელ კომპლექსზე სარაკეტო შეტევა განხორციელდა, რომლის დროსაც ნავთობის კომპანიის სამი თანამშრომელი დაიჭრა. ექსონმობილის საცხოვრებელ კომპლექსზე განხორციელებულ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არც ერთ მხარეს არ აუღია. ენერგეტიკის სფეროს ექსპერტის რუბა რუჰანის თქმით, „ეს არის გზავნილი, რომელიც ნათლად მიუთითებს, რომ დასავლეთის ინტერესები ერაყში შესაძლოა მნიშვნელოვნად დაზიანდეს თუ ირანსა და აშშ-ის შორის ესკალაციის პროცესი კვლავაც გაგრძელდება“[200]. საყურადღებოა, რომ იმავე დღეებში სარაკეტო შეტევები განხორციელდა რუმეილას ნავთობმომპოვებელ პლატფორმასა და მოსულში განლაგებულ აშშ-ის სამხედრო ბაზაზე.

- **2019 წლის 20 ივნისს** ირანის შეიარაღებულმა ძალებმა სპარსეთის ყურეში ჩამოაგდეს აშშ-ის უპილოტო საფრენი აპარატი - RQ-4 Global Hawk - რომელიც რეგიონში სადაზვერვო მისიას ახორციელებდა. ოფიციალური თეირანის განმარტებით, აშშ-ის უპილოტო საფრენმა აპარატმა ირანის საჰაერო სივრცე დაარღვია. თუმცა, აშშ-ის საჰაერო ძალების წარმომადგენლის განცხადებით, „ეს იყო პროვოკაციული ქმედება აშშ-ის მიმართ, რომლის უპილოტო საფრენ აპარატსაც ირანის საჰაერო სივრცე არ

[199] “U.S. Blames Iran for Helping Houthi Rebels Shoot Down Drone in Yemen,” *Reuters*, June 16, 2019, https://www.reuters.com/article/us-mideast-attacks-usa-drone-idUSKCN1TH0LA/ (accessed November 11, 2023).

[200] “3 Wounded in Rocket Strike near U.S.-Linked Oil Installation and Military Bases in Iraq,” *The Washington Post*, June 19, 2019, https://www.washingtonpost.com/world/middle_east/rockets-strike-near-us-linked-oil-installation-and-military-bases-in-iraq-3-wounded/2019/06/19/cac4b43a-9263-11e9-b72d-d56510fa753e_story.html (accessed November 12, 2023).

დაურღვევია“. მისივე განმარტებით, „ეს თავდასხმა მიზნად ისახავს, შეასუსტოს აშშ-ის მცდელობა, უზრუნველყოს შეუფერხებელი საერთაშორისო გადაზიდვები ჰორმუზის სრუტის გავლით, რასაც უკანასკნელ პერიოდში ირანის ქმედებებმა საფრთხე შეუქმნა“[201].

- **2019 წლის 6 ივლისს** განხორციელდა შეტევა ერაყში აშშ-ის საელჩოს კუთვნილ სატვირთო მანქანებზე. ამ შემთხვევის შედეგად, რომლის დროსაც სამი თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა გამოიყენეს, დაშავდა ერთი ადამიანი[202].

- **2019 წლის 16 ივლისს** ასაფეთქებლებით დატვირთული შორიდან მართვადი ნავი შეეცადა, დიდი ბრიტანეთის კუთვნილ გამანადგურებელზე მიეტანა შეტევა წითელ ზღვაში. საყურადღებოა, რომ ამ ინციდენტს წინ უძღოდა თეირანის მუქარა ბრიტანეთის საზღვაო ძალების მიმართ, რომელთაც სირიაში მიმავალი ირანული ნავთობის ტანკერი დააკავეს. ირანის უზენასმა ლიდერმა, ბრიტანეთის საზღვაო ძალების ეს ქმედება „მეკობრეობად“ შერაცხა[203].

- **2019 წლის 6 აგვისტოს** განხორციელდა შეტევა ბრიტანეთის ნავთობკომპანიის (BP) კუთვნილ ობიექტზე ბასრაში[204]. შეტევის დროს თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა გამოიყენეს, რომელიც კომპანიის კუთვნილ უსაფრთხოების მანქანაში დაამონტაჟეს. საყურადღებოა, რომ ეს შეტევაც თეირანის მიერ დიდი ბრიტანეთის მიმართ საჯაროდ გაცხადებული მუქარის ფონზე განხორციელდა.

---

[201] “Iran Shoots Down U.S. Global Hawk Operating in International Airspace,” *U.S. Department of Defense*, June 20, 2019, https://www.defense.gov/News/News-Stories/article/article/1882497/iran-shoots-down-us-global-hawk-operating-in-international-airspace/ (accessed November 12, 2023).
[202] Michael Knights and Alex Almedia, “Militias Are Threatening Public Safety in Iraq,” *The Washington Institute for Near East Policy*, August 14, 2019, https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/militias-are-threatening-public-safety-iraq (accessed November 14, 2023).
[203] “Iranian Bomb Boat Discovered Path [of] Royal Navy Destroyer,” *The Daily Mail*, July 16, 2019, https://www.dailymail.co.uk/news/article-7251619/Iranian-bomb-boat-discovered-path-Royal-Navy-destroyer-sent-Gulf.html (accessed November 14, 2023).
[204] Eisenstadt, *Operating in the “Grey Zone”*, 3.

- **2019 წლის 23 სექტემბერს** ბაღდადის საგანგებოდ დაცულ მწვანე ზონაში, აშშ-ის საელჩოს მახლობლად სარაკეტო შეტევა განხორციელდა. ბაღდადში მყოფი უსაფრთხოების ექსპერტის განმარტებით, 100-მილიმეტრიანი რაკეტები საელჩოს მახლობლად აფეთქდა; ერთ-ერთმა რაკეტამ კი საელჩოს გარე პერიმეტრზეც შეაღწია[205]. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ამასთანავე ამ სარაკეტო თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არც ერთ მხარეს არ აუღია.

- **2019 წლის 29 ოქტომბერს** ჩრდილოეთ ერაყში განლაგებულ აშშ-ის სამხედრო ბაზაზე სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა. ერაყის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, რომელმაც შემთხვევის ადგილი მოინახულა, ამ ინციდენტს აშშ-ის სამხედრო ინფრასტრუქტურისთვის მნიშვნელოვანი ზიანი არ მიუყენებია[206].

- **2019 წლის 30 ოქტომბერს** ბაღდადის საგანგებოდ დაცულ მწვანე ზონაში, აშშ-ის საელჩოს მახლობლად სარაკეტო შეტევა განხორციელდა, რომლის დროსაც ერთი ჯარისკაცი დაიღუპა[207]. საყურადღებოა, რომ ეს შეტევა ჩრდილოეთ ერაყში აშშ-ის სამხედრო ბაზაზე მომხდარი თავდასხმის მომდევნო დღეს განხორციელდა.

- **2019 წლის 8 ნოემბერს** ჩრდილოეთ ერაყში განლაგებულ აშშ-ის სამხედრო ბაზაზე სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა. აშშ-ის სამხედრო ბაზის

---

205 "Two Rockets 'Hit' near US Embassy in Baghdad's Green Zone," *Al Jazeera*, September 24, 2019, https://www.aljazeera.com/news/2019/9/24/two-rockets-hit-near-us-embassy-in-baghdads-green-zone (accessed November 14, 2023).
206 "Iraqi Defense Minister Says Missile Fell near Military Base, No Damage," *Middle East Monitor*, October 29, 2019, https://www.middleeastmonitor.com/20191029-iraqi-defence-minister-says-missile-fell-near-military-base-no-damage/ (accessed November 14, 2023).
207 Iraq: Rockets Hit Baghdad's Green Zone, Killing One Soldier," *Al Jazeera*, October 31, 2019, https://www.aljazeera.com/news/2019/10/31/iraq-rockets-hit-baghdads-green-zone-killing-one-soldier (accessed November 15, 2023).

მიმართულებით 17 რაკეტა ისროლეს, თუმცა ამ თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა[208]. აშშ-ის სამხედრო ბაზაზე განხორციელებულ ამ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არც ერთ მხარეს არ აუღია.

- **2019 წლის 17 ნოემბერს** ბაღდადის საგანგებოდ დაცულ მწვანე ზონაში, სადაც მრავალი საელჩოა განთავსებული, სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა. ეს სარაკეტო შეტევა აშშ-ის მიერ გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა, რომლის დროსაც ვაშინგტონმა ერაყში არსებული სამხედრო კონტიგენტის შემცირება გამოაცხადა[209].

- **2019 წლის მაის-ნოემბერში** ენერგომატარებლების ტრანზიტის საბოტირებისა თუ აშშ-ის სამხედრო და დიპლომატიურ კორპუსზე წნეხის გაზრდის პარალელურად, ირანის ხელისუფლებამ მისი მოწინააღმდეგეების მიმართ კიბეროპერაციების გააქტიურება დაიწყო.

- **2019 წლის მაის-ივნისში** ირანის ხელისუფლებამ გაააქტიურა კიბეროპერაციები აშშ-ის სახელმწიფო უწყებებისა თუ კერძო კომპანიების წინააღმდეგ[210]. აშშ-ის ეროვნული დაზვერვის სამსახურის მიერ 2019 წელს გამოცემული კვლევის თანახმად, ირანი კიბერ შეტევებისა და კიბერ ჯაშუშობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს. რამეთუ თეირანმა მნიშვნელოვნად განავითარა კიბერ ტექნოლოგიები, რომელიც მის აშშ-ისა და მისი მოკავშირეების კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმის საფრთხეს ზრდის[211]. იმავე კვლევაში ნათქვამია, რომ ამ ტიპის კიბერ თავდასხმებს შეუძლიათ ლოკალური და

---

208 "Rockets Land near Iraqi Base Hosting U.S. Forces, No Casualties – Iraqi Military," *Reuters*, November 8, 2019, https://www.reuters.com/article/idUSKBN1XI28T/ (accessed November 15, 2023).

209 "Iraqi Military Says Four Rockets Hit Baghdad's Green Zone," *Al Jazeera*, November 8, 2019, https://www.aljazeera.com/news/2020/11/17/four-rockets-hit-baghdads-green-zone-iraqi-military (accessed November 15, 2023).

210 Eisenstadt, *Operating in the "Grey Zone"*, 3.

211 *The Worldwide Threat Assessment of the Intelligence Community*, Office of the Director of National Intelligence, January 29, 2019, 6, https://www.dni.gov/files/ODNI/documents/2019-ATA-SFR---SSCI.pdf (accessed November 16, 2023).

დროებით შეფერხება გამოიწვიოს აშშ-ის სახელმწიფო უწყებებისა თუ კერძო კომპანიების საქმიანობაში[212].

- **2019 წლის ივლის-აგვისტოში** ირანის ჰაკერულმა ჯგუფებმა ბაჰრეინის კრიტიკული ინფრასტრუქტურასა და სახელმწიფო უწყებების სისტემებში პენეტრირება შეძლეს. კიბერუსაფრთხოების ექსპერტთა მოსაზრებით, ირანის მიერ ბაჰრეინში ჩატარებული კიბეროპერაციები სცდებოდა თეირანის მიერ აქამდე წარმოებული კიბერაქტივობების ინტენსივობის ზღვარს და გაცილებით უფრო მასშტაბურ ხასიათს ატარებდა[213]. ბაჰრეინის სახელმწიფო უწყებებისა და კერძო კომპანიების წინააღმდეგ წარმოებული ეს კიბერ კამპანია ირანის მზარდი შესაძლებლობების ნათელი დემონსტრირება იყო.

- **2019 წლის ოქტომბერში** ირანის ჰაკერულმა ჯგუფმა APT33-მ განახორციელა უპრეცედენტო დიგიტალური სუბვერსიის აქტები ინდუსტრიული კონტროლის სისტემების (ICS) წინააღმდეგ შუა აღმოსავლეთში[214]. საყურადღებოა, რომ ირანის ჰაკერული ჯგუფების ქმედებებმა ახალი ფორმები მიიღო. კერძოდ, სტანდარტულად IT ქსელებში შეღწევის ნაცვლად, მათ მიზანში ამოიღეს კრიტიკული ინფრასტრუქტურის მართვის ფიზიკური ცენტრები, რაც ამ ტიპის კიბერშეტევების შესაძლო ზიანის მასშტაბებს გაცილებით უფრო ზრდის.

---

[212] *Worldwide Threat Assessment*, Office of the Director of National Intelligence, 6.
[213] "The High-Level Cyber Intrusion Hit Bahrain amid Tensions with Iran," *The Wall Street Journal*, August 7, 2019, https://www.wsj.com/articles/high-level-cyber-intrusions-hit-bahrain-amid-tensions-with-iran-11565202488 (accessed November 16, 2023).
[214] "A Notorious Iranian Hacking Crew Is Targeting Industrial Control Systems," *WIRED Middle East*, November 20, 2019, https://wired.me/technology/iran-apt33-industrial-control-systems/ (accessed November 16, 2023).

- **2019 წლის მაის-ნოემბერში** აშშ-ის მიერ P5+1 შეთანხმებიდან[215] გამოსვლის შემდგომ პერიოდში თეირანი ასევე ცდილობდა, გაეზარდა წნეხი დასავლეთისა და რეგიონის ქვეყნებზე ბირთვული თემის მანიპულირებით;

- **2019 წლის 8 მაისს** ირანის ხელისუფლებამ გაავრცელა განცხადება, რომ ის აღარ დაექვემდებარება JCPOA-ით[216] განსაზღვრულ ლიმიტებს და განაახლებს არაკის რეაქტორის მშენებლობას, იმ შემთხვევაში თუ შეთანხმების მონაწილე მხარეები არ დაიწყებენ სანქციების რეჟიმის შემსუბუქებას[217]. საყურადღებოა, რომ ამ განცხადებამდე რამდენიმე კვირით ადრე, საგარეო საქმეთა მინისტრმა ზარიფმა ირანის ტელევიზიასთან მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ თეირანი განიხილავს NPT-დან[218] გამოსვლის პერსპექტივას[219].
- **2019 წლის 7 ივლისს** ირანის საგარეო სამეთა მინისტრმა ჯავად ზარიფმა გამოაქვეყნა თვითი, რომელშიც მიუთითა, რომ თეირანი ზრდის ურანის გამდიდრების JCPOA-ით დადგენილ 3.67 პროცენტიან ლიმიტს. ზარიფის განმარტებით, თეირანმა ეს გადაწყვეტილება აშშ-ის მიერ წარმოებული „ეკონომიკური ტერორიზმის" აქტების საპასუხოდ მიიღო[220]. ირანმა ურანის გამდიდრების ახალი გეგმა, რომელიც JCPOA-ით დადგენილ ლიმიტებს სცდება, საერთაშორისო ატომური ენერგეტიკის სააგენტოსაც (IAEA) გადაუგზავნა.

---

[215] P5+1 არის გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრებისა - აშშ, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო - და გერმანიისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც 2006 წლიდან აწარმოებს მოლაპარაკებებს ირანთან ბირთვული პროგრამის თემატიკაზე.
[216] JCPOA ანუ იგივე „ერთობლივი ყოლიმომცველი სამოქმედო გეგმა" არის ირანის ბირთვულ პროგრამაზე მიღწეული შეთანხმება, რომელსაც P5+1-ის ქვეყნებმა და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს თეირანთან 2014 წელს.
[217] "Timeline of Nuclear Diplomacy with Iran," *Arms Control Association*, January 2023, https://www.armscontrol.org/factsheets/Timeline-of-Nuclear-Diplomacy-With-Iran (accessed November 17, 2023).
[218] NPT - ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმება, რომელიც ძალაშია 1970 წლიდან.
[219] *Timeline of Nuclear Diplomacy with Iran*, *Arms Control Association*.
[220] *Timeline of Nuclear Diplomacy with Iran*, *Arms Control Association*.

- **2019 წლის 5 სექტემბერს** ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც „ირანი უარს ამბობს ყველა იმ ვალდებულებაზე, რომელსაც JCPOA უწესებდა თეირანს ბირთვული კვლევებისა და განვითარების საკითხებში“[221]. ამ განცხადების პარალელურად, ირანის ხელისუფლებამ IAEA-ს მიაწოდა ინფორმაცია, რომ თეირანი გეგმავდა ნანთაზის ატომურ სადგურში ახალი ცენტრიფუგების დამონტაჟებას.

- **2019 წლის 5 ნოემბერს** ირანის ხელისუფლებამ გააკეთა განცხადება, რომ თეირანი ფორდოვის ატომურ სადგურზე იწყებდა UF6 გაზის ბირთვულ ცენტრიფუგებში (1,044 IR-1) ინექციის პროცესს[222]. თეირანის მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, რომელიც JCPOA-ით დაწესებული შეზღუდვების მომდევნო დარღვევა იყო, IAEA-ს წარმომადგენლებმაც დაადასტურეს.

ირანის მიერ, დროის ამ პერიოდში ასიმეტრიული ინსტრუმენტების მაღალი ინტენსივობით გამოყენება, თეირანის სტრატეგიული მიდგომების ნათლად გააზრების საშუალებას გვაძლევს. სახელდობრ, 2019 წლის მაის-ნოემბერს თეირანის მიერ გადადგმული ნაბიჯების განხილვა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენციის გამოკვეთაში გვეხმარება.

პირველი - ირანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა თუ გადადგმული ნაბიჯების უმრავლესობა სტრატეგიული ბუნდოვანების შექმნას ისახავდა მიზნად. რამეთუ, თეირანის გათვლით, სწორედ სტრატეგიული ბუნდოვანება უწყობს ხელს კონვენციური კონფლიქტის თავიდან აცილებას. თუ დავაკვირდებით ირანის მიერ ჰორმუზის სრუტეში ჩატარებულ სუბვერსიულ ქმედებებს, რომლებიც ენერგორესურსების ტრანზიტის შეფერხებას ისახავდა მიზნად, უნდა აღინიშნოს, რომ თეირანი თითქმის არც ერთ ამ ოპერაციაში პირდაპირ არ მონაწილეობდა. პრაქტიკულად იდენტური მიდგომა ვლინდება

[221] *Timeline of Nuclear Diplomacy with Iran*, *Arms Control Association.*
[222] Eisenstadt, *Operating in the "Grey Zone"*, 3.

რეგიონში აშშ-ის სამხედრო კონტიგენტსა თუ დიპლომატიურ მისიებზე წნეხის გაზრდის მიზნით განხორციელებულ ქმედებებშიც. ამ ორი მიმართულებით წარმოებული სუბვერსიული ოპერაციების დიდი უმრავლესობა ირანთან დაკავშირებული „პროქსი ჯგუფების“ მონაწილეობით ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოპერაციებში ირანის მონაწილეობის კვალი მისი მოწინააღმდეგეებისთვის ნათელია, ეს არაპირდაპირი მიდგომა მაინც ქმნის სპეკულირების სივრცეს თეირანის შესაძლო როლის შესახებ. შესაბამისად, მაშინ, როდესაც თეირანი პროცესების ესკალაციას ახდენს ის პარალელურად სტრატეგიულ ბუნდოვანების შექმნასაც უწყობს ხელს, რათა ამ პროცესების მსხვილმასშტაბიან კონფლიქტში გადაზრდის რისკები შეამციროს.

მეორე - თეირანის მიერ წარმოებული სუბვერსიული ქმედებები დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობს და გამორიცხავს იმგვარ გადამწყვეტ ქმედებას, რომელმაც შესაძლოა კონფლიქტის რისკები გაზარდოს. მოქმედების ეს პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული გარემოს თანმიმდევრულად შეცვლას ისახავს მიზნად. ირანის შემთხვევაში სტრატეგიული გარემოს ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, რეგიონში აშშ-ის შეკავების მექანიზმების დასუსტებაში გამოიხატება. ამ მხრივ, საინტერესოა დავაკვირდეთ, თეირანის მიერ რეგიონში კრიტიკული ინფრასტრუქტურისა თუ აშშ-ის სამხედრო ბაზებისა და დიპლომატიური მისიების წინააღმდეგ განხორციელებულ შეტევებს. ამ თავდასხმების მასშტაბები და ინტენსივობა თეირანის მიერ კარგად არის გააზრებული და არც ერთი მათგანი იზოლირებულად ომის დაწყების საბაბს არ იძლევა. თუმცა ამ ქმედებების ერთობლიობა აშშ-ის შეკავების მექანიზმის თანმიმდევრულ შესუსტებას იწვევს. ამ მექანიზმების შესუსტების ნათელ მაგალითს კი ირანის მიერ 2019 წლის 14 სექტემბერს საუდის არაბეთში არამკოს ორ უმსხვილეს ნავთობმომპოვებელ პლატფორმაზე მიტანილი თავდასხმა წარმოადგენს. ირანმა რეგიონში აშშ-ის მთავარ სტრატეგიულ მოკავშირეს ისე მიაყენა უმძიმესი დარტყმა და ისე შეძლო ნავთობის გლობალური ბაზრის დესტაბილიზაცია, რომ ამას აშშ-ის პასუხი არ მოყოლია. შესაბამისად, ირანმა კარგად გათვლილი, დაბალი ინტენსივობის, თუმცა თანმიმდევრული ნაბიჯების

შედეგად რეგიონში სტრატეგიული სურათის შეცვლა ისე შეძლო, რომ ამას მის მოწინააღმდეგეებთან პირდაპირი და სრულმასშტაბიანი კონფლიქტი არ მოყოლია.

მესამე - და ამასთანავე ძალზე მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც ირანის სუბვერსიულ ქმედებებზე დაკვირვებით ვლინდება, თეირანის მიერ პროპორციულობის პრინციპის ზედმიწევნით დაცვაა. კერძოდ, ირანის მიერ ბირთვული თემით მანიპულირება და დასავლეთზე ამ მხრივ წნეხის გაზრდის სურვილი ნათლად აჩენს თეირანის მიდგომებში პროპორციულობის პრინციპის მნიშვნელობას. პროპორციულობის პრინციპი თეირანის შეკავების პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ აშშ-ის მიერ JCPOA-ის დატოვების შედეგად განვითარებულ პროცესებს. თეირანის საპასუხო ნაბიჯები აშშ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების პროპორციულია. ეს პროცესი ნათლად ავლენს თუ როგორ არიდებს თავს თეირანი გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას და JCPOA-ის შეთანხმების სწრაფ დატოვებას. ირანი ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ შეზღუდვებს ეტაპობრივად არღვევს და ამ გზით ცდილობს შეთანხმების მონაწილეებზე წნეხის გაზრდას. თუმცა ირანის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, ისევე როგორც NPT-ის შეთანხმებიდან გამოსვლის თაობაზე გაკეთებული მუქარის შემცველი განცხადებები ნათლად მიუთითებს, რომ თეირანი აშშ-ის ქმედებებს უპასუხოდ არ ტოვებს. თუმცა ირანის ეს საპასუხო ნაბიჯები აშშ-ის ქმედებების პროპორციულია და გამორიცხავს იმგვარი გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას, რომელმაც შესაძლოა კონფლიქტის რისკები გაზარდოს. პროპორციულობის პრინციპის დაცვა და პროცესის დაბალი ინტენსიობით წარმართვა თეირანს რისკების მართვისა და ესკალაციის კონტროლის საშუალებას აძლევს. სწორედ ამ მიდგომას ემყარება ირანის რუხ არეალში მოქმედების სტრატეგია, რომელიც თეირანს მასზე ძლიერ მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირებისა და პროცესებზე კონტროლის შენარჩუნების შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისად, ირანის მიერ 2019 წლის მაის-ნოემბერში განხორციელებულ სუბვერსიულ ქმედებებზე დაკვირვება სამ მნიშვნელოვან ტენდენციას ავლენს. სახელდობრ, სტრატეგიული

ბუნდოვანების შექმნა, პროპორციულობის პრინციპის განუხრელი დაცვა და კონფლიქტის დაბალი ინტენსივობით წარმართვა. ამ ტენდენციებზე დაკვირვება ირანის სტრატეგიული მიდგომების შესწავლის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. თუმცა თეირანის „რუხ არეალში“ მოქმედების სტრატეგიის გასაანალიზებლად ასევე მნიშვნელოვანია ირანის ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ გახმოვანებული ნარატივებისა თუ ზოგადად  პოლიტიკური დისკურსის მიმოხილვაც.

## *4.4 თეირანის პოლიტიკური დისკურსის ანალიზი*

ირანის „რუხი არეალის“ სტრატეგიის გასაანალიზებლად ასევე მნიშვნელოვანია, განვიხილოთ თეირანის პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მახასიათებლები. რამეთუ პოსტისლამური რევოლუციის პერიოდში ირანის იდეოლოგიურად გამსჭვალული დისკურსი ქვეყნის მმართველობის მოდელის განმსაზღვრელ ფაქტორად ჩამოყალიბდა[223]. თანამედროვე ირანის პოლიტიკური დისკურსის ძირითადად ჩარჩოებსა თუ მიმართულებებს კი დიდწილად ირანის უზენაესი სულიერი ლიდერის ალი ხამენეის გზავნილები განსაზღვრავს. შესაბამისად, ირანის პოლიტიკურ დისკურსზე საუბრისას სწორედ ხამენეის საჯარო გამოსვლებში გამოკვეთილ გზავნილებს განვიხილავთ. ამ მხრივ, დისკუსია ძირითადად 2023 წელს შუა აღმოსავლეთის სწავლებათა ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევას დაეყრდნობა, რომელმაც ირანის უზენაესი ლიდერის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გაკეთებული საჯარო განცხადებები და გამოსვლები შეისწავლა. ამ მასშტაბური კვლევის საფუძველზე ირანის პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოვლინდა.

---

[223] Sara Bazoobandi, “Populism, Jihad, and Economic Resistance: Studying the Political Discourse of Iran’s Supreme Leader,” *Digest of Middle East Studies*, July 2023, 324, https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1111/dome.12303 (accessed January 20, 2024).

პირველი - მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ირანის პოლიტიკურ დისკურსს განსაზღვრავს, თავად კომუნიკაციის ფორმაა. ირანის უზენაესი ლიდერი ავტორიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი „ცალმხრივი“ კომუნიკაციის ფორმას იყენებს, რაც მის დისკუსიაში ჩართვას, ანდა მისთვის კრიტიკული კითხვების დასმას გამორიცხავს. ხამენეის საჯარო სივრცეში გამოჩენა ყოველთვის კარგად არის ქორეოგრაფირებული. მისი სატელევიზიო ინტერვიუების ანალიზი ამ მიმართულებით ორ ტენდენციას ავლენს: პირველი, ხამენეი ინტერვიუებს მხოლოდ ირანის სამთავრობო არხებს აძლევს და მის მიერ არაკონტროლირებად სივრცეში არასდროს ჩნდება. მეორე, თავად მისი სატელევიზიო გამოსვლები ისეა დაგეგმილი, რომ ხამენეისთვის კითხვების, მით უმეტეს კრიტიკული კითხვების დასმა გამორიცხულია. სატელევიზიო სივრცეს ის მხოლოდ მისთვის აქტუალური გზავნილების გასაჟღერებლად იყენებს[224]. ზოგადად, ირანის კანონმდებლობა უზენაეს ლიდერს მედიის კრიტიკული ზედამხედველობიდან სამართლებრივადაც იცავს. ირანის კონსტიტუცია[225], ისევე როგორც ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსი[226], უზენაესი ლიდერის კრიტიკას სამართლებრივად დასჯად ქმედებად განიხილავს. ეს დახურული და არაანგარიშვალდებული საინფორმაციო გარემო მნიშვნელოვნად უწყობს ხელს „რუხი არეალის“ ოპერაციების ეფექტურად წარმართვას. რამეთუ არაპლურალისტული გარემო ქმნის „რუხი არეალის“ სტრატეგიისთვის დამახასიათებელი ფარული ქმედების წარმართვის ხელშემწყობ პირობებს. ზოგადად ავტორიტარული რეჟიმების მიერ მკაცრად კონტროლირებადი საინფორმაციო სივრცე მათ აძლევს შედარებით უპირატესობას დემოკრატიულ და პლურალისტურ აქტორებთან დაპირისპირებისას, რასაც თეირანი ეფექტურად იყენებს.

---

224 Bazoobandi, "Populism, Jihad, and Economic Resistance," 329.

225 ირანის კონსტიტუციის 24 მუხლის თანახმად, ნებისმიერ მედია კონტენტი, რომელიც ისლამის ან სახელმწიფო მოხელის წინააღმდეგ არის მიმართული ან და სეპარატიზმსა და გარყვნილებას აღვივებს, აკრძალულია.

226 ირანის სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი უზენაესი ლიდერის კრიტიკასა და შეურაცხყოფას სამართლებრივად დასჯად აქტად განიხილავს.

მეორე - მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ირანის პოლიტიკურ დისკურსს განსაზღვრავს, არის ორპოლუსიანი, „ბინარული“ გარემოს წარმოჩენის მუდმივი მცდელობა. ზოგადად პოპულისტი ლიდერები ხშირად ქმნიან ამ ტიპის ბინარულ დაყოფას „ჩვენ“ და „მათ“ შორის, რათა გაამძაფრონ დაპირისპირება ხალხსა და ელიტებს შორის და მათი დისკურსი წარმოაჩინონ, როგორც ხალხის ინტერესების დაცვისთვის ბრძოლა[227]. ამ მხრივ, ირანის უზენაესი ლიდერი მის საჯარო გამოსვლებში მუდმივად იყენებს შიიტურ თეოლოგიურ ცნებებს, რათა შექმნას „სუფთა ხალხისა“ და „კორუმპირებული ელიტების“ დიქოტომია და რევოლუციური იდეალების დაცვა ხალხის ბრძოლად წარმოაჩინოს[228]. ამის ნათელი მაგალითია „რევოლუციის მეორე ფაზის“ შესახებ ხამენეის 2019 წლის გამოსვლა, რომელშიც ის თანამედროვე მსოფლიო წესრიგს აღწერს, როგორც „ახალ დიქოტომიას ისლამსა და აროგანტულ ფრონტს შორის“[229]. ზოგადად საერთო მტრის ხატის შექმნა და საზოგადოებაში არსებული შიშებით მანიპულირება პოპულისტი ლიდერების კარგად აპრობირებული მეთოდია, რასაც ისინი „ხალხსა“ და „ელიტებს“ შორის დაპირისპირების ხელოვნური კულტივაციით ცდილობენ. ამ მხრივ, ხამენეის საჯარო გამოსვლების ანალიზი ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ცდილობს ის, დაყოს სამყარო ორ პოლუსად - „ჩვენ“ და „ისინი“ - და ირანში არსებული ეკონომიკური პრობლემების გამკლავება წარმოაჩინოს, როგორც „ჯიჰადის“ წმინდა მოვალეობა - ებრძოლო ამ პრობლემების გამომწვევ მთავარ ძალას - „დასავლეთის კორუმპირებულ ელიტებს“[230]. შესაბამისად, ირანის უზენაესი ლიდერის პოლიტიკური დისკურსის ანალიზი წარმოადგენს ნათელ მაგალითს, თუ როგორ ახდენენ ავტოკრატი ლიდერები გარე წნეხის ინსტრუმენტალიზაციას საკუთარი მიზნების მისაღწევად. სამყაროს ორ პოლუსად დაყოფა, საერთო მტრის ნათლად გამოკვეთა და სტრატეგიულ მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირების მუდმივი პოლარიზაცია

---

227 Bazoobandi, "Populism, Jihad, and Economic Resistance," 322.
228 Bazoobandi, "Populism, Jihad, and Economic Resistance," 324-25.
229 "The 'Second Phase of the Revolution' Statement Addressed to the Nation (Speech Transcript)," *Khamenei.ir*, February 11, 2019, https://english.khamenei.ir/news/6415/The-Second-Phase-of-the-Revolution-Statement-addressed-to-the (accessed January 20, 2024).
230 Bazoobandi, "Populism, Jihad, and Economic Resistance," 336.

თეირანის „რუხი არეალის“ სტრატეგიის მნიშვნელოვან იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენს. საყრდენს, რომლის რელიგიური საფარის შექმნასაც ირანის უზენაესი ლიდერის საჯარო გამოსვლები უწყობს ხელს.

მესამე - მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ირანის უზენაესი ლიდერის პოლიტიკურ დისკურსს განსაზღვრავს, წინააღმდეგობის ცნების იდეოლოგიზაციაა. ხამენეი მის გამოსვლებში ტერმინს „წინააღმდეგობა“ ხშირად იყენებს ძლიერი რელიგიური კონოტაციის მქონე სიტყვებთან ერთად, როგორებიცაა - „ჯიჰადი“, „ისლამი“ და „წმინდა“[231]. ის მუდმივად ცდილობს წინააღმდეგობის ცნება წარმოაჩინოს, როგორც ირანელი ხალხის საერთო ნება, დაუპირისპირდეს დასავლეთს. ამ მხრივ საინტერესოა, თუ როგორ ცდილობს ხამენეი „ეკონომიკური წინააღმდეგობის“ ცნებას რელიგიური კონოტაცია შეძინოს, რათა ეს დაპირისპირება წარმოაჩინოს როგორც ირანელი ხალხის საერთო ბრძოლა, რომელიც შიიტური ღირებულებითი სისტემით არის ნაკარნახევი. ამის ნათელი მაგალითია ხამენეის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელშიც მან 2011 წელი „ეკონომიკური ჯიჰადის წლად გამოაცხადა“[232]. ხამენეის ინტერპრეტაციით, ეს არის „ეკონომიკური ჯიჰადი“ იმ ელიტების წინააღმდეგ, რომლებსაც მხოლოდ მატერიალური ღირებულებები გააჩნიათ და რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჩაგრულთა ექსპლოატაციას ეწევიან - განსაკუთრებით კი მუსლიმთა ჩაგვრასა და ექსპლოატაციას[233]. წინააღმდეგობის ცნების იდეოლოგიზებით ხამენეი ცდილობს, რომ ირანი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ჩაგრულ მუსლიმთა დამცველად წარმოაჩინოს, რაც დასაბამს ისლამური რევოლუციის იდეალებიდან იღებს. ირანის ეს მიდგომა „რუხი არეალის“ სტრატეგიის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რამეთუ რეგიონში სხვადასხვა ჯგუფების მობილიზება და მათთვის საერთო იდეოლოგიური ჩარჩოს შექმნა, ამ სტრატეგიული მიდგომის ეფექტურობის განმსაზღვრელი წინაპირობაა. საყურადღებოა, რომ ეს იდეოლოგიური ჩარჩო ხშირ შემთხვევაში სცდება შიიტურ

---

231 Bazoobandi, "Populism, Jihad, and Economic Resistance," 322.
232 Ali Khamenei, "Leader's Speech in Asalouyeh (Speech Transcript)," *Khamenei.ir*, March 28, 2011, http://english.khamenei.ir/news/1440/Leader-s-Speech-in-Asalouyeh(accessed January 20, 2024).
233 Bazoobandi, "Populism, Jihad, and Economic Resistance," 325.

მცნებებს და „კორუმპირებული დასავლური ელიტების“ წინააღმდეგ ჩაგრულ მუსლიმთა დაპირისპირების უფრო ფართო კონოტაციას იძენს.

ირანის უზენაესი ლიდერის პოლიტიკური დისკურსის შესახებ გამოქვეყნებული კვლევის შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ ხამენეის საჯარო გამოსვლებს სამი მნიშვნელოვანი მიმართულება აქვს. უპირველეს ყოვლისა, ირანის უზენაესი ლიდერი ავტორიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელ „ცალმხრივ“ კომუნიკაციის ფორმას იყენებს, რაც მის დისკუსიაში ჩართვას ანდა მისთვის კრიტიკული კითხვების დასმას გამორიცხავს. ამასთანავე, ხამენეი მუდმივად ახდენს „ხალხსა“ და „ელიტებს“ შორის დაპირისპირების ხელოვნურ კულტივაციას, რაც მას საერთო მტრის ხატის შექმნაში ეხმარება. ამ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლას კი ხამენეი, წინააღმდეგობის ცნების იდეოლოგიზირებითა და მისთვის რელიგიური კონოტაციის შეძენით ცდილობს.

## *4.5 თეირანის „წარმატების თეორია“*

თეირანის „რუხ არეალში“ მოქმედების ხელოვნება, რომელიც ირანს დასავლური სანქციებისა და წნეხის მიუხედავად, რეგიონში გავლენების მნიშვნელოვანი გაფართოების საშუალებას აძლევს, მისი „წარმატების თეორიის“ საფუძველია. ირანის „რუხი არეალის“ სტრატეგია თეირანს მის მოწინააღმდეგეებზე შედარებითი უპირატესობის მოპოვებისა და მათი სუსტი მხარეების ეფექტური ექსპლოატაციის საშუალებას აძლევს, რაც უპირველეს ყოვლისა მისი რევიზიონისტული ამოცანების შესრულების წინაპირობას წარმოადგენს. მაიკელ აიზენშტატის განმარტებით, თეირანის წარმატების თეორიის არსი მასზე სამხედრო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების ნათლად განსაზღვრულ მიდგომაში მდგომარეობს. თეირანის ამ მიდგომას კი სამი ძირითადი შემადგენელი ნაწილი გააჩნია: ა) მოწინააღმდეგეების სისუტეების ექსპლოტაცია მათი ძლიერი მხარეების განეიტრალების გზით; ბ) მცირედი დანახარჯებით მაქსიმალური სარგებლის მიღება; გ) და კონფლიქტის

მიმდინარეობისას მორალური თუ ფსიქოლოგიური უპირატესობის მოპოვება[234]. ამ მხრივ, ირანის მიერ 2019 წლის მაის-ნოემბერში სპარსეთის ყურეში წარმოებული სუბვერსიული ქმედებების განსაკუთრებით გააქტიურება თეირანის წარმატების თეორიის ნათლად გააზრების საშუალებას გვაძლევს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოკლედ მიმოვიხილოთ ირანის სუბვერსიული ქმედებების ლოგიკა სწორედ თეირანის წარმატების თეორიის ამ სამი ძირითადი მდგენელის ფარგლებში.

2019 წლის მაის-ნოემბერში ირანის მიერ სპარსეთის ყურეში წარმოებული სუბვერსიული ქმედებები ნათლად ასახავს, თუ როგორ გეგმავს თეირანი ოპერაციების დაბალი ინტენსივობით წარმართვას და როგორ არიდებს თავს გადამწყვეტი ქმედების განხორციელებას, რამაც შესაძლოა კონფლიქტის ესკალაციის რისკები გაზარდოს. ამ თვალსაზრისით, ირანის მიერ რეგიონში კრიტიკული ინფრასტრუქტურისა თუ აშშ-ის სამხედრო ბაზებისა და დიპლომატიური მისიების წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმების მასშტაბები და ინტენსივობა კარგად არის კალიბრილებული და არც ერთი მათგანი იზოლირებულად ომის დაწყების საბაბს არ იძლევა. ეს მიდგომა, ირანის „წარმატების თეორიის" მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. რამეთუ ის საშუალებას აძლევს თეირანს, გაანეიტრალოს მოწინააღმდეგის ძლიერი მხარეები მათი სისუსტეების ექსპლუატაციის საშუალებით. კერძოდ, კონვენციური კონფლიქტის ზღვარს მიღმა მიზანმიმართული მოქმედებით თეირანი მისი მოწინააღმდეგეების - აშშ-სა და მათი მოკავშირეების სიძლიერის - უპირატესი სამხედრო შესაძლებლობების განეიტრალებას ახერხებს. ამასთანავე, ამ მიზანს ირანი აშშ-ის სუსტი წერტილების გამოყენებით აღწევს, რაც თანამედროვე შეკავების მექანიზმების არაეფექტურობაში გამოიხატება. განსაკუთრებით კი შეკავების მექანიზმების სისუტეები და არაეფექტურობა „რუხი არეალის" კონფლიქტებთან მიმართებაში ვლინდება.

2019 წელს სპარსეთის ყურეში წარმოებული სუბვერსიული ქმედებები ასევე ნათლად ასახავს, თუ როგორ ახერხებს ირანი მცირედი დანახარჯებით

---

[234] Eisenstadt, *Operating in the "Grey Zone"*, 7.

მაქსიმალური სარგებლის მიღებას. ამის ნათელ დასტურს კი მოწინააღმდეგეებზე „პროქსი ჯგუფებისა“ თუ სხვა ასიმეტრიული ინსტრუმენტების, მაგალითად, უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით მიტანილი იერიშები წარმოადგენს. თეირანის მიერ ამ ასიმეტრიული ინსტრუმენტების გამოყენება მას საშუალებას აძლევს, მცირედი ადამიანური, ფინანსური თუ პოლიტიკური საფასურით მაქსიმალური ზიანი მიაყენოს მასზე ძლიერ მოწინააღმდეგეებს. ამ მიდგომის ნათელ მაგალითს 2019 წლის 14 სექტემბერს არამკოს ნავთობმომპოვებელ პლატფორმაზე მიტანილი შეტევა წარმოადგენს. „პროქსი ჯგუფების“ მეშვეობითა და უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით განხორციელებული ამ თავდახმის შედეგად ირანმა რეგიონში მის მთავარ მოწინააღმდეგეს - საუდის არაბეთს უმძიმესი დარტყმა მიაყენა, თანაც ამის განხორციელება თეირანმა ძალზე უმნიშვნელო ფინანსური თუ პოლიტიკური საფასურის ხარჯზე შეძლო. ზოგადად, მცირედი დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღება ირანის წარმატების თეორიის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. რამეთუ ამ მიდგომის კულტივირებით ირანი მასზე სამხედრო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით, უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვებასა და შესაბამისად, რეგიონში მისი პოზიციების გაძლიერებას ახერხებს.

დასასრულს, ირანის უზენაესი ლიდერის პოლიტიკური დისკურსის ანალიზი ნათლად მეტყველებს, თუ როგორ ცდილობს თეირანი მის მოწინააღმდეგეებზე მორალური უპირატესობის მოპოვებას. კერძოდ, ხამენეი ირანის ისლამური იდეალებისა და ღირებულებების დამცველ ლიდერად წარმოჩენას ცდილობს. ლიდერად, რომელიც ჩაგრულ მუსლიმთა ინტერესებს მუდმივად იცავს. ირანის ლიდერთა მიერ ამ მორალური უპირატესობის ხაზგასმა თეირანის წარმატების თეორიის მნიშვნელოვანი ფაქტორია. რამეთუ რეგიონში სხვადასხვა ჯგუფების მობილიზებასა და მათთვის საერთო იდეოლოგიური ჩარჩოს შექმნას ირანი წარმატების მნიშვნელოვან წინაპირობად აღიქვამს. ზოგადად, ირანის მიერ წარმოებული სუბვერსიული ქმედებების ანალიზი თეირანის წარმატების თეორიის არსს ნათელს ხდის. წარმატების თეორიის,

რომლის ძირითად შემადგენელ ნაწილებსაც - მოწინააღმდეგეთა სუსტი მხარეების ექსპლოატაცია, მცირედი დანახარჯით მაქსიმალური სარგებლის მიღება და მეტოქეებზე მორალური უპირატესობის მოპოვება წარმოადგენს.

## 5. რუსეთის სამხედრო კამპანიის ანალიზი სირიაში (2015-16 წ.წ.) მოსკოვის „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიის ფარგლებში

სირიის კონფლიქტი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური მოვლენაა როგორც მასში ჩართული აქტორების მრავალფეროვნებით, ასევე მისი გეოპოლიტიკური გავლენით რეგიონულ თუ გლობალურ უსაფრთხოებაზე. ამ კონფლიქტში ჩართულ აქტორთა რაოდენობას ანალოგი არ მოეპოვება და ის, მასში მონაწილე მოთამაშეთა რაოდენობისა თუ მრავალფეროვნების თვალსაზრისით, გაცილებით აღემატება ნებისმიერ სხვა თანამედროვე კონფლიქტს[235]. 2015 წლის 30 სექტემბერს რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, ჩართულიყო სირიის კონფლიქტში, ფუნდამენტურად შეცვალა რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურა და გლობალურ აქტორთა დაპირისპირების დინამიკას ახალი განზომილება შემატა. სირიის კონფლიქტში ჩართვის შედეგად რუსეთი შუა აღმოსავლეთში დაბრუნდა როგორც წამყვანი საერთაშორისო აქტორი, რომლისთვის ანგარიშის გაწევაც უკლებლივ ყველა რეგიონულ სახელმწიფოს მოუწია[236]. ამასთანავე, სირიის კონფლიქტმა, რომელიც რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების მნიშვნელოვან ეპიცენტრად იქცა, მოსკოვს თავის გლობალურ მოთამაშედ და დასავლეთის საპირწონე ალტერნატიულ ძალად წარმოჩენის შესაძლებლობა მისცა, რისკენაც ის მრავალი წლის განმავლობაში ისწრაფოდა.

უკანასკნელ პერიოდში სირიაში განვითარებულმა მოვლენებმა და ბაშარ ალ ასადის რეჟიმის მოულოდნელმა ჩამოშლამ ნათლად დაგვანახა, თუ რამდენად მყიფე აღმოჩნდა მოსკოვის პოზიციები, რომელმაც მისი ტრადიციული მოკავშირის გადარჩენა ამ ეტაპზე ვეღარ შეძლო. ასადის რეჟიმის დამხობამ რუსეთის პოზიციები არა მხოლოდ შუა აღმოსავლეთში, არამედ გლობალურ ასპარეზზეც მნიშვნელოვნად შეარყია. ამ მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ

---

[235]Anna Borshchevskaya, *Putin's War in Syria: Russian Foreign Policy and the Price of America's Absence* (New York: I.B. Tauris, 2022), 1.

[236] Seth G. Jones, *Moscow's War in Syria: A Report of the CSIS Transnational Threats Project*, Center for Strategic and International Studies, May 2020, 1, https://csis-website-prod.s3.amazonaws.com/s3fs-public/publication/Jones_MoscowsWarinSyria_WEB_update.pdf

უკრაინის ომით დასუსტებულ რუსეთს მისი დასავლეთის საპირწონე გლობალურ მოთამაშედ თავის წარმოჩენა მნიშვნელოვნად გაუჭირდება. ამ მხრივ საინტერესოა ფარიდ ზაქარიას დაკვირვება, რომლის განმარტებით სირიაში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ დასავლეთის მოწინააღმდეგეები გაცილებით უფრო სუსტები არიან, ვიდრე ეს თავად დასავლეთს წარმოუდგენია;[237] თუმცა მიმდინარე კვლევის მიზანს თანამედროვე მოვლენების განხილვა არ წარმოადგენს. კვლევის ამ ნაწილში ყურადღებას გამახვილებულია რუსეთის მიერ სირიაში გამოყენებული „ჰიბრიდული ომის" სტრატეგიაზე, რომელმაც მოსკოვს ამ ათწლეულის მანძილზე სტრატეგიული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა მისცა.

ზოგადად, მოსკოვის სამხედრო ოპერაცია სირიაში, თანამედროვე რუსეთის მკვლევართა აზრით, მნიშვნელოვან სიმბოლურ დატვირთვას ატარებს. სახელდობრ, სსრკ-ის უკანასკნელი ლიდერის მიხეილ გორბაჩოვის მიერ ერაყის ოპერაციაში ჩაურევლობამ მოსკოვის შუა აღმოსავლეთიდან გასვლა განაპირობა, რაც საბჭოთა კავშირის დაშლასა და რუსეთის მნიშვნელოვან დასუსტებასთან ასოცირდება. სირიის ოპერაციაში მონაწილეობით კი მოსკოვმა მისი გეოპოლიტიკური სტატუსის აღდგენა შეძლო[238]. შესაბამისად, რუსეთის სამხედრო კამპანია სირიაში ერთ-ერთი ის გარდამტეხი ეპიზოდია, რომელსაც რუსეთის შუა აღმოსავლეთში გავლენების გაფართოება და მისი გლობალური მოთამაშის სტატუსის გაძლიერება მოჰყვა.

ამ სიმბოლური დატვირთვის პარალელურად სირიის ოპერაცია ნათლად წარმოაჩენს რუსეთის „ჰიბრიდული ომის" ძირითად მახასიათებლებსაც, რომლებიც ამ სამხედრო კამპანიის „წარმატების თეორიის" საფუძველს ქმნის. სახელდობრ, თუ როგორ ახერხებს მოსკოვი არაპირდაპირი მიდგომების, საინფორმაციო ოპერაციების, არარეგულარული ქვედანაყოფებისა და

[237] Fareed Zakaria, *"Fareed Zakaria on What Assad's Fall Says about Russia,"* CNN, December 15, 2024, YouTube video, 10:21, https://www.youtube.com/watch?v=pMJoMkyLZ4w (accessed April 21, 2025).
[238] Dimitri Trenin, *Russia in the Middle East: Moscow's Objectives, Priorities, and Policy Drivers* (Washington, DC: Carnegie Endowment for International Peace, March 25, 2016), https://carnegie-production-assets.s3.amazonaws.com/static/files/03-25-16_Trenin_Middle_East_Moscow_clean.pdf (accessed April 21, 2025).

სპეციალური დანიშნულების ძალების სინქრონულ გამოყენებას მაღალგანვითარებული კონვენციური თუ ბირთვული შენაერთების მხარდაჭერით[239]. სწორედ ეს სტრატეგიული მიდგომა მოსკოვს სირიის კონფლიქტში მის მოწინააღმდეგეებზე შედარებითი უპირატესობის მოპოვებისა და მათი სუსტი მხარეების ეფექტური ექსპლოატაციის საშუალებას აძლევს.

ამ კონტექსტის გათვალისწინებით წინამდებარე თავში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმ პოლიტიკური ფაქტორების განხილვაზე, რამაც სირიაში რუსეთის სამხედრო ინტერვენცია განაპირობა. განხილულია სირიის კონფლიქტში რუსეთის „ჰიბრიდული ომის" სტრატეგია, რომელიც მისი წარმატების თეორიის საწინდარია. ამასთანავე, დეტალურად გაანალიზებულია სირიაში რუსეთის მოქმედებები და პოლიტიკური დისკურსი 2015-16 წლებში. შესაბამისად, მიმდინარე თავში შევეცდები, პასუხი გავცე შემდეგ კითხვებს: 1) როგორ შეძლო რუსეთმა „ჰიბრიდული ომის" მეთოდების გამოყენებით შუა აღმოსავლეთში თავისი პოზიციების გამყარება? და 2) რაში მდგომარეობს რუსეთის „წარმატების თეორიის" საფუძვლები, რამაც მას სირიის კონფლიქტში მოწინააღმდეგეებზე შედარებითი უპირატესობის მოპოვების საშუალება მისცა?

### *5.1 რუსეთის სირიის კონფლიქტში ჩართვის პოლიტიკური და სამხედრო ფაქტორები*

რუსეთის ტიპის დახურულ სისტემებში, სადაც გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ინსტიტუციების პოზიციებზე მეტად გავლენის ჯგუფების მიდგომები ახდენენ ზემოქმედებას[240], კონფლიქტში ჩართვის ფაქტორების ზუსტი დადგენა რთულია, რადგან ამ ტიპის დახურულ სისტემებში გადაწყვეტილებების ფორმირება არ ხდება ღია, გამჭირვალე ინსტიტუციური განხილვების შედეგად,

---

[239] Dmitry Adamsky, *Russian Lessons from Syrian Operation and the Culture of Military Innovation* (Garmisch-Partenkirchen, Germany: George C. Marshall European Center for Security Studies, February 2020).
[240] ინტერვიუ N-6, თბილისი, 2024 წლის 2 სექტემბერი.

არამედ გადაწყვეტილებები მიიღება ინდივიდუალური ლიდერებისა თუ გავლენის ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით. ამ მხრივ საყურადღებოა გამოკითხულ რესპოდენტთა უმეტესობის აზრი, რომლის თანახმადაც სტრატეგიულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში რუსეთში ინსტიტუტებს მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ფუნქცია გააჩნიათ, ხოლო თავად ამ გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესში მათი როლი მინიმალურია[241]. მაგალითად, რუსეთის გადაწყვეტილების მიღების პროცესის ამ თავისებურების საილუსტრაციოდ ჩემთან საუბრისას ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ - „გეოპოლიტიკურ თემებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი იმდენად გასაიდუმლოებულია, რომ 2022 წლის თებერვალში უკრაინაში ომის დაწყების თაობაზე საგარეო საქმეთა მინისტრი და სხვა მრავალი მაღალი თანამდებობის პირიც კი არ იყო ინფორმირებული“[242].

გეოპოლიტიკურ თემებზე გადაწყვეტილებების მიღების ეს მოდელი, პრეზიდენტ პუტინის როლს და შესაბამისად მისი ხედვების გაანალიზებას განსაკუთრებულ დატვირთვას სძენს. აღნიშნული მოცემულობიდან გამომდინარე, რუსეთის სირიის კონფლიქტში ჩართვის განხილვას დავიწყებ იმ ფაქტორების ანალიზით, რომლებიც პრეზიდენტ პუტინის ხედვაზე ახდენს გავლენას; და მხოლოდ ამის შემდეგ გავაანალიზებ იმ პოლიტიკურ თუ სამხედრო ფაქტორებს, რომლებმაც რუსეთის ამ სამხედრო ოპერაციაში ჩართვა განაპირობა.

პრეზიდენტ პუტინის მიერ რევიზიონისტული მიზნებისა თუ ანტი-დასავლური მიდგომების ღიად განცხადების მკაფიო მაგალითს მისი 2007 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოსვლა წარმოადგენს[243], რომლის დროსაც მან ერთპოლარული სამყაროსა და ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონიის საფრთხეებზე ისაუბრა. დასავლურ აკადემიურ თუ პოლიტიკურ

---

[241] ინტერვიუ N-3, თბილისი, 2024 წლის 2 სექტემბერი; ინტერვიუ N-4, თბილისი, 2024 წლის 2 სექტემბერი; ინტერვიუ N-5, თბილისი, 2024 წლის 3 სექტემბერი.ინტერვიუ N-6, თბილისი, 2024 წლის 2 სექტემბერი; ინტერვიუ N-7, თბილისი, 2024 წლის 3 სექტემბერი; ინტერვიუ N-8, აბუ დაბი, 2024 წლის 22 სექტემბერი.

[242] ინტერვიუ N-8, აბუ დაბი, 2024 წლის 22 სექტემბერი

[243] Президент России, «Выступление и дискуссия на Мюнхенской конференции по вопросам политики безопасности», Москва, 10 февраля 2007 г., Электронный ресурс: сайт Президента России, https://www.kremlin.ru/events/president/transcripts/24034 (дата обращения: 22 апреля 2025)

დისკურსში პრეზიდენტ პუტინის ეს გამოსვლა რუსეთ-დასავლეთის კონფრონტაციის ახალი ეტაპის დასაწყისად აღიქმება. თუმცა, პრეზიდენტ პუტინის მიუნხენის კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა რეალურად ე.წ. „პრიმაკოვის დოქტრინის“[244] ახალ კონტექსტში გამეორება იყო. სწორედ „პრიმაკოვის დოქტრინა“ წარმოადგენს რევიზიონისტული რუსეთის სტრატეგიული მიდგომების ფორმირების საწინდარს. დოქტრინა, რომელმაც სერგეი ლავროვის განცხადებით, რუსეთის გეოპოლიტიკური ხედვის ჩამოყალიბებაში ისტორიული როლი შეასრულა[245].

პრიმაკოვის დოქტრინის მთავარ ღერძს რუსეთის გლობალური სტატუსის აღდგენა წარმოადგენს, რომლის მიღწევაც მხოლოდ მულტიპოლარული სამყაროს პირობებში იქნება შესაძლებელი. ამ მიზნის მიღწევა კი, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის საპირწონე ცენტრად თავის წარმოჩენითაა შესაძლებელი, განსაკუთრებით შუა აღმოსავლეთში[246]. 1996 წელს „როსიისკაია გაზეტასთან“ მიცემულ ინტერვიუში ევგენი პრიმაკოვი განმარტავს, რომ რუსეთი არასოდეს უნდა ახორციელებდეს „მეორე-კლასის“ აქტორისთვის დამახასიათებელ საგარეო პოლიტიკას. არამედ მოსკოვი უნდა იქცეოდეს როგორც ზესახელმწიფო და პროეცირებდეს, როგორც დამოუკიდებელი სიმძიმის ცენტრი მულტიპოლარულ სისტემაში[247]. შესაბამისად, „პრიმაკოვის დოქტრინაში“ მოცემული ძირითადი დებულებები, რომლებიც მულტიპოლარული სისტემის შექმნასა და რუსეთის გეოპოლიტიკური სტატუსის აღდგენას ისახავს მიზნად, პრეზიდენტ პუტინის

---

[244] „პრიმაკოვის დოქტრინის“ ძირითადი დებულებები: ა) მულტიპოლარული სამყარო, რომლის მართვაც წამყვანი გლობალური აქტორების (რუსეთი, ჩინეთი, აშშ, ინდოეთი) მიერ ხორციელდება; ბ) რუსეთის უპირობო გავლენა „პოსტსაბჭოთა“ სივრცეზე; გ) ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შემდგომი გაფართოების კატეგორიული მიუღებლობა; დ) ჩინეთთან სტრატეგიული ალიანსის დამყარება. "The Primakov (Not Gerasimov) Doctrine in Action." Rumer, Eugene. Carnegie Endowment for International Peace, June 2019. https://carnegieendowment.org/research/2019/06/the-primakov-not-gerasimov-doctrine-in-action?lang=en

[245] TASS, «Лавров: в недалёком будущем историки сформулируют такое понятие, как “доктрина Примакова”», 28 октября 2014 г., Электронный ресурс: TASS, https://tass.ru/politika/1537769 (дата обращения: 24 апреля 2025 г.).

[246] Alvin Z. Rubinstein, “Moscow and Teheran: The Wary Accommodation,” in *Regional Power Rivalries in the New Eurasia: Russia, Turkey, and Iran*, ed. Alvin Z. Rubinstein and Oles M. Smolansky (Armonk, NY: M.E. Sharpe, 1994), 31

[247] Примаков, Евгений Максимович. «Интервью министру иностранных дел» (Foreign Minister Yevgeny Primakov). *Российская газета*, Москва, 17 декабря 1996 г. Воспроизведено в FBIS SOV, 17 декабря 1996 г.

სირიაში მოქმედების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. სირიაში განხორციელებული სამხედრო კამპანია სწორედ ამ დოქტრინის ცხოვრებაში გატარების რეალური მაგალითია[248]. კერძოდ, სირიის კონფლიქტმა გააერთიანა ის ფაქტორები, რომელთა ერთობლიობამაც პრეზიდენტ პუტინს შუა აღმოსავლეთში აშშ-ის საპირწონედ თავის წარმოჩენისა და „პრიმაკოვის დოქტრინის'" განხორციელების შესაძლებლობა მისცა. თუმცა ასევე საყურადღებოა იმ პოლიტიკურ თუ სამხედრო ფაქტორთა განხილვაც, რომელთა ერთობლიობამაც სირიის კონფლიქტი პრეზიდენტ პუტინისთვის რუსეთის გეოპოლიტიკური სტატუსის გამტკიცების შესაძლებლობად აქცია.

ამ მხრივ, რუსეთის სირიის კონფლიქტში ჩართვის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად მისი გლობალური სტატუსის შენარჩუნების სურვილი გახდა. საყურადღებოა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე მოსკოვი საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა. კერძოდ, ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთი გარიცხეს „დიდი რვიანის" ფორმატიდან; ჩრდილო ატლანტიკურმა ალიანსმა შეაჩერა ნატო-რუსეთის საბჭო; ევროკავშირმა გააუქმა რუსეთთან საპრეზიდენტო სამიტი; ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო გადაწყვეტილება, შეეწყვიტა ორმხრივი საპრეზიდენტო კომისიის მუშაობა, რომელიც ათეულობით დარგობრივ კომიტეტს აერთიანებდა[249]. ამავე პერიოდს ემთხვევა პრეზიდენტ ობამას განცხადებაც, რომელმაც რუსეთი რეგიონულ ძალად მოიხსენია, რომლის თქმითაც მოსკოვის ქმედებები არა მისი სიძლიერის, არამედ სისუსტის გამოვლინება იყო[250]. სწორედ ამ საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით იღებს რუსეთი სირიის კონფლიქტში ჩართვის გადაწყვეტილებას. მოსკოვის გათვლით, შუა აღმოსავლეთის რეგიონში რუსეთის პოზიციების გაძლიერება მას დასავლეთზე წნეხის გაზრდაში დაეხმარებოდა, რაც საბოლოოდ რუსეთის

---

[248] Eugene Rumer, "The Primakov (Not Gerasimov) Doctrine in Action," *Carnegie Endowment for International Peace*, June 2019, https://carnegieendowment.org/research/2019/06/the-primakov-not-gerasimov-doctrine-in-action?lang=en (accessed April 25, 2025).
[249] Samuel Charap, Edward Geist, Bryan Frederick, John J. Drennan, Nathan Chandler, and Jennifer Kavanagh, *Russia's Military Interventions: Patterns, Drivers, and Signposts*, RAND Research Report, 2021, 122.
[250] Scott Wilson, "Obama Dismisses Russia as 'Regional Power' Acting Out of Weakness," *Washington Post*, March 25, 2014, https://www.washingtonpost.com/world/obama-dismisses-russia-as-regional-power-acting-out-of-weakness/2014/03/25 (accessed April 25, 2025).

გლობალური სტატუსის გამყარებას შეუწყობდა ხელს[251]. ამ თემაზე საუბრისას, რუსი მიმოხილველების განცხადებით, სირიის კარტის გათამაშების მთავარ მოტივაციას ამერიკის შეერთებული შტატებზე წნეხის გაზრდა წარმოადგენდა, რათა აეძულებინა ის მოსკოვთან გლობალურ თემებზე დაეწყო დიალოგი[252]. ეს კი მოსკოვის თვალსაზრისით, მისი გლობალური სტატუსის აღიარების საწინდარი გახდებოდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც რუსეთის სამხედრო კამპანიის დაწყება განაპირობა, რეგიონული ძალთა ბალანსის შეცვლის მოტივაცია გახდა. ამ თვალსაზრისით რამდენიმე საყურადღებო ასპექტის განხილვაა მნიშვნელოვანი. პირველი - რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა ჩემთან საუბარში ინტერვიეუბში დაადასტურა შუა აღმოსავლეთში მზარდი ანტიამერიკული განწყობების მოსკოვის მიერ ექსპლოატაციის სურვილის მნიშვნელობა[253]. კერძოდ, მათი განმარტებით, „არაბულმა გაზაფხულმა“ აშშ-ის მიმართ სკეფსისი და უნდობლობა რეგიონში მის ტრადიციულ მოკავშირეებს შორისაც გაზარდა. რამეთუ, რეგიონულ მოთამაშეებს გაუჩნდათ განცდა, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია რეჟიმების ცვლილების რევოლუციურ გზას უჭერდა მხარს, რაც რეგიონის ავტორიტარი ლიდერებისთვის მნიშვნელოვან საფრთხის შემცველ ფაქტორად იქცა. სწორედ ამ მზარდი ანტიამერიკული განწყობების ტენდენციამ წარმოქმნა შესაძლებლობა, რომლის ექსპლოატაციის სურვილიც რუსეთის კონფლიქტში ჩართვის ერთ-ერთ წინაპირობად იქცა. მეორე - რესპოდენტთა გარკვეულმა ნაწილმა რუსეთის სირიულ კამპანიაში ჩართვის წინაპირობად აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა დაასახელა[254]. სახელდობრ, პრეზიდენტ ობამას მიერ გამოვლენილმა სისუსტემ, რომელიც სირიის რეჟიმის მიმართ დაწესებული

---

[251]Charap et al., *Russia's Military Interventions*, 122.

[252] Ekaterina Stepanova, "Russia and Conflicts in the Middle East: Regionalization and Implications for the West," *International Spectator* 53, no. 4 (2018): 53.

[253] ინტერვიუ N-3, თბილისი, 2024 წლის 2 სექტემბერი; ინტერვიუ N-4, თბილისი, 2024 წლის 2 სექტემბერი; ინტერვიუ N-5, თბილისი, 2024 წლის 3 სექტემბერი.ინტერვიუ N-6, თბილისი, 2024 წლის 2 სექტემბერი; ინტერვიუ N-7, თბილისი, 2024 წლის 3 სექტემბერი; ინტერვიუ N-8, აბუ დაბი, 2024 2ლის 22 სექტემბერი.

[254] ინტერვიუ N-3, თბილისი, 2024 წლის 2 სექტემბერი; ინტერვიუ N-4, თბილისი, 2024 წლის 2 სექტემბერი; ინტერვიუ N-5, თბილისი, 2024 წლის 3 სექტემბერი.ინტერვიუ N-6, თბილისი, 2024 წლის 2 სექტემბერი; ინტერვიუ N-7, თბილისი, 2024 წლის 3 სექტემბერი; ინტერვიუ N-8, აბუ დაბი, 2024 2ლის 22 სექტემბერი.

„წითელი ხაზების“ უგულვებელყოფაში გამოიხატა[255], რევიზიონისტ აქტორებსა და მათ შორის რუსეთს რეგიონში დაუსჯელად მოქმედების განცდა გაუმყარა. შესაბამისად, რუსეთის სამხედრო მოქმედებების დაწყების გადაწყვეტილება, გარკვეულწილად აშშ-ის იმდროინდელი ადმინისტრაციის მიერ გამოვლენილი მერყევი და გაუბედავი პოზიციებიდანაც გამომდინარეობს. მესამე - სირიის კონფლიქტი მოსკოვის მიერ აღქმული იქნა, როგორც რეგიონის გეოპოლიტიკური რუკის ცვლილების შესაძლებლობა. ჯერ კიდევ 2012 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ამბობდა, რომ სირიის კონფლიქტი რეგიონის გეოპოლიტიკურ რუკას ცვლიდა და დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონფრონტაციის რისკებს საგრძნობლად ზრდიდა[256]. შესაბამისად, მოსკოვის თვალსაზრისით, სირიის რეჟიმის დამხობა, რომელიც მისი ერთადერთი ტრადიციული მოკავშირე იყო რეგიონში, არა მხოლოდ მის რეგიონულ პოზიციებს, არამედ რუსეთის გეოპოლიტიკურ ამბიციებსაც მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებდა. ამასთანავე საყურადღებოა ისიც, რომ გეოპოლიტიკური გავლენების გარდა, საფრთხე ექმნებოდა რუსეთის ერთადერთ საზღვაო სამხედრო ბაზას ხმელთაშუა ზღვაზე, ტარტუსში. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის დაწყებამდე ტარტუსში რუსეთის სამხედრო ბაზა მხოლოდ ლოგისტიკური მხარდაჭერის ფუნქციას ასრულებდა[257], მას მოსკოვისთვის განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ შუა აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკურმა პროცესებმა რუსეთის გადაწყვეტილებაზე, გამოეყენებინა სამხედრო ძალა სირიაში, განსაკუთრებული გავლენა იქონია.

რუსეთის სირიის კონფლიქტში ჩართვას მნიშვნელოვანი შიდა პოლიტიკური განზომილებაც გააჩნდა. 2015 წელს განვითარებულმა ორმა მოვლენამ სირიის რეჟიმის ჩამოშლის საფრთხე რეალური გახადა. კერძოდ,

---

[255] 2012 წლის 20 აგვისტოს, პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა რომ სირიის რეჟიმის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება იქნებოდა ის „წითელი ხაზი“, რომლის გადაკვეთაც აშშ-ის ადმინისტრაციის მყისიერ პასუხს გამოიწვევდა. თუმცა, ერთი წლის შემდეგ სირიის ხელისუფლების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებას აშშ-ის სამხედრო პასუხი არ მოჰყოლია, რაც პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეცდომად სახელდება.

[256] Charap et al., *Russia's Military Interventions*, 122.

[257] Charap et al., *Russia's Military Interventions*, 120.

ისლამური სახემწიფოს (ISIS) მიერ ქალაქ პალმირას დაკავებამ და სირიის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში „ ჯაბჰათ ალ-ნუსრას“ (ნუსრას ფრონტი) მიერ მიღწეულმა წარმატებამ[258]. რადიკალური ისლამური ჯგუფების წარმატება სირიაში, მოსკოვის თვალსაზრისით, საფრთხეს უქმნიდა რუსეთის ეროვნულ ინტერესებს რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, რუსეთს მრავალრიცხოვანი მუსლიმი მოსახლეობა ყავს, 16 მილიონი მოქალაქე, რაც საერთო მოსახლეობის 11 პროცენტს წარმოადგენს[259]. შესაბამისად, რადიკალური იდეოლოგიების გავრცელების თვალსაზრისით, რუსეთში ტრადიციულად ნოყიერი ნიადაგი არსებობდა, რასაც ჩრდილოეთ კავკასიასა თუ სხვა რეგიონებში განვითარებული მოვლენებიც მოწმობს. მეორე, სირიაში ე.წ. "“ისლამური სახელმწიფოს“ რიგებს უპრეცედენტოდ მაღალი რაოდენობა რუსეთის მოქალაქეები შეუერთდნენ. პრეზიდენტ პუტინის განცხადებებით, ეს რიცხვი 2500-4500 მებრძოლს შორის მერყეობდა, რასაც რუსეთის მოსაზღვრე ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ჩასული ჯგუფებიც ემატებოდა[260]. ამ რაოდენობის მებრძოლთა სირიის კონფლიქტში ჩართვა რუსეთში ტერორიზმის რისკებს მნიშვნელოვნად ზრდიდა. რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის გენერალ გერასიმოვის განცხადებით, რუსეთის უმოქმედობა გამოიწვევდა სირიიდან ტერორისტთა ჯგუფების მასობრივ ინფილტრაციას, როგორც რუსეთის, ასევე მისი მეზობელი ქვეყნების ტეროტორიებზე, რაც ქვეყანაში უსაფრთხოების რისკებს მნიშვნელოვნად გაზრდიდა[261]. მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის საფრთხე რუსეთის სირიის კონფლიქტში ჩართვის მნიშვნელოვანი მოტივატორი გახდა, ის მისი შინაარსით, გეოპოლიტიკურ ასპექტებთან შედარებით, ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

რუსეთის სირიაში ინტერვენციის კიდევ ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი რუსეთის სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერება გახდა. კერძოდ, რუსეთის

---

[258] Charap et al., *Russia's Military Interventions*, 111.

[259] "Muslim Populations by Country: How Big Will Each Muslim Population Be by 2030?" *The Guardian*, January 28, 2011.

[260] Soufan Group, *Foreign Fighters: An Updated Assessment of the Flow of Foreign Fighters into Syria and Iraq* (New York, December 2015).

[261] Charap et al., *Russia's Military Interventions*, 111.

მიერ საკუთარ სამხედრო შესაძლებლობებში თვითდაჯერებულობის ზრდამ შესაძლებელი გახადა ამ ტიპის გადაწყვეტილების მიღება, რომელიც პირველად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონს მიღმა სამხედრო ოპერაციის ჩატარებას უკავშირდებოდა. სირიაში სამხედრო კამპანიაში ჩართვის გადაწყვეტილება ბევრი სამხედრო ექსპერტისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. განსაკუთრებით რუსეთის საჰაერო ძალების მოულოდნელად სუსტი მოქმედებების გათვალისწინებით საქართველოსთან 2008 წლის ომის დროს[262]. სწორედ 2008 წლის ომი გახდა რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ძირეული რეფორმების დაწყების მიზეზი, რომელმაც 2015 წლისთვის რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის საკუთარ სამხედრო შესაძლებლობებში თვითდაჯერებულობა მნიშვნელოვნად გაზარდა. ამ რეფორმების მრავალფეროვანი ბუნების მიუხედავად, მნიშვნელოვანია რამდენიმე მიმართულების გამოყოფა, რომელმაც სირიის სამხედრო კამპანიაში ჩართვის გადაწყვეტილებაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია. პირველი, ეს იყო წვევანდელების რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირება და მათი საკონტრაქტო სამსახურში აყვანილი სამხედროებით ჩანაცვლება. საბჭოთა კავშირისა და რუსეთის შეიარაღებული ძალები ტრადიციულად წვევანდელებისგან შედგებოდა, რომლებიც 21-ე საუკუნის უსაფრთხოების გამოწვევებს ვერ პასუხობდნენ. თუმცა ჩატარებული რეფორმების შედეგად, 2015 წლისთვის, პირველად რუსეთის ისტორიაში საკონტრაქტო საფუძველზე აყვანილმა სამხედროების რიცხვმა გადააჭარბა წვევანდელთა რიცხვს[263]. ამ ძირეულმა ცვლილებამ რუსეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობის პროფესიული მომზადების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზარდა. ამავე თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო სამხედრო მფრინავთა წვრთნის სტანდარტების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მაგალითისთვის, 2008 წელს სამხედრო მფრინავთა ყოველწლიური ფრენის დრო 10-30 საათის შუალედში მერყეობდა; 2011 წლისთვის ეს მაჩვენებელი 90 საათამდე გაიზარდა და ახალ სტანდარტად 130

---

[262] Charap et al., *Russia's Military Interventions*, 123.

[263] Anton Lavrov, *Russian Military Reforms from Georgia to Syria* (Washington, D.C.: Center for Strategic and International Studies, November 2018), 3.

საათი დაინერგა[264]. მეორე მიმართულება ლოგისტიკური მომარაგების ხაზების მნიშვნელოვანი გადაწყობა გახდა. ტრადიციულად რუსეთის შეიარაღებული ძალების მობილობა სარკინიგზო ინფრასტრუქტურაზე იყო დამოკიდებული, რაც მის რეგიონს მიღმა მობილობას მნიშვნელოვნად ზღუდავდა. სირიაში ოპერაციის ჩატარების დროისთვის რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს როგორც საჰაერო, ისევე საზღვაო კომუნიკაციის ხაზები, რამაც რკინიგზის ინფრასტრუქტურაზე დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეამცირა[265]. რუსეთის შეიარაღებულ ძალებში განხორციელებულმა ამ ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია იმაზე, რომ მოსკოვს დაეწყო რეგიონს მიღმა სამხედრო კამპანია, რაც მას საბჭოთა კავშირის დაშლიდან არ განუხორციელებია. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ფაქტორებმა მხოლოდ გააძლიერეს ის გეოპოლიტიკური ასპექტები, რომლებმაც რუსეთის გადაწყვეტილებაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია.

### *5.2 რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგია*

რუსეთის სირიაში განხორციელებულ ოპერაციას „ჰიბრიდული ომის“ რუსული მოდელის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია. რამეთუ ის „ჰიბრიდული ომის“ შესახებ ჩამოყალიბებული მცდარი სტერეოტიპების აღმოფხვრას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. კერძოდ, როგორც დასავლურ, ასევე ქართულ დისკურსში ჩამოყალიბებული სტერეოტიპის, თითქოს „ჰიბრიდული ომი“ მხოლოდ კონვენციური კონფლიქტების ზღვარს ქვემოთ განხორციელებულ სუბვერსიულ ქმედებებს ან ფარულ ოპერაციებს მოიცავს. ამ თვალსაზრისით, სირიის კონფლიქტში მოსკოვის ჩართვა „ჰიბრიდული ომის“ რუსული მოდელის კომპლექსურ ხასიათს, რომელიც სუბვერსიულ ქმედებებთან ერთად მნიშვნელოვან სამხედრო კომპონენტსაც მოიცავს, ნათელს ჰფენს. შესაბამისად, სირიაში განხორციელებული ოპერაცია რუსეთის „ჰიბრიდული

---

[264] Charap et al., *Russia's Military Interventions*, 124.
[265] Roger McDermott, "Russia's Strategic Mobility and Its Military Deployment in Syria," *Swedish Defence Research Agency*, RUFS Briefing No. 31, November 2015.

ომის“ სტრატეგიის ძირითადი მახასიათებლებისა და ინსტრუმენტების შესწავლის შესაძლებლობას გვაძლევს.

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი, რომელიც ამ სტერეოტიპს არღვევს, კონვენციური სამხედრო კომპონენტის ღიად გამოყენება გახლავთ. სახელდობრ, რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ მოდელი კონვენციურ სამხედრო ოპერაციების წარმოებასაც მოიცავს და არ მიჯნავს „შესაძლო უარყოფის“ ფარულ ოპერაციებსა და ღია სამხედრო მოქმედებას ერთმანეთისგან; არამედ მათ კომბინირებულ გამოყენებას ითვალისწინებს[266]. ამ მხრივ, სირიის ოპერაციაში სამხედრო კომპონენტის არაკონვენციურ მეთოდებთან შერწყმაც ამის დასტურია. სირიის ოპერაციაში არაკონვენციური მეთოდების პარალელურად, როგორებიცაა კერძო სამხედრო კომპანიები (PMC), შიიტური „პროქსი ჯგუფები“ და საინფორმაციო პროპაგანდის ინსტრუმენტები, მოსკოვი კონვენციურ შესაძლებლობებსაც ღიად იყენებს. საყურადღებოა, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთში განცდილი მარცხის გათვალისწინებით, მოსკოვი სამხედრო კომპონენტს ფრთხილად იყენებს და ძირითადად საჰაერო კომპონენტისა და სპეციული დანიშნულების ძალების ჩართვით იფარგლება, რათა კონფლიქტში ხანგრძლივ ჩართვასა და დიდ მსხვერპლს თავი აარიდოს. ამ ფრთხილი მიდგომის მიუხედავად, რუსეთის მიერ სირიაში განხორციელებულ „ჰიბრიდული ომის“ კამპანიაში სამხედრო კომპონენტის ჩართვას გადამწყვეტი როლი გააჩნდა.

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი თანამედროვე კონფლიქტებში ინფორმაციული ინსტრუმენტისთვის ცენტრალური როლის მინიჭებას უკავშირდება. კერძოდ, რუსეთის მიერ წარმოებულ „ჰიბრიდულ ოპერაციებში“ წამყვანი როლი სწორედ ინფორმაციული ინსტრუმენტების გამოყენებას ეკუთვნის. წამყვანი რუსი მკვლევარების განმარტებით, „რუსეთის შეიარაღებული ძალების განსაზღვრებით, „ჰიბრიდულ ომში“ ყველა ინსტრუმენტი, სამხედროს ჩათვლით, ინფორმაციულ

[266] Clark, “Russian Hybrid Warfare,” 11.

ინსტრუმენტს ექვემდებარება.“[267] სირიის მაგალითი ამ მხრივაც მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ სირიის კონფლიქტში კონვენციური სამხედრო ძალის ღიად გამოყენებას განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია, საყურადღებოა, თუ როგორ უკავშირდება ეს კომპონენტი საინფორმაციო სივრცეში მოსკოვის მიერ დანერგილ ნარატივს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ რუსულ ნარატივში სამხედრო კომპონენტის გამოყენების აუცილებლობა ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის იდეას ეფუძნება, რაც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ამ მიდგომის კრიტიკას ან მასთან დაპირისპირებას მნიშვნელოვნად ართულებს[268]. რეალურად კი რუსეთის საჰაერო ოპერაციები სირიის პრეზიდენტის ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ იყო მიმართული. „ლევანთაინ ჯგუფის“ მიერ ჩატარებული კვლევა ნათლად აჩვენებს, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული საჰაერო დარტყმების მთავარი სამიზნე, სამხედრო ოპერაციის დაწყების პირველივე დღეებიდან, არა ე.წ. “ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული დაჯგუფება, არამედ სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადისადმი ოპოზიციურად განწყობილი ძალები იყვნენ[269]. სახელდობრ, რუსეთის საჰარეო დაბომბვების 90 პროცენტი ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლს მიღმა მყოფ სირიის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში განხორციელდა, სადაც, ძირითადად, ბაშარ ალ-ასადის მოწინააღმდეგე ჯგუფები იყვნენ განთავსებული[270]. ამ მხრივ, ე.წ. “ისლამური სახელმწიფოს“ განადგურების იდეის წინა პლანზე წამოწევით, მოსკოვმა სამხედრო კამპანიის ჩატარების ხელშემწყობი პირობები შექმნა. შესაბამისად, სირიის ოპერაციაში საინფორმაციო კომპონენტს ცენტრალური როლი ეკისრება,

---

[267] Чекинов, С. Г., и С. А. Богданов, «Эволюция сущности и содержания понятия “война” в XXI столетии,» *Военная мысль*, № 1 (2017): 32–45, Электронный ресурс: https://rucont.ru/efd/585365 (дата обращения: 21 ноября 2023 г.).

[268] Michael Kofman, “The Misadventures of Russia and the United States in Syria: Complete Strategy Implosion Edition,” *War on the Rocks*, October 11, 2016, https://warontherocks.com/2016/10/the-misadventures-of-russia-and-the-united-states-in-syria-complete-strategy-implosion-edition/ (accessed April 20, 2025).

[269] Zack Beauchamp, “Russia Says It’s Bombing ISIS in Syria. This Map Shows It’s Lying,” *Vox*, October 7, 2015, https://www.vox.com/2015/10/7/9471271/russia-syria-bombing-map (accessed April 21, 2025).

[270] Antony N. Celso, “Superpower Hybrid Warfare in Syria,” *MCU Journal* 9, no. 2 (Fall 2018), https://apps.dtic.mil/sti/pdfs/AD1068694.pdf.

რამაც რუსეთს შემცირებული რისკებითა თუ ნაკლები პოლიტიკური დანაკარგებით სამხედრო კამპანიის ჩატარების შესაძლებლობა მისცა.

რუსეთის „ჰიბრიდული ომის" კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს სამიზნე ქვეყნის ფრაგმენტაცია ან მისი გეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა წარმოადგენს.[271] შესაბამისად, რუსულ აკადემიურ თუ სამხედრო-პოლიტიკურ დისკურსში დამკვიდრებული პარადიგმის თანახმად, „ჰიბრიდულ ომებად" მხოლოდ იმ კონფლიქტთა კატეგორიზაცია უნდა მოხდეს, რომლებიც სამიზნე ქვეყნების გეოპოლიტიკური ორიენტაცის შეცვლისკენ არიან მიმართული. სირიის მაგალითი ამ მხრივაც საყურადღებოა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის გაცხადებულ მიზანს სირიის ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერა და ტერორიზმთან ბრძოლა წარმოადგენდა, მას გაცილებით უფრო ფართო გეოპოლიტიკური მიზნები ჰქონდა. კერძოდ, რუსეთის სამხედრო ინტერვენცია, უპირველეს ყოვლისა, შუა აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების გავლენების შემცირებასა და რუსეთის გლობალურ აქტორად წარმოჩენას ისახავდა მიზნად[272]. საყურადღებოა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობაც, რუსეთის მიერ სირიის კონფლიქტში ჩართვის მთავარ ფაქტორად მოსკოვის რევიზიონისტულ ამბიციებს ასახელებს, რაც, უპირველეს ყოვლისა. ამერიკის შეერთებული შტატების გავლენების შესუსტებას გულისხმობს[273]. შესაბამისად, შესაძლოა ითქვას, რომ სირიის კამპანიის უმთავრეს მიზანს შუა აღმოსავლეთში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ძალთა ბალანსისა და გეოპოლიტიკური რეალობის შეცვლა წარმოადგენდა. სამიზნე რეგიონის, და არა ქვეყნის, გეოპოლიტიკური რეალობის შეცვლის სურვილი, რუსულ აკადემიურ თუ სამხედრო-პოლიტიკურ დისკურსში დამკვიდრებული პარადიგმის თანახმად, ამ კონფლიქტს „ჰიბრიდული ომის" კვალიფიკაციას ანიჭებს.

---

[271] V. Kiselev, "Hybrid War as a New Type of War of the Future," *Army Collection*, December 2015, quoted in Mason Clark, *Russian Hybrid Warfare* (Washington, DC: Institute for the Study of War, 2020), 16.

[272] Hugo Spaulding, "Russia's False Narrative in Syria," *Institute for the Study of War (ISW)*, December 1, 2015, https://www.understandingwar.org/backgrounder/russias-false-narrative-syria-december-1-2015 (accessed April 21, 2025).

[273] ინტერვიუ N-3, თბილისი, 2024 წლის 2 სექტემბერი; ინტერვიუ N-4, თბილისი, 2024 წლის 2 სექტემბერი; ინტერვიუ N-5, თბილისი, 2024 წლის 3 სექტემბერი.ინტერვიუ N-6, თბილისი, 2024 წლის 2 სექტემბერი; ინტერვიუ N-7, თბილისი, 2024 წლის 3 სექტემბერი.

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ მთავარი მახასიათებლების პარარელურად, ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ინსტრუმენტებიც, რომლებიც რუსეთის ამ სტრატეგიული მიდგომის უმთავრეს ღერძს ქმნის. ამ შემთხვევაში, ყურადღებას განსაკუთრებით იმ ინსტრუმენტებზე გავამახვილებ, რომელთა გამოყენებასაც სირიის კონფლიქტში მნიშვნელოვანი დატვირთვა ენიჭებოდა. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელსაც სირიის კონფლიქტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, კერძო სამხედრო კომპანიებია (PMCs). საყურადღებოა, რომ კერძო სამხედრო კომპანიების ფართოდ გამოყენების მიუხედავად, რუსეთში მათ მოქმედების ლეგალური საფუძველი არ გააჩნიათ. კერძოდ, რუსეთის კანონმდებლობა ამ ტიპის დაჯგუფების არსებობას ფორმალურად არ ცნობს[274]. მაგალითისთვის, რუსეთში მოქმედი უმსხვილესი კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერი“ არგენტინაში, ხოლო მისი წინამორბედი „სლავური კორპუსი“ კი ჰონკონგში იყვნენ დარეგისტრირებულები[275]. მათი ეს კანონგარეშე სტატუსი, ნათლად მეტყველებს, თუ რა დატვირთვა და როლი გააჩნიათ ამ ტიპის დაჯგუფებებს რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიაში. უპირველეს ყოვლისა, ამ ტიპის გასამხედროებული დაჯგუფებების ჩართვა, მოსკოვს სტრატეგიული ბუნდოვანების შექმნისა და საჭიროების შემთხვევაში კონფლიქტში მონაწილეობის უარყოფის შესაძლებლობას ანიჭებს. ამასთანავე, კერძო სამხედრო კომპანიების ჩართულობით განხორციელებული ოპერაციები რუსეთის ხელისუფლებას რეალური მსხვერპლისა ან დანაკარგების დაფარვის საშუალებას აძლევს. მაგალითისთვის, 2017 წლის მარტში პალმირაზე განხორციელებული შტურმი რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ შეფასდა, როგორც მინიმალური დანაკარგებით განხორციელებული წარმატებული სამხედრო ოპერაცია. თუმცა სრულად იქნა იგნორირებული „ვაგნერის“დაჯგუფების მიერ განცდილი სერიოზული დანაკარგი, რომელიც ამ

---

274 Sabra Ayres, “Russia's Shadowy World of Military Contractors: Independent Mercenaries, or Working for the Kremlin?” *Los Angeles Times*, February 18, 2018, http://www.latimes.com/world/europe/la-fg-russia-mercenaries-20180218-story.html (accessed April 21, 2025).

275 Allison Quinn, “Vladimir Putin Sent Russian Mercenaries to ‘Fight in Syria and Ukraine’,” *The Telegraph*, March 30, 2016, https://www.telegraph.co.uk/news/2016/03/30/vladimir-putin-sent-russian-mercenaries-to-fight-in-syria-and-uk/ (accessed April 21, 2025).

სამხედრო ოპერაციაში წამყვან როლს თამაშობდა[276]. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა 2018 წლის 7 თებერვალს დაირ აზ-ზურის პროვინციაში მომხდარი შეტაკების შედეგად რუსეთის მიერ განცდილი დანაკარგების დაფარვის მცდელობაც. ამ შეტაკების დროს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მიერ გახსნილი საპასუხო ცეცხლის შედეგად პრაქტიკულად სრულად განადგურდა „ვაგნერის" სამხედრო კოლონა, რასაც 300-მდე მებრძოლის მსხვერპლი მოყვა[277]. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ შეტაკების შესახებ გავრცელებული ცნობები „კლასიკურ დეზინფორმაციად" შეაფასა, ხოლო თავად ეს ინციდენტი კი სამხედრო რეაგირების გარეშე დატოვა. რუსეთის ხელისუფლების მიერ ამ მასშტაბის მსხვერპლის დაფარვა ან განცდილი სამხედრო მარცხის იგნორირება, ამ ოპერაციაში კერძო სამხედრო კომპანიის მონაწილეობის გამო გახდა შესაძლებელი. ზოგადად, სირიაში წარმოებულმა „ჰიბრიდული ომის" კამპანიამ ამ ტიპის არაფორმალური გასამხედროებული დაჯგუფებების მნიშვნელობა თვალსაჩინო გახადა. რამეთუ, „ვაგნერის" ტიპის კერძო სამხედრო კომპანიის მონაწილეობამ რუსეთს სტრატეგიული ბუნდოვანების შექმნისა და შესაძლო უარყოფის კამპანიის წარმოების შესაძლებლობა მისცა.

რუსეთის „ჰიბრიდული ომის" კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს გასამხედროებული „პროქსი" ჯგუფები წარმოადგენენ. თუმცა, ირანისგან განსხვავებით, რუსეთთან აფილირებულ „პროქსი" ჯგუფებს მოსკოვთან რაიმე სახის იდეოლოგიური კავშირები არ გააჩნიათ. ხშირ შემთხვევაში რუსეთის მიერ ამ ტიპის „პროქსი" ჯგუფების ფორმირება სამიზნე ქვეყნებში სეპარატისტული ძალების მობილიზების მეშვეობით ხდება. თუმცა სირიაში განსხვავებულ მიდგომასთან გვაქვს საქმე. სირიის კამპანიის დროს რუსეთი სამხედრო ოპერაციების წარმოებისას ირანთან აფილირებულ „პროქსი" ჯგუფებს იყენებდა.

---

[276] Will Stewart, "Russian Mercenaries Captured by ISIS 'Are Executed after Refusing to Reject Christianity and Become Muslim'," *Daily Mail*, October 6, 2017, http://www.dailymail.co.uk/news/article-4955614/Two-Russian-mercenaries-executed-ISIS.html (accessed April 21, 2025).
[277] Maria Tsvetkova, "Russian Toll in Syria Battle Was 300 Killed and Wounded: Sources," *Reuters*, February 15, 2018, https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-syria-russia-casualtie/russian-toll-in-syria-battle-was-300-killed-and-wounded-sources-idUSKCN1FZ2DZ (accessed April 21, 2025).

თეირანს დაქვემდებარებული ჯგუფების ინტეგრირებით მოსკოვმა შეძლო თავი აერიდებინა იმ ტიპის სამხედრო ოპერაციებში ჩართვისგან, რომელსაც შესაძლოა დიდი მსხვერპლი ან დანაკარგი მოჰყოლოდა. რამეთუ სახმელეთო ოპერაციების მთავარი დარტყმა, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, დიდი მსხვერპლი ახლდა თან, სწორედ ირანთან აფილირებულ „პროქსი“ ჯგუფებზე ან „ვაგნერის“ ტიპის კერძო სამხედრო კომპანიებზე მოდიოდა[278]. შესაბამისად, ირანთან აფილირებული „პროქსი“ ჯგუფები რუსეთის სირიაში წარმოებული „ჰიბრიდული ომის“ კამპანიის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა. ინსტრუმენტად, რომელმაც ავღანეთის საბჭოთა გამოცდილების თავიდან აცილება და მინიმალური დანაკარგებით სამხედრო კამპანიის წარმოება გახადა შესაძლებელი[279].

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ ერთ-ერთ მთავარ საყრდენს ტრადიციულად დეზინფორმაციისა თუ პროპაგანდის ინსტრუმენტები წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისით, რუსეთმა შუა აღმოსავლეთის რეგიონში საკუთარი პოზიციების მნიშვნელოვნად გაძლიერება შეძლო. ვაშინგტონში შუა აღმოსავლეთის ინსტიტუტის მიერ 2022 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, რუსეთის ორი მნიშვნელოვანი  პროპაგანდისტული ინსტრუმენტის „ართი არაბიქისა“ (RT-Arabic) და „სპუტნიკ არაბიქის“ (Sputnik-Arabic) მაუწყებლობების პოპულარობა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა. კერძოდ, კვლევამ დაადგინა, რომ „ართი არაბიქი“ ექვს არაბულ ქვეყანაში (ეგვიპტე, მაროკო, იორდანია, ერაყი, საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები) ყველაზე პოპულარული საინფორმაციო არხების სამეულში მოხვდა[280]. რუსეთის დეზინფორმაციის მკვლევართა დაკვირვებით, შუა აღმოსავლეთში მოსკოვის პროპაგანდისტული ინსტრუმენტები პოპულარობის მზარდ ტენდენციას

[278] Anna Borshchevskaya, “Moscow’s Middle East Resurgence: Russia’s Goals Go Beyond Damascus,” *Middle East Quarterly* 25, no. 1 (Winter 2018).
[279] ინტერვიუ N-2, აბუ დაბი, 2024 წლის 14 თებერვალი; ინტერვიუ N-7, თბილისი, 2024 წლის 3 სექტემბერი; ინტერვიუ N-9, აბუ დაბი, 2024 წლის 12 ნოემბერი.
[280] Tomas O. Falk, “The Ukraine War and Russian Disinformation Campaign in the Middle East,” *The New Arab*, September 7, 2022, https://www.newarab.com/analysis/russias-disinformation-campaign-middle-east (accessed April 21, 2025).

აჩვენებს[281]. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ეს რუსული ტელეარხები განსაკუთრებით აქტიურად არიან წარმოდგენილნი სოციალურ მედიაშიც, რაც მათი გავლენების გაფართოებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. მაგალითისთვის, ისინი სამჯერ უფრო მეტ პოსტს[282] აქვეყნებენ სოციალურ მედიაში, ვიდრე ამას „ალ-ჯაზირა“ ან „ბიბისის“ არაბული მაუწყებლები[283]. რუსეთის პროპაგანდისტული ინსტრუმენტების საინფორმაციო სივრცეში ამგვარი დომინაცია, სირიის ოპერაციის მიმდინარეობისას, მოსკოვს ე.წ. „სიცრუის ცეცხლოვანი ნაკადის“ (firehose of falsehood)[284] კარგად აპრობირებული ტექნიკის გამოყენების საშუალებას აძლევდა. ამის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინება რუსეთის პროპაგანდისტული მანქანის მიერ, 2013 წელს გუთაში გამოყენებული ქიმიური იარაღის, სირიაში მოქმედი სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაცია „თეთრი ჩაფხუტებისთვის“ გადაბრალება გახდა[285]. ეს მაგალითი საყურადღებოა იმითაც, რომ ის ნათლად აჩვენებს რუსეთის დეზინფორმაციული ინსტრუმენტების ეფექტურობას, რომლებმაც მკაფიოდ დადასტურებული ფაქტის უარყოფა, სხვა მოთამაშეებზე გადაბრალება და სტრატეგიული ბუნდოვანების შექმნა ეფექტურად შეძლეს. ზოგადად, რუსეთის მიერ სირიაში ჩატარებული „ჰიბრიდული ომის“ კამპანია იმის ნათელი გამოვლინებაა, თუ როგორ შეძლო მოსკოვმა შუა აღმოსავლეთის საინფორმაციო სივრცეში დომინანტ ძალად ჩამოყალიბება, რაც მისი რევიზიონისტული მიზნების მიღწევის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად იქცა.

---

[281] Elene Janadze, "The Digital Middle East: Another Front in Russia's Information War," *Middle East Institute*, April 19, 2022, https://www.mei.edu/publications/digital-middle-east-another-front-russias-information-war (accessed April 21, 2025).

[282] „ართი არაბიქი“ სოციალურ მედიაში ყოველდღიურად საშუალოდ 180 პოსტს, ხოლო „სპუტნიკ არაბიქი“ 87 პოსტს აქვეყნებს, მაშინ როდესაც „ალ-ჯაზირა“ საშუალოდ 55-ს, ხოლო „ბიბისის“ არაბული მაუწყებლობა კი 32 პოსტს აქვეყნებს.

[283] Janadze, "The Digital Middle East."

[284] „სიცრუის ცეცხლოვანი ნაკადის“ ცნება თანამედროვე რუსეთის პროპაგანდის კარგად აპრობირებული ტექნიკაა, რომელიც დასაბამს საბჭოთა დეზინფორმაციის მიდგომებიდან იღებს და რომელიც საინფორმაციო სივრცის ყველა არხის გაყალბებული ამბებით დომინირებას ითვალისწინებს.

[285] Falk, "The Ukraine War and Russian Disinformation Campaign."

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს მისი კონვენციური სამხედრო შესაძლებლობები წარმოადგენს. სირიაში ჩატარებულ სამხედრო კამპანიას ამ თვალსაზრისითაც განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია. სახელდობრ, „ჰიბრიდულ ომებში“ განსაკუთრებული მნიშვნელობა კონვენციური სამხედრო შესაძლებლობების ასიმეტრიულ ინსტრუმენტებთან კოორდინაციას ენიჭება. სირიაში ჩატარებული სამხედრო კამპანია ამ მხრივაც მნიშვნელოვანია, რამეთუ რუსეთის თავდაცვის ძალებში კოორდინაციის ახალი მექანიზმის შექმნა სწორედ მას უკავშირდება. კერძოდ, გენერალ გერასიმოვის მიერ 2017 წლის დეკემბერში გაკეთებული განცხადების თანახმად, რუსეთის შეიარაღებულ ძალებში კოორდინაციის ახალი მექანიზმი შეიქმნა, რომელიც „საერთო სამთავრობო მიდგომის“ პრინციპს ეფუძნება და რომლის ეფექტური გამოყენებაც სირის სამხედრო კამპანიის მიმდინარეობისას დაიწყო[286]. ეს ახლად ჩამოყალიბებული საკოორდინაციო მექანიზმი, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა და რომლის უმთავრეს მიზანსაც უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინირებული განხორციელება წარმოადგენს - ეროვნული თავდაცვის კონტროლის ცენტრის (NDCC) - სახელითაა ცნობილი. ეს ცენტრი 73 ფედერალურ სამსახურსა და 1320 სახელმწიფო და თავდაცვის საწარმოს ერთი ქოლგის ქვეშ აერთიანებს[287]. იმავე პერიოდს ემთხვევა რუსეთის თავდაცვის სამინისტროში სამხედრო-პოლიტიკური დირექტორატის შექმნაც, რომლის მთავარ მისიადაც მოსახლეობის ფართო სეგმენტში ერთიანი იდეოლოგიური მიდგომების ჩამოყალიბება სახელდება[288]. ზოგადად, თავდაცვის სამინისტროს ბაზაზე იდეოლოგიური პროპაგანდის ინსტრუმენტის, ისევე როგორც სამხედრო და სამოქალაქო უწყებებს შორის კოორდინაციის მექანიზმის შექმნა, ნათლად

---

[286] Valery Gerasimov, "On the Implementation of the Decrees of the President of the Russian Federation of May 7, 2012 N603, 604 and the Development of the Armed Forces of the Russian Federation," *Military Thought*, December 2017, https://dlib.eastview.com/browse/doc/50729913, cited in Mason Clark, "Russian Hybrid War," *ISW Report*, 2020, 18.

[287] Тихонов. «Армия — гордость России.» *Красная Звезда*, 27 февраля 2017. Электронный ресурс. http://archive.redstar.ru/index.php/2011-07-25-15-56-33/item/32381-armiya-gordost-rossii. (дата обращения: 26 апреля 2025).

[288] Mason Clark with Catherine Harris, "Russia's New Tool for Wielding Information," *Institute for the Study of War*, January 15, 2019, http://iswresearch.blogspot.com/2019/01/russias-tools-for-wielding-information.html (accessed April 25, 2025).

მიუთითებს, თუ რა როლს თამაშობს შეიარაღებული ძალები „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიის ფორმირებასა და განხორციელებაში[289].

რუსეთის მიერ სირიაში წარმოებული „ჰიბრიდული ომის“ ანალიზი საყურადღებოა რამდენიმე ფაქტორის გამო. უპირველეს ყოვლისა, ის ამ ცნების შესახებ ჩამოყალიბებული მცდარი სტერეოტიპების აღმოფხვრას უწყობს ხელს. სახელდობრ, რუსეთის სამხედრო ინტერვენცია სირიაში საშუალებას გვაძლევს, მკაფიოდ გავმიჯნოთ „ჰიბრიდული ომის“ ცნება „რუხი არეალის“ კონფლიქტისაგან. რადგან „ჰიბრიდული ომის“ რუსული მოდელი კონვენციური სამხედრო საშუალებების ღიად გამოყენებას არ გამორიცხავს და“რუხი არეალის“ კონფლიქტისთვის დამახასიათებელი სუბვერსიული ქმედებებით არ იფარგლება. ამასთანავე სირიის მაგალითი საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ „ჰიბრიდული ომის“ რუსულ მოდელს, რომელშიც საინფორმაციო ინსტრუმენტს ცენტრალური დატვირთვა ენიჭება. კერძოდ, ეს კონფლიქტი ნათელს ჰფენს, თუ როგორ ხდება ყველა ინსტრუმენტის, სამხედრო ძალების გამოყენების ჩათვლით, საინფორმაციო ინსტრუმენტისთვის დაქვემდებარება. დასასრულს, სირიის მაგალითი საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ, თუ რა მექანიზმების მეშვეობით ახერხებს რუსეთი კონვენციური და ასიმეტრიული ინსტრუმენტების ერთმანეთთან კოორდინაციას, რაც მოსკოვის სტრატეგიული მიდგომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. შესაბამისად, რუსეთის სირიის კონფლიქტში ჩართვის ადრეული პერიოდის შესწავლა ამ ცნების სიღრმისეული ანალიზის საშუალებას გვაძლევს.

### *5.3 რუსეთის ქმედებები სირიაში: 2015-16 წ.წ.*

2015 წლის 30 სექტემბერს მოსკოვის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ჩართულიყო სირიის კონფლიქტში, ის გარდამტეხი ეპიზოდია, რომელსაც რუსეთის შუა აღმოსავლეთში გავლენების გაფართოება და მისი გლობალური მოთამაშის სტატუსის გაძლიერება მოჰყვა. რუსეთის გეოპოლიტიკური

[289] Clark, “Russian Hybrid Warfare,” 11.

გავლენების გაფართოება, მნიშვნელოვანწილად მის მიერ „ჰიბრიდული ომის“ წარმატებულ კამპანიას უკავშირდება, რომლის მეშვეობითაც რუსეთმა შუა აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მნიშვნელოვნად შესუსტებული პოზიციების აღდგენა შეძლო[290]. შესაბამისად, კვლევის ამ ნაწილში მოკლედ მიმოვიხილავთ რუსეთის მიერ 2015-17 წწ.-ში გადადგმულ ნაბიჯებს, რომლებიც ერთობლიობაში მოსკოვის „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიის საფუძველს ქმნის. ამასთანავე, რუსეთის მიერ წარმართული ოპერაციის უკეთ გასაანალიზებლად მას რამდენიმე კომპონენტად დავყოფ - მოსამზადებელი ფაზა, სამხედრო კამპანია, „სადამსჯელო“ ოპერაციები და დიპლომატიური კამპანია, რაც ნაწილობრივ სეტ ჯონის მიერ სირიის ომის შესახებ გამოცემული პუბლიკაციის მიდგომას იზიარებს[291].

### 5.3.1 მოსამზადებელი ფაზა

**2015 წლის ივლისში,** რუსეთის მიერ სირიაში სამხედრო კამპანიის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის (IRGC) ერთ-ერთი ლიდერი გენერალი ყასიმ სოლეიმანი. ეს ვიზიტი ერთ-ერთი გარდამტეხი ეპიზოდია, რომელმაც რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე, ჩართულიყო სირიის კონფლიქტში, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. კერძოდ, ამ ვიზიტის ფარგლებში ყასემ სოლეიმანიმ შეძლო, დაერწმუნებინა რუსეთის ხელისუფლება, რომ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო[292]. გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილმა, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ ვიზიტის მნიშვნელობაზე გაამახვილა. კერძოდ, გამოითქვა მოსაზრება, რომ ყასემ სოლეიმანის ვიზიტი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა რუსეთ-ირანის სამხედრო თანამშრომლობის ახალი მოდალობის ჩამოსაყალიბებლად[293]. მოდალობის,

---

[290] Trenin, “Russia in the Middle East.”
[291] Jones, *Moscow’s War in Syria*.
[292] Borshchevskaya, *Putin’s War in Syria*, 69.
[293] ინტერვიუ N-7, თბილისი, 2024 წლის 3 სექტემბერი; ინტერვიუ N-9, აბუ დაბი, 2024 წლის 12 ნოემბერი.

რომელიც რუსეთის შეიარაღებული ძალების ირანულ „პროქსი“ ჯგუფებთან ურთიერთქმედებას გულისხმობდა, რაც საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთში განცდილი მარცხის ალბათობას მნიშვნელოვნად ამცირებდა.

**2015 წლის აგვისტოში** რუსეთმა სირიაში თავისი სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერება დაიწყო. კერძოდ, მოსკოვმა ლატაკიაში განთავსებული სამხედრო ბაზაზე, როგორც პირადი შემადგენლობის, ასევე ახალი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების განლაგება დაიწყო.[294] რუსეთის მიერ სირიაში განლაგებული სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერება, რომელიც ყასემ სოლეიმანის მოსკოვში გამართული შეხვედრების შემდეგ პერიოდს ემთხვევა, ამ ვიზიტის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

**2015 წლის სექტემბერში,** რუსეთმა ყოველწლიური სამხედრო წვრთნის - „ცენტრი-2015“ - მიმდინარეობისას, სირიაში შესაძლო სამხედრო ინტერვენციის სცენარი გაითამაშა. რუსეთის სამხედრო მაღალჩინოსნების განცხადებით, წვრთნების მთავარ მიზანს, შუა აღმოსავლეთში მიმდინარე კრიზისების საპასუხოდ, რუსეთის შეიარაღებული ძალების მზაობის შემოწმება და სამხედრო შენაერთების კონფლიქტის ზონაში ოპერირებისთვის მომზადება წარმოადგენდა[295].

**2015 წლის 28 სექტემბერს** რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გაეროს გენერალურ ასამბლეას სიტყვით მიმართა. პრეზიდენტი პუტინი გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომებს იშვიათად ესწრება, რაც მის ამ გამოსვლას დამატებით მნიშვნელობას ძენს. მისი გამოსვლის დიდი ნაწილი დასავლეთის ტრადიციულ კრიტიკას დაეთმო. თუმცა მისი გამოსვლის ყველაზე საყურადღებო მონაკვეთი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის გაკეთებულ შეთავაზებას უკავშირდება, რაც ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ერთობლივი კოალიციის ფორმირებას ითვალისწინებს[296]. რუსეთის პოლიტიკურ დისკურსს

[294] Michael R. Gordon and Eric Schmitt, “Russian Moves in Syria Pose Concerns for US,” *New York Times*, September 4, 2015, https://www.nytimes.com/2015/09/05/world/middleeast/russian-moves-in-syria-pose-concerns-for-us.html (accessed April 26, 2025).
[295] Borshchevskaya, *Putin’s War in Syria*, 69.
[296] Vladimir Putin, “UNGA’s 70th Session Address,” *United Nations Media*, September 28, 2015, https://media.un.org/unifeed/en/asset/d144/d1448033 (accessed April 26, 2025).

მომდევნო თავში დეტალურად გავაანალიზებ. თუმცა ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრეზიდენტ პუტინის ეს რიტორიკა ამერიკის შეერთებული შტატებისა და, ზოგადად, დასავლეთისთვის ბაშარ ალ-ასადის რეჟიმსა და ტერორისტულ ჯგუფებს შორის ხელოვნურად შექმნილი ალტერნატივის თავზე მოხვევას ისახავდა მიზნად. ალტერნატივის, რომელიც რუსეთს ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლის საფარქვეშ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის გამყარებაში დაეხმარებოდა.

**2015 წლის 30 სექტემბერს,** გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლიდან ორი დღის შემდეგ, პრეზიდენტმა პუტინმა სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ განცხადება გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ ამ განცხადებიდან რამდენიმე კვირით ადრე დაწყებული პროცესები - ყასემ სოლეიმანის ვიზიტი მოსკოვში, სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერება სირიაში, „ცენტრი-2015“-ის სამხედრო წვრთნები და გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლა - მოსკოვის განზრახვებს ნათელს ჰფენდა, სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყება საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მოულოდნელობის ამ ეფექტმა ისევე, როგორც საინფორმაციო სივრცეში მოსკოვის დომინირების მცდელობამ, რუსეთს სირიის კონფლიქტში სტრატეგიული ინიციატივის მოპოვების შესაძლებლობა მისცა[297].

### 5.3.2 სამხედრო კამპანია

რუსეთის სამხედრო კამპანიის მიმდინარეობას პირობითად ორ ფაზად დავყოფ: 1. ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის სტაბილიზაცია (2015 წლის სექტემბერი - 2016 წლის აპრილი); 2. დასავლეთის ფრონტზე, ალეპოს მიმართულებით, შეტევითი ოპერაციების ინტენსიფიკაცია (2016 წლის აპრილი - 2017 წლის აპრილი).

**2015 წლის სექტემბერ - დეკემბერში** რუსეთის საჰაერო ძალების ოპერაციის ძირითად სამიზნეს სირიის ოპოზიციის ლატაკიაში განლაგებული ჯგუფები

[297] Borshchevskaya, *Putin's War in Syria*, 71.

წარმოადგენდნენ[298]. თუმცა ოპერაციის პირველ ეტაპზე, მხოლოდ საჰაერო თავდასხმებით, მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა და ოპოზიციური ჯგუფების კონტროლის ქვეშ არსებული რეგიონების გათავისუფლება ვერ მოხერხდა[299].

**2016 წლის იანვარში** ვითარება საგრძნობლად შეიცვალა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ოპერაციაში სახმელეთო კომპონენტის გაძლიერებით გახდა შესაძლებელი. კერძოდ, 12 იანვარს, სირიის რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილმა სახმელეთო შენაერთებმა, ჰეზბოლას ჯგუფებთან ერთად და რუსი ინსტრუქტორების დახმარებით აიღეს სოფელი სალმა, ლატაკიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რაც რუსეთის საჰაერო დახმარების შედეგად გახდა შესაძლებელი. 24 იანვარს ქალაქ რაბიაზე კონტროლის დამყარებით კი, ოპოზიციური ჯგუფებისგან რეგიონის მთლიანი განთავისუფლება შეძლეს[300]. რუსეთი ამ ოპერაციებში ასევე კერძო სამხედრო კომპანიების გამოყენებასაც იწყებს. ირანის „პროქსი" ჯგუფების, სირიის რეჟიმის ლოიალური შენაერთებისა და რუსეთის სამხედრო ავიაციის ურთიერთქმედებით მიღწეულმა ამ წარმატებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა რუსეთის სამხედრო კამპანიის შემდგომი მოდალობა სირიაში.

**2015 წლის სექტემბრიდან - 2016 წლის თებერვალში** რუსეთის შეიარაღებული ძალები შეეცადნენ, სრული კონტროლი დაემყარებინათ სირიის დასავლეთში არსებულ უმნიშვნელოვანეს საგზაო დერეფანზე, რომელიც ჰომსს, ჰამას და ალეპოს დამასკოსთან აკავშირებდა. ლატაკიის სამხედრო ოპერაციის მსგავსად, აქაც რუსეთის საჰაერო ძალები შეთანხმებულად მოქმედებდნენ სირიის რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილ სახმელეთო შენაერთებსა და ირანის „პროქსი" ჯგუფებთან ერთად. თუმცა ლატაკიის ოპერაციისაგან განსხვავებით, ამ მიმართულებაზე რუსეთის სამხედრო მოქმედებამ სასურველი შედეგი ვერ

---

298 "Syria Conflict: Russian Airstrikes Kill 45 in Latakia," *BBC*, October 20, 2015, https://www.bbc.com/news/world-middle-east-34580188 (accessed April 27, 2025).

299 Genevieve Casagrande, "Russian Airstrikes in Syria, September 30, 2015 to September 19, 2016," *Institute for the Study of War*, October 2016, 24, http://www.understandingwar.org/sites/default/files/Russian%20Airstrikes%20Maps%20SEPT%202015-SEPT%202016.pdf (accessed April 27, 2025).

300 Casagrande, "Russian Airstrikes in Syria," 24.

გამოიღო და ხსენებულ საკვანძო დერეფანზე კონტროლის დამყარება ოპერაციის ამ ფაზაში ვერ შეძლო[301].

**2015 წლის ოქტომბერ-ნოემბერში** რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ალეპოს მიმართულებით ინტენსიური სამხედრო კამპანია დაიწყეს. ოპერაციის ეს ეტაპი, რომელიც ალეპოს მომარაგების ხაზებზე კონტროლის დამყარებას ისახავდა მიზნად, სამი მიმართულებით მიმდინარეობდა: 1) აღმოსავლეთით განლაგებული ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს" დაჯგუფებების დასასუსტებლად; 2) ჩრდილოეთით, ოპოზიციური ძალებისთვის თურქეთთან კავშირის გასაწყვეტად; 3) სამხრეთ-დასავლეთით, იდლიბთან არსებული მომარაგების კვანძების დასაბლოკად[302]. ალეპოს ალყაში მოქცევის მიზნით დაწყებული ოპერაციის ამ საწყის ფაზაში, რუსეთის ავიაციის პარალელურად ჩართული იყვნენ ირანის გუშაგთა კორპუსის შენაერთები, შიიტური „პროქსი" ჯგუფები, კერძო სამხედრო კომპანიები და სირიის რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილი სახმელეთო ქვედანაყოფები[303].

**2015 წლის ოქტომბერში** რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ინტენსიური საავიაციო შტურმის განხორციელება დაიწყეს დამასკოს მახლობლად, აღმოსავლეთ ღუტას მიმართულებით. თუმცა, ლატაკიისა და ალეპოს მიმართულებებისგან განსხვავებით, აღმოსავლეთ ღუტას ფრონტზე რუსეთის შეიარაღებული ძალების ირანულ „პროქსი ჯგუფებთან", თუ სირიის რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილ ქვედანაყოფებთან შეთანხმებული მოქმედები ნაკლებად შეინიშნებოდა, რამაც ოპოზიციური ძალებისგან ოპერაციის საწყის ეტაპზე ამ რეგიონის გაწმენდა მნიშვნელოვნად გაართულა[304].

**2015 წლის ოქტომბერში** რუსეთმა სირიაში ამერიკის შეერთებულ შტატებთან „კონფლიქტის თავიდან აცილების ზონები" (deconfliction zones) შექმნა.

---

[301] Jones, *Moscow's War in Syria*, 26.
[302] Jones, *Moscow's War in Syria*, 26.
[303] Tom Perry, Jack Stubbs, and Estelle Shirbon, "Russia and Turkey Trade Accusations Over Syria," *Reuters*, February 3, 2016, https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-syria-idUSKCN0VC169, cited in Seth G. Jones, *Moscow's War in Syria* (New York: Rowman & Littlefield, 2020), 26.
[304] Anton Lavrov, The Russian Air Campaign in Syria (Arlington, VA: Center for Naval Analysis, June 2018), https://www.cna.org/CNA_files/PDF/COP-2018-U-017903-Final.pdf. cited in Seth G. Jones, *Moscow's War in Syria* (New York: Rowman & Littlefield, 2020), 26.

ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბდა კომუნიკაციის პირდაპირი მექანიზმები, როგორც სტრატეგიულ, ასევე ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე. სამივე დონეზე განისაზღვრა შესაბამისი სამხედრო წარმომადგენლები, გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელების - გენერალ დანფორდისა და გენერალ გერასიმოვის ჩათვლით, რომელთა შორისაც პირდაპირი კოორდინაციის მექანიზმები შეიქმნა[305]. ამ მექანიზმის ჩამოყალიბების თავდაპირველ მიზანს რუსეთისა და აშშ-ის სამხედრო მეთაურებს შორის კონფლიქტის ზონაში პირდაპირი და სწრაფი კოორდინაციის შესაძლებლობის შექმნა წარმოადგენდა. თუმცა მალევე, რუსეთმა ამ მექანიზმის აშშ-ის შეიარაღებული ძალების საპასუხო ქმედებების შესაზღუდად გამოყენება დაიწყო. კერძოდ, ამ პროცესის მონაწილეთა მონათხრობით ირკვევა თუ როგორ მანიპულირებდა რუსეთი მცდარი კოორდინატების გადაცემით ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს" დაჯგუფებების ნაცვლად სირიის ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ ოპერაციების ჩატარებას[306]. ამგვარი მიდგომით რუსეთის შეიარაღებული ძალები გაცხადებულ მიზნებსა და რეალურ ქმედებებს შორის სტრატეგიული თუ ოპერატიული ბუნდოვანების შექმნას ცდილობდა.

**2016 წლის აპრილ-დეკემბერში**, ასადის რეჟიმის დასტაბილურების შემდეგ, რუსეთი სამხედრო ოპერაციის ახალ ფაზას იწყებს, რომელიც მთლიანად ალეპოს განთავისუფლებისკენაა მიმართული. სამხედრო თვალსაზრისით, ალეპოს აღების ოპერაცია სამ ფაზად შეიძლება დაიყოს: მომარაგების მარშრუტების სრული კონტროლი, მჭიდრო ალყა და ქალაქის აღება[307]. საყურადღებოა, რომ ალეპოს ოპერაციის მიმდინარეობისას რუსეთის სირიაში მოქმედების მოდალობის საბოლოოს ჩამოყალიბება ხდება. კერძოდ, სახმელეთო ოპერაციების კონტროლს ირანის გუშაგთა კორპუსი იწყებს, ხოლო რუსეთის ჩართულობა, ძირითადად, საჰაერო ოპერაციების წარმართვითა და სამხედრო ინსტრუქტორებისა თუ კერძო სამხედრო კომპანიების გამოყენებით იფარგლება[308]. ალეპოს ოპოზიციური ძალებისგან გაწმენდის ოპერაციამ, ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის პოზიციები

---

[305] Jones, *Moscow's War in Syria*, 29.
[306] Borshchevskaya, *Putin's War in Syria*, 75.
[307] Jones, *Moscow's War in Syria*, 29.
[308] Jones, *Moscow's War in Syria*, 32.

მნიშვნელოვნად გაამყარა, და რეჟიმის ჩამოშლის რისკები მნიშვნელოვნად შეამცირა.

რუსეთის სამხედრო კამპანიის ამ საწყისი ფაზების მიმოხილვა ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს. პირველი, რუსეთმა ირანის გუშაგთა კორპუსთან, შიიტურ „პროქსი" ჯგუფებთან, კერძო სამხედრო კომპანიებთან და სირიის რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილ ძალებთან ურთიერთქმედების ახალი მოდალობა შექმნა. მოდალობა, რომელიც მოსკოვს მინიმალური დანაკარგებით და, ძირითადად, საჰაერო ოპერაციების წარმართვით მნიშვნელოვანი სტრატეგიული უპირატესობის მოპოვების საშუალებას აძლევდა, რადგან სახმელეთო კომპონენტში მნიშვნელოვანწილად ირანის „პროქსი" ჯგუფები, და ბაშარ ალ-ასადის შენაერთები მონაწილეობდნენ. შეიარაღებული ძალების გამოყენების ეს „ჰიბრიდული" მოდელი, მოსკოვს განგრძობით კონფლიქტში ჩათრევისგან და საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთში დაშვებული შეცდომების გამეორებისგან თავის არიდების შესაძლებლობას აძლევდა[309]. მეორე, მოსკოვმა ასევე შეძლო აშშ-სთან იმგვარი კოორდინაციის მექანიზმის შექმნა, რომელიც მას ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოსთან" ბრძოლის საფარქვეშ, ბაშარ ალ-ასადის ოპოზიციური ჯგუფების თანმიმდევრულ შესუსტებას უწყობდა ხელს. სირიაში რუსეთის მიერ ჩამოყალიბებული ოპერირების ეს მოდელი მისი „ჰიბრიდული ომის" სტრატეგიის შესწავლის კარგ შესაძლებლობას გვაძლევს.

### 5.3.3 სადამსჯელო ოპერაციები

რუსეთის სირიაში წარმართული სამხედრო ოპერაცია განსაკუთრებული სისატიკით ხასიათდებოდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯონ ქერის მიერ 2016 წლის ოქტომბერს გაკეთებული განცხადების თანახმად, რუსეთი სირიაში

309 Borshchevskaya, *Putin's War in Syria*, 88.

„გროზნოს“ ტიპის ოპერაციებს ახორციელებდა[310]. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების ამ ბრუტალურ ქმედებებს მნიშვნელოვანი სტრატეგიული დატვირთვა ჰქონდა. კერძოდ, ის ოპოზიციური ძალების მხარდამჭერი მოსახლეობის დაშინებასა და მათი ნების გატეხვას ისახავდა მიზნად. რუსეთის სადამსჯელო ოპერაციას, სირიის მკვლევარი სეტ ჯონსი ორ კატეგორიად ჰყოფს - პირდაპირი და არაპირდაპირი სადამსჯელო ოპერაციები[311].

პირდაპირი სადამსჯელო ოპერაციები მშვიდობიანი მოსახლეობის, ჰუმანიტარული მისიებისა და სამედიცინო ინფრასტრუქტურის მიზანმიმართულ განადგურებას ითვალისწინებდა. არაპირდაპირი სადამსჯელო ოპერაციები კი დეზინფორმაციის გავრცელების გზით რუსეთის ბრალეულობის დაფარვას ემსახურებოდა.

**2015 წლის ოქტომბრიდან** რუსეთის შეიარაღებული ძალების კონფლიქტში ჩართვის შემდეგ სამედიცინო ინფრასტრუქტურაზე თავდასხმის შემთხვევები გახშირდა. მედიკოსები ადამიანის უფლებებისთვის (PHR) ორგანიზაციის განცხადებით, სირიის კონფლიქტში 350 ჯანდაცვის ობიექტზე 595 შეტევა განხორციელდა, რასაც 923 მედიკოსის სიცოცხლე შეეწირა; ამ თავდასხმებიდან 83 შემთხვევაში კი კლასტერული ბომბებიც გამოიყენეს[312]. სამედიცინო ინფრასტრუქტურის განადგურება ალყაში მოქცეული ქალაქებისა და იქ მყოფი ოპოზიციური ძალების დანებებისთვის იძულების ერთ-ერთ აპრობირებულ მეთოდად იქცა[313]. საყურადღებოა, რომ 2016 წლის მაისში რუსეთმა მხარი დაუჭირა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციას 2286, რომელიც სამედიცინო ინფრასტრუქტურაზე მიტანილ თავდასხმებს გმობს და დამნაშავეების წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას მოითხოვს[314]. ეს ფაქტი რუსეთის

---

[310] Kavitha Surana, "Russian Embassy: Grozny Is the 'Solution' for Aleppo," *Foreign Policy*, October 17, 2016, https://foreignpolicy.com/2016/10/17/russian-embassy-grozny-is-the-solution-for-aleppo-syria-war-john-kerry/ (accessed April 27, 2025).

[311] Jones, *Moscow's War in Syria*, 42.

[312] "Physicians for Human Rights' Findings of Attacks on Health Care in Syria," *Physicians for Human Rights*, September 2019, http://syriamap.phr.org/#/en/findings (accessed April 27, 2025).

[313] Jones, *Moscow's War in Syria*, 44.

[314] "The Failure of UN Security Council Resolution 2286 in Preventing Attacks on Healthcare in Syria," *Syrian American Medical Society*, January 11, 2017, https://foundation.sams-usa.net/reports/failure-un-security-council-resolution-2286-preventing-attacks-healthcare-syria/ (accessed April 27, 2025).

„ჰიბრიდული ომის“ ბუნებას კარგად აღწერს. მოსკოვი გმობს იმ თავდასხმის ფაქტებს, რომელიც მის მიერ იყო ორკესტრირებული.

**2016 წლის აგვისტო-დეკემბერში,** ალყაში მოქცეული ოპოზიციური ძალების დანებების იძულებისათვის სამედიცინო ინფრასტრუქტურის მიზანმიმართული განადგურების არაერთი შემთხვევა ფიქსირდება. მაგალითისთვის, 2016 წლის აგვისტოში დარაიასთან მიმდინარე კონფლიქტი ქალაქში სამედიცინო ინფრასტრუქტურის განადგურებიდან ერთ კვირაში დასრულდა[315]. გაცილებით უფრო დიდი მასშტაბი მიიღო სამედიცინო ინფრასტრუქტურის მიზანმიმართული განადგურების შემთხვევებმა ალეპოს ოპერაციის მიმდინარეობისას. სირიის ამერიკელ მედიკოსთა ასოციაციის განცხადებით (SAMS), 2016 წლის ივნის-დეკემბერში სამედიცინო ინფრასტრუქტურაზე 172 შეტევის ფაქტი დაფიქსირდა[316].

**2015 წლის სექტემბრიდან,** ვიდრე კონფლიქტის დასრულებამდე, მშვიდობიან სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე მიზანმიმართული შეტევის მრავალი შემთხვევა ფიქსირდება. გამომდინარე იქიდან, რომ ამ სახის შეტევები სრულად არ არის დოკუმენტირებული, ზუსტ მონაცემებზე საუბარი რთულია. თუმცა, სტრატეგიულ და საერთაშორისო სწავლებათა ცენტრის (CSIS) მონაცემების თანახმად, რუსეთის მიერ სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე - სკოლებზე, მეჩეთებზე, სავაჭრო ობიექტებზე - მიზანმიმართულად მიტანილი თავდასხმების რაოდენობა 108-ს აღწევს, რაც არადოკუმენტირებული თავდასხმების დიდი რაოდენობის გამო, შესაძლოა, სრულ სურათს ვერ აღწერდეს[317].

**2015 წლის ოქტომბრიდან** რუსეთმა ჰუმანიტარულ მისიებზე მრავალი თავდასხმა განახორციელა. სტრატეგიულ და საერთაშორისო სწავლებათა

---

[315] Anne Barnard and Hwaida Saad, "Besieged Town of Daraya Agrees to Surrender to Syrian Government," *New York Times*, August 25, 2016, https://www.nytimes.com/2016/08/26/world/middleeast/daraya-syria-assad-surrender.html (accessed April 28, 2025).
[316] Keith A. Grant and Bernd Kaussler, "The Battle of Aleppo: External Patrons and the Victimization of Civilians in Civil War," *Small Wars and Insurgencies* 31, no. 1 (2020): 1–33, https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09592318.2020.1672959?journalCode=fswi20 (accessed April 28, 2025).
[317] Jones, *Moscow's War in Syria*, 44.

ცენტრის (CSIS) მონაცემების თანახმად, კონფლიქტის მიმდინარეობისას რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა 46 იერიში მიიტანეს იძულებით გადაადგილებულ პირთა (IDP) ბანაკებზე, რომელთა დროსაც, მსხვერპლის გასაზრდელად, კლასტერული ბომბებიც იქნა გამოყენებული[318]. იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო ინფრასტრუქტურაზე თავდასხმა ოპოზიციური ძალების დანებებისკენ იძულებას ემსახურებოდა, იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკების განადგურებას რაიმე პრაგმატული შედეგის მოტანა არ შეეძლო. შესაბამისად, ამ ტიპის შეტევებს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა - მოსახლეობის დაშინება და მათი ნების გატეხვა.

**2015 წლის ნოემბრიდან** რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ინტენსიური შეტევების მიტანა დაიწყეს ჰუმანიტარულ კოლონებზე. ამ ტიპის შეტევები დროში ემთხვევა რუსეთის მცდელობას იზოლაციაში მოაქციოს ოპოზიციის ერთ-ერთი ცენტრი სირიაში - ალეპო. მაგალითისთვის, 2015 წლის 25 ნოემბერს რუსეთის მხარდაჭერილმა ძალებმა დაბომბეს თურქეთის ჰუმანიტარული კოლონა, რომელიც დახმარებას აწვდიდა ალეპოს რეგიონში განთავსებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა (IDP) ბანაკებს[319]. 2016 წლის სექტემბერს რუსეთის საჰაერო ძალებმა დაბომბეს წითელი ნახევარმთვარის ჰუმანიტარული კოლონა, რომლის დროსაც 20 სამოქალაქო პირი დაიღუპა, მათ შორის სირიის წითელი ნახევარმთვარის სამსახურის უფროსი ომარ ბარაქათი[320].

რუსეთის სადამსჯელო ოპერაციებს თან ახლდა მოსკოვის დეზინფორმაციის კამპანია, რომელშიც ოფიციალურ უწყებებთან ერთად რეგიონში რუსეთის წამყვანი სატელევიზიო არხები - „ართი არაბიქი“ და „სპუტნიკ არაბიქი“ - იყვნენ ჩართულები. თუ სადამსჯელო ღონისძიებების მთავარ მიზანს მოსახლეობის ნების გატეხვა წარმოადგენდა, დეზინფორმაციის კამპანია ჩადენილი სისასტიკეების უარყოფას ან გადაფარვას ემსახურებოდა. შესაბამისად, დეზინფორმაციის კამპანია, გარკვეულწილად, სადამსჯელო

---

318 Jones, *Moscow's War in Syria*, 45.
319 "RS190: Airwars Assessment," *Airwars*, November 25, 2015, https://airwars.org/civilian-casualties/rs190-november-25-2015/ (accessed April 28, 2025).
320 Nick Waters, "Analysis of Syrian Red Crescent Aid Convoy Attack," *Bellingcat*, September 21, 2016, https://bellingcat.com/news/mena/2016/09/21/aleppo-un-aid-analysis/ (accessed April 27, 2025).

ღონისძიებების თანმდევ მოვლენად იქცა. მაგალითისთვის, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო 2016 წლის სექტემბერში წითელი ნახევარმთვარის წინააღმდეგ მიტანილ თავდასხმას უარყოფდა. თუმცა მას შემდეგ, რაც „ვაშინგტონ პოსტის" საგამოძიებო ჟურნალისტებმა რუსული Su-24-ის ტიპის თვითმფრინავების ამ ინციდენტში მონაწილეობა დაადასტურეს[321], მოსკოვმა მიდგომა შეცვალა და აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი ოპოზიციური ჯგუფების დადანაშაულების კამპანია დაიწყო. კერძოდ, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა აშშ-ის „პრედიტორის" ტიპის დრონების კადრები, რომლის გამოყენებითაც ოპოზიციურმა ჯგუფებმა ჰუმანიტარულ კოლონაზე თავდასხმა განახორციელეს[322]. რუსეთის დეზინფორმაციის კამპანია მოვლენების უარყოფასთან ერთად სხვა აქტორების ტერორისტულ ქმედებებში დადანაშაულებასაც ითვალისწინებდა. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ სირიაში მოქმედი სამოქალაქო თავდაცვის ჯგუფის - „თეთრი ჩაფხუტების" - წინააღმდეგ წარმოებული დეზინფორმაციის კამპანია. კერძოდ, რუსეთის საინფორმაციო საშუალებები „თეთრი ჩაფხუტების" ალ-კაიდასთან დაკავშირებულ რეპორტაჟებს ავრცელებდნენ, რაც ამ ორგანიზაციას რუსეთისა თუ მისი მოკავშირეებისთვის ლეგიტიმურ სამიზნედ აქცევდა[323]. დეზინფორმაციის კიდევ ერთ ამოცანას რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით სტრატეგიული ბუნდოვანების შექმნა წარმოადგენდა. მაგალითისთვის, კამპანიის საწყის ეტაპზე რუსეთის თავდაცვის სამინისტრო საკუთარ ვებგვერდზე სამხედრო ოპერაციების ამსახველ ვიდეოებს აქვეყნებდა, რომლებიც ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციებად წარმოჩენას ცდილობდა. თუმცა დამოუკიდებელი საგამოძიებო ჟურნალისტების

---

[321] Louisa Loveluck and Thomas Gibbons-Neff, "'Why Did They Wait to Kill Us?': How the Attack on the Aid Convoy Near Aleppo Unfolded," *Washington Post*, September 24, 2016, https://www.washingtonpost.com/news/checkpoint/wp/2016/09/24/why-did-they-wait-to-kill-us-how-the-attack-on-the-aid-convoy-in-aleppo-unfolded/ (accessed April 28, 2025).

[322] Neil McFarquhar, "Russia Denies Any Role in Deadly Convoy Attack in Syria," *New York Times*, September 21, 2016, https://www.nytimes.com/2016/09/22/world/europe/russia-syria-aid-convoy.html (accessed April 28, 2025).

[323] Olivia Solon, "How Syria's White Helmets Became Victims of an Online Propaganda Machine," *The Guardian*, December 18, 2017, https://www.theguardian.com/world/2017/dec/18/syria-white-helmets-conspiracy-theories (accessed April 28, 2025).

მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ექვსიდან ხუთი ასეთი ვიდეო არა ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“, არამედ ოპოზიციური ჯგუფების წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციებს ასახავდა[324].

### 5.3.4 დიპლომატიური პროცესი

რუსეთის დიპლომატიური ქმედებები მნიშვნელოვანწილად ორ მიზანს ემსახურებოდა: 1) ბაშარ ალ-ასადის რეჟიმისთვის „დიპლომატიური საფარის“ შექმნას, რაც მისი რეჟიმის სტაბილიზაციასა და პოზიციების კონსოლიდაციას უზრუნველყოფდა; 2) აშშ-ის პოზიციების თანმიმდევრულ შესუსტებას, რაც რეგიონში რუსეთის აშშ-ის საპირწონე ძალად წარმოჩენას შეუწყობდა ხელს. შესაბამისად, მოსკოვის დიპლომატიური მიდგომა ცეცხლის შეწყვეტის ან მშვიდობის დამყარებისკენ კი არა, არამედ კონფლიქტში ჩართული რუსეთის მოკავშირეების „პოლიტიკური თუ დიპლომატიური საფარით“ უზრუნველყოფისკენ იყო მიმართული. რუსეთის გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრობა, ამ ტიპის „დიპლომატიური საფარის“ შექმნას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს. მაგალითისთვის, კონფლიქტის მიმდინარეობისას რუსეთმა 14-ჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება, რომელიც ბაშარ ალ-ასადის ადამიანის უფლებების დარღვევასა თუ აკრძალული იარაღის გამოყენებას ეხებოდა, რაც სირიის რეჟიმს მოსკოვის საფარქვეშ დაუსჯელად მოქმედების შესაძლებლობას აძლევდა[325]. ზოგადად, რუსეთის დიპლომატიური ქმედებები არა კონფლიქტის გადაჭრის, არამედ სირიის რეჟიმის სამხედრო წარმატებების გამყარებისკენ იყო მიმართული, რაც, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ისა და მისი მოკავშირეების პოზიციების ეტაპობრივ დასუსტებას ითვალისწინებდა[326].

---

[324] Maksymilian Czuperski et al., *Distract Deceive Destroy: Putin at War in Syria* (Washington, DC: Atlantic Council, 2016), https://publications.atlanticcouncil.org/distract-deceive-destroy/assets/download/ddd-report.pdf (accessed April 28, 2025).
[325] Jones, *Moscow's War in Syria*, 48.
[326] Jones, *Moscow's War in Syria*, 53.

სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ამ მიმართულებით მოსკოვის მიერ გადადგმული ნაბიჯები.

**2015 წლის ნოემბერში** ვენაში სირიის საერთაშორისო საკონტაქტო ჯგუფის (ISSG) შეხვედრა გაიმართა, რომლის დროსაც კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირებისა და ცეცხლის შეწყვეტის საკითხები განიხილეს. ამ შეხვედრამ ე.წ. ვენის პროცესს დაუდო დასაბამი. საყურადღებოა, რომ ამ შეხვედრის ფორმატში, რუსეთის ინიციატივით, ირანი მიიწვიეს. თეირანის ამ პროცესში ჩართვა მოსკოვის პოზიციებს ამყარებდა და შემდგომ ეტაპზე დიპლომატიური ინიციატივის სრულად ხელში აღების წინაპირობას ქმნიდა. ამავე ფორმატში მოსკოვმა კონფლიქტის დასრულების ექვსპუნქტიანი გეგმა შეიმუშავა, რომელიც პრეზიდენტ ასადს პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში მონაწილეობის მიღების საშუალებას აძლევდა, ხოლო ოპოზიციური ჯგუფების მნიშვნელოვან ნაწილს კი ტერორისტულ ჯგუფებად რაცხავდა[327]. საყურადღებოა, რომ სამხედრო ინტერვენციის დაწყების ადრეული ეტაპიდანვე, მოსკოვი დიპლომატიური ინიციატივის თანდათან ხელში აღებას ცდილობდა.

**2015 წლის 18 დეკემბერს** გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია - 2254, რომელმაც კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის ძირითადი ჩარჩო განსაზღვრა. კერძოდ, დაუყოვნებლივი ცეცხლის შეწყვეტა, რასაც ექვსი თვის ვადაში ერთიანი მთავრობის ჩამოყალიბება, ხოლო თვრამეტი თვის ვადაში კი საკონსტიტუციო რეფორმა და დიასპორის მონაწილეობით საყოველთაო არჩევნების ჩატარება უნდა მოჰყოლოდა[328]. საყურადღებოა, რომ ხსენებული რეზოლუცია ბაშარ ალ-ასადის გადადგომას არ ითხოვდა, რაც მხარეებს ამ დოკუმენტის განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აძლევდა. ფორმალურად არ არსებობდა არცერთი შეზღუდვა, რაც ბაშარ ალ-ასადს გარდამავალ მთავრობაში ანდა მომავალ არჩევნებში მონაწილეობას აუკრძალავდა.

---

[327] "Exclusive: Russia to Propose Syrians Launch 18-Month Reform Process—Document," *Reuters*, November 10, 2015, https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-syria-draft-idUSKCN0SZ2F720151110 (accessed April 29, 2025).

[328] United Nations Security Council, *Resolution 2254*, December 18, 2015, https://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3CF6E4FF96FF9%7D/s_res_2254.pdf (accessed April 29, 2025).

შესაბამისად, რუსეთმა ამ ბუნდოვანების შექმნით სირიის მომავლის მისეული ხედვის ლეგიტიმაცია მოახდინა, რასაც არაპირდაპირ მისმა მოწინააღმდეგეებმაც დაუჭირეს მხარი[329].

**2016 წლის თებერვალს** რუსეთმა და აშშ-მ გაეროს ეგიდით მოქმედი ცეცხლის შეწყვეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. ამ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ირანის „პროქსი“ ჯგუფებთან და სირიის რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილ შეიარაღებულ ძალებთან ერთად ლატაკაიას, ალეპოსა და დამასკოს მიმართულებით ინტენსიური სამხედრო ოპერაციები ჩაატარეს[330]. რუსეთის დიპლომატიურ ინიციატივებსა და სამხედრო ოპერაციებს შორის ურთიერთქმედება სირიაში მოსკოვის ოპერირების მოდალობას კარგად ასახავს. კერძოდ, დიპლომატიური ინიციატივები მნიშვნელოვანწილად სირიის ფრონტზე მიღწეული სამხედრო წარმატებების გამყარებასა და ბაშარ ალ-ასადის ძალებისთვის დროის მოგებას ემსახურებოდა[331]. ამასთანავე, რუსეთი კარგად იყენებდა აშშ-ის ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შენარჩუნების სურვილს, რაც ვაშინგტონისთვის ჰუმანიტარული მისიების განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა[332]. შესაბამისად, ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე გამართული მოლაპარაკებები მოსკოვის ხელში მისი მოკავშირეების სამხედრო პოზიციების გამყარების ეფექტურად ინსტრუმენტად იქცა.

**2016 წლის დეკემბერს** რუსეთმა ალტერნატიული მოლაპარაკებების პროცესის შექმნით დიპლომატიური ინიციატივის საკუთარ ხელში აღება მოახერხა. კერძოდ, ქალაქ ასტანაში რუსეთ-ირან-თურქეთის სამმხრივი მოლაპარაკებების ფორმატი ჩამოყალიბდა, რომლის პირველი შეხვედრაც 2017 წლის იანვარს გაიმართა. ასტანის პროცესის ინაუგურაციით რუსეთმა ჟენევის

---

329 Borshchevskaya, *Putin's War in Syria*, 121.

330 Jennifer Cafarella with Jason Zhou, "Russian Dead-End Diplomacy in Syria," *Institute for the Study of War*, November 2019, http://www.understandingwar.org/sites/default/files/ISW%20Report%20%20Russia%E2%80%99s%20Dead End%20Diplomacy%20in%20Syria%20-%20November%202019.pdf (accessed April 29, 2025).

331 Faysal Itani and Reema Hibrawi, "The Aleppo-Geneva Disconnect," *Atlantic Council*, April 12, 2016, https://www.atlanticcouncil.org/blogs/syriasource/the-aleppo-geneva-disconnect/ (accessed April 29, 2025).

332 Jones, *Moscow's War in Syria*, 54.

ფორმატისა და აშშ-ის როლის მარგინალიზება შეძლო. საყურადღებოა, რომ ასტანის პროცესის დაწყება რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ქალაქ ალეპოზე, ოპოზიციური ძალების მნიშვნელოვან საყრდენზე, კონტროლის დამყარების პერიოდს ემთხვევა. შესაბამისად, სირიაში სამხედრო დომინაციას რუსეთის მიერ დიპლომატიურ პროცესზე კონტროლის დამყარებაც მოჰყვა. ზოგადად, რუსეთის დიპლომატიურ მიდგომას, რამაც საერთაშორისო ფორმატების მარგინალიზაცია გამოიწვია, კარგად აღწერს სირიელი ჟურნალისტის ჰასან ჰასანის სიტყვები, რომლის თანახმადაც: „რუსეთს კონფლიქტის სამხედრო გადაწყვეტა სურს, რასაც პოლიტიკური პროცესით ნიღბავს ....სწორედ ეს არის ჟენევის პროცესის ასტანიზაცია“[333]. დასასრულს შეიძლება ითქვას, რუსეთის დიპლომატიური ქმედებები, რომლებიც არა კონფლიქტის გადაჭრის, არამედ ბრძოლის ველზე მიღწეული წარმატების გამყარებისა და აშშ-ის როლის მარგინალიზაციისკენ იყო მიმართული, სირიაში მოსკოვის „ჰიბრიდული ომის“ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა.

### *5.4 მოსკოვის პოლიტიკური დისკურსის ანალიზი*

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიის გასაანალიზებლად ასევე მნიშვნელოვანია, განვიხილო მოსკოვის პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მახასიათებლები, რასაც, ძირითადად და დიდწილად ქვეყნის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის გზავნილები განსაზღვრავს. შესაბამისად, სირიის კამპანიასთან მიმართებაში რუსეთის პოლიტიკურ დისკურსზე საუბრისას სწორედ პუტინის საჯარო გამოსვლებში გაჟღერებულ გზავნილებზე გავამახვილებ ყურადღებას. კერძოდ, მიმოვიხილავ იმ ძირითად გზავნილებსა თუ თემებს, რომლებსაც სირიის კონფლიქტთან დაკავშირებით საკვლევი პერიოდის მანძილზე (2015-16 წ.წ.) რუსეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებელ საჯარო გამოსვლებსა თუ სატელევიზიო ინტერვიუებში გაესვა ხაზი. ხსენებულ

---

[333] Lyse Doucet, “Syria Peace Talks: Armed Groups Come in from the Cold,” *BBC*, January 23, 2017, https://www.bbc.com/news/world-38712444, cited in Anna Borshchevskaya, *Putin’s War in Syria: Russia’s Foreign Policy and the Price of America’s Absence* (New York: I.B. Tauris, 2022).

პერიოდში პრეზიდენტ პუტინის მიერ სირიის კონფლიქტთან მიმართებაში გაკეთებულ განცხადებებში განსაკუთრებული აქცენტი ტერორიზმთან ბრძოლაზე, ანტიდასავლურ რიტორიკასა და სამხედრო ოპერაციის სამართლებრივ საფუძვლებზე გაკეთდა.

პრეზიდენტი პუტინი სირიაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის ანტი-ტერორისტულ ოპერაციად წარმოჩენას ცდილობდა, რაზეც ის განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ოპერაციის დაწყების დღიდანვე ამახვილებდა[334]. ანტიტერორისტული ნარატივის დანერგვას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. კერძოდ, სირიაში სამხედრო ინტერვენციის ანტიტერორისტულ ოპერაციად წარმოჩენა მიზნად ისახავდა მოსკოვისთვის საერთაშორისო ლეგიტიმაციის გამყარებას, პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ოპოზიციისა და მისი მხარდამჭერი ძალების დემონიზებას, რეგიონში ანტიდასავლური განწყობების გამყარებასა და რუსეთში საზოგადოებრივი მხარდაჭერის კონსოლიდირებას.

პრეზიდენტი პუტინი თავის საჯარო გამოსვლებში განსაკუთრებულ ყურადღებას საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების, ე.წ. „ისლამური სახელმწიფოსა“ თუ „ჯაბჰათ ალ-ნუსრას“ სირიაში დამარცხების მნიშვნელობაზე ამახვილებდა. მისი 2016 წელს რუსეთის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებთან[335] თუ სამხედრო მოსამსახურეებთან[336] გაკეთებულ განცხადებებში ყურადღება სწორედ ამ საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების დამარცხების მნიშვნელობაზე კეთდებოდა. ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაზე გამუდმებული აპელირება კი, უპირველეს ყოვლისა, სირიაში წარმოებული სამხედრო კამპანიის მიმართ საერთაშორისო ლეგიტიმაციის გამყარების მცდელობას წარმოადგენდა.

---

[334]Президент России. «Совещание с членами Правительства». *Москва*, 30 сентября 2015 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/events/president/news/50401 (дата обращения: 30 апреля 2025).

[335] Президент России. «Совещание послов и постоянных представителей Российской Федерации». *Москва*, 30 июня 2016 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/events/president/transcripts/comminity_meetings/52298 (дата обращения: 30 апреля 2025).

[336] Президент России. «Встреча с военнослужащими Вооружённых Сил России». *Москва*, 17 марта 2016 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/events/president/news/51526 (дата обращения: 30 апреля 2025).

საერთაშორისო ლეგიტიმაციის გამყარების პარალელურად სირიის ოპერაციის ანტიტერორისტულ კამპანიად წარმოჩენა პრეზიდენტ ასადის ოპოზიციის დემონიზებას ისახავდა მიზნად. სამხედრო ინტერვენციის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ჩარლი როუზის[337] სატელევიზიო გადაცემაში საუბრისას პრეზიდენტმა პუტინმა ბაშარ ალ-ასადის ოპოზიციური ძალები ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ სირიის 60 პროცენტი სწორედ ე.წ. „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ჯაბჰათ ალ-ნუსრას“ მიერ კონტროლდება[338]. საყურადღებოა, რომ ბაშარ ალ-ასადის ოპოზიციის მიმართ ამ ტიპის ბრალდებებს პრეზიდენტი პუტინი სირიაში სამოქალაქო კონფლიქტის დაწყების ადრეულ ეტაპებზეც აჟღერებდა, რაზეც მისი „ნიუ-იორკ თაიმსში“ 2013 წელს გამოქვეყნებული სტატიაც მოწმობს[339]. პრეზიდენტ პუტინისთვის სირიის ოპოზიციის დემონიზების კამპანიის ძირითადი სამიზნე საერთაშორისო აუდიტორია იყო. რამეთუ ამ ნარატივის უმთავრეს მიზანს სირიის კონფლიქტში დასავლეთის როლის დისკრედიტაცია წარმოადგენდა. ამასთანავე, სირიის ოპოზიციის ტერორისტულ ჯგუფებთან გაიგივება საერთაშორისო აუდიტორიისთვის მხოლოდ ორი არჩევანის შეთავაზებას ისახავდა მიზნად. კერძოდ, არჩევანს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმსა და ტერორისტულ ჯგუფებს შორის[340]. ეს მოცემულობა და არჩევნის ამგვარად დავიწროვება კი, რუსეთის სახელისუფლებო წრეების გადმოსახედიდან, სირიის ამჟამინდელი რეჟიმის გაძლიერებისა და შენარჩუნების მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო.

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნარატივს პრეზიდენტი პუტინი სირიის სახელმწიფოს ჩამოშლის დაუშვებლობითაც

---

[337] ჩარლი როუზი - ცნობილი ამერიკელი ტელეწამყვანი და PBS-ზე Charlie Rose-ის საავტორო გადაცემის ავტორი (1991-2017 წ.წ.).

[338] Президент России. «Интервью американскому журналисту Чарли Роузу для телеканалов CBS и PBS». *Москва*, 29 сентября 2015 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/events/president/news/50380 (дата обращения: 30 апреля 2025).

[339] Vladimir Putin, "A Plea for Caution from Russia," *New York Times*, September 11, 2013, https://www.nytimes.com/2013/09/12/opinion/putin-plea-for-caution-from-russia-on-syria.html (accessed April 30, 2025).

[340] Julien Nocetti, "Dazed and Confused: The Russian Information Warfare and the Middle East – The Syria Lessons," *EuroMeSCo Policy Brief*, no. 93 (February 27, 2019), https://www.euromesco.net/wp-content/uploads/2019/02/Brief93_Dazed-and-oncufsed.-Russian-information-warfare.pdf (accessed April 30, 2025).

ამყარებდა. ამ თვალსაზრისით მის საჯარო გამოსვლებში აქცენტი კეთდებოდა იმ საფრთხეებზე, რომლებიც, შესაძლოა, სირიაში სახელისუფლებო ვაკუუმის შექმნის შემთხვევაში წარმოქმნილიყო. მაგალითად, ჩარლი როუზთან ინტერვიუში პრეზიდენტი პუტინი დეტალურად საუბრობდა, თუ როგორ აძლიერებს ტერორისტულ ორგანიზაციებს სახელისუფლებო ვაკუუმის შექმნა და მაგალითად სირიას ასახელებდა[341]. იმავე არგუმენტს იშველიებდა პრეზიდენტი პუტინი 2017 წელს საფრანგეთის პრეზიდენტთან ერთად გამართული პრეს-კონფერენციის დროსაც, როდესაც ის ცდილობდა აეხსნა, თუ რატომაა ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების მხარდაჭერა მნიშვნელოვანი,[342] განსაკუთრებით კი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. სირიის ხელისუფლების მხარდაჭერის არგუმენტს პრეზიდენტი პუტინი ხშირად მიმართავდა, რათა პარალელი გაევლო, თუ რა სავალალო შედეგები მოიტანა დასავლეთის ჩარევამ რეგიონული უსაფრთხოებისათვის „არაბული გაზაფხულის“ დროს. ამ კონტექსტში ის ყველაზე ხშირად ლიბიაში ნატო-ს სამხედრო ოპერაციას იხსენიებდა[343], რომელსაც შედეგად რეგიონული სახელმწიფოების ჩამოშლა და ტერორისტული ჯგუფების გაძლიერება მოჰყვა. ეს ნარატივი მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს მოსკოვის მცდელობებს, მოახდინოს დასავლეთის როლის დემონიზება და საერთაშორისო ტერორიზმის წახალისებაში მისი დადანაშაულება. ამასთანავე, პრეზიდენტი პუტინი ამ ნარატივის გამოყენებით ცდილობს თავი წარმოაჩინოს, როგორც სუვერენიტეტისა და ჩაურევლობის პრინციპების განუხრელმა დამცველმა; არგუმენტი, რომელმაც

---

[341] Президент России. «Интервью американскому журналисту Чарли Роузу для телеканалов CBS и PBS». *Москва*, 29 сентября 2015 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/events/president/news/50380 (дата обращения: 2 мая 2025).
[342] Президент России. «Совместная пресс-конференция с Президентом Франции Эммануэлем Макроном». *Париж*, 29 мая 2017 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/events/president/news/54618 (дата обращения: 2 мая 2025)
[343] Президент России. «Заседание Международного дискуссионного клуба „Валдай“». *Сочи*, 22 октября 2015 г.; «Послание Президента Российской Федерации Федеральному Собранию». *Москва*, 3 декабря 2015 г.; «Владимир Путин ответил на вопросы журналистов». *Гоа*, 16 октября 2016 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/events/president/news/50548; https://kremlin.ru/events/president/news/50864; https://kremlin.ru/events/president/news/53103 (дата обращения: 2 мая 2025).

„არაბული გაზაფხულის“ ფონზე შუა აღმოსავლეთის რეგიონის მმართველ ელიტებში განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა.

განსხვავებულ აქცენტებს სვამდა პრეზიდენტი პუტინი ქვეყნის შიდა აუდიტორიასთან საუბრისას. კერძოდ, საერთაშორისო ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეებზე საჯარო გამოსვლებში ის აქცენტს ქვეყნის შიდა უსაფრთხოების საკითხებზე აკეთებდა. სახელდობრ, სირიის სამხედრო კამპანიის მიზანშეწონილობის ახსნას ის ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჭრილში განიხილავდა. მაგალითისთვის, 2015 წლის 3 დეკემბერს ფედერალურ საბჭოში გამოსვლისას პრეზიდენტმა პუტინმა აღნიშნა, რომ სირიაში ტერორისტული ჯგუფების განადგურება, რომლებშიც რუსეთის მოქალაქეებიც არიან გაწევრიანებულნი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული უსაფრთხოების ამოცანებს ემსახურებოდა. პრეზიდენტ პუტინის თქმით, „თუ ეს ჯგუფები გაძლიერდებიან და გაიმარჯვებენ სირიაში, მაშინ ისინი რუსეთში დაბრუნდებიან და იქ გააგრძელებენ შიშის თესვას ადამიანების აფეთქებებით, მკვლელობითა და წამებით; შესაბამისად, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ და გავანადგუროთ ისინი ჩვენი ქვეყნიდან შორს.“[344] ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის არგუმენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სირიის სამხედრო კამპანიისადმი რუსეთის საზოგადოებრივი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად და ქვეყნის შიდა აუდიტორიისთვის პრეზიდენტ პუტინის დისკურსს დამატებით დამაჯერებლობას სძენდა.

საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის პარალელურად პრეზიდენტი პუტინი მის საჯარო გამოსვლებში რუსეთის სირიის კონფლიქტში ჩართვის სამართლებრივ საფუძვლებზე ხშირად აპელირებდა. მისი პოლიტიკური დისკურსის ეს ასპექტი არა მხოლოდ რუსეთის სამართლებრივი არგუმენტების ახსნას, არამედ დასავლეთის როლის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. პრეზიდენტ პუტინის განმარტებით, რუსეთის შეიარაღებული ძალები სირიაში მასპინძელი ქვეყნის ლეგიტიმური მთავრობის მოწვევით იმყოფებოდნენ, რაც

---

[344] Путин, Владимир Владимирович. «Послание Президента Российской Федерации Федеральному Собранию». *Москва*, 3 декабря 2015 г. Электронный ресурс: сайт Президента Российской Федерации. https://en.kremlin.ru/events/president/news/50864 (дата обращения: 2 мая 2025).

მათი სამხედრო მოქმედებების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა[345]. მისივე განმარტებით, არცერთ სხვა საერთაშორისო აქტორს სირიაში მოქმედების სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა; რამეთუ ისინი იქ გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს რეზოლუციისა და მასპინძელი ქვეყნის ლეგიტიმური მთავრობის მოწვევის გარეშე იმყოფებოდნენ; შესაბამისად, მათი სირიის კონფლიქტში ჩართვა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს არღვევდა[346]. ამათანავე საყურადღებოა, რომ მოსკოვი სამართლებრივ არგუმენტებზე საუბრისას, მიზანმიმართულად თავს არიდებდა „დაცვის პასუხისმგებლობის“ (R2P)[347] ცნების ხსენებას. რამეთუ რუსეთის ხელისუფლებისთვის ადამიანის უფლებების დარღვევის საბაბით სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეის შესუსტება, განსაკუთრებით შუა აღმოსავლეთში, ცალსახად მიუღებელია[348]. შესაბამისად, მოსკოვი სრულად გამორიცხავდა ჰუმანიტარული საბაბით სამხედრო ჩარევის ლეგალურობას, რაც მას სირიის კონფლიქტში დასავლეთის როლის დისკრედიტაციის საშუალებას აძლევდა. ზოგადად, პრეზიდენტ პუტინის სამართლებრივი დისკურსის მთავარ მიზანს საკუთარი პოზიციების განმარტებაზე მეტად საერთაშორისო აქტორების დისკრედიტაცია წარმოადგენდა. ამგვარი მიდგომა, ზოგადად, ნათლად ასახავს რუსეთის საინფორმაციო კამპანიის

---

[345] Президент России. «Интервью американскому журналисту Чарли Роузу для телеканалов CBS и PBS». *Москва*, 29 сентября 2015 г.; «Заседание Совета по развитию гражданского общества и правам человека». *Москва*, 1 октября 2015 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/events/president/news/50380; https://kremlin.ru/events/president/news/50411 (дата обращения: 2 мая 2025).

[346]Президент России. «Интервью Владимиру Соловьёву». *Москва*, 12 октября 2015 г.; «Совещание с членами Правительства». *Москва*, 30 сентября 2015 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/events/president/news/50482; https://kremlin.ru/events/president/news/50401 (дата обращения: 2 мая 2025).

[347] „დაცვის-პასუხისმგებლობის“ შესახებ დოკუმენტი გაეროს 2005 წლის სამიტზე მიიღეს, რომელიც გამოყოფს ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ოთხ ტიპს (გენოციდი, ეთნიკური წმენდა, ომის დროს და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებები), რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობას აკისრებს განსაკუთრებულ ვალდებულებას დაიცვას ადამიანის უფლებები, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენების გზითაც.

[348] Derek Averre and Lance Davies, "Russia, Humanitarian Intervention and the Responsibility to Protect: The Case of Syria," *International Affairs* 91, no. 4 (2015): 813–34, https://doi.org/10.1111/1468-2346.12343 (accessed May 3, 2025).

ძირითად მიმართულებას, რომელიც საკუთარი პოზიციების წარმოჩენაზე მეტად სხვა აქტორების მიმართ ეჭვის გაღვივებაზეა ფოკუსირებული[349].

სირიის კონფლიქტთან მიმართებაში მოსკოვის პოლიტიკური დისკურსის ცენტრალურ თემას დასავლეთის დემონიზებისა და დისკრედიტაციის მცდელობა წარმოადგენდა. ამ მხრივ, პრეზიდენტ პუტინის საჯარო გამოსვლებში ორი მნიშვნელოვანი მიმართულება იკვეთება: დასავლეთის ღია დადანაშაულება, როგორც საერთაშორისო ტერორიზმის წახალისებასა და მხარდაჭერაში, ასევე შუა აღმოსავლეთის რეგიონის დესტაბილიზაციაში.

საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერაში მოსკოვი დასავლეთს მისი სირიის კონფლიქტში ჩართვამდეც ადანაშაულებდა. პრეზიდენტ პუტინის 2012-13 წლებში გაკეთებულ საჯარო გამოსვლებში ეს მიმართულება ნათლადაა გამოკვეთილი. ის ამ პერიოდში ღიად მიანიშნებდა, რომ დასავლეთი საერთაშორისო ტერორისტულ ჯგუფებს მისთვის არასასურველი რეჟიმების შესაცვლელად იყენებდა[350]. კერძოდ, ის ალ-კაიდას დასავლეთის პროექტად მოიხსენიებდა, რომელიც სირიაში მისი მიზნების რეალიზაციას ემსახურებოდა[351]. სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე პრეზიდენტმა პუტინმა ეს რიტორიკა საგრძნობლად გააქტიურა და ამ ტიპის გზავნილების საერთაშორისო პლატფორმებზე გაჟღერება დაიწყო. 2015 წლის 28 სექტემბერს გაეროს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ თავდაპირველად შეიქმნა, როგორც არასასურველი სეკულარული რეჟიმების წინააღმდეგ მოქმედი იარაღი.“[352] იმავე დღეს ჩარლი როუზთან გამართულ სატელევიზიო ინტერვიუში კი მან ღიად მიანიშნა, რომ ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოს“ გარკვეული ძალები სირიაში რეჟიმის შესაცვლელად და ბაშარ ალ-

---

[349] Nocetti, “Dazed and Confused.”

[350] Президент России. «Заседание международного дискуссионного клуба „Валдай“». *Новгородская область*, 19 сентября 2013 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/events/president/news/19243 (дата обращения: 2 мая 2025).

[351] Президент России. «Интервью телеканалу Russia Today». *Московская область (Ново-Огарёво)*, 6 сентября 2012 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/events/president/news/16393 (дата обращения: 2 мая 2025).

[352] Президент России. «70-я сессия Генеральной Ассамблеи ООН». *Нью-Йорк*, 28 сентября 2015 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/events/president/news/50385 (дата обращения: 2 мая 2025).

ასადის დასამხობად იყენებდნენ[353]. ამ ტიპის ბრალდებების უმთავრეს სამიზნეს საერთაშორისო აუდიტორია წარმოადგენდა და, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთის ქმედებების დელიგიტიმიზაციას ისახავდა მიზნად. თუმცა, იმავდროულად, პრეზიდენტ პუტინის ეს რიტორიკა ბაშარ ალ-ასადის რეჟიმსა და ტერორისტულ ჯგუფებს შორის ხელოვნურად შექმნილი არჩევნის, როგორც მხოლოდ ორი შესაძლო ალტერნატივის, თავზე მოხვევას ცდილობდა.

პრეზიდენტ პუტინის რიტორიკის მნიშვნელოვან ნაწილს დასავლეთის შუა აღმოსავლეთში ქაოსის შექმნაში დადანაშაულება წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით „არაბული გაზაფხულის“ მოვლენებს, რუსეთის ხელისუფლება „ფერადი რევოლუციების“ გაგრძელებად და ვაშინგტონიდან მართულ პროცესად განიხილავდა[354]. შესაბამისად, რეგიონის დესტაბილიზაციის მთავარ ფაქტორად, პრეზიდენტ პუტინის რიტორიკაში სწორედ დასავლეთი სახელდებოდა. 2015 წლის 3 დეკემბერს, სირიის ოპერაციაში ჩართვის მიზეზებზე საუბრისას მან აღნიშნა: „ჩვენ ვიცით, ვინ იღებს არასასურველი რეჟიმების დამხობისა და საკუთარი წესების თავზე მოხვევის გადაწყვეტილებებს. ისინი ქმნიან პრობლემებს, ანადგურებენ ქვეყნების სახელმწიფოებრიობას, აღვივებენ ხალხებს შორის შუღლს და შემდეგ ხელს იბანენ ამ ყველაფრისგან, რაც საბოლოოდ რადიკალური, ექსტრემისტული და ტერორისტული ჯგუფების გაძლიერებას იწვევს.“[355] პრეზიდენტ პუტინის ანტიდასავლური რიტორიკა არახალია. თუმცა სირიის კონტექსტში ის განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. რადგან სირიის სამხედრო ოპერაცია დასავლეთის საპირწონედ თავის წარმოჩენას ისახავდა მიზნად, რაც რუსეთს გლობალურ აქტორად პოზიციონირების საშუალებას აძლევდა.

---

[353] Президент России. «Интервью американскому журналисту Чарли Роузу для телеканалов CBS и PBS». *Москва*, 29 сентября 2015 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/events/president/news/50380 (дата обращения: 2 мая 2025).

[354] McFaul, Michael. 2020. “Putin, Putinism, and the Domestic Determinants of Russian Foreign Policy.” *International Security* 45 (2), 123.

[355] Путин, Владимир Владимирович. «Послание Президента Российской Федерации от 03 декабря 2015 г. “О положении в стране и основных направлениях внутренней и внешней политики”». *Москва*, 3 декабря 2015 г. Электронный ресурс: сайт Президента России. https://kremlin.ru/acts/bank/40542/page/1 (дата обращения: 2 мая 2025)

## 5.5 რუსეთის წარმატების თეორია

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგია, რომელმაც მოსკოვს შუა აღმოსავლეთში გავლენების მნიშვნელოვანი გაფართოების საშუალება მისცა, მისი წარმატების თეორიის საფუძველს წარმოადგენს. სირიაში რუსეთის სამხედრო ინტერვენცია ნათლად გვაჩვენებს რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ მოდელს, რაც მოსკოვს, უპირველეს ყოვლისა, მისი რევიზიონისტული ამოცანების მიღწევის შესაძლებლობას აძლევს. განცხადებული მიზნების მიუხედავად, კვლევის პროცესში ნათლად გამოიკვეთა, რომ სირიაში სამხედრო ინტერვენციის უმთავრეს ამოცანას რუსეთისთვის სწორედ აშშ-ის გავლენების შესუსტება წარმოადგენდა, რაც მოსკოვს გლობალურ მოთამაშედ პოზიციონირების შესაძლებლობას მისცემდა. შესაბამისად, „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგია, მოსკოვისთვის მის მოწინააღმდეგეებზე შედარებითი უპირატესობის მოპოვებისა და მათი სუსტი მხარეების ეფექტური ექსპლოატაციის ინსტრუმენტს წარმოადგენდა. წარმატების თეორიის არსიც სწორედ მასზე სამხედრო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების ნათლად განსზღვრულ მიდგომაში მდგომარეობს. მოსკოვის ამ მიდგომას კი ოთხი ძირითადი შემადგენელი ნაწილი აქვს: ა) საინფორმაციო სივრცეში დომინანტი პოზიციების ჩამოყალიბებით მოწინააღმდეგისთვის საპასუხო ქმდებების არეალის შეზღუდვა; ბ) კონვენციური და არაკონვენციური ინსტრუმენტების ეფექტური ინტეგრირებით რისკებისა და დანახარჯების მინიმიზაცია; გ) სადამსჯელო ოპერაციებით მოსახლეობის ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფების წინააღმდეგობის გატეხა; დ) დიპლომატიური ინსტრუმენტის არა კონფლიქტის გადაჭრის, არამედ ბრძოლის ველზე მიღწეული წარმატების გასამყარებლად გამოყენება.

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ მოდელი, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციული ინსტრუმენტისთვის ცენტრალური როლის მინიჭებას ითვალისწინებს. რუსეთის მიერ წარმოებული „ჰიბრიდული ომის“ კამპანიებში, ყველა ინსტრუმენტის, შეიარაღებული ძალების გამოყენების ჩათვლით, საინფორმაციო ინსტრუმენტისთვის დაქვემდებარება ხდება. თანამედროვე

კონფლიქტებში ინფორმაციული ინსტრუმენტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კარგად ასახავს ჰარვარდის პროფესორის, ჯოზეფ ნაის მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც: „ციფრულ ერაში, გლობალური ძალის სტატუსს არა მხოლოდ ის განსაზღვრავს, თუ ვისი შეიარაღებული ძალები აღწევენ წარმატებას, არამედ ის, თუ ვისი ნარატივი იმარჯვებს“[356]. სირიის კონფლიქტში რუსეთის წარმატების ერთ-ერთი საწინდარი სწორედ ინფორმაციულ სივრცეში მიღწეული წარმატება აღმოჩნდა, რამაც მოსკოვს მასზე უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის განეიტრალების შესაძლებლობა მისცა. კერძოდ, მოსკოვმა სირიაში მისი სამხედრო ინტერვენციის ნარატივი ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის იდეას დაუკავშირა, რამაც აშშ-ის რუსეთის წინააღმდეგ მოქმედების არეალი მნიშვნელოვნად შეუზღუდა. საყურადღებოა, რომ სამხედრო ინტერვენციის დაწყებამდე პრეზიდენტმა პუტინმა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას აშშ-ს ანტიტერორისტული კოალიციის შექმნა შეთავაზა, რამაც მნიშვნელოვანწილად რუსეთის სამხედრო მოქმედებებს ლეგიტიმური „საფარი“ შესძინა. ტერორიზმთან ბრძოლის ნიღაბს ამოფარებულმა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა კი სამხედრო ოპერაციები არა ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ, არამედ ბაშარ ალ-ასადისადმი ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფების წინააღმდეგ მიმართეს, რასაც ამ თემაზე ჩატარებული არაერთი კვლევა ადასტურებს. შესაბამისად, ტერორისტული ჯგუფების განადგურების იდეის წინა პლანზე წამოწევით, მოსკოვმა „ჰიბრიდული ომის“ კამპანიის ჩატარების ხელშემწყობი პირობები შექმნა, სადაც მის მოწინააღმდეგეებს საპასუხო ქმედებების არეალი მნიშვნელოვნად შეუზღუდა.

სირიაში რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ კამპანიის წარმატება მნიშნელოვანწილად კონვენციური და არაკონვენციური ინსტრუმენტების ეფექტურმა ინტეგრირებამაც განაპირობა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა სახმელეთო ოპერაციებში ირანის „პროქსი“ ჯგუფებისა და „ვაგნერის“ ტიპის კერძო სამხედრო კომპანიების ჩართვას ენიჭება, რომლებსაც

[356] Joseph Nye, “The Future of Power,” *Carnegie Council for Ethics in International Affairs*, video, February 18, 2011, https://www.carnegiecouncil.org/media/series/39/20110210-the-future-of-power (accessed May 4, 2025).

საჰაერო მხარდაჭერას რუსეთის ავიაცია უწევდა. რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან ამ არაკონვენციური ინსტრუმენტების ეფექტური ინტეგრირებით მოსკოვმა ორი მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა შეძლო: პირველი - რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს, თავი აერიდებინათ სახმელეთო ოპერაციებში ჩართვისგან, რასაც ტრადიციულად დიდი მსხვერპლი ახლდა თან, რამეთუ ამ ტიპის ოპერაციების მთელი სიმძიმე ირანის „პროქსი“ ჯგუფებსა თუ „ვაგნერის“ ტიპის კერძო სამხედრო კომპანიებზე მოდიოდა. შესაბამისად, ამ არაკონვენციური ინსტრუმენტების ინტეგრირებამ მოსკოვისთვის ავღანეთის საბჭოთა გამოცდილების თავიდან აცილება და მინიმალური დანაკარგებით სამხედრო კამპანიის წარმოება გახადა შესაძლებელი. მეორე - რუსეთთან ფორმალური აფილიაციის არმქონე ჯგუფებთან ერთად ოპერირება მოსკოვს საჭიროების შემთხვევაში შესაძლო უარყოფის საშუალებას აძლევდა. ეს კი რუსეთს, ხშირ შემთხვევაში, ბრძოლის ველზე ჩადენილი სისატიკეებისგან თავის დისტანცირების შესაძლებლობას უქმნიდა.

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ კამპანიის კიდევ ერთი მახასიათებელი, რამაც სირიის ოპერაციაში მოსკოვის წარმატება განაპირობა, სისასტიკით გამორჩეული სადამსჯელო ოპერაციების ჩატარება გახდა. მშვიდობიანი მოსახლეობის, ჰუმანიტარული მისიებისა თუ სამედიცინო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმები სირიის ოპოზიციური ძალების მხარდამჭერი მოქალაქეების ნების გატეხვას ისახავდა მიზნად. ამასთანავე, ჰუმანიტარული კოლონების განადგურება და სამედიცინო ინფრასტრუქტურაზე თავდასხმები ალყაში მოქცეული ქალაქების დანებებისკენ იძულების ეფექტურ ინსტრუმენტად იქცა, რამაც განსაკუთრებით სასტიკი ხასიათი ქალაქ ალეპოს აღების დროს მიიღო. საყურადღებოა, რომ ამ სისასტიკით გამორჩეულ ოპერაციებს ხშირად ირანთან აფილირებული „პროქსი“ ჯგუფები ან „ვაგნერის“ დანაყოფები ახორციელებდნენ, რაც მოსკოვს მათში მონაწილეობის უარყოფის შესაძლებლობას აძლევდა.

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს დიპლომატიური ინსტრუმენტის პოლიტიკურ ნიღბად გამოყენების მცდელობა

წარმოადგენდა. კერძოდ, მოსკოვის დიპლომატიური ქმედებები არა კონფლიქტის გადაჭრის, არამედ ბრძოლის ველზე მიღწეული წარმატების გამყარების, ბაშარ ალ ასადის რეჟიმის დიპლომატიური საფარით უზრუნველყოფისა და აშშ-ის როლის მარგინალიზაციისკენ იყო მიმართული. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ მოსკოვი დიპლომატიურ ინციატივებს მისი რეალური მიზნების შენიღბვის მიზნით იყენებდა, რის ნათელ მაგალითსაც აშშ-სთან „კონფლიქტის თავიდან აცილების ზონების" შექმნა წარმოადგენდა. მექანიზმი, რომელიც რუსეთს ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლის საფარქვეშ სირიის ოპოზიციური ძალების პოზიციების შესუსტების შესაძლებლობას აძლევდა. მოსკოვი მის განცხადებულ მიზნებსა და რეალურ ქმედებებს შორის სტრატეგიული ბუნდოვანების შექმნით, სირიაში წარმოებული სამხედრო კამპანიისთვის მყარი საფუძვლის შექმნას ცდილობდა, რაც მისი მოწინააღმდეგეების საპასუხო სივრცეს მნიშვნელოვნად ზღუდავდა.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სირიის კონფლიქტში ჩართვის ადრეული პერიოდის შესწავლა განსაკუთრებით საყურადღებოა ორი ფაქტორის გამო. უპირველეს ყოვლისა, ის მოსკოვის სტრატეგიის ფორმირების პროცესში მკვეთრად გამოკვეთილი „წარმატების თეორიის" შესწავლის საშუალებას გვაძლევს. კერძოდ, რუსეთის „წარმატების თეორიის" არსი მასზე სამხედრო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების ნათლად განსაზღვრულ „ჰიბრიდული ომის" სტრატეგიაში მდგომარეობს. სტრატეგიულ მიდგომაში, რაც მოსკოვს მისი რევიზიონისტული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას აძლევს. ამასთანავე, ამ კონფლიქტში რუსეთის ქმედებების ანალიზი „ჰიბრიდული ომის" შესახებ ჩამოყალიბებული მცდარი სტერეოტიპების აღმოფხვრას უწყობს ხელს. სახელდობრ, რუსეთის სამხედრო ინტერვენცია სირიაში საშუალებას გვაძლევს მკაფიოდ გავმიჯნოთ „ჰიბრიდული ომის" ცნება „რუხი არეალის" კონფლიქტისაგან, რაც განსაკუთრებულ დატვირთვას ამ ცნებების აღრევისა თუ არათანმიმდევრული გამოყენების ფონზე იძენს.

## 6. რუსეთისა და ირანის სტრატეგიული მიდგომების შედარებითი ანალიზი

რუსეთის სირიაში წარმოებული სამხედრო კამპანიისა და ირანის სპარსეთის ყურეში ჩატარებული სუბვერსიული ქმედებების შესწავლა ამ ორი რევიზიონისტი აქტორის სტრატეგიულ მიდგომებს შორის მნიშვნელოვანი მსგავსებებისა თუ სხვაობების გაანალიზების საშუალებას გვაძლევს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ რა გავლენას ახდენს რევიზიონისტული განწყობები რუსეთისა და ირანის მიერ „ჰიბრიდული ომისა" თუ „რუხი არეალის" სტრატეგიების ფორმირებაზე. სტრატეგიული მიდგომების, რომლებიც რევიზიონისტ აქტორებს მათზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვებაში ეხმარება. წინამდებარე კვლევაში რუსეთისა და ირანის მიერ წარმოებული კამპანიების განხილვისას, განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება კონფლიქტის იმ მონაკვეთებზე, რომლის დროსაც მოსკოვისა თუ თეირანის სტრატეგიული მიდგომების ფორმირება ხდება, რაც ამ მაგალითების „წარმატების თეორიის" კონტექსტში განხილვის შესაძლებლობას გვაძლევს. ირანისა და რუსეთის მაგალითები ასევე გვეხმარება მკაფიოდ გავმიჯნოთ „ჰიბრიდული ომისა" და „რუხი არეალის" ცნებები, მათ შორის არსებული მნიშვნელოვანი მსგავსებების მიუხედავად, რაც ხშირად ამ სტრატეგიულ მიდგომებს შორის არსებულ განსხვავებებს ბუნდოვანს ხდის. ამასთანავე, უკენასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენების ანალიზი, რომლებმაც შუა აღმოსავლეთში ირანისა და რუსეთის გეოპოლიტიკური პოზიცების მნიშვნელოვანი შერყევა გამოიწვია, საშუალებას გვაძლევს „ჰიბრიდული ომისა" და „რუხი არეალის" სტრატეგიების შეზღუდვებსა თუ სისუსტეებზე წარვმართოთ დისკუსია, რაც ამ ცნებების განსხვავებული ასპექტების გაანალიზებაში გვეხმარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე თავის განხილვას დავიწყებ იმით, თუ რა გავლენას ახდენს რევიზიონისტული განწყობები ასიმეტრიული მიდგომების ფორმირებაზე. ამის შემდეგ დისკუსიას გავაგრძელებ რუსეთისა და ირანის სტრატეგიულ მიდგომებს შორის არსებული განსხვავებებისა თუ

მსგავსებების გაანალიზებით და დასასრულს, დეტალურად ვისაუბრებ იმ ლიმიტაციებზე, რომლებიც „ჰიბრიდული ომისა“ თუ „რუხი არეალის“ სტრატეგიებს გააჩნიათ. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია გავცდე ჩემ საკვლევ პერიოდს და დეტალურად მიმოვიხილო უკანასკნელი მოვლენები - სირიისა და ირან-ისრაელის კონფლიქტები - რომლებმაც მოსკოვისა და თეირანის გავლენები რეგიონში მნიშვნელოვნად შეასუსტა.

## *6.1 რევიზიონისტული განწყობების გავლენა „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ სტრატეგიების ფორმირებაზე*

რუსეთისა და ირანის სტრატეგიულ მიდგომებს ერთი საერთო მახასიათებელი აქვს. ორივე აქტორი საერთაშორისო სისტემაში დამკვიდრებული სტატუს კვოს შეცვლასა და აშშ-ისა და მისი მოკავშირეების პოზიციების თანმიმდევრულ შესუსტებას ცდილობს. საერთაშორისო სისტემაში დამკვიდრებული სტატუს კვოს შეცვლა, სისტემის დომინანტ აქტორთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაპირისპირებას გულისხმობს. შესაბამისად, როგორც რუსეთს, ასევე ირანს მათზე სამხედრო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირება უწევთ. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, მოსკოვისა და თეირანისთვის „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ სტრატეგიები, მათზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების მნიშვნელოვან ინსტრუმენტსა და რევიზიონისტული მიზნების მიღწევის მთავარ საშუალებას წარმოადგენს. შესაბამისად, კვლევის პერიოდში შესწავლილი ორი მაგალითი - ირანის სუბვერსიული ქმედებები სპარსეთის ყურეში და რუსეთის ჩართვა სირიის კონფლიქტში - რევიზიონისტულ განწყობებსა და ასიმეტრიულ მიდგომებს შორის კავშირს კიდევ უფრო ცხადს ხდის. კერძოდ, ორივე მაგალითი ნათლად აჩვენებს. თუ რა როლს თამაშობს რევიზიონისტული განწყობები ასიმეტრიული სტრატეგიული მიდგომების ფორმირებაზე.

ამ თვალსაზრისით, ირანის სუბვერსიული ქმედებების შესწავლის პროცესში რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოვლინდა, რაც ამ კავშირს ცხადყოფს. უპირველეს ყოვლისა, ირანის უზენაესი ლიდერის პოლიტიკური დისკურსი სწორედ რევიზიონისტული იდეოლოგიის მუდმივი კულტივირებით არის გამსჭვალული. ამ მხრივ, ხამენეის საჯარო გამოსვლების ანალიზი ადასტურებს, როგორ ცდილობს ის, დაყოს სამყარო ორ პოლუსად - „ჩვენ" და „ისინი" - და ირანის წინაშე მდგარი გამოწვევების გამკლავება წარმოაჩინოს, როგორც „ჯიჰადის" წმინდა მოვალეობა - ებრძოლო ამ პრობლემების გამომწვევ მთავარ ძალას - „დასავლეთის კორუმპირებულ ელიტებს"[357]. გარკვეულწილად ხამენეი წინააღმდეგობის ცნების საკრალიზაციას ახდენს, რაც მის დისკურსში რევიზიონიზმის იდეას განსაკუთრებულ დატვირთვას სძენს. კერძოდ, ის მუდმივად წარმოაჩენს წინააღმდეგობას, როგორც ირანელი ხალხის საერთო ნებას, დაუპირისპირდეს დასავლეთს. შესაბამისად, დასავლეთის „დომინაციის" წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტალიზაციით, ხამენეი რეგიონში ირანის ისლამური იდეალებისა და ღირებულებების დამცველ სახელმწიფოდ წარმოჩენას ლამობს. ირანისთვის ამ „წინააღმდეგობის ღერძის" ფუნქციის საკუთარ თავზე აღება, „რუხი არეალის" სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტია. რამეთუ ეს რეგიონში სხვადასხვა ჯგუფების ანტიდასავლური იდეის გარშემო მობილიზებასა და მათთვის საერთო იდეოლოგიური ჩარჩოს შექმნას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ამ ჯგუფების მობილიზება კი, ირანის „რუხი არეალის" სტრატეგიის ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის - „მოწინავე თავდაცვისა" და „წინააღმდეგობის ღერძის" - ფორმირების საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, რევიზიონისტული განწყობებით გამსჭვალული პოლიტიკური დისკურსი, ირანის „რუხი არეალის" სტრატეგიის ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც რევიზიონისტულ განწყობებსა და „რუხი არეალის" სტრატეგიას შორის კავშირს ცხადყოფს, ირანის მიერ რეგიონში განხორციელებული სუბვერსიული ქმედებებია. ამ თვალსაზრისით, კვლევის შედეგად ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია იკვეთება. კერძოდ, მიუხედავად

[357] Bazoobandi, "Populism, Jihad, and Economic Resistance," 336.

იმისა, თუ რა იყო ირანის სუბვერსიული ქმედებების სამიზნე - რეგიონული ქვეყნების კრიტიკული ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკული ობიექტები თუ სატრანსპორტო საშუალებები, მათზე თავდასხმის მთავარ მიზანი აშშ-ის პოზიციების შესუსტება იყო. რამეთუ, სუბვერსიული ქმედებების გამსაზღვრელ ფაქტორს, უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული გარემოს ღია კონვენციურ კონფლიქტში ჩართვის გარეშე შეცვლა წარმოადგენდა. თეირანის პერსპექტივიდან კი სტრატეგიული გარემოს ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, რეგიონში აშშ-ის შეკავების მექანიზმების დასუსტებაში გამოიხატებოდა. შესაბამისად, იქნებოდა ეს კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე თუ ენერგეტიკულ ობიექტებზე თავდასხმა, ანდა სატრანსპორტო კომუნიკაციების მიზანმიმართული საბოტაჟი, ამის მთავარ სამიზნეს სწორედ აშშ-ის შეკავების მექანიზმის დისკრედიტაცია წარმოადგენდა. მაგალითისთვის, ირანის მიერ 2019 წლის 14 სექტემბერს საუდის არაბეთში „არამკოს“ ორ უმსხვილეს ნავთობმომპოვებელ პლატფორმაზე მიტანილმა თავდასხმამ, ერთი შეხედვით, თეირანის რეგიონული მოწინააღმდეგის ეკონომიკურ ინტერესებს უმძიმესი დარტყმა მიაყენა, თუმცა ამ შეტევის უმთავრეს სამიზნეს აშშ-ის შეკავების მექანიზმის დისკრედიტაცია წარმოადგენდა[358]. იმავე სახის ლოგიკას ვაკვირდებით ირანის მიერ განხორციელებულ სხვა სუბვერსიულ ქმედებებშიც, რაც სამიზნე ობიექტის მიუხედავად, ფართო კონტექსტში, აშშ-ის ინტერესების თანმიმდევრულ შესუსტებას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, კვლევის პერიოდში შესწავლილ ირანის სუბვერსიულ ქმედებებში, თეირანის რევიზიონისტულ განწყობებსა და მისი „რუხი არეალის“ სტრატეგიის ფრაგლებში წარმოებულ ქმედებებს შორის ღია კავშირი იკვეთება.

ირანის მსგავსად, რევიზიონისტული განწყობები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსეთის ასიმეტრიული სტრატეგიის ფორმირების პროცესშიც. რუსეთთან მიმართებაში ეს კავშირი ნათლად გამოიკვეთა მისი სირიაში ჩატარებული კამპანიის დროს, რომელიც ჩემი კვლევის საგანს წარმოადგენდა. ამ მხრივ, საყურადღებოა რამდენიმე ტენდენცია, რაც ამ კავშირს ცხადს ხდის.

[358] ინტერვიუ N-2, აბუ დაბი, 2024 წლის 14 თებერვალი; ინტერვიუ N-7, თბილისი, 2024 წლის 3 სექტემბერი; ინტერვიუ N-9, აბუ დაბი, 2024 წლის 11 თებერვალი;

უპირველეს ყოვლისა, ხამენეის მსგავსად, პრეზიდენტ პუტინის პოლიტიკური დისკურსი რევიზიონისტული იდეოლოგიის მუდმივი კულტივირებით არის გამსჭვალული. მისი პოლიტიკური დისკურსის ცენტრალურ თემას დასავლეთის დემონიზებისა და დისკრედიტაციის მცდელობა წარმოადგენდა. ამ მხრივ საინტერესოა დავაკვირდეთ, რომ სირიის კამპანიასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი, იქნებოდა ეს ანტიტერორისტული თემა თუ კონფლიქტში ჩართვის სამართლებრივი ასპექტები, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთის დემონიზაციის მიზნებს ემსახურებოდა. გარკვეულწილად პრეზიდენტი პუტინი ანტიდასავლურ რიტორიკას კონფლიქტის ყველა ასპექტს უკავშირებს, რაც მის დისკურსში რევიზიონიზმის იდეას განსაკუთრებულ დატვირთვას სძენს. მაგალითისთვის, საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეებზე საუბრისას პრეზიდენტი პუტინი ამ გამოწვევის წარმოქმნას დასავლეთს უკავშირებს. ის ამ პერიოდში ღიად მიანიშნებდა, რომ დასავლეთი საერთაშორისო ტერორისტულ ჯგუფებს მისთვის არასასურველი რეჟიმების შესაცვლელად იყენებდა[359]. კერძოდ, ის ალ-კაიდას დასავლეთის პროექტად მოიხსენიებდა, რომელიც სირიაში მისი მიზნების რეალიზაციას ემსახურებოდა[360]. ხოლო 2015 წლის 28 სექტემბერს გაეროს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ თავდაპირველად შეიქმნა როგორც არასასურველი სეკულარული რეჟიმების წინააღმდეგ მოქმედი იარაღი.“[361] საინტერესოა ისიც, თუ როგორ იყენებდა პრეზიდენტი პუტინი სირიის კონფლიქტში ჩართვის სამართლებრივ თემას დასავლეთის დისკრედიტირებისათვის. ამ მხრივ, მისი პოლიტიკური დისკურსის ეს ასპექტი არა მხოლოდ რუსეთის სამმართლებრივი არგუმენტების ასახსნელად, არამედ უმთავრესად დასავლეთზე თავდასხმის მიზნით გამოიყენებოდა. სახელდობრ, მისი რიტორიკა ძირითადად ფოკუსირებული იყო იმაზე, თუ როგორ არღვევდა დასავლეთი საერთაშორისო სამართალს, რამეთუ მათი ძალები იქ

---

[359] Президент России, «Заседание международного дискуссионного клуба „Валдай“».
[360] Президент России, «Интервью телеканалу *Russia Today*».
[361] Президент России, «70-я сессия Генеральной Ассамблеи ООН».

გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს რეზოლუციისა და მასპინძელი ქვეყნის ლეგიტიმური მთავრობის მოწვევის გარეშე იმყოფებოდნენ[362]. პრეზიდენტ პუტინის პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელოვან ასპექტს ზოგადად დასავლეთის, როგორც ქაოსის შემქნელი ძალის წარმოჩენა წარმოადგენდა. ამ მხრივ, ის „არაბული გაზაფხულის" შედეგად რეგიონში წარმოქმნილი ანტიდასავლური სენტიმენტებით მანიპულირებას ცდილობდა, რათა დასავლეთი რეგიონის დესტაბილიზაციის მთავარ ფაქტორად წარმოეჩინა. ზოგადად, დასავლეთის დემონიზება რუსეთის „ჰიბრიდული ომის" მნიშვნელოვანი კომპონენტია. შესაბამისად, პრეზიდენტ პუტინის პოლიტიკური დისკურსი სწორედ რევიზიონისტული განწყობებითაა გამსჭვალული, რაც რუსეთის „ჰიბრიდული ომის" უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ „ჰიბრიდული ომის" რუსულ მოდელში საინფორმაციო ინსტრუმენტს ცენტრალური დატვირთვა ენიჭება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც რუსეთის რევიზიონისტულ განწყობებსა და „ჰიბრიდული ომის" სტრატეგიას შორის კავშირს ცხადყოფს, მოსკოვის მიერ სირიის კონფლიქტში აპრობირებული მოქმედების მეთოდია. რუსეთის ამ კონფლიქტში ჩართვის ფაქტორების შესწავლამ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია წარმოაჩინა - განსხვავება სამხედრო ოპერაციის დაწყების გაცხადებულ და რეალურ მიზეზებს შორის. ზოგადად, „ჰიბრიდული ომის" კამპანიებს სტრატეგიული ბუნდოვანების შექმნის ტენდენცია ახასიათებს, რაც არც რუსეთის შემთხვევაში იყო გამონაკლისი. პრეზიდენტი პუტინი, სირიის ოპერაციაში ჩართვის უმთავრეს მიზეზად საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და სირიის ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერას ასახელებდა. მეტიც, კონფლიქტში ჩართვამდე რამდენიმე დღით ადრე გაეროს გენერალურ ასემბლეაზე გამოსვლისას ის აშშ-ის ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ საბრძოლველად ერთობლივი კოალიციის ფორმირებისკენ მოუწოდებდა[363]. თუმცა არა ერთი მნიშვნელოვანი კვლევის თანახმად, რუსეთის

[362]Президент России, «Интервью Владимиру Соловьёву»; «Совещание с членами Правительства».
[363] Президент России, «70-я сессия Генеральной Ассамблеи ООН».

უმთავრეს სამიზნეს სირიის ფრონტზე არა ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ შენაერთები, არამედ აშშ-ის მოკავშირე და ბაშარ ალ-ასადის მოწინააღმდეგე ოპოზიციური ძალები წარმოადგენდნენ. მაგალითისთვის, რუსეთის საჰაერო დაბომბვების 90 პროცენტი ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლს მიღმა მყოფ სირიის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში განხორციელდა, სადაც, ძირითადად, ბაშარ ალ-ასადის მოწინააღმდეგე და აშშ-თან აფილირებული ჯგუფები იყვნენ განთავსებული[364]. ამ მოცემულობას ადასტურებს, ჩემს მიერ ადრე მაგალითად მოყვანილი „ლევანთაინ ჯგუფის“ კვლევაც. ხსენებული კვლევის თანახმად, რუსეთის მიერ განხორციელებული საჰაერო დარტყმების მთავარი სამიზნე სამხედრო ოპერაციის დაწყების პირველივე დღეებიდან არა ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული დაჯგუფება, არამედ სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადისადმი ოპოზიციურად განწყობილი ძალები იყვნენ[365]. ამასთანავე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მოსკოვმა შეძლო აშშ-სთან იმგვარი კოორდინაციის მექანიზმის შექმნა, რომელიც მას „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის საფარქვეშ, ბაშარ ალ-ასადის ოპოზიციური ჯგუფების თანმიმდევრულ შესუსტებას უწყობდა ხელს. შესაბამისად, სირიაში რუსეთის მიერ ჩამოყალიბებული ოპერირების ეს მოდალობა კარგად ასახავს, თუ როგორ იყენებს მოსკოვი „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიას მისი რევიზიონისტული მიზნების მისაღწევად, რასაც ის ხშირ შემთხვევაში სტრატეგიული თუ ოპერატიული ბუნდოვანების შექმნის მეშვეობით ცდილობს.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ ირანისა და რუსეთის მიდგომებში მკაფიოდ იკვეთება თუ როგორ იყენებენ ისინი „ჰიბრიდული ომისა“ თუ „რუხი არეალის“ სტრატეგიებს რევიზიონისტრული მიზნების მისაღწევად. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის მოცემულობა, რომ რევიზიონისტული ზრახვები მკაფიოდ ჩანს მაშინაც კი როდესაც თეირანი და მოსკოვი მკვეთრად განსხვავებული მიზნების დეკლარაციას ახდენენ. თუმცა „რუხი არეალისა“ და „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიები მათ რევიზიონისტული მიზნების შენიღბულად განხორციელების საშუალებას აძლევენ. მეტიც,

[364] Celso, “Superpower Hybrid Warfare in Syria.”
[365] Beauchamp, “Russia Says It’s Bombing ISIS in Syria.”

მოქმედების ეს მოდალობა მათ სტრატეგიული თუ ოპერატიული ბუნდოვანების შექმნაში ეხმარება, რაც საერთაშორისო სისტემის დომინანტ აქტორთან დაპირისპირებისა და რიგ შემთხვევაში, მასზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების წინაპირობას წარმოადგენს.

## *6.2 რუსეთის „ჰიბრიდული ომისა“ და ირანის „რუხი არეალის“ სტრატეგიების შედარებითი ანალიზი*

რუსეთისა და ირანის სტრატეგიულ მიდგომებს შორის, რომელიც მოწინააღმდეგეებზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების იდეას ეფუძნება, მნიშვნელოვან მსგავსებებთან ერთად საყურადღებო განსხვავებებიც იკვეთება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისა და ირანის მოქმედებების მოდალობებსა თუ მათ ხელთ არსებულ ასიმეტრიულ ინსტრუმენტებს შორის მკაფიო განსხვავებები ფიქსირდება, რასაც მოგვიანებით განვიხილავ, მათ სტრატეგიულ მიდგომებს მნიშვნელოვანი მსგავსება ახასიათებს. კერძოდ, როგორც რუსეთს, ასევე ირანს მკაფიოდ ჩამოყალიბებული „წარმატების თეორია“ აქვთ, რომელიც მოწინააღმდეგეების მიმართ ასიმეტრიული უპირატესობის „ჰიბრიდული ომისა“ თუ „რუხი არეალის კონფლიქტების“ საშუალებით მოპოვების იდეას ეფუძნება. სწორედ, „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ სტრატეგიებმა განაპირობა, ჩატარებული კვლევის მონაკვეთში, რუსეთისა და ირანის მიერ შუა აღმოსავლეთის რეგიონში გავლენების გაფართოება.

რუსეთისა და ირანის „წარმატების თეორიის“ არსი, როგორც უკვე აღვნიშნე, მოწინააღმდეგეებზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების მკაფიოდ განსაზღვრულ მიდგომაში მდგომარეობს. თუმცა, რა საშუალებით ახერხებს მოსკოვი და თეირანი ამ უპირატესობის მოპოვებას, მნიშვნელოვნად განსხვავდება. სახელდობრ, რუსეთის „წარმატების თეორია“ მნიშვნელოვანწილად სამხედრო და არასამხედრო საშუალებების ეფექტურ სინქრონიზაციას ითვალისწინებს, რის გამოც მოსკოვის ქმედებები „ჰიბრიდული ომების“ ცნებას მიესადაგება, რამეთუ ის კონვენციური სამხედრო ძალის გამოყენებას არ

გამორიცხავს. ირანის „წარმატების თეორია“ კი რისკებისა და ესკალაციის ეფექტურ მინიმიზაციაშია გამოხატული, რაც თეირანს კონვენციური კონფლიქტის ზღვარს ქვემოთ, „რუხ არეალში“ მოქმედებისკენ უბიძგებს. რუსეთისა და ირანის „წარმატების თეორიებს“ შორის არსებული ეს სხვაობა მნიშვნელოვანწილად მათ სამხედრო შესაძლებლობებს, საბრძოლო მოქმედებების წარმოების ტრადიციებსა და სტრატეგიულ კულტურებს შორის არსებული განსხვავებებით არის განპირობებული.

მაგალითისთვის, სირიაში რუსეთის კამპანიის კვლევამ, მოსკოვის მიერ ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიდგომის ოთხი ძირითადი მდგენელი გამოკვეთა: ა) საინფორმაციო სივრცეში დომინანტი პოზიციების ჩამოყალიბებით მოწინააღმდეგისთვის საპასუხო ქმდებების არეალის შეზღუდვა; ბ) კონვენციური და არაკონვენციური ინსტრუმენტების ეფექტური ინტეგრირებით რისკებისა და დანახარჯების მინიმიზაცია; გ) სადამსჯელო ოპერაციებით მოსახლეობის ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფების წინააღმდეგობის გატეხა; დ) დიპლომატიური ინსტრუმენტის არა კონფლიქტის გადაჭრის, არამედ ბრძოლის ველზე მიღწეული წარმატების გასამყარებლად გამოყენება. ირანის მიერ სპარსეთის ყურეში განხორციელებული სუბვერსიული ქმედებებით ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების სტრატეგია კი გარკვეულწილად განსხვავებულ მიდგომებს ემყარება. კერძოდ, მას სამ ძირითადი მდგენელი გააჩნია: ა) მოწინააღმდეგეების სისუტეების ექსპლოტაცია მათი ძლიერი მხარეების განეიტრალების გზით; ბ) მცირედი დანახარჯებით მაქსიმალური სარგებლის მიღება; გ) და კონფლიქტის მიმდინარეობისას მორალური თუ ფსიქოლოგიური უპირატესობის მოპოვება[366]. რუსეთისა და ირანის სტრატეგიულ მიდგომებს შორის გამოკვეთილი ეს განსხვავებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მათ „წარმატების თეორიებს“ შორის არსებული ფუნდამენტური მსგავსების მიუხედავად, ამ აქტორების მოქმედებების მოდალობები ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება. განსხვავებული მოქმედებების მოდალობები კი,

[366] Eisenstadt, “Operating in the ‘Grey Zone’,” 7.

ორივე აქტორს, განსხვავებული ასიმეტრიული ინსტრუმენტების გამოყენებისკენ უბიძგებს, რასაც კვლევის პერიოდში ჩატარებული ანალიზიც ცხადყოფს.

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ მოქმედების მოდალობა, ირანის სტრატეგიული მიდგომისგან ორი მნიშვნელოვანი ასპექტით განსხვავდება. პირველი, კონვენციური სამხედრო კომპონენტის „ჰიბრიდულ ომში“ ღიად გამოყენებას უკავშირდება. ხოლო, მეორე „ჰიბრიდულ ომში“ ინფორმაციული ინსტრუმენტისთვის ცენტრალური როლის მინიჭებას ეხება. ეს სხვაობა ნათლად გამოჩნდა რუსეთის მიერ სირიაში ჩატარებული კამპანიის დროსაც. კერძოდ, ამ კონფლიქტში წამყვან როლს რუსეთის შეიარაღებული ძალები თამაშობდა. თუმცა, „ჰიბრიდული ომის“ კამპანიაში მოსკოვი შეიარაღებულ ძალებს ფრთხილად იყენებდა, და ძირითადად, საჰაერო კომპონენტისა და სპეციალური დანიშნულების ძალების ჩართვით იფარგლებოდა, რათა ავღანეთის ოპერაციის მსგავსად, კონფლიქტში ხანგრძლივ ჩართვისა და დიდი მსხვერპლისათვის თავი აერიდებინა. შეიარაღებულ ძალებს ამ მხრივ ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა: 1) ძალის დემონსტრირება და 2) კონფლიქტის არეალში არაკონვენციური ინსტრუმენტების - კერძო სამხედრო კომპანიების (PMC) და შიიტური „პროქსი ჯგუფების“ - ქმედებების კოორდინაცია და სინქრონიზაცია. შეიარაღებული ძალების პარალელურად, რუსეთის მიერ სირიაში წარმოებულ „ჰიბრიდულ ოპერაციებში“ წამყვანი როლი ინფორმაციული ინსტრუმენტებით ზემოქმედებას ენიჭებოდა. მოსკოვმა ამ კონფლიქტის ირგვლივ ისეთი ნარატივი შექმნა, რაც მას შემცირებული რისკებითა თუ ნაკლები პოლიტიკური დანაკარგებით სამხედრო კამპანიის ჩატარების შესაძლებლობას მისცემდა. კერძოდ, რუსულ ნარატივში სამხედრო კომპონენტის გამოყენების აუცილებლობა ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის იდეას ეფუძნებოდა, რაც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ამ მიდგომის კრიტიკას ან მასთან დაპირისპირებას მნიშვნელოვნად ართულებდა[367]. შესაბამისად, ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურების იდეის წინა პლანზე

---

[367] Kofman, “The Misadventures of Russia and the United States in Syria.”

წამოწევით, მოსკოვი სამხედრო კამპანიის ჩატარების ხელშემწყობ პირობებს წარმატებით ქმნიდა.

სირიაში რუსეთის მიერ გამოყენებული „ჰიბრიდული ომის“ მოდელი ასიმეტრიული ინსტრუმენტების ფორმირებაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ამ მხრივ საინტერესოა დავაკვირდეთ, როგორ ქმნის რუსეთი კოორდინაციის ახალ მექანიზმს თავდაცვის სამინისტროს ბაზაზე - ეროვნული თავდაცვის კონტროლის ცენტრს (NDCC)[368] - და როგორ იწყებს კერძო სამხედრო კომპანიების (PMC) ფორმირებას; ინსტრუმენტებს, რომლებიც სირიის კონფლიქტში ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. ასევე საყურადღებოა რუსეთის მიერ საინფორმაციო ინსტრუმენტების შექმნის პროცესიც. კერძოდ, შუა აღმოსავლეთში რუსეთის გავლენების ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას სწორედ ეს საინფორმაციო ინსტრუმენტები ქმნიდნენ. რუსეთის ორი მნიშვნელოვანი პროპაგანდისტული ინსტრუმენტის „ართი არაბიქისა“ და „სპუტნიკ არაბიქის“ მაუწყებლობების პოპულარობა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა და საკუთარი გავლენითა თუ მოსახლეობაზე წვდომით შუა აღმოსავლეთის რეგიონში მრავალი საერთაშორისო მაუწყებლობის რეიტინგებს გადაასწრო[369]. სწორედ ამ პროპაგანდისტული ინსტრუმენტების გავლენის ზრდამ გახადა შესაძლებელი მისი ნარატივის დამკვიდრება რეგიონში. ნარატივის, რომლის საფარქვეშაც რუსეთმა სამხედრო ინსტრუმენტის შემცირებული რისკებით გამოყენება შეძლო.

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ მოდელისგან განსხვავებით, ირანის მოქმედების მოდალობა მნიშვნელოვანწილად რისკების შემცირებისა და ესკალაციის კონტროლის პრინციპს ეფუძნება. თეირანის მიერ „რუხ არეალში“ წარმოებული სუბვერსიული ქმედებები დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობს და გამორიცხავს იმგვარ გადამწყვეტ ქმედებას, რომელმაც შესაძლოა კონვენციური კონფლიქტის რისკები გაზარდოს. შესაბამისად, რუსეთისაგან განსხვავებით, ირანის მოქმედების მოდალობა კონვენციური შეიარაღებული ძალების ღიად გამოყენებას გამორიცხავს. თეირანი კონვენციური კონფლიქტის ზღვარს ქვემოთ

---

[368] Тихонов, «Армия — гордость России».

[369] Falk, “The Ukraine War and Russian Disinformation Campaign in the Middle East.”

მოქმედებს და კონფლიქტის დაბალი ინტენსიობით წარმართვის დროსაც არაპირდაპირ მიდგომას ანიჭებს უპირატესობას, რათა სტრატეგიული ბუნდოვანების შექმნით მოწინააღმდეგესთან პირდაპირ კონფლიქტში ჩართვის რისკები შეამციროს. მაგალითისთვის, კვლევის პერიოდში ნათლად გამოიკვეთა, რომ რეგიონში კრიტიკული ინფრასტრუქტურისა, თუ აშშ-ის სამხედრო ბაზებისა და დიპლომატიური მისიების წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმების მასშტაბი და ინტენსივობა თეირანს ისე ჰქონდა ორგანიზებული, რომ არც ერთ მათგანს იზოლირებულად კონვენციური კონფლიქტის დაწყება არ გამოეწვია. თუმცა ამ ქმედებების ერთობლიობა ირანის მოწინააღმდეგეების პოზიციების, მათ შორის აშშ-ის შეკავების მექანიზმის, თანიმდევრულ შესუსტებას იწვევდა. ასევე საყურადღებოა ისიც, რომ სუბვერსიული ქმედებების უმეტეს ნაწილში ირანი პირდაპირ არ მონაწილეობდა და თავდასხმებისა თუ დივერსიული აქტების მნიშვნელოვან ნაწილს „გასამხედროებული პროქსი" ჯგუფების მეშვეობით ახორციელებდა. შესაბამისად, რუსეთი „ჰიბრიდული ომის" მოდელისგან განსხვავებით, ირანის სტრატეგიული მიდგომა რისკების მინიმიზაციასა და კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილებაზეა ორიენტირებული, რის გამოც თეირანი უპირატესობას კონვენციური კონფლიქტის ზღვარს ქვემოთ, „რუხ არეალში" მოქმედებას ანიჭებს.

ირანის "„რუხ არეალში" მოქმედების მოდალობა ასიმეტრიული ინსტრუმენტების ფორმირებასა თუ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ამ თვალსაზრისით, ირანის მიერ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში დამკვიდრებული მართვის მოდელი, რუსეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ირანში ისლამური რევოლუციის შედეგად შექმნილი ეს მოდელი, რომელიც პარალელური შეიარაღებული ძალების ფორმირებასა და მათი როლის დუბლირებას ითვალისწინებს, შეიარაღებული ძალების ტრადიციული მოდელებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მიმდინარე კვლევა „რუხ არეალში" მიმდინარე ოპერაციების ანალიზისას ყურადღებას ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის (IRGC) როლსა და აქტივობებზე ამახვილებდა, თუმცა ირანის კონვენციური შეიარაღებული ძალების - „ართეშის" - ქმედებებს

ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ირანში მოქმედი სისტემის თანახმად, სადაც ორი პარალელური შეიარაღებული ძალაა შემნილი, გუშაგთა კორპუსს წამყვანი როლი ეკისრება. გუშაგთა კორპუსში, რომლის უმთავრესი მისიაა - რევოლუციური რეჟიმის დაცვა ქვეყნის შიგნით და რევოლუციური იდეების ექსპორტი მის საზღვრებს მიღმა[370] - ასიმეტრიული ინსტრუმენტების სრული სპექტრია თავმოყრილი. ასევე, სწორედ გუშაგთა კორპუსის „ყუდსის“ დანაყოფი მართავს, ირანის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს - „შიიტურ ლეგიონს“, ანუ გასამხედროებულ „პროქსი“ ჯგუფებს, რომლებიც რეგიონში არაკონვენციური ოპერაციების პლაცდარმს ქმნიან. უკანასკნელ წლებში „ყუდსის“ დანაყოფის როლი გუშაგთა კორპუსში მნიშვნელოვნად გაიზარდა; ის შედარებით მცირე დანაყოფიდან გუშაგთა კორპუსის ყველაზე გავლენიან ძალად ჩამოყალიბდა, რომელიც არა მხოლოდ „პროქსი ჯგუფებს“, არამედ ირანის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს აკონტროლებდა[371]. „ყუდსის“ დანაყოფის გავლენის ზრდა ნათლად მიუთებს, თუ რამდენად ცენტრალურ როლს თამაშობს „პროქსი ჯგუფებზე“ კონტროლის მექანიზმი ირანის სტრატეგიული მიმართულებების ფორმირების პროცესზე. შესაბამისად, ირანის „რუხ არეალში“ მოქმედების მთავარი ინსტრუმენტი სწორედ გუშაგთა კორპუსია, რომელიც „ყუდსისა“ თუ „ბასიჯების“ დანაყოფებთან ერთად რეჟიმის მთავარ საყრდენსა და არაკონვენციური ოპერაციების მმართვის ცენტრს წარმოადგენს. უსაფრთხოების სისტემის მოწყობის მხოლოდ ირანისთვის დამახასიათებელი ეს მოდელი კონვენციური შეიარაღებული ძალების მნიშვნელობასა და როლს მნიშვნელოვანწილად ამცირებს და „რუხ არეალში“ მოქმედების სისტემატიზაციას უწყობს ხელს. მართვის ეს მოდელი, რომელშიც ირანის კონვენციური ძალების გუშაგთა კორპუსისგან მკაფიო გამიჯვნა ხდება, თეირანისთვის „რუხ არეალში“ სისტემური მოქმედების ხელისშემწყობ პირობებს ქმნის. მოდელს, რომელიც რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ მიდგომისაგან, სადაც

[370] Drohan and Kasapoglu, “Overmatch.”
[371] Vali Nasr, “Iran’s Roads Not Taken,” *Foreign Affairs*, September/October 2025, https://www.foreignaffairs.com/iran/irans-roads-not-taken-nasr, accessed September 3, 2025.

კონვენციურ შეიარაღებულ ძალებს წამყვანი როლი ეკისრება, მკაფიოდ განსხვავდება.

ფართო ჭრილში, რუსეთისა და ირანის სტრატეგიულ მიდგომებს მნიშვნელოვანი მსგავსება ახასიათებს: ორივე რევიზიონისტ აქტორს მკაფიოდ ჩამოყალიბებული „წარმატების თეორია“ აქვთ, რომელიც მოწინააღმდეგეების მიმართ ასიმეტრიული უპირატესობის „ჰიბრიდული ომისა“ თუ „რუხი არეალის კონფლიქტების“ საშუალებით მოპოვების იდეას ეფუძნება. თუმცა მოწინააღმდეგეზე ასიმეტრიული უპირატესობის მოპოვების მოდალობები, ისევე როგორც ინსტრუმენტები, ერთმანეთისგან მკაფიოდ განსხვავდება.

### *6.3 „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ სტრატეგიების ლიმიტაციები*

კვლევის პერიოდში მნიშვნელოვანი მსგავსება გამოიკვეთა რუსეთისა და ირანის სტრატეგიული მიდგომების ლიმიტაციებისა თუ შეზღუდვების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვისა და თეირანის მიერ განხორციელებულმა „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ სტრატეგიებმა ორივე რევიზიონისტ აქტორს შუა აღმოსავლეთში გავლენების უპრეცედენტო გაფართოების შესაძლებლობა მისცა, ვერც ერთმა გეოპოლიტიკური პოზიციების შენარჩუნება ვერ შეძლო. უკანასკნელ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა - სირიაში ბაშარ ალ ასადის რეჟიმის მოულოდნელმა ჩამოშლამ და ირან-ისრაელის „თორმეტ დღიანმა ომმა“ - როგორც მოსკოვის, ასევე თეირანის პოზიციები რეგიონში მნიშვნელოვნად შეარყია. რუსეთისა და ირანის გეოპოლიტიკური გავლენების შესუსტება ჩემს საკვლევ პერიოდს დროში სცდება. თუმცა, ამ მოვლენათა მოკლე ანალიზი, „ჰიბრიდული ომისა“ და „რუხი არეალის“ სტრატეგიების ლიმიტაციებისა და შეზღუდვების ნათლად წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა. ამასთანავე, უკანასკნელი მოვლენების ფონზე გამოკვეთილი ასიმეტრიული სტრატეგიების ლიმიტაციები მომავალი კვლევებისთვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის. აღნიშნულიდან გამოდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალე, რომ

კვლევის ეს მონაკვეთი სწორედ იმ მოვლენების ანალიზს დავუთმო, რომლებმაც ირანისა და რუსეთის გეოპოლიტიკური პოზიციების შესუსტება გამოიწვია.

შუა აღმოსავლეთში ირანის გეოპოლიტიკური გავლენების ზრდისა და შესუსტების დინამიკა განსაკუთრებით საყურადღებოა თეირანის „რუხი არეალის" სტრატეგიის ლიმიტაციების გასაანალიზებლად. 2023 წელს, ირანი რეგიონში მისი სიძლიერის პიკს აღწევს[372]. თეირანმა შეძლო კონტროლის დამყარება ოთხ არაბულ დედაქალაქზე - დამასკოზე, ბაღდადზე, ბეირუთსა და სანაზე [373] - რამაც რეგიონში ძალთა ბალანსი ირანის სასარგებლოდ გადახარა. ირანის გასამხედროებული „პროქსი ჯგუფების" გავლენების ზრდის ტემპი, ისევე როგორც ბალისტიკური შეიარაღებისა და დრონების არსენალის სიძლიერე, თეირანის შეკავების პოლიტიკას მყარი საფუძველი შეუქმნა. მეორეს მხრივ კი, ირანის მიერ 2019-20 წლებში სპარსეთის ყურეში ჩატარებულმა „რუხი არეალის" კამპანიამ მისი მოწინააღმდეგეების, განსაკუთრებით კი აშშ-ის, შეკავების ინსტრუმენტების თანმიმდევრული შესუსტება გამოიწვია, რამაც მისი რეგიონული მოწინააღმდეგეები აიძულა ირანთან ჩართულობისა და გადატვირთვის პოლიტიკა ეწარმოებინა. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი, 2023 წელს ჩინეთის შუამავლობით ირანსა და საუდის არაბეთს შორის მიღწეული შეთანხმება გახდა. თუმცა 2023 წლის 7 ოქტომბერს ჰამასის მიერ ისრაელის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შემდგომ პერიოდში, ირანის მიერ ათწლეულების მანძილზე ნაშენები უსაფრთხოების სისტემისა და შეკავების მექანიზმების უპრეცედენტო ჩამოშლას ვაკვირდებით. ირანი მისი სიძლიერის ზენიტიდან სულ რაღაც ორ წელიწადში ისე დასუსტდა როგორც ის პოსტ-რევოლუციურ ხანაში, კლერიკალური რეჟიმის ფორმირების საწყის ეტაპზე, იყო[374]. მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი თანხმდება, რომ ირანი დღეს ისეთივე სუსტია, როგორც ის ისლამური რევოლუციის პირველ

---

[372]Afshon Ostivar, "How Iran Lost," *Foreign Affairs*, June 18, 2025, https://www.foreignaffairs.com/united-states/how-iran-lost, accessed September 2, 2025.

[373] Tabatabai, *No Conquest, No Defeat*, 291.

[374] Eric Edelman, Suzanne Maloney, and Andrew P. Miller, "How Weak Is Iran," *Foreign Affairs Podcast*, June 26, 2025, https://www.foreignaffairs.com/podcasts/how-weak-iran, accessed September 3, 2025.

თვეებში ერაყთან დაწყებული ომის პერიოდში იყო[375]. ირანის „რუხი არეალის“ სტრატეგიის მთავარი საყრდენი - „წინააღმდეგობის ღერძი“ - ჰამასისისა და ჰეზბოლას უპრეცედენტო დასუსტებითა და ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის ჩამოშლით მნიშვნელოვნად შეირყა. მიუხედავად იმისა, რომ ირანი კვლავ ინარჩუნებს „პროქსი ჯგუფებზე“ გავლენას როგორც იემენში, ასევე ერაყში, ჰეზბოლას დასუსტებამ და სირიაზე კონტროლის დაკარგვამ რეგიონში თეირანის პოზიციები საგრძნობლად შეასუსტა[376]. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი დარტყმა ირანმა ისრაელისა და აშშ-ის მიერ განხორციელებული საჰაერო თავდასხმების დროს მიიღო. ამ თავდასხმებმა არა მხოლოდ ირანის ბირთვულ ინფრასტრუქტურას მიაყენა ზიანი, არამედ  მნიშვნელოვნად შეარყია მითი ირანის შეკავების მექანიზმის უმთავრესი ინტრუმენტის - ბალისტიკური შეიარაღების - სიძლიერის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი კითხვა, რაც თეირანის სტრატეგიული მიდგომების მდგრადობისა თუ სისუსტეების აღქმაში დაგვეხმარება შემდეგია:  რამ გამოიწვია ირანის უსაფრთხოების არქიტექტურის ესე სწრაფად ჩამოშლა? და რა ფაქტორებმა იქონია გავლენა ირანის მიერ ათწლეულების მანძილზე შექმნილი შეკავების მექანიზმების უეცარ შესუსტებაზე?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ თეირანის გავლენების ზრდა რეგიონში ირანის მიერ განხორციელებული „რუხი არეალის“ სტრატეგია იწვევდა. კერძოდ, ირანის „წარმატების“ თეორია მნიშვნელოვანწილად ორ ფაქტორს  - ღია კონვენციურ კონფლიქტში ჩართვის გარეშე მოწინააღმდეგეებზე შედარებითი უპირატესობის მოპოვებასა და კონფლიქტის მიმდინარეობისას ესკალაციის მართვასა თუ რისკების თანმიმდევრულ მინიმიზაციას - უკავშირდებოდა. 2023 წლის 7 ოქტომბერს ჰამასის მიერ ისრაელის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდგომ პერიოდში, თეირანმა ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ამ ორივე მიდგომიდან მკვეთრად გადაუხვია. სახელდობრ, თეირანმა ისრაელის

---

[375] Nasr, “Iran’s Roads Not Taken”; Ostivar, “How Iran Lost”; Maloney, “Iran’s Dangerous Desperation”; Edelman, Maloney, and Miller, “How Weak Is Iran.”

[376] Eric Edelman, Suzanne Maloney, and Andrew P. Miller, “How Weak Is Iran,” *Foreign Affairs Podcast*, June 26, 2025, https://www.foreignaffairs.com/podcasts/how-weak-iran, accessed September 3, 2025.

წინააღმდეგ კონფლიქტის ესკალაციის გზა აირჩია, რასაც 2024 წელს ირანსა და ისრაელს შორის პირდაპირი სამხედრო დაპირისპირება მოჰყვა.

თეირანის რადიკალური ფრთის წარმომადგენლებმა, 2023 წლის 7 ოქტომბრის შემდეგ, ისრაელის წინააღმდეგ ეგრეთ წოდებული „მაქსიმალური აგრესიის" კამპანია წამოიწყეს[377]. კერძოდ, თეირანმა მისი უმსხვილესი „პროქსი ჯგუფის" - ჰეზბოლას - მეშვეობით ისრაელის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნა სცადა. ჰეზბოლას მიერ განხორციელებული სარაკეტო დარტყმების შედეგად ისრაელის ჩრდილოეთში, ლიბანის საზღვართან მდებარე დასახლებული პუნქტებიდან, მოსახლეობის ევაკუაცია გახდა აუცილებელი[378]. პარალელურად, იემენელმა ჰუსიტებმა ჰამასის მიმართ სოლიდარობის ნიშნად უმთავრეს საზღვაო-სატრანსპორტო არტერიებზე თავდასხმების განხორციელება დაიწყეს. რესპოდენტთა ნაწილი, ირანის ამ გადაწყვეტილებას ორ ფაქტორს უკავშირებს: ირანის გავლენების ზრდით გამოწვეული ზედმეტი თვიდაჯერებულობა და 7 ოქტომბრის მოვლენის, განსაკუთრებით კი ისრაელის საზოგადოებაზე მისი გავლენის, არაჯეროვანი შეფასება[379]. მიუხედავად იმისა, თუ რა ფაქტორებმა იქონია გავლენა თეირანის ამ გადაწყვეტილებაზე, „მაქსიმალური აგრესიის" კამპანია მნიშვნელოვნად სცდება ირანის კონფლიქტის წარმოების უმთავრეს პრინციპს - ესკალაციისა და რისკების მინიმიზაციას. ამ პრინციპიდან გადახვევამ კი, თეირანის ღია კონვენციურ კონფლიქტში ჩართვა გარდაუვალი გახადა.

2024 წლის აპრილსა და ოქტომბერში, ირან-ისრაელს შორის პირდაპირი საჰაერო თავდასხმები განხორციელდა. ისრაელთან პირდაპირ კონფლიქტში ჩართვა ირანის მიერ „რუხი არეალის" სტრატეგიიდან გადახვევის პირველი მკაფიო ნიშანი გახდა. თეირანმა, ისრაელზე პირდაპირი საჰაერო იერიშების მიტანით „რუხი არეალის" სტრატეგიის მნიშვნელოვან პრინციპს - „პროქსი ჯგუფების" მეშვეობით კონფლიქტის არაპირდაპირ წარმართვას - ღიად გადაუხვია. თუმცა თეირანის ამ გადაწყვეტილებამ არა ირანის სიძლიერე, არამედ

---

[377] Ostivar, "How Iran Lost."
[378] Ostivar, "How Iran Lost."
[379] ინტერვიუ N-10, ვაშინგტონი, 2025 წლის 8 სექტემბერი; ინტერვიუ N-9, ნიუ იორკი, 2025 წლის 11 სექტემბერი.

მისი სისუსტე გამოამჟღავნა. ირანის მიერ ისრაელის წინააღმდეგ გაშვებული რაკეტების და დრონების 95 პროცენტი ისრაელის და აშშ-ის საჰაერო თავდაცვის სისტემის მეშვეობით გაუვნებელყოფილ იქნა[380]. ირანის საჰაერო იერიშების სისუსტემ, თეირანის ბალისტიკური შესაძლებლობების სიძლიერის მითი დაანგრია, რამაც ირანის შეკავების მექანიზმს მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა. ამ კონფლიქტმა ნათლად აჩვენა, რომ ირანის ბალისტიკური რაკეტების არსენალს ძირითადად შეკავების დატვირთვა გააჩნდა; ხოლო მისი მასობრივი გამოყენებით და ნაკლები ეფექტურობით კი ამ შეკავების მექანიზმის სისუსტე გამოვლინდა[381]. ირანის მიერ ისრაელის წინააღმდეგ პირდაპირი საჰაერო თავდასხმების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ასევე ნათლად აჩვენა, თუ რამდენად დასუსტებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასიმეტრიული ინსტრუმენტი, ჰეზბოლა, რამაც თეირანს არაპირდაპირი მოქმედებების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეუზღუდა. შესაბამისად, ირანის მიერ ისრაელის წინააღმდეგ ღია კონვენციურ კონფლიქტში ჩართვამ, მისი მთავარი შეკავების ინსტრუმენტების სისუტეები გამოამჟღავნა, რამაც „თორმეტდღიანი ომის“ წინაპირობები შექმნა. ომის, რომელმაც ირანის ათწლეულების მანძილზე შექმნილი უსაფრთხოების არქიტექტურა ჩამოშალა.

ირანის მსგავსად, რუსეთმაც ვერ შეძლო შუა აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური პოზიციების შენარჩუნება, რაც გარკვეულწილად მოსკოვის მიერ „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიის სრულმასშტაბიანი კონვენციური კონფლიქტის ჩანაცვლებით იყო გამოწვეული. კერძოდ, 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია, რუსეთის მიერ „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიის ცვლილების ნათელი გამოვლინება გახდა. როგორც რუსეთის, ასევე ირანის მიერ „ჰიბრიდული ომისა“, თუ „რუხი არეალის“ სტრატეგიების უგულებელყოფა, ამ ორ აქტორს შორის საინტერესო პარალელის გავლების შესაძლებლობას იძლევა. სახელდობრ, როგორც მოსკოვის, ასევე თეირანის შუა

---

[380] Edelman, Maloney, and Miller, “How Weak Is Iran.

[381] Emirates Policy Center (EPC), Iran Studies Unit, *Hybrid Confrontations: Features of Israeli Iranian War Strategies and Their Forceable Prospects*, June 23, 2025, https://epc.ae/en/details/featured/hybrid-confrontation-features-of-israeli-iranian-war-strategies-and-their-foreseeable-prospects, accessed September 3, 2025.

აღმოსავლეთში გავლენების შესუსტება მათი „ჰიბრიდული ომისა“, თუ „რუხი არეალის“ სტრატეგიული მიდგომების ცვლილებას უკავშირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის შუა აღმოსავლეთში გავლენების ზრდისა და შემცირების მიზეზების განხილვა ასიმეტრიული სტრატეგიების მდგრადობისა თუ სისუსტეების უკეთ აღქმაში გვეხმარება.

სირიის კონფლიქტში ჩართვით რუსეთი შუა აღმოსავლეთში დაბრუნდა როგორც წამყვანი საერთაშორისო აქტორი, რომლისთვის ანგარიშის გაწევა უკლებლივ ყველა რეგიონულ სახელმწიფოს მოუხდა[382]. მიმდინარე კვლევის შედეგად ნათლად გამოიკვეთა, რომ მოსკოვის მიერ მიღწეული ეს წარმატება მნიშვნელოვანწილად მისი „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიის შედეგი იყო, რომელმაც რუსეთს საშუალება მისცა დაბალი პოლიტიკური, ფინანსური თუ სამხედრო დანახარჯით მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური უპირატესობა მოეპოვებინა რეგიონში. შუა აღმოსავლეთში რუსეთის მზარდი გავლენა ნათლად გამომჟღავნდა უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის ფონზეც. კერძოდ, აშშ-ის ტრადიციულმა მოკავშირეებმა სპარსეთის ყურეში უარი განაცხადეს არა მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებში ჩართვაზე, არამედ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციების მხარდაჭერაზეც კი; საყურადღებოა, რომ რუსეთის ქმედებების დაგმობისგან თავი ისრაელმაც კი შეიკავა; საუდის არაბეთმა კი, აშშ-ის მოთხოვნის საპირისპიროდ, 2022 წლის ოქტომბერს ნავთობის მოპოვების გაზრდის შესახებ „ოპეკის“ გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი, რამაც რუსეთს ენერგომატარებლებზე გაზრდილი ფასით ომის წარმოების შესაძლებლობა მისცა[383]. თუმცა, უკანასკნელმა მოვლენებმა - ბაშარ ალ ასადის რეჟიმის მოულოდნელმა ჩამოშლამ და „თორმეტდღიან ომში“ ირანის განცდილმა მარცხმა - ნათლად დაგვანახა, თუ რამდენად მყიფე აღმოჩნდა მოსკოვის პოზიციები შუა აღმოსავლეთში, რომელმაც

[382] Jones, “Putin’s War in Syria,” 1.
[383] Michael McFaul and Abbas Milani, “The Real Meaning of Russia’s Middle East Failure,” *Foreign Affairs*, July 25, 2025, https://www.foreignaffairs.com/russia/real-meaning-putins-middle-east-failure-michael-mcfaul, accessed September 2, 2025.

მისი ტრადიციული მოკავშირის მხარდაჭერა ვეღარ შეძლო. რუსეთის უმოქმედობამ ცხადყო, თუ რამდენად შეზღუდულია სრულმასშტაბიან ომში ჩართული რუსეთის სამხედრო და ეკონომიკური რესურსები და რამდენად დაბალი ფასი ადევს მის მიერ გაცემულ უსაფრთხოების გარანტიებს[384]. რამეთუ რუსეთს მისი ორი უმნიშვნელოვანესი მოკავშირის - ირანისა და სირიის - სასიცოცხლო საფრთხეების წინაშე მიტოვება მოუწია. მოსკოვის ამ უმოქმედობამ კი რეგიონში მის გლობალურ მოთამაშედ და აშშ-ის საპირწონე პოლუსად წარმოჩენის მცდელობებს ბოლო მოუღო; ასევე მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მოსკოვის, როგორც სანდო მოკავშირის რეპუტაციას. შესაბამისად რუსეთის მიერ სირიის კონფლიქტში ჩართვით მიღწეული გეოპოლიტიკური გავლენები მნიშვნელოვნად შემცირდა. ამას ცხადყოფს რეგიონულ მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რომლებიც ხელისუფლებების მიერ პირდაპირ კონტროლდება. მაგალითისთვის, ირანის გუშაგთა კორპუსის კონტროლქვეშ მყოფ გამოცემებში პრეზიდენტ პუტინისა და რუსეთის პოლიტიკის მიმართ ღიად კრიტიკული პუბლიკაციები გაჩნდა[385].

რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენების შემცირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ყურადღების ორ ფაქტორზე გამახვილება. პირველი, როგორც ირანის, ასევე რუსეთის შემთხვევაში, ორივე აქტორი მათი გავლენების გაზრდის ფონზე უპირატესობას კონვენციური ძალების ღიად გამოყენებას ანიჭებს. ეს შესაძლოა მათი ასიმეტრიული სტრატეგიების წარმატების გამო გაზრდილი თავდაჯერებულობის შედეგი იყოს. რუსეთის შემთხვევაში, სირიის კამპანიის წარმატებამ მოსკოვს არა მხოლოდ გეოპოლიტიკური გავლენების გაფართოების შესაძლებლობა მისცა, არამად მისი სამხედრო შესაძლებლობის სიძლიერის რწმენა მნიშვნელოვნად გაუმყარა. მეორე, „ჰიბრიდული ომისა“ თუ „რუხი არეალის“ სტრატეგიებს გარკვეულწილად „შემცირებული უკუგების“ ეფექტი ახასიათებს (diminishing returns). სახელდობრ, ასიმეტრიული სტრატეგიების ფარგლებში ჩატარებული ფარული ოპერაციების წარმატება ხშირ შემთხვევაში

---

384 Alexander Baunov, “Putin Chose Ukraine over Syria,” *Foreign Affairs*, December 26, 2024, https://www.foreignaffairs.com/russia/putin-chose-ukraine-over-syria, accessed September 3, 2025.
385 McFaul and Milani, “The Real Meaning of Russia’s Middle East Failure.”

მოულოდნელობის ეფექტზეა გათვლილი, რაც მათი განმეორებით გამოყენების ეფექტს მნიშვნელოვნად ამცირებს[386]. შესაბამისად, ამ ტიპის ოპერაციების ეფექტურობა დროში იკლებს, რაც კონვენციური ინსტრუმენტების გამოყენების ალბათობას ზრდის.

